

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფილოლოგია
(ინგლისური ფილოლოგია)

მარი ხუხუნიანი

არათავაზიანობისა და იდენტობის თავისებურებები
ოჯახის დისკურსის ჟანრში
(ქართული და ამერიკული სერიალების მაგალითზე)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი
რუსუდან დოლიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2023

აბსტრაქტი

არათავაზიანობის შემთხვევებს მრავლად ვხვდებით სხვადასხვა სახის დისკურსში, როგორც ყოველდღიურ, პირისპირ ინტერაქციებში, ასევე, სოციალურ ქსელში, მედიასა და მხატვრულ ნაწარმოებებში. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, ეს ფენომენი განვიხილოთ, როგორც უბრალოდ თავაზიანობის საპირისპირო ქცევა. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ საჭიროა, აღნიშნული ფენომენის გააზრება და შესწავლა მოხდეს დამოუკიდებლად.

წარმოდგენილი კვლევა **შეისწავლის** არათავაზიანობის ენობრივ და სოციალურ გამოვლინებებს და მის როლს პიროვნების იდენტობის ფორმირების პროცესში ქართული და ამერიკული ოჯახის დისკურსის, როგორც ჟანრის, მაგალითზე. ოჯახის წევრთა შორის ყოველდღიური ინტერაქციების შესწავლა კი მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემო, რომელიც ახლო სოციალური ურთიერთობებით, ინტიმურობით ხასიათდება, სადაც მიმდინარეობს პიროვნების იდენტობის ფორმირებაზე მუშაობა და ხდება ადამიანის სოციალიზაცია.

კვლევის **ემპირიულ ბაზას** წარმოადგენს ოცდამეერთე საუკუნის ქართული და ამერიკული მხატვრული სატელევიზიო სერიალები – „ჩემი ცოლის დაქალები“ და „Modern Family“ („თანამედროვე ოჯახი“). ნაშრომში გაანალიზებულია ინტერაქციები, რომელთა ფარგლებშიც გამოვლინდა არათავაზიანობა, კონკრეტულად, ცალკეული პიროვნების მიერ არათავაზიანი ქცევის განმეორებით შესრულების, ანუ არათავაზიანი იდენტობის შემთხვევები. მოცემულია აღნიშნული ზეპირი ინტერაქციების ჩანაწერი ტრანსკრიპტის სახით, ხოლო **მონაცემთა ანალიზისთვის** გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი, შერეული მოდელი, რომელიც აერთიანებს დაღმავალ, თეორიაზე დამყარებულ, პროგნოზული ხასიათის ხედვას, რომლის საფუძველზეც, მკვლევარს შეუძლია ცალკეული ენობრივი გამოხატულება (პრაქსისი) შეაფასოს, როგორც

(არა)თავაზიანი და აღმავალ, დისკურსულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, (არა)თავაზიანობის ფორმირება ანუ (არა)თავაზიანი ქცევის შესრულება და ინტერპრეტაცია ხდება ინტერაქციისას და, შესაბამისად, მკვლევარს აქვს საშუალება, გამოავლინოს პრაქტიკაში არსებული (არა)თავაზიანობის შემთხვევები ცალკეულ ინტერაქციებზე დაკვირვების გზით, მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებზე, მათ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) განმარტებით, როდესაც მკვლევარი აფასებს ამა თუ იმ ქცევას, როგორც (არა)თავაზიანს, მან უნდა გამოიყენოს ორივე მიდგომა, როგორც თეორიული, ისე დისკურსული, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული ქცევის მისეული შეფასება ემთხვევა კომუნიკაციაში მონაწილეთა დამოკიდებულებებსა და შეფასებებს.

ნაშრომის **თეორიული ბაზა** ეფუძნება 1. იდენტობის ფენომენის სოციალურ-კონსტრუქტივისტულ ხედვას (*“Who said what: Subject positions, rhetorical strategies and good faith”*, Anton and Peterson, 2003; *“Language and identity: National, ethnic, religious”*, Joseph, 2004; *“Identity and interaction: a socio-cultural linguistic approach”*, Bucholtz and Hall, 2005; *“Discourse and identity”*, De Fina et al., 2006); 2. გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივ, იმავე დისკურსულ, პოსტმოდერნულ მოდელს (*“A genre approach to the study of im-politeness”*, Garcés-Conejos Blitvich, 2010a); და 3. ბრაუნისა და ლევისონის თავაზიანობის თეორიას (*“Politeness. Some universals in language usage”*, Brown and Levinson, 1978, 1987).

წინამდებარე დისერტაციაში მოცემულია ბრაუნისა და ლევისონის (1987) მიერ შემუშავებული მოდელის ჩვენეული მოდიფიკაცია, რაც ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს** განსაზღვრავს, კერძოდ, აღნიშნული ავტორები შეისწავლიან *სახისთვის შექმნილ საფრთხეს* და მის პოტენციურ სიმძიმეს სამეტყველო აქტების პერსპექტივიდან და, ამგვარად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სფეროს განვითარებაში. რაც შეეხება მათი მოდელის ჩვენეულ მოდიფიკაციას, მის მიზანს წარმოადგენს *არათავაზიანი ქცევის*, და არა სამეტყველო აქტის, უფრო ფართო ჭრილში – კომუნიკაციის კონტექსტში – შესწავლა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კვლევის თემატიკა, კერძოდ,

არათავაზიანობისა და იდენტობის ფენომენის თავისებურებების შესწავლა ოჯახის დისკურსის ჟანრში, ქმნის ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მოდელში ცვლილების შეტანის საფუძველს.

Abstract

Instances of impoliteness are observable across a range of discourses, including everyday face-to-face interactions, social networks, media platforms, and fictional contexts. Therefore, it cannot simply be regarded as the opposite phenomenon of politeness. Researchers claim that impoliteness should be conceptualized and studied as a distinct phenomenon in its own right.

The present research focuses on investigating the linguistic and social manifestations of impoliteness and its impact on identity construction. This examination is conducted within the context of Georgian and American family discourse as a genre. The study of family discourse holds significant importance as it serves as a primary setting for the co-construction of identities and human socialization. Family discourse is characterized by close social relationships/intimacy, making it a crucial context for understanding how identities are formed and developed.

The research is based on **empirical evidence** derived from the twenty-first century Georgian and American TV series, "My Wife's Girlfriends" and "Modern Family". This work focuses on the analysis of interactional sequences between specific family members, with a particular emphasis on instances of impoliteness. The aim is to identify and examine cases where certain characters display repeated patterns of impolite behavior, thus highlighting the existence of impolite identities within the family dynamic. Verbal interactions have been transcribed and examined using a qualitative method, specifically employing a Genre approach to the study of (im)politeness developed by Garcés-Conejos Blitvich (2010a). This approach combines top-down and bottom-up analysis of the phenomenon, allowing for a comprehensive understanding of (im)politeness. By adopting a top-down approach, which is theory-based and predictive, analysts can evaluate specific linguistic expressions or practices as (im)polite by relying on theoretical predictions. On the other hand, a bottom-up approach, which is discursive, considers (im)politeness as being constructed within discourse and social interaction. Therefore, through observing individual interactions, analysts have the opportunity to identify specific instances of (im)politeness in practice based on the interpretations and assessments made by the participants themselves.

According to Garcés-Conejos Blitvich (2010a), when analysts assess a specific behavior as (im)polite, it is important to employ both theory-based and discursive approaches to ensure that their evaluation aligns with the participants' assessments and attitudes within the given interaction.

Theoretical framework for the research combines **1.** the Social-constructivist approach to identity construction (“*Who said what: Subject positions, rhetorical strategies and good faith*”, Anton and Peterson, 2003; “*Language and identity: National, ethnic, religious*”, Joseph, 2004; “*Identity and interaction: a socio-cultural linguistic approach*”, Bucholtz and Hall, 2005; “*Discourse and identity*”, De Fina et al., 2006); **2.** “*A genre approach to the study of im-politeness*” (Garcés-Conejos Blitvich, 2010a); and **3.** Politeness theory (“*Politeness. Some universals in language usage*”, Brown and Levinson, 1978, 1987).

The **scientific novelty** of the given thesis lies in the fact that it introduces a modification to Brown and Levinson’s (1987) model. Specifically, these authors examine *face threat* and its potential weight or seriousness from the perspective of speech acts, making a valuable contribution to the field. However, the modification to their model presented in this thesis serves a different purpose. It aims to study *impolite behavior* in a broader sense, focusing on the context of communication rather than specific speech acts. It is worth highlighting that the research topic at hand, specifically the investigation of the peculiarities of impoliteness and identity in family discourse, serves as the basis for modifying Brown and Levinson’s (1987) model.

შინაარსი

აბსტრაქტი	i
Abstract.....	iv
შესავალი	1
თავი I.....	14
(არა)თავაზიანობის ფენომენის თეორიული მიმოხილვა.....	14
1.1. თავაზიანობის ფენომენი ლინგვისტიკასა და სოციოლოგიაში	14
1.2. (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის დისკურსული, პოსტმოდერნული მიდგომა.....	38
1.3. (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი მოდელი	51
პირველი თავის დასკვნა.....	61
თავი II.....	64
იდენტობის ფენომენის თეორიული მიმოხილვა	64
2.1. იდენტობის ფენომენის სოციალურ-კონსტრუქტივისტული ხედვა.....	64
მეორე თავის დასკვნა	78
თავი III	82
არათავაზიანობისა და იდენტობის ფენომენის კვლევები მედია დისკურსში	82
3.1. არამხატვრული მედია დისკურსი.....	84
3.2. მხატვრული მედია დისკურსი.....	86
მესამე თავის დასკვნა	88
თავი IV	90
ემპირიულ მონაცემთა ანალიზი.....	90
4.1. ქართული საკვლევი ბაზის ანალიზი	103

4.2. ინგლისურენოვანი (ამერიკული) საკვლევი ბაზის ანალიზი	145
მეოთხე თავის დასკვნა.....	193
ზოგადი დასკვნები	196
გამოყენებული ლიტერატურა.....	204
დანართი.....	222

შესავალი

როგორც ცნობილია, ადამიანი სოციალური არსებაა. იგი სხვა ადამიანთა გარემოცვაში ცხოვრობს და, შესაბამისად, უწევს, ისწავლოს მათთან თანაცხოვრება. ადამიანი, ასევე, რაციონალური და ემოციური ქმნილებაა, რომლის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას წარმოადგენს, იყოს აღიარებული და დაფასებული სხვათა მიერ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად იგი ორი ძირითადი საშუალებიდან (ესაა თავაზიანი და არათავაზიანი ქცევა) ირჩევს ერთ-ერთს ან იყენებს მათ კომბინაციას. პირველი, იგი თავაზიანად ექცევა სხვა ადამიანებს, ითვალისწინებს, პატივს სცემს მათ მოსაზრებებს, ხედვას, პოზიციას, გრძნობებს, პიროვნებას/იდენტობას, ანუ ექცევა მათ ისე, როგორც თავად სურს, რომ მოექცნენ. ამგვარი ქცევა ჰარმონიული კომუნიკაციის წინაპირობაა (Lakoff, 1973; Leech, 1983; Brown and Levinson, 1978, 1987; Ide, 1989; Kasper, 1990; Brown, 2015). მეორე, იგი თვითდამკვიდრებას ცდილობს საკუთარი უპირატესობის დემონსტრირების, სხვათა მოსაზრების, ხედვის, პოზიციის, იდენტობის, შესაძლებლობების, უნარების დაკნინების გზით. ამ შემთხვევაში, ადამიანი მიმართავს არათავაზიან ქცევას და, პირდაპირი და ირიბი მეთოდების გამოყენებით, ხაზს უსვამს თავის ნებისმიერ უპირატესობას ადრესატთან მიმართებით – ძალაუფლებას, სოციალურ თუ ეკონომიკურ სტატუსს, განათლების დონეს, გენდერულ როლს, პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ასე შემდეგ. იგი მოითხოვს, რომ მის პოზიციასა და პიროვნებას პატივი სცენ, აღიარონ და დაემორჩილონ, თუმცა თავად იმავეს არ აკეთებს სხვათა მიმართ. მისთვის უმნიშვნელოა სხვა ადამიანთა გრძნობები და მოთხოვნები. ამგვარი ქცევა არის არაჰარმონიული ინტერაქციის საფუძველი და, ძირითადად, შედეგად მოჰყვება კონფლიქტი, დაპირისპირება, წყენა, გაბრაზება და მსგავსი ნეგატიური შედეგები (Kienpointner, 2008; Locher and Bousfield, 2008; Holmes et al., 2008). აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ ირჩევს ადამიანი გზას სოციუმში თვითდამკვიდრებისთვის, პატივისცემისა და აღიარების მოსაპოვებლად? იგი განსხვავებულ ქცევას მიმართავს სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობისას, ცვლის

საუბრის რეგისტრს და საკომუნიკაციო სტრატეგიას იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი თანამოსაუბრე და რა სოციალურ გარემოში იმყოფებიან ისინი (Lakoff, 1977; Hudson, 1980).

თავაზიანობის ფენომენი მრავალმხრივია შესწავლილი, თუმცა არათავაზიანობის, როგორც დამოუკიდებელი ფენომენის მიმართ ინტერესი მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო წლებში გამოიკვეთა. იქიდან გამომდინარე, რომ არათავაზიანობის შემთხვევებს ხშირად და მრავლად ვხვდებით სხვადასხვა სახის დისკურსში (Culpeper et al., 2003; Locher and Bousfield, 2008), როგორც რეალურ ცხოვრებაში – ყოველდღიურ, პირისპირ ინტერაქციებში, ასევე, სოციალურ ქსელში, მედიასა და მხატვრულ ნაწარმოებებში, არ შეიძლება, აღნიშნული ფენომენი განვიხილოთ, როგორც უბრალოდ თავაზიანობის საპირისპირო ქცევა. მკვლევრები (Eelen, 2001; Garcés-Conejos Blitvich, 2010b) მიიჩნევენ, რომ საჭიროა, აღნიშნული ფენომენის გააზრება და შესწავლა მოხდეს დამოუკიდებლად. მიუხედავად თეორიული მოდელებისა და გამოქვეყნებული კვლევების სიმრავლისა, აღნიშნული ფენომენი კვლავ შესწავლის პროცესშია. შესაბამისად, თანამედროვე აკადემიურ სივრცეში არათავაზიანობის ფენომენის კვლევები კვლავ **აქტუალურია**.

წარმოდგენილი საადისერტაციო ნაშრომი **შეისწავლის** არათავაზიანობის ენობრივ და სოციალურ გამოვლინებებს და მის როლს პიროვნების იდენტობის ფორმირების პროცესში ქართული და ამერიკული ოჯახის დისკურსის, როგორც ჟანრის, მაგალითზე. როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, ოჯახის არსებობის ძირითად საფუძველს და, შესაბამისად, ოჯახის დისკურსის უმთავრეს მიზანს ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, თანადგომის, პატივისცემის, მზრუნველობის გამოხატვა წარმოადგენს. ოჯახის წევრთა შორის ყოველდღიური ინტერაქციების შესწავლა კი მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემო, რომელიც ახლო სოციალური ურთიერთობებით, ინტიმურობით ხასიათდება, სადაც მიმდინარეობს პიროვნების იდენტობის ფორმირებაზე მუშაობა და ხდება ადამიანის სოციალიზაცია. ოჯახის წევრებს შორის ყოველდღიური ინტერაქციების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ცალკეული პიროვნების მიერ არათავაზიანი ქცევის განმეორებით შესრულების შემთხვევები და, შესაბამისად, მეტად სიღრმისეულად და

არგუმენტირებულად ვისაუბროთ არათავაზიანობისა და იდენტობის ურთიერთკავშირზე. ამგვარი კვლევა ოჯახის დისკურსის მაგალითზე აქამდე არ ჩატარებულა, რაც წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს.

ნაშრომის კვლევით მიზანს წარმოადგენს, დაადგინოს:

1. რა კავშირი იკვეთება არათავაზიანობასა და იდენტობას შორის;
2. რა ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს იყენებს მოსაუბრე არათავაზიანი ქცევის შესრულებისას;
3. მიმართავს თუ არა მოსაუბრე არათავაზიან ქცევას, გამოკვეთილად, ოჯახის რომელიმე ცალკეულ წევრთან ინტერაქციისას და, კონტექსტიდან გამომდინარე, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი;
4. რა შესაძლო მიზანი და შედეგი აქვს მოსაუბრის მიერ არათავაზიანი ქცევის შესრულებას ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას;
5. ემთხვევა თუ არა ინტერაქციის მონაწილეთა მიერ კონკრეტული არათავაზიანი ქცევის აღქმა, შეფასება აღნიშნული ფენომენის მეცნიერულ დეფინიციას, კერძოდ, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) განმარტებას – (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი, იმავე დისკურსული, პოსტმოდერნული მოდელის ფარგლებში;
6. რა მსგავსებები და განსხვავებები ვლინდება ზემოთ ჩამოთვლილ საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით კვლევაში წარმოდგენილ ორ სხვადასხვა კულტურულ გარემოში – ქართულ და ამერიკულ ოჯახში;
7. ადასტურებს თუ არა წინამდებარე კვლევის შედეგები დისერტაციაში წარმოდგენილ ხედვას სოციალური სიახლოვის/ინტიმურობის და ძალაუფლების შესახებ (ბრაუნისა და ლევენსონის (1987) მოდელის ჩვენეული მოდიფიკაცია).

კვლევის **ემპირიულ ბაზას** წარმოადგენს ოცდამეერთე საუკუნის ქართული და ამერიკული მხატვრული სატელევიზიო სერიალები – „ჩემი ცოლის დაქალები“ და „Modern Family“ („თანამედროვე ოჯახი“). შესწავლილი 26 სეზონის („ჩემი ცოლის დაქალები“ – 15 სეზონი – 747 სერია, „Modern Family“ – 11 სეზონი – 249 სერია) ფარგლებში კვლევისთვის შერჩეული კონკრეტული გმირების მიერ შესრულებული არათავაზიანი ქცევის გამოვლენილი მრავალი შემთხვევიდან დისერტაციაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ოჯახის წევრთა შორის ინტერაქციის 14 მაგალითი („ჩემი ცოლის დაქალები“ – 7 მაგალითი, „Modern Family“ – 7 მაგალითი).

მხატვრული სატელევიზიო სერიალები ხელსაყრელ ბაზას გვთავაზობს ოჯახის დისკურსის შესწავლისთვის. მასში წარმოდგენილი ინტერაქციები მოცემულ ნაშრომში განხილულია, როგორც რეალური შემთხვევები, რადგან აღნიშნულ სატელევიზიო სერიალებში ასახული სიტუაციები რეალურის შთაბეჭდილებას ტოვებს, ცხოვრებისეულ მაგალითებს ეფუძნება. ამის საპირისპიროდ, თუ ოჯახის დისკურსის შესწავლას რეალურ გარემოში შევეცდებით, უნდა დავაკვირდეთ ცალკეული, კვლევისთვის შერჩეული ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, ჩავიწეროთ კამერის საშუალებით და აუცილებლად უნდა დავიცვათ ეთიკის კოდექსი, რომლის თანახმად, უნდა მოხდეს მოცემული ოჯახის წევრთა ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. ეს კი, დიდი ალბათობით, გამოიწვევს მათი მხრიდან ქცევის შეცვლას. აქედან გამომდინარე, მსგავსი კვლევის შედეგები არ ასახავს უტყუარ რეალობას და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება ღირებულად.

კვლევის მეთოდოლოგია. როგორც უკვე აღინიშნა, კვლევა დაფუძნებულია ქართული და ამერიკული სატელევიზიო სერიალების – „ჩემი ცოლის დაქალები“ და „Modern Family“ („თანამედროვე ოჯახი“) – მასალაზე. ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მხოლოდ ის ინტერაქციები, რომელთა ფარგლებშიც გამოვლინდა არათავაზიანობა, კერძოდ, ცალკეული პიროვნების მიერ არათავაზიანი ქცევის განმეორებით შესრულების, ანუ არათავაზიანი იდენტობის შემთხვევები. მოცემულია

აღნიშნული ზეპირი ინტერაქციების ჩანაწერი ტრანსკრიპტის სახით. **მონაცემთა ანალიზისთვის** გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი, შერეული მოდელი, რომელიც აერთიანებს დადმავალ, თეორიაზე დამყარებულ, პროგნოზული ხასიათის ხედვას, რომლის საფუძველზეც, მკვლევარს შეუძლია ცალკეული ენობრივი გამოხატულება (პრაქსისი) შეაფასოს, როგორც (არა)თავაზიანი; და აღმავალ, დისკურსულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, (არა)თავაზიანობის ფორმირება, ანუ (არა)თავაზიანი ქცევის შესრულება და ინტერპრეტაცია ხდება ინტერაქციისას და, შესაბამისად, მკვლევარს აქვს საშუალება, გამოავლინოს პრაქტიკაში არსებული (არა)თავაზიანობის შემთხვევები ცალკეულ ინტერაქციებზე დაკვირვების გზით, მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებზე, მათ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) განმარტებით, როდესაც მკვლევარი აფასებს ამა თუ იმ ქცევას, როგორც (არა)თავაზიანს, მან უნდა გამოიყენოს ორივე მიდგომა, როგორც თეორიული, ისე დისკურსული, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული ქცევის მისეული შეფასება ემთხვევა კომუნიკაციაში მონაწილეთა დამოკიდებულებებსა და შეფასებებს.

ნაშრომის **თეორიული ბაზა** ეფუძნება 1. იდენტობის ფენომენის სოციალურ-კონსტრუქტივისტულ ხედვას (*“Who said what: Subject positions, rhetorical strategies and good faith”*, Anton and Peterson, 2003; *“Language and identity: National, ethnic, religious”*, Joseph, 2004; *“Identity and interaction: a socio-cultural linguistic approach”*, Bucholtz and Hall, 2005; *“Discourse and identity”*, De Fina et al., 2006), რომლის თანახმად, პიროვნების იდენტობა არ არის ერთი, თანდაყოლილი, უცვლელი მოცემულობა და იგი მრავალი სხვადასხვა ლოკალური – კონკრეტული კონტექსტით განპირობებული – იდენტობის კომბინაციას წარმოადგენს. მისი ფორმირება, შენარჩუნება, შეცვლა ხდება მუდმივად, ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე და ამ პროცესში ჩართულია როგორც თავად მოცემული პიროვნება, ასევე, ის ადამიანები, რომლებთანაც მას ცხოვრების მანძილზე აქვს ურთიერთობა; 2. გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივ, იმავე დისკურსულ, პოსტმოდერნულ მოდელს (*“A genre approach to the study*

of im-politeness’, Garcés-Conejos Blitvich, 2010a), რომლის თანახმადაც, დისკურსი ყოველთვის სიტუაციურადაა განპირობებული და ყოველთვის რეგულირდება ჟანრით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსაუბრე მიმართავს სახისთვის საფრთხის შემცველ ენობრივ ქცევას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი არღვევს ცალკეული დისკურსის ფარგლებში დაწესებულ კომუნიკაციურ ნორმებს და არ ითვალისწინებს კონკრეტული ჟანრის საზღვრებში, ინტერაქციის კონტექსტში არსებულ მოლოდინებს მოცემულ კულტურულ გარემოში; და **3**. ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის თეორიას (*“Politeness. Some universals in language usage”*, Brown and Levinson, 1978, 1987). წინამდებარე დისერტაციაში მოცემულია ამ უკანასკნელ ავტორთა მიერ შემუშავებული მოდელის ჩვენეული მოდიფიკაცია, რაც ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს, კერძოდ:

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თანახმად, როცა ადამიანი საფრთხეს უქმნის საკუთარ თუ სხვის (თანამოსაუბრის, მსმენელის/ადრესატის) სახეს, იგი ასრულებს სახისთვის საფრთხის შემცველ აქტს (face-threatening act – FTA). ავტორები განმარტავენ, რომ მათ მიერ გამოყენებული ტერმინი „აქტი“ გულისხმობს თუ რა მიზანს ემსახურება, რა ფუნქციას ასრულებს ცალკეული გამონათქვამი თუ არავერბალური ქცევა (verbal or nonverbal communication). ამგვარად, მათი თეორიის ფარგლებში აღნიშნული ტერმინი სამეტყველო აქტის სინონიმური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ავტორები სახისთვის საფრთხის შემცველ აქტებს განასხვავებენ იმისდა მიხედვით, თუ ვისი სახისთვის წარმოადგენენ ისინი საფრთხეს. მაგალითად, ბოდიშის მოხდა და აღიარება (apologies and confessions), უმთავრესად, საფრთხეს უქმნის მოსაუბრის სახეს, რჩევის მიცემა და ბრძანება (advice and orders) – მსმენელის/ადრესატის სახეს, ხოლო თხოვნა/მოთხოვნა და შეთავაზება (requests and offers) საფრთხის შემცველია როგორც მოსაუბრის, ისე ადრესატის სახისთვის.

თავაზიანობის თეორიის ფარგლებში ბრაუნი და ლევინსონი (1987) გამოყოფენ სამ ძირითად ფაქტორს, რომლებიც განაპირობებს, როგორც მოსაუბრის, ისე

მსმენელის/ადრესატის სახისთვის რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს მოსაუბრის მიერ შესრულებული ცალკეული სამეტყველო აქტი. ეს ფაქტორებია: თანამოსაუბრეებს შორის არსებული სოციალური დისტანცია; შეფარდებითი ძალაუფლება მოსაუბრესა და ადრესატს შორის და ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი.

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) განმარტებით, სოციალური დისტანციის მნიშვნელობა განსხვავდებულა სხვადასხვა კულტურაში, თუმცა, უმეტესად, იგი გულისხმობს, თუ რამდენად ახლო ურთიერთობაა, რამდენად ხშირია კომუნიკაცია თანამოსაუბრეებს შორის – ერთმანეთისთვის ნაცნობები არიან თუ უცნობები; ძალაუფლება, ავტორთა განმარტებით, უკავშირდება პიროვნების სოციალურ თუ ეკონომიკურ სტატუსს (პატივისცემის დონე, deference), ასევე კონტროლს სხვათა მოქმედებაზე. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ძალაუფლება შეიძლება იყოს სიტუაციურად განპირობებული, მაგალითად, იარაღიან პიროვნებას ენიჭება შეფარდებითი ძალაუფლება უიარაღოსთან მიმართებით. ხოლო იმპოზიცია არის ცვლადი (სიდიდე), რომლის მნიშვნელობაც, ასევე, განსხვავდება კულტურათა შორის და სიტუაციის მიხედვით და რომელიც ეხება სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის შინაარსს (intrinsic face-threatening content of the FTA) – რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება (amount of “pain” given to H’s face).

ავტორები აღნიშნულ ხედვას შემდეგი ფორმულის სახით წარმოგვიდგენენ:

$$W_x = D(S, H) + P(H, S) + R_x$$

(Brown and Levinson 1987, 76)

W აღნიშნავს სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის სიმძიმეს, ანუ სახის შელახვის პოტენციურ ხარისხს (Weightiness of a face-threatening act), D – თანამოსაუბრეთა შორის არსებულ სოციალურ დისტანციას (Social Distance), S – მოსაუბრეს (Speaker), H – მსმენელს/ადრესატს (Hearer/Addressee), P – ძალაუფლებას (Power difference), ხოლო R

(Ranking of imposition) – ე.წ. იმპოზიციის ანუ აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის ხარისხს – რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება. შესაბამისად, რაც უფრო დიდია მოსაუბრესა და მსმენელს/ადრესატს შორის არსებული სოციალური დისტანცია $D(S, H)$ და ადრესატის შეფარდებითი ძალაუფლება მოსაუბრესთან მიმართებით $P(H, S)$, ასევე, ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი, ანუ რაც უფრო მეტად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება, მით უფრო დიდი საფრთხე ექმნება როგორც მოსაუბრის, ისე მსმენელის/ადრესატის სახეს, იმისდა მიხედვით თუ, უმთავრესად, ვისი სახისთვისაა საფრთხის შემცველი მოსაუბრის მიერ შესრულებული კონკრეტული სამეტყველო აქტი (Brown and Levinson, 1987).

მეცნიერები ძალაუფლების მრავალ განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობენ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ძალაუფლება, ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მიერ შემოთავაზებულ განმარტებასთან ერთად, შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი გავრცელებული გაგებით: პიროვნებას აქვს ძალაუფლება სხვა პიროვნებასთან მიმართებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სტრატეგიულად აკონტროლებს მოცემული პიროვნების მოქმედებას, ზღუდავს მისი მოქმედების არეალს (strategically constrains person's action-environment) (Wartenberg, 1990). ვარტენბერგი (1990) განასხვავებს ძალაუფლების ქონას (possession of power; capacity which an agent has) და ძალაუფლების გამოყენებას (actual exercise of power), კერძოდ, პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება (შესაძლებლობა, capacity) სხვა პიროვნებასთან მიმართებით, თუმცა არ იყენებდეს, არ ავლენდეს მას. ლოქერისა და ბოუსფილდის (2008), თანახმად, ძალაუფლება პირდაპირ კავშირშია არათავაზიანობასთან, რადგან მოსაუბრე, რომელიც არათავაზიან ქცევას ასრულებს, თავს ესხმის და საფრთხეს უქმნის ადრესატის სახეს, ამ გზით გავლენას ახდენს მასზე, კერძოდ, მოცემულ პიროვნებას უზღუდავს საპასუხო მოქმედების არეალს და ამგვარად მასთან მიმართებით საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს, იყენებს ძალაუფლებას (exercise of power). ეს უკანასკნელი კი,

თავის მხრივ, არის ცვალებადი, შეთანხმების, მოლაპარაკებისა და დავის შედეგი (dynamic, fluid, negotiable) და არა უცვლელი (static) მოცემულობა (იხ. Locher and Bousfield, 2008). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, პიროვნება (მოსაუბრე) არათავაზიანი ქცევის საშუალებით ცდილობდეს მოიპოვოს ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით. გარდა ამისა, ვთვლით, რომ ახლო სოციალური, ინტიმური ურთიერთობების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფაქტორია ადრესატის ემოციური დამოკიდებულება (განწყობა) მოსაუბრის მიმართ, კერძოდ, რაც უფრო პატივსაცემი და, ემოციურ დონეზე, მნიშვნელოვანია მოსაუბრე ადრესატისთვის, მით უფრო დიდია მოსაუბრის შეფარდებითი ძალაუფლება, რადგან ადრესატს მით უფრო მეტად ეზღუდება აღნიშნული მოსაუბრის არათავაზიან ქცევაზე საპასუხო მოქმედების არეალი. მნიშვნელოვანია, რამდენად მოახერხებს იგი საპასუხო მოქმედების მოცემულ შეზღუდულ არეალში საკუთარი ძალაუფლების წარმოჩენას და თავისი იდენტობის დაცვას.

არათავაზიანობის ფენომენის შესწავლისთვის წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის პოსტმოდერნულ, ჟანრობრივ მოდელს, რომელიც აერთიანებს თეორიულ და დისკურსულ მიდგომას. ეს უკანასკნელი კი სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპების უარყოფასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს დისკურსზე, როგორც საკვლევ საგანზე და ამტკიცებს, რომ არა გამონათქვამები, არამედ მოსაუბრეები არიან (არა)თავაზიანი (Watts, 2008). აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დისერტაციის ფარგლებში ყურადღებას ვამახვილებთ არათავაზიან ქცევაზე (ვერბალური თუ არავერბალური ქცევა. impolite verbal or nonverbal behavior) ცალკეული სოციალური ინტერაქციების (დისკურსის, კომუნიკაციის) კონტექსტში და არა კონკრეტულ სამეტყველო აქტებზე, რომლებსაც მოსაუბრე იყენებს არათავაზიანი ქცევის შესრულებისას. ასევე, არათავაზიანობას განვიხილავთ, როგორც, უმთავრესად, სტრატეგიულ ქცევას, რომელიც საფრთხის შემცველია არა მოსაუბრის, არამედ მსმენელის/ადრესატის სახისთვის. კერძოდ, არათავაზიანი ქცევის საშუალებით მოსაუბრე საფრთხეს არ უქმნის საკუთარ

სახეს, პირიქით, იყალიბებს, განამტკიცებს საკუთარ სასურველ იდენტობას, ამ გზით ცდილობს წარმოაჩინოს ან მოიპოვოს შეფარდებითი ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსაუბრე საკუთარი არათავაზიანი იდენტობის ფორმირების პროცესში არ აღიარებს, თავს ესხმის ადრესატის სასურველ იდენტობას, ეჭვქვეშ აყენებს მისი ხედვების, მოთხოვნებისა და გრძნობების ღირებულებას და ამგვარად, საფრთხეს უქმნის ადრესატის სახეს, მის იდენტობას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არათავაზიანი ქცევის სიმძიმიდან თუ სიხშირიდან გამომდინარე, მოსაუბრემ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საკუთარ ძალაუფლებას ადრესატთან მიმართებით – ამ უკანასკნელი ტერმინის ჩვენეული ინტერპრეტაციით, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლება პატივისცემასა და ემოციურ დამოკიდებულებას (განწყობას) უკავშირდება.

არათავაზიანობა გვხვდება ყველგან, მათ შორის, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, საჭიროა, გავითვალისწინოთ სოციალური სიახლოვის, ინტიმურობის ფაქტორი. ზოგადად, რაც უფრო ახლო ურთიერთობაა ცალკეულ პიროვნებებს შორის, ჯანსაღ გარემოში, მით უფრო მეტად მნიშვნელოვანია მათთვის თითოეულის მხრიდან ერთმანეთის იდენტობის აღიარება, პატივისცემისა და მზრუნველობის გამოხატვა. შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ არათავაზიანობის გამოვლენამ შეიძლება, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თითოეულის სახეს/იდენტობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო ახლო, ინტიმური ურთიერთობაა მოსაუბრესა და მსმენელს/ადრესატს შორის, და მეტად მოსაუბრის შეფარდებითი ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით, ასევე, ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი, ანუ რაც უფრო მეტად მძიმე თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება, მოსაუბრე, არათავაზიანი ქცევის საშუალებით, მით უფრო დიდ საფრთხეს უქმნის ადრესატის სახეს, ანუ ხელს უშლის მას სასურველი იდენტობის ფორმირებაში.

წინამდებარე ნაშრომის **სიახლეს** განსაზღვრავს ხედვა სოციალური დისტანციის (სიახლოვის, ინტიმურობის), ასევე, ძალაუფლების შესახებ, რომელიც არის ბრაუნისა და

ლევინსონის (1987) მოდელის ჩვენეული მოდიფიკაცია. აღნიშნული ხედვა შეგვიძლია, გამოვსახოთ ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მიერ შემუშავებულ ფორმულაში შემდეგი ცვლილების შეტანის გზით – სოციალური დისტანციის ნაწილში მინუს ნიშნის დამატებით (-D) და ძალაუფლების ნაწილში მოსაუბრისა და ადრესატის ადგილების გადანაცვლებით (P (S, H)):

$$W_x = -D(S, H) + P(S, H) + R_x$$

W აღნიშნავს არათავაზიანი, სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევის (და არა სამეტყველო აქტის) სიმძიმეს, ადრესატის სახისთვის/იდენტობისთვის მიყენებული ზიანის პოტენციურ ხარისხს (Weightiness of impolite behavior), D – თანამოსაუბრეთა შორის არსებულ სოციალურ დისტანციას (Social Distance), S – მოსაუბრეს (Speaker), H – მსმენელს/ადრესატს (Hearer/Addressee), P – ძალაუფლებას (Power difference), R – ე.წ. იმპოზიციის, ანუ აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის ხარისხს (Ranking of imposition). აღნიშნული ცვლადი ეხება არათავაზიანი ქცევის შინაარსს და გამოხატავს თუ რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება. და ბოლოს, მინუს ნიშნით (-D) სოციალური დისტანციის უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება. შესაბამისად, რაც უფრო მცირეა მოსაუბრესა და მსმენელს/ადრესატს შორის არსებული სოციალური დისტანცია – D (S, H), ანუ მეტია სოციალური სიახლოვე, და მოსაუბრის შეფარდებითი ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით – P (S, H), ასევე, ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი, ანუ რაც უფრო მეტად მძიმე თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება, მით უფრო დიდია მოსაუბრის მიერ შესრულებული კონკრეტული არათავაზიანი ქცევის სიმძიმე და, შესაბამისად, ადრესატის სახისთვის, იდენტობისთვის მიყენებული ზიანის პოტენციური ხარისხი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კვლევის თემატიკა, კერძოდ, არათავაზიანობისა და იდენტობის ფენომენის თავისებურებების შესწავლა ოჯახის

დისკურსის ჟანრში, ქმნის ბრაუნისა და ლევინსონის (1987) ფორმულაში ამგვარი ცვლილების შეტანის საფუძველს.

წარმოდგენილი დისერტაციის ფარგლებში არ ვამტკიცებთ, რომ ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მიერ შემუშავებული ფორმულა მცდარია. აღნიშნული ავტორები შეისწავლიან *სახისთვის შექმნილ საფრთხეს* და მის პოტენციურ სიმძიმეს სამეტყველო აქტების პერსპექტივიდან და, ამგვარად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სფეროს განვითარებაში. რაც შეეხება მათი ფორმულის ჩვენეულ მოდიფიკაციას, მის მიზანს წარმოადგენს *არათავაზიანობის ფენომენის* უფრო ფართო ჭრილში – კომუნიკაციის კონტექსტში – შესწავლა.

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი – სადაც წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი მიმოხილვა, საკვლევი საკითხი და მისი აქტუალურობა, კვლევის მიზანი, ჰიპოთეზა და კვლევის მეთოდოლოგია; თავი I – თავაზიანობის ფენომენის თეორიული მიმოხილვა, სადაც განხილულია თავაზიანობის კლასიკური თეორიები სოციოლოგიისა და ლინგვისტიკის დარგში, რადგან სწორედ თავაზიანობის ფენომენის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ინტერესი არათავაზიანობის, როგორც დამოუკიდებელი ფენომენის მიმართ; ასევე, წარმოდგენილია გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის პოსტმოდერნული, ჟანრობრივი მოდელის თეორიული ანალიზი, რომლის საფუძველზეც ხდება არათავაზიანობის ფენომენის შესწავლა წარმოდგენილ ნაშრომში; თავი II – იდენტობის ფენომენის თეორიული ანალიზი, სადაც დეტალურადაა აღწერილი აღნიშნული ფენომენის თანამედროვე, სოციალურ-კონსტრუქტივისტული ხედვა, რომელიც წინამდებარე ნაშრომში იდენტობის ანალიზის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს; თავი III – არათავაზიანობისა და იდენტობის ფენომენის კვლევები მედია დისკურსში, სადაც წარმოდგენილია როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული მედია დისკურსის ზოგადი მიმოხილვა და ასევე, საუბარია, კონკრეტულად, მხატვრული ფილმის დისკურსზე, რადგან სწორედ მხატვრული სატელევიზიო სერიალებიდან

მოპოვებული მონაცემები ქმნის წინამდებარე ნაშრომის ემპირიულ ბაზას. თავი IV – ემპირიულ მონაცემთა ანალიზი, სადაც მოცემულია საკვლევი ბაზის – ცალკეული ინტერაქციების – დეტალური მიმოხილვა. და ბოლოს, დისერტაციის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ნაშრომში აღწერილი კვლევის შედეგები და ზოგადი დასკვნები.

დისერტაცია შედგება 230 ბეჭდური გვერდისგან. მას თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი, სადაც მოცემულია ნაშრომში წარმოდგენილი ინტერაქციების ტრანსკრიპტის ჩასაწერად გამოყენებული პირობითი აღნიშვნები.

თავი I

(არა)თავაზიანობის ფენომენის თეორიული მიმოხილვა

1.1. თავაზიანობის ფენომენი ლინგვისტიკასა და სოციოლოგიაში

ენათმეცნიერები თანხმდებიან, რომ ენა, როგორც ადამიანთა კომუნიკაციის საშუალება, განასხვავებს ჰომო საპიენსს ცხოველთა სხვა სახეობებისგან. სწორედ ენის საშუალებითაა შესაძლებელი თავაზიანობის გამოხატვა. თავაზიანობის ფენომენი კი ყველაზე ნათლად წარმოაჩენს ადამიანის სოციალურ ბუნებას, რომელიც ვერბალური კომუნიკაციისას ვლინდება (Brown, 2015).

თავაზიანობა, როგორც უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო სტრატეგია, თანამოსაუბრეთა შორის წარმატებული კომუნიკაციის დამყარების და სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების (ე.წ. პოლიტიკური ქცევა) მიზანს ემსახურება. იგი, უმთავრესად, ინტერაქციისას თანამოსაუბრეთა მიერ ერთმანეთის მოლოდინების, გრძნობებისა და სურვილების გათვალისწინებას; ინტერაქციის მონაწილეთა სოციალური სტატუსის და მათ შორის არსებული სოციალური ურთიერთობის მხედველობაში მიღებას; და, ასევე, მოცემულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ხედვის თანახმად, მართებული, მისაღები ქცევის ნორმების დაცვას გულისხმობს. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი თავაზიანობის ენობრივად გამოხატვის საშუალებითაა შესაძლებელი, რაც მოსაუბრის მიერ სათქმელის სათანადოდ ფორმულირებას გულისხმობს (Brown, 2015, Van Olmen, 2017).

მკვლევრებმა ლინგვისტური თავაზიანობის მრავალი სხვადასხვა განმარტება შემოგვთავაზეს, თუმცა ყველა თანხმდება იმ ფუნდამენტურ საკითხზე, რომ საზოგადოების წევრთა მიერ თავაზიანობის გამოხატვის ენობრივი საშუალებების გამოყენება ინტერაქციისას მოსაუბრისა და მსმენელის ინტერესების გათვალისწინებას,

კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდებას, წარმატებული, ჰარმონიული ინტერაქციის დამყარებას ისახავს მიზნად (Lakoff, 1973a; Leech, 1983b; Brown and Levinson, 1978, 1987; Ide, 1989; Kasper, 1990).

შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ თავაზიანობა ამგვარი, ფართო გაგებით, უნივერსალური ფენომენია, თუმცა სხვადასხვა კულტურაში თავაზიანობის განსხვავებული აღქმა არსებობს (იხ. Almursy and Wilson, 2001; Ide, 1989; Janney and Arndt, 1993; Lee-Wong, 2002; Matsumoto, 1989; Nwoye, 1989). მაგალითად, ჰოუს (2004) თანახმად, ინგლისურ ენაში ტერმინი „თავაზიანობა“ სოციალური ინტერაქციისას სხვათა (თანამოსაუბრეთა) მხედველობაში მიღებას და საკუთარი თავის დადებითი კუთხით წარმოჩენას გულისხმობს („Politeness in English refers to showing consideration for others, and demonstrating a polished self-presentation“, Haugh 2004, 13). ქართულ ენაში „თავაზიანობა“ შემდეგნაირადაა განმარტებული: ვინმეს მიმართ ყურადღების გამოჩენა, ზრდილობიანად, მოკრძალებულად მოქცევა; ხოლო სიტყვა „თავაზიანი“-ს განმარტება შემდეგია: მორიდებული, ყურადღებიანი, ზრდილობიანი (ganmarteba.ge – ქართული ლექსიკონი). იაპონურ ენაში კი, „თავაზიანობა“ პატივისცემის გამოხატვას, სხვათა პოზიციისა და სოციალური სტატუსის გათვალისწინებას და თავმდაბალ ქცევას გულისხმობს (Haugh, 2004). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განმარტებები, უმეტესწილად, მსგავსია, მაინც შეინიშნება ნიუანსური განსხვავებები წარმოდგენილ აღქმებს შორის. ჰოუს (2004) განმარტებით, სწორედ აღნიშნულ შინაარსობრივ განსხვავებებს უკავშირდება ის ფაქტი, რომ სხვადასხვა კულტურასა თუ საზოგადოებაში თავაზიანობის გამომხატველ განსხვავებულ ენობრივ ფორმებსა და საშუალებებს ვხვდებით (Haugh, 2004).

ადამიანი სოციალური არსებაა და პიროვნების განვითარების უმნიშვნელოვანეს ნაწილს მისი სოციალიზაცია წარმოადგენს. ეს უკანასკნელი სოციო-კულტურული ცოდნის შექმნას გულისხმობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი ეცნობა იმ საზოგადოებაში არსებულ ნორმებს, ჩვეულებებს, ტრადიციებს, იდეოლოგიებს, ღირებულებებსა და როლებს, რომელშიც ცხოვრობს. პიროვნების სოციალიზაცია

საზოგადოების გამართულად ფუნქციონირების წინაპირობაა და ეს პროცესი უწყვეტია ადამიანის დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე. ადამიანი სოციო-კულტურულ ცოდნას იძენს ოჯახის წევრების, მასწავლებლების, რელიგიური თუ სხვა ლიდერების, თანატოლების, მედიის და, ზოგადად, საზოგადოების დახმარებით. სწორედ ამ ცოდნის საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეთ პიროვნების ქცევასთან დაკავშირებით ამა თუ იმ საზოგადოების წევრებს ცალკეულ სიტუაციებში. ოქსი (1986) შემდეგნაირად განმარტავს სოციალიზაციას: „აზროვნების, გრძნობის და ქცევის დამკვიდრებული ფორმების ჩვენება ინტერაქციულად (ინტერაქციის საშუალებით) ახალბედასთვის“ (“an interactional display (covert or overt) to a novice of expected ways of thinking, feeling, and acting”, Ochs 1986, 2). იგი ამტკიცებს, რომ ბავშვები იძენენ სოციალურ უნარებს ინტერაქციული რუტინების აღქმის გზით, იმის გაგებით, თუ როგორ ასახავს ენა სოციალურ სტატუსსა თუ როლს და კონტექსტში გრძნობებისა და პოზიციის ეფექტურად გამოხატვის უნარის განვითარებით (Ochs, 1986).

რაც შეეხება ენობრივ სოციალიზაციას, იგი ხორციელდება ენის საშუალებით, ანუ ენის გამოყენებით და ენის სწავლის გზით (ე.ი. ვსწავლობთ რა უნდა ვთქვათ) (Ochs and Schieffelin, 2001). ეს უკანასკნელი განუყოფელ კავშირშია სოციო-კულტურული ცოდნის შეძენასთან (Ochs and Schieffelin, 2001; Maccoby, 1992). პონორაკის (2010) თანახმად, ენა არის სოციალური ცხოვრების საფუძველი. ეს არის ნიშნების სისტემა, რომელსაც კულტურული ღირებულება აქვს. ადამიანები ახდენენ საკუთარი თავის და სხვათა იდენტიფიცირებას ენის საშუალებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი აღიქვამენ ენას, როგორც პიროვნების სოციალური იდენტობის მარკერს. ამა თუ იმ კულტურასა თუ საზოგადოებაში ადამიანები იყენებენ კომუნიკაციის ზეპირ, წერილობით და ვიზუალურ ფორმებს, რომელთა მნიშვნელობებიც გასაგებია მოცემული საზოგადოების წევრებისთვის. პონორაკის (2010) განმარტებით, პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ სოციუმში არსებული ენა, რომლის წევრიც არის მოცემული პიროვნება (Ponorac, 2010).

ცხადია, რომ სოციალიზაციის პროცესი მოიცავს კომუნიკაციას სხვა ადამიანებთან. ბრაუნის (2015) თანახმად, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავაზიანობას და იგი სოციალური ცხოვრებისა და ინტერაქციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციისას თავაზიანობის გამოხატვის საშუალებების გამოყენება, ზოგადად, ადამიანთა ჰარმონიული ურთიერთობის წინაპირობაა (Brown, 2015). აქედან გამომდინარე, თავაზიანობის ფენომენმა სოციალურ მეცნიერებათა დარგში მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო.

ბრაუნის (2015) განმარტებით, რიგითი ადამიანისთვის თავაზიანობა, ძირითადად, მართებულ, მისაღებ სოციალურ ქცევასთან ასოცირდება, რაც, თავის მხრივ, მოცემულ საზოგადოებაში საუბრისა და ქცევის დამკვიდრებული წესების დაცვას გულისხმობს. ამგვარი წესები კი, ძირითადად, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ინდივიდებისა თუ ჯგუფებისგან მომდინარეობს. სხვადასხვა კულტურაში თავაზიანობის სხვადასხვა ფორმულა არსებობს. თავაზიანობის გამომხატველ ენობრივ ფორმებად ითვლება ცალკეული შაბლონური გამონათქვამები და სიტყვები (ლექსიკური ერთეულები), როგორცაა, მაგალითად, ინგლისურსა და ქართულში – „please“/„თუ შეიძლება“, „thank you“/„მადლობა“; მისაღებებისა და დამშვიდობების საყოველთაოდ მიღებული ფორმები; სხვადასხვა ენობრივი სტრუქტურის გამოყენება. თავაზიანობის სხვადასხვა ფორმულა ენობრივი ასპექტის გარდა, მოიცავს, ასევე, უფრო რთულ ეტიკეტს, როგორცაა, მაგალითად, სუფრასთან ქცევისა თუ საზოგადოებაში ქცევის წესები ან ფორმალური ღონისძიებების პროტოკოლი და სხვა (Brown, 2015).

ფრეიზერის (1990) თანახმად, თავაზიანობის ფენომენის პირველი ანალიტიკური ხედვა სწორედ სოციალური ნორმების დაცვას უკავშირდება. კერძოდ, ყველა საზოგადოებაში არსებობს დამკვიდრებული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს და როგორია მართებული ქცევა, ქცევის მისაღები მოდელი და მთელი რიგი საყოველთაოდ დადგენილი წესები თუ ნორმები, რომლებიც არეგულირებს მოცემული

საზოგადოების წევრთა ქცევის ფორმებს და განსაზღვრავს მათი აზროვნების მოდელს ცალკეული კონტექსტის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება ითვალისწინებს თავის სოციალურ არსებულ წესებსა და ნორმებს, მისი ქცევა საზოგადოების სხვა წევრთა მიერ დადებითად ფასდება, ანუ ფასდება, როგორც თავაზიანი (polite) ქცევა; ხოლო თუ იგი მოცემულ საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური ნორმების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მისი ქცევა უარყოფით შეფასებას იღებს, ანუ ფასდება, როგორც არათავაზიანი (impolite=rude) ქცევა (Fraser, 1990). ამ კუთხით, მნიშვნელოვანია თავაზიანობის ფენომენის კვლევები იაპონურ კულტურაში, რომელთა თანახმადაც, თავაზიანობა პირდაპირ კავშირშია სოციალურ ნორმებთან. ავტორთა განმარტებით, თავაზიანობა გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი ფორმის საშუალებით და თავაზიანობის გამომხატველი განსხვავებული ენობრივი ფორმები არის ცალკეული სოციალური კატეგორიის მარკერი (იხ. Watts et al., 1992; Ide, 1989).

უოტსის, იდესა და ელიხის (1992) განმარტებით, უნდა განვასხვავოთ თავაზიანობის საზოგადოებაში გავრცელებული, ინტუიციური აღქმა რიგითი ადამიანების მიერ (ე.წ. თავაზიანობა 1) და აღნიშნული ფენომენის მეცნიერთა მიერ შემუშავებული თეორიული განმარტებები და ტექნიკური ტერმინები (ე.წ. თავაზიანობა 2) (Watts, Ide and Ehlich, 1992). იილენის (1999, 2001) თანახმად, თავაზიანობა 1 აერთიანებს როგორც თავად თავაზიანობის ცნებას, რომლის შესახებაც ადამიანები საუბრობენ და გააზრებული აქვთ, იციან მისი მნიშვნელობა, ასევე, თავაზიანობას პრაქტიკაში, ანუ სოციალურ ქცევასა და ენის გამოყენებას, რაც მხოლოდ ადამიანთა ქცევაში ვლინდება ცალკეული დისკურსის ფარგლებში და, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ადამიანი (არა)თავაზიან ქცევას ნაკლებად გააზრებულად მიმართავდეს (Eelen, 1999, 2001). რაც შეეხება თავაზიანობა 2-ს, მის ფარგლებში მეცნიერები თავაზიანობის ფენომენს მრავალი სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: "rapport management" – „ჰარმონიული ურთიერთობის მენეჯმენტი“ (Spencer-Oatey, 2000), "politic behaviour" – „პოლიტიკური ქცევა“ (Watts, 1989, 1992), "language diplomacy" – „ენობრივი დიპლომატია“ (Obana and Tomoda, 1996) და ა.შ., რათა განასხვავონ

აღნიშნული ტექნიკური ტერმინები და თავაზიანობის ფენომენის მეცნიერული, თეორიული განმარტებები საზოგადოებაში გავრცელებული ცნებებისგან.

თავაზიანობის ფენომენის ამგვარი დაყოფის შედეგად გამოიკვეთა ორი საპირისპირო ვარაუდი. თავაზიანობა 1-ის მკვლევართა განმარტებით, კულტურათა შორის არსებული განსხვავებები თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ფორმებისა და საშუალებების კუთხით ასახავს ამ კულტურებში თავაზიანობის ფენომენის განსხვავებულ აღქმას; ხოლო თავაზიანობა 2-ის მკვლევართა თანახმად, თავაზიანობის ფენომენის აღქმა მსგავსია სხვადასხვა კულტურაში და განსხვავებები თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ფორმებისა და სტრუქტურების მხრივ ასახავს სხვადასხვა ენაში არსებულ განსხვავებულ ენობრივ სტრუქტურებსა და ამ სტრუქტურათა გამოყენების წესებს (Haugh, 2004).

ლინგვისტური პრაგმატიკის დარგში უდიდესი წვლილი შეიტანა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა პოლ გრისმა, რომელმაც 1975 წელს წარმოგვიდგინა ე.წ. „თანამშრომლობის პრინციპი“ („Cooperative Principle“), რომლის თანახმადაც, ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა თანამოსაუბრეთა თანამშრომლობა, რაც ინფორმაციის წარმატებულ გაცვლას გულისხმობს. ყველა საზოგადოებაში არსებობს საუბრის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ეხება, მაგალითად, საუბრის ხანგრძლივობას, თანადროულად მოსაუბრეთა რაოდენობას, საუბრის შეწყვეტის და სხვა თემაზე გადართვის დასაშვებ, მისაღებ რაოდენობას, ასევე, შინაარსს. თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე, გრისმა (1975) წარმოგვიდგინა შემდეგი ოთხი ძირითადი სასაუბრო მაქსიმა, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ეფექტური კომუნიკაცია:

1. ხარისხის მაქსიმა (Maxim of Quality) – არ თქვა ის, რისიც თავადაც არ გჯერა ან მოკლებულია საფუძველს („Do not say what you believe to be false; Do not say that for which you lack adequate evidence“);

2. რაოდენობის მაქსიმა (Maxim of Quantity) – არ თქვა საჭიროზე მეტი („Make your contribution as informative as required (for the current purposes of the exchange; Do not make your contribution more informative than is required“);
3. რელევანტურობის (შესაბამისობის) მაქსიმა (Maxim of Relation/Relevance) – არ გადაუხვიო თემიდან (“Be relevant (i.e., say things related to the current topic of the conversation)”);
4. მანერის მაქსიმა (Maxim of Manner) – არ გამოიყენო ბუნდოვანი და ორაზროვანი გამონათქვამები; ისაუბრე მოკლედ და თანმიმდევრულად (“Avoid obscurity of expression; Avoid ambiguity; Be brief (avoid unnecessary prolixity); Be orderly”).

Grice 1975, 45–46

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული სასაუბრო მაქსიმები ინსტუქციის სახითაა წარმოდგენილი, გრაისის (1975) თავაზიანობის პრინციპი აღწერითი ხასიათისაა და გვიჩვენებს, ჩვეულებრივ, როგორ იქცევიან ადამიანები წარმატებული, ეფექტური კომუნიკაციის (ზეპირი ინტერაქციის) ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მოსაუბრე განზრახ არ ითვალისწინებს სასაუბრო მაქსიმებს. იულის (1997) განმარტებით, მსგავს შემთხვევებში მოსაუბრის მიზანი შეიძლება იყოს, გადმოსცეს მეტი, ვიდრე მის მიერ გამოყენებული სიტყვები გამოხატავენ, ანუ თავის ნათქვამს შესძინოს არაპირდაპირი, დამატებითი, ნაგულისხმევი მნიშვნელობა, რაც ლინგვისტურ პრაგმატიკაში განისაზღვრება, როგორც იმპლიკაცია. “...the speaker intends to communicate something. That something must be more than just what the words mean. It is an additional conveyed meaning, called an implicature” (Yule 1997, 35). მსმენელი კი, თავის მხრივ, ცდილობს, მოახდინოს მოსაუბრის ნათქვამის დეკოდირება, გაშიფვრა ანუ არაპირდაპირი, დამატებითი, ნაგულისხმევი მნიშვნელობის ამოცნობა. გრაისის (1975) თანახმად, იმისათვის, რომ არ მოხდეს გაუგებრობა კომუნიკაციაში, სასაუბრო იმპლიკაცია არ უნდა იყოს რთულად აღსაქმელი (Grice, 1975).

გრაისის მსგავსად, ამერიკელი სოციოლინგვისტის რობინ ლეიკოფის (1973b) თანახმად, ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად მნიშვნელოვანია სათქმელის ნათლად გადმოცემა – სიცხადე, პირდაპირობა. თუმცა, ავტორი, ასევე, განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრემ არჩევანი უნდა გააკეთოს პირდაპირობასა და თავაზიანობას შორის, წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად უპირატესობა თავაზიანობის ნორმების დაცვას ენიჭება. „...when Clarity conflicts with Politeness, in most cases Politeness supersedes: it is considered more important in a conversation to avoid offense than to achieve clarity“ (Lakoff 1973b, 297).

ლეიკოფმა (1973b) წარმოგვიდგინა თავაზიანობის – თავაზიანი საუბრის – სამი წესი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს თანამშრომლობით, წარმატებულ კომუნიკაციას. ესენია: თავს არ მოახვიო შენი აზრი (do not impose); მიეცი არჩევანის საშუალება (give the receiver options); თავი კარგად აგრძნობინე (Make the receiver feel good) (Lakoff, 1973b). ავტორის განმარტებით, მოსაუბრის მიერ აღნიშნული წესების გათვალისწინება პრაქტიკაში განაპირობებს, თუ რა გამონათქვამებს გამოიყენებს იგი და როგორ, რა ენობრივი საშუალებებით გადმოსცემს სათქმელს ირიბად, არაპირდაპირი გზით. შედეგად კი ყალიბდება სხვადასხვა საკომუნიკაციო სტილი. განვიხილოთ თავაზიანი საუბრის თითოეული წესი:

თავაზიანობის პირველი წესი – თავს არ მოახვიო შენი აზრი (Do not impose) – რომელსაც მოგვიანებით ლეიკოფმა ფორმალურობის წესი ("Formality: don't impose/remain aloof") უწოდა, ასევე, ცნობილია, როგორც უარყოფითი თავაზიანობა, რომლის დროსაც პირდაპირი საუბრისგან თავის არიდების, სათქმელის არაპირდაპირი, ირიბი ფორმულირების მიზნით, ხშირია ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ინგლისურ ენაში: „Could you maybe“ („შემთხვევით, ხომ ვერ შეძლებთ“), „Might it be possible to...?“ („შესაძლებელი ხომ არ იქნება...?“); ასევე, ხშირია მოსაბოდიშებელი ფრაზების გამოყენება: „I am sorry to bother you“ („ბოდიში, რომ გაწუხებთ“), „I apologize that this is such short notice“ („ბოდიშს გიხდით, რომ უფრო ადრე ვერ შეგატყობინეთ“).

თავაზიანობის მეორე წესი – მერყეობა, გაუბედაობა: მიეცი არჩევანის საშუალება (“Hesitancy: allow the addressee his options”) – რომელსაც მოგვიანებით ლეიკოფმა პატივისცემის წესი (Deference) უწოდა, გულისხმობს, რომ მოსაუბრემ სრულად არ უნდა აკონტროლოს კომუნიკაცია და მისცეს თანამოსაუბრეს/მსმენელს არჩევანის საშუალება. ამ მიზნით, ხშირია ისეთი გამონათქვამების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად: „It’s up to you” („შენი/თქვენი გადასაწყვეტია“), “Do you want to go first?” („გინდა, შენ დაიწყო?“), “What would you rather do?” („რისი გაკეთება გირჩევნია/თ?“). მსგავსი ფრაზების გამოყენებით ცალკეულ სიტუაციებში ვაგრძნობინებთ თანამოსაუბრეს, რომ პატივს ვცემთ მას და მის აზრს.

თავაზიანობის მესამე წესი – თავი კარგად აგრძნობინე; მოიქეცი ისე, თითქოს შენ და სხვა (თანამოსაუბრე) თანასწორნი ხართ (Equality or camaraderie: “act as though you and addressee were equal/make him feel good”, Lakoff 1977, 88) – ასევე, ცნობილია, როგორც დადებითი თავაზიანობა. ამ შემთხვევაში მოსაუბრე მსმენელს აგრძნობინებს, რომ აფასებს მას, როგორც პიროვნებას და საუბარი დაბალანსებულია. ხშირია ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ინგლისურ ენაში: „I would really appreciate your opinion” („ძალიან დასაფასებელი იქნება შენი/თქვენი აზრის მოსმენა“), “What would I do without you?” („უშენოდ/უთქვენოდ რა მეშველებოდა?“) და ა.შ.

ლეიკოფი (1990) თავაზიანობას შემდეგნაირად განმარტავს: „ინტერპერსონალური ურთიერთობების სისტემა, რომლის მიზანია ინტერაქციის ხელშეწყობა შესაძლო კონფლიქტისა და დაპირისპირების თავიდან არიდების გზით“. “a system of interpersonal relations designed to facilitate interaction by minimizing the potential for conflict and confrontation inherent in all human interchange” (Lakoff, 1990 in Watts, 2003). როგორც ვხედავთ, ლეიკოფის (1990) თანახმად, თავაზიანობა გულისხმობს ინტერაქციას კონფლიქტის გარეშე, სადაც თანამოსაუბრეებს შესწევთ უნარი, გაითვალისწინონ ერთმანეთის სურვილები, მოთხოვნები და ინტერესები. ჰარმონიული,

თანამშრომლობითი სოციალური ინტერაქციის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად კი მხარეები (თანამოსაუბრეები) თავაზიანობის გამოხატვის საშუალებებს იყენებენ.

ლეიკოფის (1977) თანახმად, მოსაუბრემ უნდა შეარჩიოს თავაზიანობის (თავაზიანი საუბრის) შესაფერისი წესი კომუნიკაციის კონტექსტიდან გამომდინარე. აღნიშნული არჩევანის გაკეთებისას იგი, ასევე, ხაზს უსვამს ისეთი ფაქტორების გავლენასა და მნიშვნელობას, როგორცაა: ინტერაქციის მონაწილეთა შორის არსებული განსხვავებები სოციალური სტატუსის კუთხით და მათ შორის არსებული ფორმალურობის დონე, ანუ შეფარდებითი ძალაუფლება მოსაუბრესა და ადრესატს შორის, რაც განაპირობებს თითოეულის მხრიდან ენობრივ არჩევანს, საუბრის რეგისტრს; სოციალური დისტანცია და კულტურა, რომლის ფარგლებშიც ხდება ინტერაქცია (Lakoff, 1977).

გრაისის თანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით, ინგლისელმა ენათმეცნიერმა ჯეფრი ლიჩმა (1983b) შემოგვთავაზა თავაზიანობის კიდევ ერთი პრინციპი – სათქმელის თავაზიანი ფორმულირება – „(შეამცირე, მინიმუმამდე დაიყვანე) მოერიდე სათქმელის არათავაზიან ფორმულირებას“ („Minimize the expression of impolite beliefs“). ამ პრინციპის მიზანია ინტერპერსონალური (პიროვნებათშორისი) კომუნიკაციის ფარგლებში ხელი შეუწყოს სოციალური ბალანსის და მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებას. ლიჩის (1983b) განმარტებით, აღნიშნული პრინციპის დაცვა ინტერაქციის მონაწილეთა მიერ მიგვანიშნებს, რომ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თანამოსაუბრეებს მოცემული ინტერაქციის ფარგლებში აქვთ თანამშრომლობის სურვილი, განწყობილნი არიან თანამშრომლობისთვის ეფექტური, წარმატებული კომუნიკაციის დამყარების მიზნით (“to maintain the social equilibrium and the friendly relations which enable us to assume that our interlocutors are being cooperative in the first place”, Leech 1983b, 82). ლეიკოფის მსგავსად, ლიჩი თავაზიანობას კომუნიკაციისას სათქმელის ირიბ ფორმულირებას უკავშირებს. თავაზიანობის პრინციპის ფარგლებში ლიჩი (Leech 1983b, 104) ეფექტური ინტერაქციის ექვს მაქსიმას აერთიანებს:

1. ტაქტის მაქსიმა (The Tact Maxim) – “სათქმელი გამოხატე იმგვარად, რომ ზიანი არ მიაყენო და პირიქით, სარგებელი მოუტანო სხვას“ („Minimize the expression of beliefs which imply cost to other; maximize the expression of beliefs which imply benefit to other.“);
2. კეთილშობილების, გულუხვობის მაქსიმა (The Generosity Maxim) – „არ გამოხატო საკუთარი უპირატესობა. არ ისაუბრო პირადი სარგებლის მიღების მიზნით“ („Minimize the expression of benefit to self; maximize the expression of cost to self.“). ამ შემთხვევაში, ხაზგასმა ხდება მოსაუბრეზე, რომელმაც პირველ რიგში, სხვისი (თანამოსაუბრის) ინტერესების დაცვაზე უნდა იზრუნოს.
3. მოწონების მაქსიმა (The Approbation Maxim) – “არ გააკრიტიკო სხვა; სათქმელი ჩამოაყალიბე იმგვარად, რომ გამოხატო მოწონება, მხარდაჭერა სხვის (თანამოსაუბრის) მიმართ“ (“Minimize the expression of beliefs which express dispraise of other; maximize the expression of beliefs which express approval of other.”). ამ შემთხვევაში, მოსაუბრე თავს არიდებს უთანხმოებას და ცდილობს, თანამოსაუბრემ თავი კარგად იგრძნოს.
4. თავმდაბლობის მაქსიმა (The Modesty Maxim) – “არ შეიქო საკუთარი თავი“ (“Minimize the expression of praise of self; maximize the expression of dispraise of self.”);
5. შეთანხმების მაქსიმა (The Agreement Maxim) – „გამოიყენე თანხმობის და არა უთანხმოების გამომხატველი გამონათქვამები“ (“Minimize the expression of disagreement between self and other; maximize the expression of agreement between self and other.”). ლიჩის (1983b) განმარტებით, შეუძლებელია უთანხმოების სრულად თავიდან არიდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თანხმობისგან განსხვავებით, უთანხმოების გამოსახატად მოსაუბრეები, ძირითადად, სათქმელის ირიბ ფორმულირებას მიმართავენ.
6. თანაგრძნობის მაქსიმა (The Sympathy Maxim) – “გამოიყენე თანაგრძნობის, სოლიდარობის და არა ანტიპათიის გამომხატველი გამონათქვამები“ (“Minimize antipathy between self and other; maximize sympathy between self and other.”). ამ

შემთხვევაში მოსაუბრე იყენებს ისეთ სამეტყველო აქტებს, როგორცაა მილოცვა, თანაგრძნობის გამოტახვა, მისამძიმრება.

ლიჩი (1983b) განმარტავს, რომ მის მიერ წარმოდგენილი თავაზიანობის პრინციპი – „(შეამცირე, მინიმუმამდე დაიყვანე) მოერიდე სათქმელის არათავაზიან ფორმულირებას“ („Minimize the expression of impolite beliefs“) და გრაისის თანამშრომლობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა თანამოსაუბრეთა თანამშრომლობა, რაც ინფორმაციის წარმატებულ გაცვლას გულისხმობს, ურთიერთკავშირშია. თანამშრომლობის პრინციპი და ეფექტური ინტერაქციის ოთხი მაქსიმა, რომელსაც იგი აერთიანებს (ესაა ხარისხის, რაოდენობის, რელევანტურობის და მანერის მაქსიმები), გვაძლევს ამა თუ იმ ირიბი მესიჯის მატარებელი გამონათქვამის ინტერპრეტაციის საშუალებას, ხოლო თავაზიანობის პრინციპი და ეფექტური კომუნიკაციის ექვსი მაქსიმა (ესაა ტაქტის, კეთილშობილების, მოწონების, თავმდაბლობის, შეთანხმების, თანაგრძნობის მაქსიმები) გვხედავს, ავხსნათ, თუ რატომ არის საჭირო და რა მიზანს ემსახურება სათქმელის არაპირდაპირი, ირიბი ფორმულირება.

გრაისის მსგავსად, ლიჩის (1983b) მოდელის ფარგლებშიც მიჩნეულია, რომ თავაზიანობის დონესა თუ თავაზიანობის გამომხატველ ფორმებთან დაკავშირებით არსებულ მოლოდინებთან შეუსაბამო ქცევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს აღნიშნული ქცევის მიზეზი – რატომ არ იყენებს მოსაუბრე თავაზიანობის გამოხატვის ამა თუ იმ საშუალებას და ასრულებს მოცემული ინტერაქციის ფარგლებში მის მიმართ არსებულ მოლოდინებთან შეუსაბამო ქცევას. სხვადასხვა კულტურაში ეფექტური კომუნიკაციის ამა თუ იმ პრინციპს სხვა პრინციპებთან შედარებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ლიჩის (1983b) განმარტებით, სწორედ ამით აიხსნება თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ფორმების კუთხით კულტურათა შორის არსებული განსხვავებები (Leech, 1983b).

როგორც ცნობილია, მეტყველება სოციალური ფენომენია, რადგან წესების და უნარების უმეტესი ნაწილი, რაც საჭიროა ენის სწორად გამოყენებისთვის, ნასწავლია სხვებისგან ზუსტად ისე, როგორც ცალკეული ენობრივი ერთეულები. მეტყველების მეორე სოციალურ მხარეს წარმოადგენს ის, რომ ძალისხმევა, რომელსაც ადამიანი დებს საუბარში, დამოკიდებულია მოტივაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი თანამოსაუბრე და რა ურთიერთობა აქვს მასთან მოცემულ პიროვნებას (მოსაუბრეს). სოციალური ფსიქოლოგების განმარტებით, ადამიანები მიმართავენ ძალისხმევას სოციალური ურთიერთობების დასამყარებლად და ითვალისწინებენ სხვათა მოთხოვნებსა და მოლოდინებს, რადგან სურთ, დაიმსახურონ მათი მოწონება (Hudson, 1980). ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თანახმად, მეტყველება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება პიროვნების წარმოსაჩენად. იმის მიხედვით, თუ რას ამბობს იგი და როგორ, აფასებენ მას საზოგადოების სხვა წევრები (Brown and Levinson, 1987).

საზოგადოებისთვის თავის მოწონებასთან დაკავშირებით საინტერესოა სახის თეორია. ტერმინი „სახე“-ს დანერგვა ლინგვისტიკის დარგში უკავშირდება ამერიკელ სოციოლინგვისტ ერვინ გოფმანს, რომელმაც აღნიშნული ტერმინი გამოიყენა 1955 და 1967 წლებში თავის სამეცნიერო ესეში – „*On face-work: an analysis of ritual elements in social interaction*“. აღნიშნულ ნაშრომში გოფმანი (1955, 1967) გვთავაზობს „სახეზე მუშაობის“, იმავე „სახის“ თეორიას, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: ზოგადად, ადამიანს აქვს აღქმისა და ანალიზის უნარი; იგი საკუთარ თავს, პიროვნებას გამოხატავს სახის საშუალებით და მას სახესთან აკავშირებს ემოცია, გრძნობები. გარდა ამისა, ადამიანს ახასიათებს სიამაყის, პატივისცემის, ღირსების გრძნობა, მზრუნველობა, ტაქტი და, გარკვეულ დონეზე, გაწონასწორებული ქცევა (Elements of ritual behavior – “to be perceptive, to have feelings attached to face, and a self expressed through face, to have pride, honor, dignity, considerateness, to have tact, certain amount of poise“, Goffman 1967, 44). გოფმანის თანახმად, ეს ყველაფერი ადამიანის უნივერსალურ ბუნებას (Universal Human Nature) წარმოადგენს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სოციალურ ინტერაქციებზე, ადამიანთა შორის ურთიერთობებზე დაკვირვების შედეგად, გოფმანი (1967) ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანი დაინტერესებულია იმით, თუ როგორ აღიქვამენ მას სხვები. ავტორის განმარტებით, ჩვენ ვმოქმედებთ სოციალურად, ვცდილობთ, შევინარჩუნოთ სახე, რომელიც შევიქმენით საკუთარი თავის (პიროვნების, self) სხვებთან წარმოსაჩენად. გოფმანი განმარტავს ტერმინ „სახე“-ს, როგორც პიროვნების სოციალურ ფასეულობას ანუ პიროვნების იმიჯს (sacred image), რომელიც მოიცავს საზოგადოებისთვის მისაღებ თვისებებს, არსებული სოციალური სტანდარტების გათვალისწინებით. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერ ადამიანს სახესთან ემოცია, გრძნობები აკავშირებს. როდესაც საზოგადოების სხვა წევრები მის მიმართ მოწონებას, მხარდაჭერას გამოხატავენ, პიროვნება თავს კარგად გრძნობს და პირიქით, სხვათა მხრიდან მოცემული პიროვნების მიმართ უარყოფითი შეფასებისა თუ დამოკიდებულების გამოვლენის შემთხვევაში, იგი თავს ცუდად გრძნობს, გულნატკენია (feels good or bad/hurt).

გოფმანის (1967) განმარტებით, სახეზე მუშაობა (face-work) მიმდინარეობს ცალკეული ინტერაქციის ფარგლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიროვნება საკუთარ სახეს ანუ საჯარო იმიჯს ქმნის, წარმოაჩენს კონკრეტული ინტერაქციისას, რომლის განმავლობაშიც იგი ირჩევს მიმართულებას (line) და ბოლომდე მიჰყვება მას. „Face may be defined as the positive social value a person effectively claims for himself by the line others assume he has taken during a particular contact. Face is an image of self delineated in terms of approved social attributes.“ (Goffman 1967, 5). მიმართულება (line) გულისხმობს ინტერაქციისას პიროვნების ვერბალურ თუ არავერბალურ ქცევას, რომელიც გვიჩვენებს, როგორ აღიქვამს თავად პიროვნება მოცემულ სიტუაციას და როგორ აფასებს ინტერაქციის მონაწილეებს, ასევე, საკუთარ თავს. გოფმანი (1967) მიმართულებას აიგივებს როლთან. მისი განმარტებით, მიმართულება არის „ვერბალური თუ არავერბალური ქცევის აქტების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც პიროვნება გამოხატავს სიტუაციის მისეულ ხედვას და მონაწილეთა, განსაკუთრებით კი საკუთარი თავის, მისეულ შეფასებას“ (“line is a pattern of verbal or non-verbal behavior acts by which he expresses his view of the situation

and through this his evaluation of the participants, especially himself”, Goffman 1967, 5). პიროვნება, ასევე, ცდილობს, გაუფრთხილდეს და საფრთხე არ შეუქმნას სხვათა სახეს და პატივი სცეს მათ გრძნობებს, რათა შედგეს ჯანსაღი კომუნიკაცია. ამგვარი მცდელობა, თავის მხრივ, დადებითად აისახება მოსაუბრის იმიჯზეც.

გოფმანის (1967) განმარტებით, ცალკეული სოციალური ინტერაქცია გვიჩვენებს თუ რა სახის ურთიერთობაა მოცემულ პიროვნებებს შორის. მოსაუბრეს შეუძლია მოირგოს სხვადასხვა სახე სხვადასხვა ინტერაქციის ფარგლებში იმის მიხედვით, თუ რა სოციალურ გარემოში იმყოფება იგი და ვინ არის მისი თანამოსაუბრე. ასევე, ნებისმიერი ინტერაქციის ფარგლებში არსებობს საფრთხე, რომ თანამოსაუბრეებს შეექმნათ მცდარი წარმოდგენა, არასწორი შთაბეჭდილება მოახდინონ ერთმანეთზე, ანუ ყოველთვის არსებობს სახის შელახვის საშიშროება. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციისას, საუკეთესო შემთხვევაში, პიროვნება ცდილობს მისი ქცევა იყოს დაბალანსებული, გაწონასწორებული. გოფმანის (1967) თანახმად, როდესაც ცალკეულ პიროვნებებს შორის ფორმალური ურთიერთობაა, ისინი, ტენდენციურად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კომუნიკაციის დამკვიდრებული წესების (Ritual code) დაცვას, ზრუნავენ, რომ ინტერაქციის ფარგლებში ადგილი არ ჰქონდეს ისეთ ქმედებას, რომელმაც შესაძლოა არასწორი შთაბეჭდილება მოახდინოს თანამოსაუბრეზე, იყენებენ ფორმალურ რეგისტრს, ხოლო როდესაც პიროვნებებს შორის არაფორმალური ურთიერთობაა, ისინი იყენებენ არაფორმალურ რეგისტრს, მედატ ავლენენ უყურადღებობას, საუბარს აწყვეტინებენ ერთმანეთს და, ზოგადად, მათ შორის კომუნიკაციას არაორგანიზებული სახე აქვს.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანები იქმნიან იმიჯს სხვა ადამიანებისთვის, მაგრამ შესაძლებელია ამ იმიჯის შელახვა, დაკარგვა. გოფმანის (1967) თანახმად, ანგლო-ამერიკულ საზოგადოებაში, სახის დაკარგვა (to lose face) გულისხმობს პიროვნების მიერ მორგებული იმიჯის საჯაროდ შელახვას. სახისთვის საფრთხის შემცველი გარემოება ანუ სახის შელახვის საფრთხე (threat to face) იქმნება მაშინ, როდესაც პიროვნების (მისი სოციალური ღირებულების, social worth) შესახებ ჩნდება ინფორმაცია, რომელიც შეუსაბამობაშია მოცემული ინტერაქციის ფარგლებში მის მიერ არჩეულ

მიმართულებასთან, ანუ მის ვერბალურ თუ არავერბალურ ქცევასთან (he is in wrong face), ასევე, როდესაც იგი ერთვება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციაში ისე, რომ წინასწარ არ აქვს განსაზღვრული მიმართულება, რომელსაც მისგან მოელიან მსგავს სიტუაციებში (he is out of face). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსაუბრე ამბობს ისეთ რამეს, რაც არ შეესაბამება მსმენელთა მოლოდინებს. მსგავს შემთხვევებში პიროვნება თავს დარცხვენილად (shamefaced), დამცირებულად (inferior) გრძნობს მომხდარის გამო, აღელვებს საკუთარი რეპუტაცია. ქმედებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის საკუთარ თუ სხვის სახეს, გოფმანი “სახისთვის საფრთხის შემცველ ქმედებებს“ (face-threatening actions or deeds) უწოდებს. ამის საპირისპიროდ, როდესაც მოსაუბრე ცდილობს შეამციროს თავისი ნათქვამით გამოწვეული სახის შელახვის საფრთხე, საქმე გვაქვს სახის გადარჩენისა თუ შენარჩუნებისკენ მიმართულ ქმედებასთან (saving or maintaining face; face-saving actions or practices). ასევე, ცალკეულ სიტუაციებში მოსაუბრე ცდილობს დაეხმაროს ინტერაქციის სხვა მონაწილეს, რათა მან აირჩიოს უკეთესი მიმართულება და, ამგვარად, მოირგოს მეტად სასურველი თუ ხელსაყრელი სახე (to give face; The other gets face given him, gains face). პიროვნების მიერ საკუთარი სახის გადარჩენა კი გულისხმობს მის მცდელობას, ინტერაქციის მონაწილეებს (სხვებს) შეუქმნას წარმოდგენა, რომ მას სახე არ დაუკარგავს.

გოფმანის (1967) თანახმად, ადამიანის უნივერსალური ბუნების შესახებ ცოდნის შეძენის შედეგად, ადამიანი ხდება ერთგვარი სტრუქტურა, რომელიც აგებულია მასზე გარეგანი ზეგავლენით, კერძოდ, პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოცემულ საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური წესები, რომლებიც (თუ პიროვნება აღნიშნულ წესებს ითვალისწინებს) თავის მხრივ, განსაზღვრავს, თუ რა მოლოდინები ექნება პიროვნებას ცალკეულ სიტუაციებში, როგორ შეაფასებს იგი როგორც საკუთარ თავს, ისე ინტერაქციის სხვა მონაწილეებს და, ზოგადად, როგორი იქნება მისი ქცევა პრაქტიკაში. საზოგადოებაში არსებული ეს საერთო ცოდნა შესაძლებელს ხდის, მოცემული საზოგადოების წევრებს შორის ცალკეული ინტერაქციები იყოს დაბალანსებული (“By acquiring universal human nature, a person

becomes a kind of construct, built up from moral rules impressed upon him from without. These rules, when followed, determine the evaluation he will make of himself and of his fellow-participants in the encounter, the distribution of his feelings, and the kinds of practices he will employ to maintain ritual equilibrium”, Goffman 1967, 45).

თავაზიანობის ფენომენს მრავალი წლის მანძილზე იკვლევდნენ მეცნიერები, თუმცა თავაზიანობის პირველი ყველაზე სრულყოფილი თეორია პენელოპე ბრაუნმა და სტეფან ლევინსონმა შექმნეს. [1978] 1987 წელს მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს – „*Politeness: Some universals of language usage*“ – ფართო გამოხმაურება მოჰყვა. თავაზიანობის ფენომენის შესწავლამ მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და იგი პრაგმატიკის დარგში ერთ-ერთი ყველაზე კვლევადი საკითხი გახდა.

ბრაუნისა და ლევინსონის ([1978] 1987) თავაზიანობის თეორია გოფმანის სახის ცნებას ეფუძნება. ეს მეცნიერები სახეს შემდეგნაირად განმარტავენ: „საჯარო იმიჯი, რომელიც საზოგადოების ყველა წევრს სურს, რომ წარმატებით მოიღოს“ (“The public self-image that every member wants to claim for himself“, Brown and Levinson 1987, 311). მათთვის თავაზიანობა არის კულტურულად უნივერსალური ფენომენი და განისაზღვრება ადამიანთა სახესთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გამომდინარე. ავტორთა განმარტებით, ყველა ადამიანს სურს, შეინარჩუნოს თავისი საჯარო იმიჯი ანუ სახე. კომუნიკაციის ფარგლებში კი ყოველთვის არსებობს სახის შელახვის საშიშროება. ადამიანები იყენებენ ცალკეულ ენობრივ საშუალებებს (linguistic strategies, utterances) აღნიშნული საფრთხის თავიდან არიდების ან შემსუბუქების მიზნით და ამგვარად, ზრუნავენ, როგორც საკუთარი, ისე სხვისი სახის/იმიჯის გადარჩენასა თუ შენარჩუნებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები იყენებენ თავაზიანობის გამოხატვის ამა თუ იმ საშუალებას თანამოსაუბრის სოციალური სტატუსისა და მათ შორის არსებული სოციალური ურთიერთობის გათვალისწინებით. თავაზიანობის თეორიის ფარგლებში ავტორები განმარტავენ, თუ როგორ და რატომ ცდილობენ ადამიანები ინტერაქციისას როგორც საკუთარი, ისე სხვისი (თანამოსაუბრეთა) სახის

გადარჩენასა თუ შენარჩუნებას. ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თანახმად, მათი თავაზიანობის თეორია არის „სოციალურ ურთიერთობათა ბუნების აღწერის საშუალება“ („a tool for describing ... the quality of social relationships”, Brown and Levinson 1987, 55).

აღნიშნული მკვლევრები განიხილავენ სანიმუშო პიროვნების მოდელს (Model Person), რომელსაც ორი ძირითადი ნიშნით ახასიათებენ: 1. მას აქვს რაციონალური აზროვნების უნარი და შეუძლია დასახოს მიზანი და ამ მიზნის მიღწევის გზები, ანუ არის მიზანმიმართული; 2. მას აქვს სახესთან დაკავშირებული მოთხოვნები (face wants). კერძოდ, ავტორები განასხვავებენ ორი ტიპის სახეს: დადებითსა და უარყოფითს (positive and negative face). დადებითი სახის ცნება მოიცავს ადამიანის სურვილს, მოთხოვნას, დაიმსახუროს სხვათა მოწონება და აღიარება, რათა მას მოექცნენ, როგორც ჯგუფის წევრს, ხოლო უარყოფითი სახე მოიცავს ადამიანის სურვილს, იყოს დამოუკიდებელი, ჰქონდეს მოქმედების თავისუფლება და სხვებმა ხელი არ შეუშალონ მოქმედებაში, თავს არ მოახვიონ მათი აზრები თუ მოთხოვნები. ავტორთა განმარტებით, ადამიანები, უმეტესად, მიდრეკილნი არიან მოირგონ დადებითი სახე, როდესაც ისინი ინტერაქციაში შედიან საკუთარი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან და როდესაც მათ შორის მცირეა სოციალური დისტანცია. შესაბამისად, თანამოსაუბრეები იყენებენ არაფორმალურ რეგისტრს და მათი ინტერაქციაც, კონტექსტურად, ინტიმურობით ხასიათდება. ხოლო როდესაც ადამიანები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და მათ შორის არსებული სოციალური დისტანცია დიდია, ისინი, უმეტესად, უარყოფითი სახის მორგებას ანიჭებენ უპირატესობას და იყენებენ ფორმალურ რეგისტრს. ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თანახმად, ორ სანიმუშო, ე.წ. მოდელ პიროვნებას შორის ინტერაქციისას მნიშვნელოვანია თანამშრომლობა (cooperation) და ერთმანეთის სახის შენარჩუნების სურვილი, მცდელობა, რათა შესაძლებელი გახდეს თითოეული მათგანის სახის შენარჩუნების საერთო მიზნის მიღწევა (Brown and Levinson, 1987).

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თეორია ემყარება სამი სრულიად განსხვავებული ენისა და კულტურის, კერძოდ, ინგლისური ენის, ტამილური ენისა და ცელტალური ენის

(ცენტრალური ამერიკის ინდიელთა, კერძოდ, მაიას ტომის ენა) ურთიერთშედარების შედეგებს. მკვლევრებმა აღმოაჩინეს ორი ტიპის კავშირი აღნიშნულ ენობრივ და კულტურულ ჯგუფებში: 1. მოსაუბრეები თავაზიანობის გამოხატვის მსგავს ენობრივ საშუალებებს იყენებდნენ; 2. თანამოსაუბრეთა სოციალური სტატუსისა და სიტუაციის გათვალისწინებით, მოსაუბრეები თავაზიანობის გამოხატვის განსხვავებულ ენობრივ საშუალებებს მიმართავდნენ (ენობრივი ვარიაცია). კვლევის შედეგების საფუძველზე, მეცნიერებმა გააკეთეს დასკვნა, რომ თავაზიანობა კულტურულად უნივერსალური ფენომენია. მათი განმარტებით, მკვეთრად განსხვავებულ ენებსა და კულტურებში თავაზიანობის გამომხატველ განსხვავებულ ენობრივ ფორმებსა და სტრუქტურებს საერთო, უნივერსალური პრინციპები უდევს საფუძვლად, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კულტურაში სახის ცნებას, შესაძლოა, განსხვავებულად აღიქვამენ, არსებობს საერთო, უნივერსალური ცოდნა იმის შესახებ, რომ, ზოგადად, კომუნიკაციის ფარგლებში მონაწილეები ირგებენ საჯარო იმიჯს ანუ სახეს და, ასევე, აქვთ სახესთან დაკავშირებული მოთხოვნები. სოციალური ინტერაქციისას კი საჭიროა როგორც საკუთარი, ისე სხვათა სახესთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინება (Brown and Levinson, 1987).

დადებითი და უარყოფითი სახის ცნებაზე დაყრდნობით, ბრაუნმა და ლევინსონმა (1987) განასხვავეს ორი ტიპის თავაზიანობა: დადებითი თავაზიანობა და უარყოფითი თავაზიანობა და, ასევე, განმარტეს, თუ რატომ იყენებენ ადამიანები სახეზე მუშაობის ამა თუ იმ საშუალებას (მაგალითად, დადებითი თავაზიანობის და არა უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიას/საშუალებებს) ცალკეულ სიტუაციებში. ავტორთა თანახმად, დადებითი თავაზიანობა არის ქცევა, რომელიც მსმენელის/ადრესატის დადებითი სახის შექმნასა და შენარჩუნებას ისახავს მიზნად, ხოლო უარყოფითი თავაზიანობა მსმენელის უარყოფითი სახის შენარჩუნებისკენაა მიმართული. დადებითი თავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით, ადამიანები ერთმანეთის მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებას ავლენენ, რითაც ხაზს უსვამენ მათ შორის არსებულ ახლო ურთიერთობას. დადებითი თავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით, მოსაუბრე ცილობს


მსმენელს/ადრესატს ამა თუ იმ საზოგადოებისა თუ ჯგუფის მიღებულ და დაფასებულ წევრად აგრძნობინოს თავი. უარყოფითი თავაზიანობა კი ორიენტირებულია მსმენელის უარყოფით სახესთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით, მოსაუბრე ხაზს უსვამს, რომ იგი პატივს სცემს ადრესატის დამოუკიდებელი მოქმედების სურვილს. ბრაუნისა და ლევინსონის (1987) განმარტებით, უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით გამოვხატავთ პატივისცემას, ხოლო დადებითი თავაზიანობის სტრატეგიას ხუმრობისა და ფამილარული საუბრებისას ვიყენებთ (“It is the heart of respect behaviour, just as positive politeness is the kernel of ‘familiar’ and ‘joking’ behavior”, Brown and Levinson 1987, 129).

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თანახმად, როცა ადამიანი საფრთხეს უქმნის საკუთარ თუ სხვის (თანამოსაუბრის, მსმენელის/ადრესატის) სახეს, იგი ასრულებს სახისთვის საფრთხის შემცველ აქტს (face-threatening act – FTA). ბრაუნი და ლევინსონი (1987) განმარტავენ, რომ მათ მიერ გამოყენებული ტერმინი „აქტი“ გულისხმობს თუ რა მიზანს ემსახურება, რა ფუნქციას ასრულებს ცალკეული გამონათქვამი თუ არავერბალური ქცევა (verbal or nonverbal communication). ამგვარად, მათი თეორიის ფარგლებში აღნიშნული ტერმინი სამეტყველო აქტის სინონიმური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი („By ‘act’ we have in mind what is intended to be done by a verbal or non-verbal communication, just as one or more ‘speech acts’ can be assigned to an utterance“, Brown and Levinson 1987, 65).

ბრაუნი და ლევინსონი (1987) სახისთვის საფრთხის შემცველ აქტებს განასხვავებენ იმისდა მიხედვით, თუ ვისი სახისთვის წარმოადგენენ ისინი საფრთხეს. მაგალითად, ბოდიშის მოხდა და აღიარება (apologies and confessions), უმთავრესად, საფრთხეს უქმნის მოსაუბრის სახეს, რჩევის მიცემა და ბრძანება (advice and orders) – მსმენელის/ადრესატის სახეს, ხოლო თხოვნა/მოთხოვნა და შეთავაზება (requests and offers) საფრთხის შემცველია როგორც მოსაუბრის, ისე მსმენელის/ადრესატის სახისთვის. ავტორები გამოყოფენ სახისთვის საფრთხის შემცველი აქტების 4 ტიპს (სტრატეგიას), რომლებიც ქვევითაა

წარმოდგენილი და დალაგებულია კლებადობის პრინციპით – ყველაზე მეტად საფრთხის შემცველი ფორმებიდან ყველაზე ნაკლებად საფრთხის შემცველი ფორმებისკენ. იხილეთ ცხრილი N1:

ცხრილი N1



Brown and Levinson 1978, 74

1. სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის შესრულება თავაზიანობის გამოხატვის საშუალებების გამოყენების გარეშე – პირდაპირი მიმართვის სტრატეგია, გადმოცემული შემარბილებელი საშუალებების გარეშე (Do the FTA » on record » without redressive action, baldly).
2. სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის შესრულება დადებითი თავაზიანობის გამოყენებით – პირდაპირი მიმართვის სტრატეგია, გადმოცემული შემარბილებელი საშუალებებით (Do the FTA » on record » with redressive action » using positive politeness);
3. სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის შესრულება უარყოფითი თავაზიანობის გამოყენებით – პირდაპირი მიმართვის სტრატეგია, გადმოცემული

შემარბილებელი საშუალებებით (Do the FTA » on record » with redressive action » using negative politeness);

4. სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის შესრულება ირიბად, არაპირდაპირი გზით (Do the FTA » off record). ეს უკანასკნელი არის სახისთვის საფრთხის შემცველი შეფარული, ორაზროვანი საუბრის სტრატეგია. ამგვარად, ადრესატმა შესაძლოა ამოიცნოს მოსაუბრის რეალური სათქმელი, ქვეტექსტი, თუმცა მოსაუბრეს შეუძლია უარყოს იგი (თავისი ამგვარი განზრახვა);
5. მოსაუბრე არ ასრულებს სახისთვის საფრთხის შემცველ აქტს (Don't do the FTA).

(Brown and Levinson, 1987)

რათქმაუნდა, მოსაუბრეს აქვს არჩევანი. მას შეუძლია, საერთოდ არ შეუქმნას საფრთხე საკუთარ თუ მსმენელის/ადრესატის სახეს, თუმცა თუ იგი ამგვარი ქცევის საჭიროებას გრძნობს, არჩევანი კვლავ მოსაუბრის ხელშია, სახისთვის რამდენად საფრთხის შემცველ ფორმას გამოიყენებს (Brown and Levinson, 1987).

ბრაუნისა და ლევისონის (1987) თანახმად, ამა თუ იმ სტრატეგიის არჩევისას მოსაუბრემ უნდა გაითვალისწინოს სახის შელახვის პოტენციური სიმძიმე, ხარისხი. ავტორები გამოყოფენ სამ ძირითად ფაქტორს, რომლებიც განაპირობებს, როგორც მოსაუბრის, ისე მსმენელის/ადრესატის სახისთვის რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს მოსაუბრის მიერ შესრულებული ცალკეული სამეტყველო აქტი. ეს ფაქტორებია: თანამოსაუბრეებს შორის არსებული სოციალური დისტანცია; შეფარდებითი ძალაუფლება მოსაუბრესა და ადრესატს შორის და ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი.

ბრაუნისა და ლევისონის (1987) განმარტებით, სოციალური დისტანციის მნიშვნელობა განსხვავდებულაა სხვადასხვა კულტურაში, თუმცა, უმეტესად, იგი გულისხმობს, თუ რამდენად ახლო ურთიერთობაა, რამდენად ხშირია კომუნიკაცია თანამოსაუბრეთა შორის – ერთმანეთისთვის ნაცნობები არიან თუ უცნობები;

ძალაუფლება, ავტორთა განმარტებით, უკავშირდება პიროვნების სოციალურ თუ ეკონომიკურ სტატუსს (პატივისცემის დონე, deference), ასევე, კონტროლს სხვათა მოქმედებაზე. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ძალაუფლება შეიძლება იყოს სიტუაციურად განპირობებული, მაგალითად, იარაღიან პიროვნებას ენიჭება შეფარდებითი ძალაუფლება უიარაღოსთან მიმართებით. ხოლო იმპოზიცია არის ცვლადი (სიდიდე), რომლის მნიშვნელობაც, ასევე, განსხვავდება კულტურათა შორის და სიტუაციის მიხედვით და რომელიც ეხება სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის შინაარსს (intrinsic face-threatening content of the FTA) – რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება (amount of “pain” given to H’s face).

ავტორები აღნიშნულ ხედვას შემდეგი ფორმულის სახით წარმოგვიდგენენ:

$$W_x = D(S, H) + P(H, S) + R_x$$

(Brown and Levinson 1987, 76)

W აღნიშნავს სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის სიმძიმეს, ანუ სახის შელახვის პოტენციურ ხარისხს (Weightiness of a face-threatening act), D – თანამოსაუბრეთა შორის არსებულ სოციალურ დისტანციას (Social Distance), S – მოსაუბრეს (Speaker), H – მსმენელს/ადრესატს (Hearer/Addressee), P – ძალაუფლებას (Power difference), ხოლო R – ე.წ. იმპოზიციის, ანუ აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის ხარისხს (Ranking of imposition) – რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება. შესაბამისად, რაც უფრო დიდია მოსაუბრესა და მსმენელს/ადრესატს შორის არსებული სოციალური დისტანცია D (S, H) და ადრესატის შეფარდებითი ძალაუფლება მოსაუბრესთან მიმართებით P (H, S), ასევე, ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი, ანუ რაც უფრო მეტად მძიმე თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება, მით უფრო დიდი საფრთხე ექმნება როგორც მოსაუბრის, ისე მსმენელის/ადრესატის სახეს, იმისდა მიხედვით თუ, უმთავრესად, ვისი სახისთვისაა

საფრთხის შემცველი მოსაუბრის მიერ შესრულებული კონკრეტული სამეტყველო აქტი (Brown and Levinson, 1987).

აღსანიშნავია, რომ თავაზიანობის ფენომენის კვლევა ორ ძირითად ეტაპს მოიცავს. თავაზიანობის კვლევის პირველი ტალღა აერთიანებს 1970-1990-იან წლებში ლინგვისტური პრაგმატიკის დარგში ჩატარებულ კვლევებს, რომლებიც ლეიკოფის (Lakoff, 1973b), ლიჩის (Leech, 1983a) და ბრაუნისა და ლევისონის (Brown and Levinson, 1987) მიერ გამოქვეყნებულ კვლევებს მოჰყვა თან. ამ პერიოდის შრომებში მეცნიერები ეპისტემოლოგიურ ვარაუდებს ეყრდნობიან და ენობრივი ფორმების კვლევისთვის სტრუქტურალისტურ მეთოდებს იყენებენ, ანუ მათ კვლევებში ცალკეული ენობრივი სტრუქტურები კონტექსტის გარეშეა წარმოდგენილი და განხილული. თეორიულ საკითხებზე მსჯელობისას კი პრაგმატიკის პრინციპებს (მაგ., თავაზიანობის მაქსიმები) ან ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს (მაგ., დადებით და უარყოფით სახესთან დაკავშირებული მოთხოვნები) ეყრდნობიან. ამგვარად, ამ კვლევებში, საკუთარი ხედვის გასამყარებლად, მეცნიერებს მაგალითად მოჰყავდათ ცალკეული იზოლირებული (კონტექსტის გარეშე წარმოდგენილი) წინადადებები თავიანთი მშობლიური ენიდან (Haugh, 2018).

თავაზიანობის ფენომენის კვლევის მეორე ეტაპი 2000-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდის მკვლევართა (Eelen, 2001; Mills, 2003; Watts, 2003) თანახმად, ცალკეული ენობრივი სტრუქტურის შესწავლა შეუძლებელია კონტექსტის გარეშე; თავაზიანობა ვლინდება არა ცალკეულ ენობრივ ფორმებში, არამედ არის კონტექსტის ფარგლებში გაკეთებული შეფასება, რომელიც შეიძლება, საკამათო იყოს კონტექსტის მონაწილეთათვის. ამგვარად, შეიცვალა კვლევის მეთოდოლოგია და მეცნიერებმა დაიწყეს თავაზიანობის ფენომენის შესწავლა ბუნებრივი, რეალური დისკურსის ფარგლებში. ამ ახალ ტალღას კი თავაზიანობის ფენომენის კვლევის დისკურსული მიდგომა ეწოდა.

1.2.(არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის დისკურსული, პოსტმოდერნული

მიდგომა

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით ლინგვისტური თავაზიანობის ფენომენის შესწავლისას პრაგმატიკის დარგში მოღვაწე მკვლევრები, უმეტესად, ბრაუნისა და ლევენსონის (1987) მოდელს და სახის მათ მიერ შემოთავაზებულ განმარტებას იყენებდნენ, რომლის თანახმადაც, სახე ინდივიდუალისტური და კოგნიტური ფენომენია და განიხილავდნენ თავაზიანობას, როგორც სახეზე მუშაობას (facework), ანუ სახისთვის პოტენციური საფრთხის თავიდან არიდებას თუ შერბილებას (Bargiela-Chiappini, 2003). როგორც უკვე აღინიშნა, თავაზიანობის ფენომენს უკვე მრავალი წელია იკვლევენ მეცნიერები. ხოლო რაც შეეხება არათავაზიანობის ფენომენს, მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო წლებში გამოვლინდა, რაც უკავშირდება თავაზიანობის ფენომენის კვლევის სფეროში მომხდარ ფუნდამენტურ ცვლილებებს, რომლებიც, თავის მხრივ, აღნიშნულ დარგში დისკურსული მიდგომის გამოჩენას მოჰყვა თან. ეს არის მიდგომა, რომელიც ფართოდ გავრცელდა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც გამოიკვეთა მძლავრი ტენდენცია, მომხდარიყო ადამიანის ფენომენის (human subject) ხელახლა გააზრება (reconfigure) და მისი, როგორც სოციო-კულტურული და სოციო-ისტორიული ფენომენის, დისკურსის დაუსრულებელი შედეგის განხილვა (Benwell and Stokoe, 2006).

თავაზიანობის კლასიკოსი თეორეტიკოსები (Lakoff, 1973b; Brown and Levinson, [1978] 1987; Leech, 1983a) ყურადღებას ამახვილებენ ჰარმონიულ ინტერაქციაზე, მაგრამ მხედველობაში არ იღებენ არათავაზიანობის ფენომენს. იილენის (2001) შეფასებით, მათ არ გააჩნიათ სათანადო შინაარსობრივი თუ აღწერითი ბაზა იმისთვის, რომ განმარტონ არათავაზიანობა. უფრო კონკრეტულად, ისინი გვიქმნიან წარმოდგენას, რომ არათავაზიანობა არის პრაგმატული წარუმატებლობა ან, უბრალოდ, ნორმის შეუსაბამო ქცევა, რომელიც არ საჭიროებს ცალკე შესწავლას (Eelen, 2001). თუმცა, მკვლევართა

ნაწილი (Kasper, 1990; Beebe, 1995; Kienpointner, 1997) ამტკიცებს, რომ არათავაზიანობა შეიძლება იყოს სტრატეგიული, სისტემატური და მაღალი სირთულის ფენომენი. ასევე, კულპეპერი (2003) აღნიშნავს, რომ არათავაზიანობა და კონფლიქტური ინტერაქციები საკმაოდ გავრცელებულია მრავალი განსხვავებული დისკურსის ფარგლებში (Culpeper et al., 2003). ლოქერი და ბოუსფილდი (2008) კი ამტკიცებენ, რომ არათავაზიანობა გვხვდება ყველგან (Locher and Bousfield, 2008).

თავაზიანობის თეორიაში დისკურსული მიდგომის გამოჩენას თან მოჰყვა აზრთა სხვადასხვაობა, რამაც გამოიწვია ე.წ. თავაზიანობა 1 და თავაზიანობა 2 მოდელების ჩამოყალიბება. პირველი არის დისკურსული, პოსტმოდერნული მიდგომა, ხოლო მეორე – ტრადიციული, თეორიაზე დაფუძნებული, პროგნოზული ხასიათის (predictive) მოდელი. შედეგად, ამ მიმართულებით დაიწყო მთელი რიგი კვლევები, დაწყებული თავაზიანობის ფენომენის კვლევით, დამთავრებული არათავაზიანობის ფენომენის შესწავლით. პირველი რიგის, იგივე (არა)თავაზიანობა 1 მიდგომები, ცნობილი როგორც დისკურსული, (არა)თავაზიანობის ცალკეული შემთხვევების გამოსავლენად ეყრდნობა თავად დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) მონაწილეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებს, მათ აღქმას, ანუ როდესაც დისკურსის მონაწილე(ები) თავად აფასებენ ცალკეულ ქცევას, როგორც არათავაზიანს, ხოლო მეორე რიგის, იგივე (არა)თავაზიანობა 2 მიდგომები, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს მკვლევრის მიერ გაკეთებულ შეფასებაზე, ანუ როდესაც იგი აფასებს მოცემულ ქცევას, როგორც არათავაზიანს. მკვლევარი კი, თავის მხრივ, შეფასების გაკეთებისას, ანუ (არა)თავაზიანობის ცალკეული შემთხვევების გამოსავლენად პრაგმატულ თეორიას იყენებს. იილენის (2001) თანახმად, მეორე რიგის (არა)თავაზიანობის თეორიის მხარდამჭერები არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ბრაუნისა და ლევინსონის მოდელი (არა)თავაზიანობა 2-ის ტიპური მაგალითია. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ (არა)თავაზიანობა 2 მოდელები, ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მოდელის მსგავსად, უნივერსალური ბუნებისაა, ეს მოდელები, ამავე დროს, არის კონტექსტით განპირობებული, რაც გულისხმობს, რომ ცალკეული ენობრივი ფენომენის შესწავლა ხდება, აუცილებლად, ბუნებრივი, რეალური კონტექსტის

ფარგლებში. აქვე, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ორი ბანაკის (ესაა (არა)თავაზიანობა 1 და (არა)თავაზიანობა 2) შიგნითაც კი ვხვდებით შეუსაბამობებს მრავალ განსხვავებულ მოდელს შორის, რომლებიც, ძირითადად, შეეხება (არა)თავაზიანობის ფენომენის განმარტებებს, მკვლევრის როლს (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის პროცესში და, ასევე, მოსაუბრის განზრახვის როლს არათავაზიანი ქცევის შესრულებასა და ინტერპრეტაციაში. აღნიშნული განსხვავებების უფრო დეტალური აღწერა ქვევითაა წარმოდგენილი.

(არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის სფეროში მნიშვნელოვანი სიახლე იყო იილენის მიერ 2001 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი – “*A critique of politeness theories*”, რომელშიც მან გამოყო თავაზიანობის არსებულ თეორიებში დომინანტი სამი პრობლემა, კერძოდ: 1. თავაზიანობა–არათავაზიანობის არსობრივი განსხვავების დროს, არსებულ თეორიებში ძირითადი ყურადღება ეთმობა თავაზიანობის ფენომენს; 2. თავაზიანობა და არათავაზიანობა განხილულია ანტონიმებად; 3. არათავაზიანობის ფენომენის განმარტებისას ორიენტირებულნი არიან მოსაუბრეზე, ანუ თითქმის მთელ ყურადღებას უთმობენ ენობრივ შესრულებას (Eelen, 2001). ბურდიეს (იხ. Bourdieu, 1991) ჰაბიტუსის ცნებაზე დაყრდნობით, იილენმა (2001) წარმოადგინა (არა)თავაზიანობის ალტერნატიული მოდელი, რომლის მთავარი პრინციპებია: არგუმენტაციულობა (argumentativity) ანუ სადავოობა, ისტორიულობა (historicity) და დისკურსულობა (discursiveness) ანუ თანმიმდევრული განსჯა. ამ მოდელის თანახმად, მსმენელის შეფასებითი როლი არის ფუნდამენტური. იილენი განმარტავს როგორც თავაზიანობის, ისე არათავაზიანობის ფენომენს და გვთავაზობს ინდივიდუალურ-სოციალური ურთიერთობის უფრო დინამიურ ხედვას. იილენის (2001) მოდელში, რომელიც კონსტრუქტივისტული ბუნებისაა, ცვლილება ითვლება (არა)თავაზიანობის ძირითად მახასიათებლად, რადგან (არა)თავაზიანობის აღქმა (ანუ როდესაც ცალკეული ქცევა აღიქმება, ფასდება, როგორც არათავაზიანი) მიჩნეულია პირობითი (ნაგულისხმევი) რეალობის აგებად და არა მითითებად ფაქტობრივ რეალობაზე (Eelen, 2001).

სწორედ იილენის (2001) მოდელი გახდა (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის დარგში დისკურსული, პოსტმოდერნული მიდგომის შთაგონების წყარო. იილენის მსგავსად, დისკურსული მიდგომის, ანუ (არა)თავაზიანობა 1-ის მომხრეები (Locher & Watts, 2005; Mills, 2003; Watts, 2003, 2008) ფუნდამენტურ პრობლემებს ხედავენ თავაზიანობის ტრადიციულ მოდელებში. უოტსის (2008) თანახმად, ტრადიციული მოდელების მთავარი ხარვეზები შემდეგია: 1. მოდელის გამოყენებამდე საჭიროა, განისაზღვროს თავაზიანობის ცნების ონტოლოგიური სტატუსი; 2. წარმოდგენილია თავაზიანობის სტიპულაციური ანუ დამფუძნებელი განმარტებები (stipulative definitions of politeness); 3. არსებული მოდელები არის ესენციალისტური ხასიათის, რაციონალიზმის პრინციპით მართული; და 4. ნაკლები ყურადღება ეთმობა კომუნიკაციური უთანხმოების, კონფლიქტური სიტუაციების შესწავლას (Watts, 2008).

უოტსის (2008) მტკიცებით, ცნებები (როგორცაა, მაგალითად: თავაზიანი, არათავაზიანი, უხეში, აგრესიული და ა.შ.) – რაც მენტალურ კატეგორიას წარმოადგენს – ყალიბდება და გამოიყენება დისკურსისას (სოციალური ინტერაქციისას), ენის საშუალებით. ასევე, (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევისას უფრო ადეკვატური ხედვა არის კონსტრუქტივისტული და არა რაციონალისტური. ეს გულისხმობს, რომ (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევისას დისკურსული მიდგომის მომხრეები უპირატესობას ანიჭებენ თვისებრივი, არაპროგნოზული ხასიათის მეთოდების გამოყენებას და მათი მიზანი არ არის (არა)თავაზიანობის ბრაუნისა და ლევენსონის თეორიის მსგავსი უნივერსალური ბუნების, ყოვლისმომცველი თეორიის შექმნა. სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპების უარყოფასთან ერთად, დისკურსული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს დისკურსზე, როგორც საკვლევ საგანზე და ამტკიცებს, რომ არა გამონათქვამები, არამედ მოსაუბრეები არიან (არა)თავაზიანი (Watts, 2008).

მილსის (2003) ხედვა, მეტწილად, დაფუძნებულია ბურდიეს (იხ. Bourdieu, 1991) ჰაბიტუსის ცნებასა (რაც არის სოციალური ჯგუფის ანარეკლი ინდივიდზე – მენტალურ, ფიზიკურ, და ენობრივ დონეზე) და ტერმინზე – „communities of practice“ – ე.წ.

„პრაქტიკოსთა ერთობლიობა“¹. აღნიშნული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ენობრივ პრაქტიკაზე, ანუ ენის გამოყენებაზე და ქცევის/კომუნიკაციის სხვადასხვაგვარ სტილზე, რომლებიც იქმნება ადამიანთა ჯგუფების მიერ კომუნიკაციაში ჩართვისას. შესაბამისად, მკვლევარმა უნდა დაადგინოს, თუ რა ნორმები არსებობს სათანადო, მისაღებ ქცევასთან დაკავშირებით მოცემული „პრაქტიკოსთა ერთობლიობის“ ფარგლებში და შემდეგ შეაფასოს ცალკეული გამონათქვამი (utterance), რომელიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, როგორც, სავარაუდოდ, არათავაზიანი. ამავდროულად, მკვლევარმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ (არა)თავაზიანობის მისეული ინტერპრეტაცია შესაძლოა, არ დაემთხვეს მოცემული დისკურსის მონაწილეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებს, მათ აღქმას. მილსისის (2003) მტკიცებით, იმისათვის, რომ მკვლევარმა წარმოადგინოს (არა)თავაზიანობის საფუძვლიანი შეფასებები (ანუ ცალკეული ქცევა შეაფასოს, როგორც (არა)თავაზიანი), იგი უნდა იყოს იმ პრაქტიკოსთა ერთობლიობის წევრი, რომელსაც იკვლევს (Mills, 2003).

როგორც მილსის (2003) მიდგომა ცხადყოფს, ნორმები და მათი გაზიარებულობა გახდა თავაზიანობის ფენომენის კვლევის ცენტრალური ნაწილი. თუმცა, იილენის (2001) განმარტებით, დისკურსული მიდგომის თანახმად, ნორმები არის არა დადგენილი, წინასწარ არსებული მოცემულობა, არამედ ცვალებადი, არგუმენტაციული (argumentative) ერთეულები, ანუ კამათის, მოლაპარაკებისა და შეთანხმების საკითხი, რომელთა გაზიარება ინდივიდთა ცალკეული ჯგუფის მთელი შემადგენლობის მიერ არ არის აუცილებელი. ნორმები განიხილება არა, როგორც ობიექტური ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს ენობრივ პრაქტიკაზე, ანუ ენის გამოყენებაზე, არამედ მათი დაწესება ხდება იმ პრაქტიკასთან მიმართებაში, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენენ (Eelen, 2001). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკურსის მონაწილეები თავად, ერთობლივი ჩართულობით ადგენენ სათანადოობის (სათანადო ქცევის) ნორმებს ცალკეული ინტერაქციის ფარგლებში. ამგვარად, მკვლევართა ყურადღება ეთმობა

¹ საერთო, კონკრეტული ინტერესების მქონე ადამიანთა ერთობა, რომელთა საზოგადოებაში ან საზოგადოების ჯგუფში ქცევის/კომუნიკაციის ერთობლივი ნორმები მუშაობს.

საკითხს, თუ როგორ ხდება ნორმების ერთობლივი ფორმირება დისკურსის ფარგლებში და, ასევე, როგორ უწყვეტ წინააღმდეგობას მათ დისკურსის ცალკეული მონაწილეები.

მილსის (2009) თანახმად, ტერმინი „communities of practice“ – ე.წ. „პრაქტიკოსთა ერთობლიობა“ – საშუალებას აძლევს მკვლევარს, დეტალურად შეისწავლოს ინდივიდთა ჯგუფები ისე, რომ თავი აარიდოს ცალკეული ენობრივი ჯგუფისა თუ კულტურის წარმომადგენელ ინდივიდთა შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფართომასშტაბიანი განზოგადებისთვის გამოყენებას (“without falling prey to large-scale generalizations about all of the individuals in a particular language group or culture”, Mills 2009, 1058). ამავდროულად, ავტორის განმარტებით, ინდივიდთა ჯგუფები არ არიან იზოლირებულნი და ამიტომაც, ყურადღება უნდა მივაქციოთ ინდივიდებს, ჯგუფებსა და სოციალურ ნორმებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს (Mills, 2009).

დისკურსული მიდგომის გამოჩენამ (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის დარგში წვლილი შეიტანა სფეროს განვითარებაში იმ კუთხით, რომ მანამდე ხდებოდა მხოლოდ თავაზიანობის ფენომენის კვლევა ბრაუნისა და ლევინსონისეული (Brown and Levinson, 1987) გაგებით და თავაზიანობა გულისხმობდა სახისთვის პოტენციური საფრთხის თავიდან არიდებასა თუ შემსუბუქებას (face-threat mitigation). დისკურსული მიდგომის გამოჩენას კი თან მოჰყვა მთელი რიგი კვლევები, რომლებმაც გააფართოვეს სფეროს საზღვრები და მეცნიერებმა დაიწყეს ადამიანთა შორის ყველა სახის ურთიერთობაზე მუშაობის პროცესის (relational work) შესწავლა (Locher and Watts, 2005). მეცნიერთა დიდი ყურადღება მიიპყრო არათავაზიანობის ფენომენმა (Locher and Bousfield, 2008; Bousfield and Culpeper, 2008). მიუხედავად სფეროს წინსვლაში შეტანილი წვლილისა, დისკურსული მიდგომა კრიტიკულად შეაფასა მკვლევართა ნაწილმა (Terkourafi, 2005b, Haugh, 2007, Mullany, 2005, 2008). ძირითადად, კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ე.წ. (არა)თავაზიანობა 1 მოდელებში წარმოდგენილ ხედვაზე, რომელიც უკავშირდება მკვლევრის როლს და პროგნოზული ხასიათის ვარაუდების ჩამოყალიბების მცდელობაზე უარის თქმას (abandonment of predictive stance).

ტერკურაფი (Terkourafi, 2005b), იილენი (Eelen, 2001), ჰოუ (Haugh, 2007) ამტკიცებენ, რომ (არა)თავაზიანობის ფენომენის მხოლოდ ერთი კონკრეტული მიდგომის – (არა)თავაზიანობა 1 ან (არა)თავაზიანობა 2-ის პერსპექტივიდან შესწავლა არ არის გამართლებული და, ფაქტობრივად, შეუძლებელიც კია, რადგან ამგვარი კვლევა გვადლევს არასრულფასოვან შედეგს, რომელიც (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის სფეროს თეორიულ განვითარებაში სათანადო წვლილს ვერ შეიტანს. იილენის (2001) თანახმად: „აღნიშნული ორი მიდგომა არასრულყოფილია ერთმანეთის გარეშე და ცალსახად ერთი პოზიციიდან კვლევა პრაქტიკულად შეუძლებელია“ (“so that any theory necessarily incorporates both aspects, and an unequivocally one sided-position is in practice impossible”, Eelen 2001, 76).

როგორც უკვე აღინიშნა, დისკურსული მიდგომის (ე.წ. (არა)თავაზიანობა 1) მომხრეები მხარს უჭერენ დესკრიპტულ ანუ აღწერით და არა პრესკრიპტულ – პროგნოზული ხასიათის – ანალიზს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვლევრის მიზანი უნდა იყოს არათავაზიანობის კონკრეტული შემთხვევების აღწერა და არა წინასწარი ვარაუდების შექმნა (არა)სათანადო ქცევასთან დაკავშირებით. თუმცა, ტერკურაფის (2005) განმარტებით, თუ ნებისმიერი თეორიის პროგნოზული ბუნება თავიდანვე უგულებელყოფილია, გვრჩება მხოლოდ „ინდივიდუალური შემთხვევების დაწვრილებითი აღწერილობა. ეს კი არაფერს მატებს (არა)თავაზიანობის ფენომენის განმარტებით თეორიას“ (“minute descriptions of individual encounters, but these do not in any way add up to an explanatory theory of the phenomena under study”, Terkourafi 2005b, 245). გარდა ამისა, ტერკურაფის (2005) არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ თავად ინტერაქციის მონაწილეები, ძირითადად, აკეთებენ პროგნოზებს, ანუ ეყრდნობიან თავიანთ ვარაუდებს (არა)სათანადო ქცევასთან დაკავშირებით და, ასევე, იმის შესახებ, თუ რა მოლოდინები შეიძლება არსებობდეს მოცემული ინტერაქციის ფარგლებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ტერკურაფის (2005) პოზიციას იზიარებენ ჰოუ (Haugh, 2007) და მულანი (Mullany, 2005, 2008).

მიუხედავად იმისა, რომ მულანი დისკურსული ხედვის მხარდამჭერია და კვლევებში იყენებს აღნიშნულ მიდგომას, იგი არ ეთანხმება მილსის პოზიციას, რომლის მიხედვითაც, მკვლევარი უნდა იყოს იმ ჯგუფის (პრაქტიკოსთა ერთობლიობის) წევრი, რომელსაც იკვლევს, რათა ცალკეული ქცევის შესახებ მის მიერ გაკეთებული შეფასება (როდესაც მკვლევარი კონკრეტულ ქცევას აფასებს, როგორც (არა)თავაზიანს) იყოს სანდო და საფუძვლიანი. მულანის (2008) ხედვით, აღნიშნული პოზიცია მნიშვნელოვნად ავიწროებს (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის სფეროს დემოგრაფიულ საზღვრებს. მისივე განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მკვლევარი იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას ცალკეული ინტერაქციების შესასწავლად, მათ შორის, აკვირდება მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა ვერბალურ და არავერბალურ ქცევას და, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აფასებს კონკრეტულ ქცევას, როგორც (არა)თავაზიანს, მაშინ საფუძველს მოკლებულია ექვსის შეტანა მის მიერ გაკეთებული შეფასების ღირებულებაში (Mullany, 2008).

ჰოუ (2007) განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, მკვლევარი არის თუ არა იმ კონკრეტული ინტერაქციის მონაწილე, რომელსაც შეისწავლის, მას შეუძლია, ამოიცნოს (არა)თავაზიანობის ცალკეული შემთხვევები, რომლებიც გამოვლინდება მოცემული ინტერაქციის ფარგლებში. ამის განხორციელება – (არა)თავაზიანობის კონკრეტული შემთხვევების გამოვლენა – შესაძლებელია ორი გზით: მოცემული ინტერაქციის მონაწილე(ები): 1. თავად, აშკარად და დაუფარავად აფასებენ ცალკეულ ქცევას, როგორც (არა)თავაზიანს, რაც ჰოუს განმარტებით, იშვიათად ხდება და 2. გამომხატავენ საპასუხო შემფოთებას, რაც ვლინდება შემფოთების გამომხატველ გამონათქვამსა თუ არავერბალურ ქცევაში, რომელიც თან მოჰყვება არათავაზიანობის კონკრეტულ შემთხვევას და შეესაბამება მოცემული ინტერაქციის ნორმებს (“through the reciprocation of concern evident in the adjacent placement of expressions of concern relevant to the norms invoked in that particular interaction”, Haugh 2007, 301). ჰოუს (2007) განმარტებით, მკვლევრის მიზანია, დაასაბუთოს, რომ (არა)თავაზიანი ქცევის მისეული ინტერპრეტაცია

1. ემთხვევა მონაწილეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებს და 2. არის ღირებული (არა)თავაზიანობის თეორიული მოდელის ფარგლებში (Haugh, 2007).

ანალიტიკოსის როლთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ, ლოქერი და უოტსი განმარტავენ, რომ დისკურსული მიდგომის თანახმად, იმისთვის, რომ მკვლევარმა მოცემული ქცევა შეაფასოს, როგორც (არა)თავაზიანი, არ არის აუცილებელი, იგი იმ პრაქტიკოსთა ერთობლიობის წევრი იყოს, რომელსაც იკვლევს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვალნათლივ ჩანს, რომ მის მიერ გაკეთებული შეფასებები (არა)თავაზიანობის ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით ემთხვევა მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა აღქმას, მათ მიერ გაკეთებულ შეფასებებს (Locher and Watts, 2008; Watts, 2008; Locher, 2010).

ზოგიერთმა მკვლევარმა – ლახერნიხტი (Lachernicht, 1980), კულპეპერი (Culpeper, 1996), კინპონტნერი (Kienpointner, 1997) – დაიწყო არათავაზიანობის ფენომენის დამოუკიდებლად და არა როგორც თავაზიანობის საპირისპირო ფენომენის კვლევა. მათ მიერ შემოთავაზებული არათავაზიანობის მოდელები წარმოადგენენ ბრაუნისა და ლევენსონის თავაზიანობის ტაქსონომიის საპირისპირო ვარიანტს. კულპეპერმა შემდგომ ცვლილებები შეიტანა თავის 1996 წლის მოდელში (Culpeper et al., 2003; Culpeper, 2005). წარმოგიდგინო კულპეპერის მიერ 2005 წელს გამოქვეყნებულ არათავაზიანობის სუპერსტრატეგიებს:

1. Bald on record – პირდაპირ გამოხატული არათავაზიანობა; არათავაზიანი ქცევის შესრულება პირდაპირი მიმართვის სტრატეგიის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, მოსაუბრე თავს ესხმის ადრესატის სახეს პირდაპირ, ცხადად და არაორაზროვნად.
2. Positive impoliteness – დადებითი არათავაზიანობა. არათავაზიანი ქცევის შესრულება დადებითი არათავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით ადრესატის ე.წ. დადებითი სახის შელახვისკენაა მიმართული;

3. Negative impoliteness – უარყოფითი არათავაზიანობა. არათავაზიანი ქცევის შესრულება უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით ადრესატის ე.წ. უარყოფითი სახის შელახვას ისახავს მიზნად;
4. Off-record impoliteness – არაპირდაპირი, იმპლიკაციით გამოხატული არათავაზიანობა – არათავაზიანი ქცევის შესრულება ირიბად, არაპირდაპირი გზით. ეს არის სახისთვის საფრთხის შემცველი შეფარული, ორაზროვანი საუბრის სტრატეგია. ამგვარად, ადრესატმა შესაძლოა ამოიცნოს მოსაუბრის რეალური სათქმელი, მისი ქვეტექსტი, ანუ იმპლიკაცია, თუმცა მოსაუბრეს შეუძლია უარყოს იგი (თავისი ამგვარი განზრახვა);
5. Withhold politeness – შეკავებული თავაზიანობა – თავაზიანობის არ გამოხატვა; თავაზიანობის გამოხატვის სრული არარსებობა. ამ შემთხვევაში მოსაუბრე ჩუმადაა, თავს იკავებს საუბრისგან ან არ გამოხატავს თავაზიანობას მაშინ, როდესაც მოცემულ კონტექსტში მისგან სწორედ თავაზიანი ქცევის მოლოდინი არსებობს.
6. სარკაზმი და ფსევდოთავაზიანობა (mock politeness). ამ შემთხვევაში მოსაუბრე იყენებს თავაზიანობის გამოხატვის საშუალებებს, თუმცა, იგი, აშკარად, მოჩვენებითი და არაგულწრფელია.

Culpeper, 2005

არათავაზიანობის წარმოდგენილი ტაქსონომიის შემდგომი მოდიფიკაციები შემოგვთავაზა ბოუსფილდმა 2008 წელს. არათავაზიანობის მისი მოდელი ეფუძნება ორ ტაქტიკას. ესაა პირდაპირი და ირიბი არათავაზიანობა (on-record and off-record impoliteness). ეს უკანასკნელი მოიცავს სარკაზმს და თავაზიანობის არ გამოხატვას (თავაზიანობის გამოხატვის სრული არარსებობა. withhold politeness). ეს ის შემთხვევებია, როცა თავაზიანობის გამოხატვას ადგილი არ აქვს, მაშინ, როდესაც მოცემული ინტერაქციის ფარგლებში მოსაუბრისგან სწორედ თავაზიანი ქცევის მოლოდინი

არსებობს ან თავაზიანი ქცევა სავალდებულოა. არათავაზიანობის ყველა ცალკეული სტრატეგიის განხორციელება შესაძლებელია ამ ორი ტაქტიკის (ესაა პირდაპირი და ირიბი ტაქტიკა) საშუალებით (Bousfield, 2008a).

არათავაზიანობის ყველა ზემოთ აღნიშნული მოდელი მიიჩნევა ანგლოცენტრულად (Xie et al, 2005). არათავაზიანობის ბოლოდროინდელ კვლევებშიც (Bousfield and Culpeper, 2008; Locher and Bousfield, 2008), უმეტესად, ყურადღება გამახვილებულია ინგლისურის სხვადასხვა ვარიანტზე. არათავაზიანობის შესახებ პირველი მონოგრაფიაც (Bousfield, 2008a), ასევე, ორიენტირებულია ინგლისურ ენაზე.

დღესდღეობით, განსხვავებული თეორიული მოდელების სიმრავლიდან, ჰოუს (Haugh, 2010) განმარტებით, უმეტესობა სოციალურ-კონსტრუქტივისტული ბუნებისაა: დისკურსული, პოსტმოდერნული ხედვა (Eelen, 2001; Locher and Watts, 2005; Mills, 2003; Watts, 2003), ინტერაქციული მიდგომა (Arundale, 1999, 2006; Haugh, 2007); სოციალურ-ფსიქოლოგიური მოდელი (Spencer-Oatey, 2005, 2007); ფრეიმზე დაფუძნებული მოდელი (Terkourafi, 2005a) და ჟანრობრივი მიდგომა (Garcés-Conejos Blitvich, 2010a).

დღემდე არსებულ მოდელებში, მიუხედავად ანგლოცენტრულობისა, არათავაზიანობასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებისას მკვლევრები ავლენენ ინფორმირებულობას კულტურულ და ენობრივ ვარიაციებთან დაკავშირებით. მაგალითად, ბარჯიელა-ჩაპინი და ჰოუ (Bargiela-Chiappini and Haugh, 2009) სახის კვლევისას დიდ ყურადღებას აქცევენ ინტერაქციებს სხვადასხვა ენობრივ ჯგუფსა და კულტურულ კონტექსტში. გამონაკლისია, ასევე, ტერკურაფის (Terkourafi, 2005a) ფრეიმზე დაფუძნებული მოდელი, რომელიც მან გამოიყენა კვიპროსული ბერძნულის კორპუსის კვლევისას და გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) ჟანრობრივი მიდგომა, რომელსაც იგი დაეყრდნო ესპანურენოვან მონაცემთა ანალიზისთვის.

არათავაზიანობის ფენომენის მკვლევრები ჯერ კიდევ ბევრ საკითხზე ვერ თანხმდებიან, დაწყებული მისი განმარტებით, დამთავრებული მოსაუბრის განზრახვის როლით არათავაზიანი ქცევის შესრულებასა და ინტერპრეტაციაში. მკვლევართა ნაწილი

(Culpeper, 2008; Bousfield, 2008a) მიიჩნევს, რომ არათავაზიანობის ცალკეული შემთხვევების გამოსავლენად (ანუ როდესაც კონკრეტულ ქცევას ვაფასებთ, როგორც არათავაზიანს) მნიშვნელოვანია, ჩანდეს, რომ მოსაუბრეს აქვს განზრახვა, იყოს არათავაზიანი და მსმენელმა ამოიცნოს მისი ეს განზრახვა. ჰოუს (Haugh, 2007), ჰოლმის, მარრას და შნერის (Holmes, Marra & Schnurr, 2008), ასევე, ლოქერისა და უოტსის (Locher and Watts, 2008) მტკიცებით კი, მოსაუბრის განზრახვა არ არის მნიშვნელოვანი, რადგან არათავაზიანობა არის მოსაუბრის ქცევის შეფასება მსმენელის მიერ. ტერკურაფის (Terkourafi, 2008) თანახმად, განზრახვის ამოცნობა უკავშირდება უხეშობას (rudeness) და არა არათავაზიანობას. კინპოინტნერი (Kienpointner, 2008) კი ამ ორ ცნებას სინონიმებად მიიჩნევს. ლოქერისა და ბოუსფილდის (2008) შეფასებით, მეტი კვლევაა საჭირო, რათა დავადგინოთ მოსაუბრის განზრახვის როლი არათავაზიანი თუ უხეში ქცევის შესრულებასა და ინტერპრეტაციაში (Locher and Bousfield, 2008).

აღსანიშნავია, რომ არათავაზიანობის ფენომენის შესახებ არსებული თანამედროვე კვლევების უმრავლესობაში ყურადღება გამახვილებულია კონტექსტის როლზე. მკვლევრები – მილსი (Mills, 2003) და უოტსი (Watts, 2003) – იზიარებენ არათავაზიანობის დისკურსულ, პოსტმოდერნულ ხედვას და ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ თავად არათავაზიანობის ცნება და მისი განმარტება წარმოადგენს დავის საგანს სამეცნიერო ლიტერატურაში. მათივე მტკიცებით, მკვლევარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს, თუ როგორ ავლენს რიგითი ადამიანი არათავაზიანობის მისეულ აღქმას მისივე დისკურსის (გამოხატვის ფორმები, ენა პრაქტიკაში) ფარგლებში და არა იმაზე, თუ როგორ ერგება რიგითი ადამიანის დისკურსი არათავაზიანობის ფენომენის მეცნიერულ ხედვას.

არათავაზიანობის ფენომენის თანამედროვე მკვლევრებს, უმეტესად, შუალედური პოზიცია უჭირავთ კლასიკურ და დისკურსულ მიდგომებს შორის (Locher and Bousfield, 2008). აღნიშნული ორი მიმდინარეობის წარმომადგენელ მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ არათავაზიანობა მოიცავს ენობრივ ქცევას, რომელსაც თან სდევს ცალკეული დისკურსის ერთი ან მეტი მონაწილისთვის უარყოფითი პირადი შედეგები.

ჰოლმსი, მარრა და შნერი (2008) შემდეგნაირად განმარტავენ ლინგვისტურ არათავაზიანობას: „ენობრივი ქცევა, რომელსაც მსმენელი აფასებს, როგორც საფრთხის შემცველს თავისი სახისა თუ სოციალური იდენტობისთვის და რომელიც, მიზანმიმართულად თუ უნებლიედ, არღვევს ცალკეულ კონტექსტებში და ცალკეულ თანამოსაუბრეთა შორის დაწესებულ ნორმებს მისაღებ, სათანადო ქცევასთან დაკავშირებით (“linguistic behaviour assessed by the hearer as threatening her or his face or social identity, and infringing the norms of appropriate behaviour that prevail in particular contexts and among particular interlocutors, whether intentionally or not”, Holmes, Marra & Schnurr 2008, 196).

კინპოინტნერის (2008) განმარტებით, არათავაზიანობა არის „არათანამშრომლობითი, ან კონკურენტული, მეტოქური ქცევა“ (“non-cooperative or competitive behaviour”), რომელიც, ძირითადად: 1. ახდენს თანამოსაუბრეთა შორის ურთიერთობის დესტაბილიზაციას; 2. უპირველესად, ემსახურება ეგოცენტრულ ინტერესებს (“which primarily serves egocentric interests”) და 3. ნაწილობრივ, განპირობებულია ძალაუფლებით, დისტანციით, ემოციური დამოკიდებულებით და ეფექტურობის შკალით (cost-benefit scales), რომლებიც დამკვიდრებულია მოცემულ ენობრივ ჯგუფში (“power, distance, emotional attitudes and cost-benefit scales which are generally accepted in a speech community”, Kienpointner 2008, 245).

გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010b) თანახმად, არათავაზიანობის ფენომენის შემდგომი კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ სფეროში არსებული საჭიროებები: 1. საჭიროა არათავაზიანობის დამოუკიდებლად, თავაზიანობასთან კავშირში და არა, როგორც თავაზიანობის საპირისპირო ფენომენის კვლევა (იხ. Xie et al., 2005); 2. რადგან სხვადასხვა კულტურაში თავაზიანობის განსხვავებული აღქმა, ასევე, თავაზიანობის გამომხატველი განსხვავებული ენობრივი ფორმები და საშუალებები არსებობს (იხ. Pizziconi, 2007), საჭიროა, ვიკვლიოთ არათავაზიანი ქცევის შესრულებისა და ინტერპრეტაციის გზები სხვადასხვა ენასა და კულტურაში; ასევე, შევამოწმოთ არსებული

მეთოდოლოგიების შესაბამისობა აღნიშნულ გარემოში; 3. უნდა გამოვიყენოთ (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ორივე მიდგომა, როგორც ტრადიციული, ანუ თეორიაზე დაფუძნებული, ისე დისკურსული მოდელი (Garcés-Conejos Blitvich, 2010b).

1.3. (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი მოდელი

არათავაზიანობის ფენომენის შესწავლისთვის წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის პოსტმოდერნულ, ჟანრობრივ მიდგომას, რადგან ეს არის აღნიშნული ფენომენის კვლევის უნივერსალური, შერეული მოდელი. იგი აერთიანებს დაღმავალ (ზევიდან ქვევით, top-down), თეორიაზე დამყარებულ, პროგნოზული ხასიათის ხედვას, რომლის საფუძველზეც მკვლევარს შეუძლია ცალკეული ენობრივი გამოხატულება (პრაქსისი) შეაფასოს, როგორც (არა)თავაზიანი; და აღმავალ (ქვევიდან ზევით, bottom-up), დისკურსულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, (არა)თავაზიანობის ფორმირება, ანუ (არა)თავაზიანი ქცევის შესრულება და ინტერპრეტაცია ხდება ინტერაქციისას და, შესაბამისად, მკვლევარს აქვს საშუალება, გამოავლინოს პრაქტიკაში არსებული (არა)თავაზიანობის შემთხვევები ცალკეულ ინტერაქციებზე დაკვირვების გზით, მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა აღქმაზე, მათ მიერ გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით. საინტერესოა, როგორ აფასებენ ცალკეული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) მონაწილეები ამა თუ იმ ქცევას, როგორც პოლიტიკურს, თავაზიანს თუ არათავაზიანს? ბურდიუს (იხ. Bourdieu, 1990) პრაქტიკის (პრაქსისის) თეორიაზე (theory of practice) დაყრდნობით, ლოქერი და უოტსი (2005) განმარტავენ, რომ ინდივიდები აფასებენ ცალკეულ ენობრივ გამოხატულებას (პრაქსისს), როგორც (არა)თავაზიანს, საკუთარ ჰაბიტუსთან პარალელის გავლების გზით, ანუ იმ მოლოდინებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოიქმნება

მოცემული ინტერაქციის ფარგლებში (“... individuals evaluate certain utterances as polite against the background of their own *habitus* or, to put it another way, against the structures of expectations evoked within the frame of the interaction”, Locher and Watts 2005, 29). ეს გულისხმობს, რომ ესა თუ ის ქცევა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც (არა)თავაზიანი ცალკეული შემთხვევების შესწავლის საფუძველზე, თუმცა, შეფასების გაკეთებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოცემული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) ფარგლებში არსებული/წარმოქმნილი მოლოდინები (არა)სათანადო ქცევასთან დაკავშირებით. ფეარკლოუს (1995) შეფასებით, დისკურსის განმარტებისას ჟანრის ცნების უგულებელყოფა ბურდიეს ნაშრომის სერიოზული ნაკლია (Fairclough, 1995). ავტორის თანახმად, დისკურსი ყოველთვის სიტუაციურადაა განპირობებული და ყოველთვის რეგულირდება ჟანრით (Fairclough, 2003).

(არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი მიდგომა დაფუძნებულია ჟანრის ცნების სუელის (Swales, 1990) და ფეარკლოუს (Fairclough, 2003) მიერ გაკეთებულ განმარტებებზე. სუელის (1990) თანახმად, ჟანრის ცნება აერთიანებს იმ საკომუნიკაციო აქტებს,² რომელთა მონაწილეებსაც კომუნიკაციის საერთო მიზანი აქვთ. ეს მიზანი ცნობილია მოცემული დისკურსული ერთობის (პრაქტიკოსთა ერთობლიობის) მონაწილეთათვის და არის ჟანრის არსებობის საფუძველი, ასევე, გავლენას ახდენს დისკურსის სტრუქტურაზე და აწესებს შეზღუდვებს შინაარსისა და ქცევის/კომუნიკაციის სტილის კუთხით... საკომუნიკაციო აქტებში, რომლებიც ცალკეული ჟანრის ფარგლებში ერთიანდებიან, იკვეთება საერთო მახასიათებლები დისკურსის სტრუქტურის, ქცევის/კომუნიკაციის სტილის, შინაარსისა და სამიზნე აუდიტორიის კუთხით (“A class of communicative events, the members of which share some set of communicative purposes. These purposes are recognized by the expert members of the parent discourse community, and thereby constitute the rationale for the genre. This rationale shapes the schematic structure of the discourse and influences and constrains choice of content

² საკომუნიკაციო პროცესი, სიტუაცია, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის გაცვლა.

and style ... exemplars of a genre exhibit various patterns of similarity in terms of structure, style, content and intended audience”, Swales 1990, 58).

ენის სოციალურ პრაქსისზე (language social practices),³ ანუ დისკურსის აგების (სტრუქტურის) წესებზე (orders of discourse) მსჯელობისას, ფეარკლოუ (2003) აქტიურად იყენებს ჟანრის ცნებას. მისი განმარტებით, სხვადასხვა ჟანრი მოიცავს დისკურსის – ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაციის – ფარგლებში ინტერაქციის განსხვავებულ ფორმებს. მაგალითად, ინტერვიუ არის ჟანრი და ამ ჟანრის ფარგლებში დაწესებულია ინტერაქციის კონკრეტული, სტანდარტული ფორმა, ანუ იკვეთება სტანდარტული ჟანრობრივი (სქემატური) სტრუქტურა. ტერმინი დისკურსი კი ფეარკლოუს (2003) გამოყენებული აქვს ორი მნიშვნელობით: 1. ზოგადი, აბსტრაქტული გაგებით, რომელიც კომუნიკაციის, სოციალური ინტერაქციის სინონიმია და მოიცავს ენას და სხვა სემიოტიკურ (მნიშვნელობის მქონე) ელემენტებს (როგორცაა აზროვნებისა და ქცევის, სამყაროში არსებობის ფორმები), როგორც სოციალური ცხოვრების შემადგენელ ნაწილებს (capital D Discourse – ways of thinking, acting, doing and being in the world); 2. უფრო ვიწრო გაგებით, დისკურსი ეხება სამყაროს ამა თუ იმ ნაწილის გამოხატვის ცალკეულ, განსხვავებულ ფორმებს – ენას პრაქტიკაში. ანუ სხვადასხვა დისკურსი (d) სამყაროს ერთსა და იმავე ნაწილს გამოხატავს სხვადასხვა პერსპექტივიდან (little d discourse – specific instances of language-in-use). ამ უკანასკნელი გაგებით, ავტორს დისკურსის მაგალითად მოჰყავს მემარჯვენეთა ფრთის დისკურსი ამერიკაში. დისკურსის სტრუქტურას ფეარკლოუ შემდეგნაირად განმარტავს: „ენობრივი ვარიაციის სოციალური მართვა და კონტროლი“ (“... the social organization and control of linguistic variation”, Fairclough 2003, 24). დისკურსის სტრუქტურის ელემენტები არის არა არსებითი სახელები და წინადადებები, რომლებიც ენობრივი სტრუქტურის ელემენტებია, არამედ დისკურსები (d), ჟანრები და სტილები. დისკურსი (სოციალური ინტერაქცია, D) სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს არის სოციალური ქცევა, რომლის

³ პრაქსისი – სოციალური ცხოვრების წარმოების პროცესი. სოციალური ცხოვრების კონსტიტუციის (ქმნადობის) სინონიმი (ი. კაჭკაჭიშვილი, 2001).

შესრულება/აგება ხდება სამ დონეზე. ესენია: ჟანრები (ქცევის/კომუნიკაციის ფორმები. ways of (inter)acting), დისკურსები (d. გამოხატვის ფორმები. ways of representing) და სტილები (არსებობის ფორმები. ways of being). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები ამყარებენ კომუნიკაციას კონკრეტული დისკურსის (D) ფარგლებში, რომლისთვისაც ყოველთვის დამახასიათებელია გამოხატვისა და ქცევის/კომუნიკაციის ცალკეული ფორმების გამოყენება, ანუ დისკურსი (D) ყოველთვის რეგულირდება ჟანრით და ადამიანები თვითგამოხატვისთვის იყენებენ სხვადასხვა სტილს. სტილის ცნება ეხება ენისა და არავერბალური კომუნიკაციის როლს ცალკეული სოციალური თუ ინდივიდუალური იდენტობების ფორმირების პროცესში. ნებისმიერი ადამიანის სტილი, ამ შემთხვევაში, გულისხმობს გამოხატვის არავერბალური ფორმებისა და ენის, როგორც თვითიდენტიფიკაციის საშუალების, მისეულ გამოყენებას. პიროვნების განმეორებითი ქცევა – ვერბალური თუ არავერბალური – ქმნის მის სტილს. ფეარკლოუს (2003) მტკიცებით, ტერმინი „სტილის“ მისეული ინტერპრეტაცია თავის თავში მოიცავს ბურდიეს (იხ. Bourdieu, 1991) ჰაბიტუსის ცნებას, რაც არის საზოგადოების (სოციუმის) ანაბეჭდი ინდივიდზე – მენტალურ, ფიზიკურ და ენობრივ დონეზე. ადამიანები ქცევის/კომუნიკაციის სტილს ცვლიან ცალკეული ინტერაქციის – კონტექსტის, სოციალური გარემოს, ჟანრის – შესაბამისად. ფეარკლოუ (2003) ზემოთ აღნიშნულ სამ სემანტიკურ (მნიშვნელობის მქონე) ელემენტს (ესაა დისკურსები, ჟანრები და სტილები) განიხილავს, როგორც ერთმანეთთან დიალექტურად დაკავშირებულს: ცალკეული დისკურსი (გამოხატვის ფორმები, ენა პრაქტიკაში, d) გამოიყენება კონკრეტული ჟანრის ფარგლებში (რაც გულისხმობს ქცევის/კომუნიკაციის განსაზღვრულ, დადგენილ ფორმას) თვითგამოხატვის სხვადასხვა სტილის გამოყენებით (“... particular representations (discourses) may be enacted in particular ways of Acting and Relating (genres), and inculcated in particular ways of Identifying (Styles)”, Fairclough 2003, 29). გრამატიკისა და სემანტიკის კუთხით, ეს ნიშნავს, რომ ცალკეული სემანტიკური კავშირებისა და გრამატიკული კატეგორიების გამოყენება, ტენდენციურად, კონკრეტულ დისკურსებთან (d), ჟანრებთან და სტილებთან ასოცირდება (Fairclough, 2003).

ფეარკლოუ (2003) იყენებს სუელსის (1990) (წინარე) ჟანრის ცნებას. მისი განმარტებით, ეს არის ისეთი ჟანრები, რომლებსთვისაც დამახასიათებელია აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხი, ანუ არ იკვეთება სტაბილური, ფიქსირებული ჟანრობრივი (სქემატური) სტრუქტურა და მათი გამოყენების არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული დისკურსული ერთობით (პრაქტიკოსთა ერთობლიობით). ასეთი ჟანრებია, მაგალითად, საკომუნიკაციო ჟანრები, როგორცაა ნარატივი (თხრობა), დისკუსია, აღწერა, ორ ან მეტ ადამიანს შორის საუბარი (narrative, argument, description, conversation). ფეარკლოუს (2003) თანახმად, ჟანრი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოების ინსტიტუციური სტრუქტურის შენარჩუნებაში. ეს, განსაკუთრებით, ეხება ინსტიტუციურ, სტრატეგიულ ჟანრებს, რომლებიც მიზანზე ორიენტირებული ჟანრებია და რომლებსაც სტაბილური, თუმცა არა უცვლელი, ჟანრობრივი (სქემატური) სტრუქტურა ახასიათებთ (მაგალითად, ინტერვიუს ჟანრი). ფეარკლოუ (2003), ასევე, აღნიშნავს, რომ განსხვავება საკომუნიკაციო და სტრატეგიულ ჟანრებს შორის ყოველთვის მკაფიო არ არის, რადგან ცალკეულ სიტუაციებში, შესაძლებელია, ორივე მათგანი ერთდროულად, კომბინირებული სახით გამოვლინდეს (Fairclough, 2003).

გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) განმარტებით, (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი მიდგომა უნივერსალურია იმ კუთხითაც, რომ მისი გამოყენებით შესაძლებელია როგორც პირისპირ (face-to-face/non-mediated), დიალოგური – ორ სუბიექტს შორის ინტერაქციის, ასევე, არაპირისპირ (mediated), პოლილოგური – სამ ან მეტ ადამიანს შორის ინტერაქციის და ჯგუფთაშორისი კომუნიკაციის შესწავლა. ფეარკლოუ (2003) ჟანრს მიაწერს როგორც კოგნიტურ (შემეცნებით, აღქმით), ისე სოციალურ მნიშვნელობას. სოციალური კუთხით, ფეარკლოუ (2003) განმარტავს ჟანრს, როგორც ქცევის/კომუნიკაციის კონკრეტულ ფორმას, რომლის საშუალებითაც ინტერაქციის მონაწილეთა შორის ყალიბდება გარკვეული ტიპის სოციალური ურთიერთობები. სოციალურ ურთიერთობებს კი განმატავს, როგორც ურთიერთობებს სოციალურ აგენტებს – ორგანიზაციებს, ჯგუფებს და ინდივიდებს – შორის.

კომუნიკაციაში შეიძლება ჩაერთონ ორგანიზაციები, ჯგუფები და ინდივიდები ან სხვადასხვა ტიპის სოციალური აგენტები. სოციალურ ურთიერთობებზე მუშაობა კი ყოველთვის მიმდინარეობს ჟანრის ფარგლებში (Fairclough, 2003).

მრავალი მკვლევარი (Haugh, 2003, 2007; Locher and Bousfield, 2008; Bousfield and Culpeper, 2008; Lorenzo-Dus, 2009a) აღნიშნავს, რომ არათავაზიანობის ცალკეული შემთხვევების გამოსავლენად (ანუ როდესაც კონკრეტულ ქცევას ვაფასებთ, როგორც არათავაზიანს) ერთ-ერთი კრიტერიუმი არის მოცემული დისკურსის ფარგლებში დაწესებული კომუნიკაციური ნორმებიდან გადახვევის ან არსებულ მოლოდინებთან შეუსაბამო ქცევის გამოვლენა. თუმცა კულპეპერი (Culpeper, 2008) გამოყოფს ისეთ გარემოებებს, რომლებშიც არათავაზიანობა არის „ნორმა“. ესენია ინტერაქციები, რომელთა ფარგლებშიც სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არის მოსალოდნელი (უოტსის (იხ. Watts, 2003) „ნებადართული აგრესიული ქცევის“ (“sanctioned aggressive behavior”) მსგავსად). კულპეპერის (2008) განცხადებით, ისეთ სიტუაციებშიც კი, სადაც აგრესიული ქცევა არის მოსალოდნელი, მონაწილეებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ხედვა იმის შესახებ, თუ რამდენად „ნორმალურია“ ცალკეული აგრესიული ქცევა. ეს კი დაკავშირებულია მათ პირად ემპირიულ გამოცდილებასთან (experiential norms) (Culpeper, 2008). ექსპლუატაციური შოუების⁴ მაგალითზე იგი განმარტავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არათავაზიანობა მოსალოდნელია, ყველა შემთხვევაში ვერ ხდება მისი განეიტრალება (Culpeper, 2005). ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა ცალკეული ქცევა შეფასდეს, როგორც არათავაზიანი ისეთი ჟანრების ფარგლებში, სადაც სახეზე შეტევა (face-attack) ნებადართულია? გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩი (2010a) ამტკიცებს, რომ ეს შესაძლებელია. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე შეტევას უფრო მაღალი მიზნების მისაღწევად იყენებენ, იგი ნებადართულია მხოლოდ მოცემული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) კონტექსტში დაწესებული ნორმების ფარგლებში, რომლებიც არეგულირებს ინტერაქციის

⁴ ჟანრული შოუ, რომელიც ექსპლუატაციას უკეთებს რაიმე პოპულარულ თემას სწრაფი შემოსავლის, მოგების მოზიდვის მიზნით.

ცალკეულ მონაწილეთა ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. ეს ნორმები, ასევე, არეგულირებს სახეზე შეტევის დასაშვებ საზღვრებს. ქცევა, რომელიც არღვევს აღნიშნულ საზღვრებს, შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი. ინსტიტუციური ჟანრების ფარგლებში აღნიშნული საზღვრები საკმაოდ მკაფიოა, თუმცა არა უცვლელი. საზღვრები, ასევე, არსებობს (წინარე) ჟანრებშიც, როგორცაა, მაგალითად, ყოველდღიური ინტერაქცია მშობლებსა და შვილებს შორის. მშობლების მოვალეობაა, ასწავლონ და დაეხმარონ შვილებს სოციალიზაციის პროცესში. ეს კი, ხშირად, საჭიროს ხდის მათი სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევის შესრულებას, ანუ არათავაზიან ქცევას შვილების მიმართ. თუმცა, არსებობს საზღვრები, რომელთა დარღვევაც, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფა თუ ფსიქოლოგიური ძალადობა. ეს საზღვრები არ არის უცვლელი. ისინი სიტუაციურადაა განპირობებული და, შესაბამისად, არის მუდმივი ცვლილების პროცესში. მათი ფორმირება ხდება ინტერაქციის მონაწილეთა მიერ, ერთობლივი ჩართულობით, შეთანხმებით, მოლაპარაკებით (negotiation) – სტილის დონეზე (Garcés-Conejos Blitvich, 2010a).

გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩი (2010a) ჟანრობრივი მიდგომის ფარგლებში გვთავაზობს თავაზიანობისა და არათავაზიანობის განმარტებებს. კერძოდ, ავტორის თანახმად, თავაზიანობა არის: „1. ცალკეულ (წინარე) ჟანრთან ასოცირებული ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებისა თუ ინტონაციური მოდელების გამოყენება; 2. (წინარე) ჟანრობრივი და კომუნიკაციური ნორმების დაცვა, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავაზიანია ქცევა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც სახის შენარჩუნებისკენ, მისი გაუმჯობესებისკენ მიმართული.“
(„politeness can be defined as (i) the use of lexico-grammatical strategies or realizations of prosodic features typically associated, i.e. recurrent, with a specific (pre)genre and/or (ii) the complying with the established, (pre)genre-sanctioned, norms and interactional parameters regulating the rights and obligations associated therein with a given individual/social identity which can thus be

interpreted as face-maintaining or enhancing“ , Garcés-Conejos Blitvich 2010a, 62). ტერკურაფის (2008) განმარტებით, მოსაუბრის მიერ ინტერაქციის ცალკეულ მონაწილეთა სახის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისკენ მიმართული ქცევა, პოლილოგური ინტერაქციის ფარგლებში, შესაძლოა, თან მოჰყვეს ინტერაქციის სხვა მონაწილეთა სახეზე შეტევის აქტს და მიზნად ისახავდეს გაერთიანების შექმნას – ჩვენ მათ წინააღმდეგ (Terkourafi, 2008).

ჟანრებში, რომლებშიც სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არ არის ნორმა, ანუ ამგვარი ქცევა არ არის მისაღები თუ მოსალოდნელი, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩი (2010a) არათავაზიანობას შემდეგნაირად განმარტავს: „1. ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებისა თუ ინტონაციური მოდელების გამოყენება, რომლებიც არ არის ასოცირებული ცალკეულ (წინარე) ჟანრთან (არ არის მისთვის დამახასიათებელი) და/ან არის 2. (წინარე) ჟანრობრივი თუ კომუნიკაციური ნორმების უგულებელყოფა, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არათავაზიანია ქცევა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც სახისთვის საფრთხის შემცველი.“ („(i) the use of lexico-grammatical strategies or realizations of prosodic features not typically associated, i.e. not recurrent, with a specific (pre)genre which and/or (ii) a disregard for the established, (per)genre-sanctioned, norms and interactional parameters regulating the rights and obligations associated therein with a given individual/social identity which can thus be interpreted as face threatening“, Garcés-Conejos Blitvich 2010a, 63).

ჟანრებში, რომლებშიც სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არის ნორმა, ანუ ამგვარი ქცევა არის მისაღები თუ მოსალოდნელი, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) თანახმად, ცალკეული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი, როდესაც: 1. შეუსაბამობაა ინტერაქციის სოციალურ, ჟანრობრივ ნორმებსა და მონაწილეთა პირად ემპირიულ გამოცდილებასა თუ მოლოდინებს შორის; 2. სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არღვევს ჟანრის ფარგლებში დაწესებულ საზღვრებს, რომლებიც არეგულირებს, თუ

რა სახის ქცევა არის მისაღები მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის.“ ((i) when there is a mismatch between the social, generic, norms of the interaction and the participants’ background and expectations, i.e. experiential norms; (ii) when the face-threatening behaviour goes beyond the genre-established limits of what is acceptable as the normal course of events“, Garcés-Conejos Blitvich 2010a, 63).

გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩი (2010a), ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როდესაც მკვლევარი აფასებს ამა თუ იმ ქცევას, როგორც (არა)ათავაზიანს, მან უნდა გამოიყენოს ორივე მიდგომა, როგორც თეორიული, ისე დისკურსული, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული ქცევის მისეული შეფასება ემთხვევა კომუნიკაციაში მონაწილეთა დამოკიდებულებებსა და პოზიციებს, მათ შეფასებებს, რადგან ჟანრობრივი შეზღუდვები ყოველთვის წესდება ინტერაქციის მონაწილეთა ერთობლივი ჩართულობით და შეთანხმებით სტილის დონეზე (Garcés-Conejos Blitvich, 2010a).

ჟანრობრივი მოდელის გამოყენებით, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩმა შემოგვთავაზა არათავაზიანობის ფენომენის კვლევა ინსტიტუციური ჟანრის – საინფორმაციო ინტერვიუების – ფარგლებში (Garcés-Conejos Blitvich, 2010a), ასევე, ბოუ-ფრანჩთან და ლორენცო-დუსთან ერთად – კვლევა მედია ჟანრში – ტალანტ შოუ „ნიჭიერის“ (Talent show “Idol”) ამერიკული და ბრიტანული ვერსიების მასალზე (Garcés-Conejos Blitvich, Patricia Bou-Franch and Nuria Lorenzo-Dus, 2013). აღნიშნულ კვლევებში მან, ასევე, გამოიყენა იდენტობის ფენომენის სოციალურ-კონსტრუქტივისტული თეორია, კერძოდ ენტონისა და პიტერსონის (Anton and Peterson, 2003) მოდელი. კვლევის შედეგებმა დაადასტურა მისი თეზისი, რომლის თანახმადაც, ცალკეული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსაუბრე მიმართავს სახისთვის საფრთხის შემცველ ენობრივ ქცევას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი არ ითვალისწინებს კონკრეტული ჟანრის საზღვრებში, ინტერაქციის კონტექსტში არსებულ მოლოდინებს მოცემულ კულტურულ გარემოში.

წარმოდგენილი მსჯელობის თანახმად, წინამდებარე ნაშრომში ოჯახის დისკურსი განხილულია, როგორც ჟანრი. როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, ოჯახის არსებობის ძირითად საფუძველს და, შესაბამისად, ოჯახის დისკურსის უმთავრეს მიზანს ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, თანადგომის, პატივისცემის, მზრუნველობის გამოხატვა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ გარემოდ, სადაც არათავაზიანობა, სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა გარკვეულ დონეზე მოსალოდნელია უფრო მაღალი მიზნების მისაღწევად (როგორცაა, მაგალითად, შვილების სოციალიზაცია) (იხ. Culpeper, 2008), გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) თანახმად, არსებობს საზღვრები, რომლებიც მიგვანიშნებს, თუ როგორი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული საზღვრების უგულებელყოფად თუ დარღვევად და, შესაბამისად, შეფასდეს, როგორც არათავაზიანი ქცევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საზღვრები ყოველთვის მკაფიოდ არ არის გამოხატული. როგორც გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩი, ბოუ-ფრანჩი და ლორენცო-დუსი (2013) განმარტავენ, ცალკეული ჟანრის საზღვრების ფორმირება ხდება ცალკეულ სიტუაციებში (კონტექსტში) ინტერაქციის მონაწილეთა ერთობლივი ჩართულობისა და შეთანხმების, მოლაპარაკების შედეგად სტილის დონეზე (“those limits are not absolute, but often fuzzy, and always situated, co-constructed and negotiated at the level of style”, Garcés-Conejos Blitvich 2010a, 62).

ენა, როგორც ადამიანთა კომუნიკაციის საშუალება, სოციალური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს და განუყოფელ კავშირშია სოციალ-კულტურული ცოდნის შექმნასთან, ანუ სოციალიზაციასთან. პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ სოციუმში არსებული ენა, რომლის წევრიც არის მოცემული პიროვნება. სწორედ ენის საშუალებითაა შესაძლებელი თავაზიანობისა და არათავაზიანობის გამოხატვა, რომლებიც ცალკეული დისკურსის ფარგლებში, ვერბალური კომუნიკაციისას ვლინდება.

მეტყველება სოციალური ფენომენია, რადგან წესების და უნარების უმეტესი ნაწილი, რაც საჭიროა ენის სწორად გამოყენებისთვის, ნასწავლია სხვებისგან, ზუსტად ისე, როგორც ცალკეული ენობრივი ერთეულები. მეტყველების მეორე სოციალურ მხარეს წარმოადგენს ის, რომ ძალისხმევა, რომელსაც ადამიანი დებს საუბარში, დამოკიდებულია მოტივაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი თანამოსაუბრე და რა ურთიერთობა აქვს მასთან მოცემულ პიროვნებას (მოსაუბრეს). მეტყველება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება პიროვნების წარმოსაჩენად. იმის მიხედვით, თუ რას ამბობს იგი და როგორ, აფასებენ მას საზოგადოების სხვა წევრები.

ადამიანი სოციალური არსებაა. სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავაზიანობას. იგი სოციალური ცხოვრებისა და ინტერაქციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თავაზიანობის გამოხატვის საშუალებების გამოყენება ვერბალური კომუნიკაციისას თანამოსაუბრეთა მიერ ერთმანეთის მოთხოვნების, მოლოდინების, გრძნობებისა და სურვილების გათვალისწინებას; ინტერაქციის მონაწილეთა სოციალური სტატუსის და მათ შორის არსებული სოციალური ურთიერთობის მხედველობაში მიღებას; ასევე, მოცემულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ხედვის თანახმად, მართებული, მისაღები ქცევის

ნორმების დაცვას გულისხმობს და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდებას, წარმატებული, ჰარმონიული ინტერაქციის დამყარებას ისახავს მიზნად. ადამიანები მიმართავენ ძალისხმევას სოციალური ურთიერთობების დასამყარებლად და ითვალისწინებენ სხვათა მოთხოვნებსა და მოლოდინებს, რადგან სურთ, დაიმსახურონ მათი მოწონება. ამგვარად, ზრუნავენ როგორც საკუთარ, ისე სხვების სახეზე.

რაც შეეხება არათავაზიანობას, იგი გვხვდება ყველგან და არის არა უბრალოდ ნორმის შეუსაბამო ქცევა, არამედ, შეიძლება იყოს სტრატეგიული, სისტემატური და მაღალი სირთულის ფენომენი. არათავაზიანობა მოიცავს ენობრივ ქცევას, რომელსაც თან სდევს ცალკეული დისკურსის ერთი ან მეტი მონაწილისთვის უარყოფითი პირადი შედეგები. არათავაზიანია ქცევა, რომელსაც ადრესატი აფასებს, როგორც საფრთხის შემცველს თავისი სახისა თუ სოციალური იდენტობისთვის და რომელიც, მიზანმიმართულად თუ უნებლიედ, არღვევს ცალკეულ კონტექსტში და ცალკეულ თანამოსაუბრეთა შორის არსებულ ნორმებს მისაღებ, სათანადო ქცევასთან დაკავშირებით. ეს არის არათანამშრომლობითი, კონკურენტული, მეტოქური ქცევა, რომელიც, ძირითადად, ახდენს თანამოსაუბრეთა შორის ურთიერთობის დესტაბილიზაციას და, უპირველესად, ემსახურება ეგოცენტრულ ინტერესებს. იგი, ნაწილობრივ, განპირობებულია ძალაუფლებით, სოციალური დისტანციით, ემოციური დამოკიდებულებით და ეფექტურობის შკალით (cost-benefit scales), რომლებიც დამკვიდრებულია მოცემულ ენობრივ ჯგუფში.

ადამიანები ამყარებენ კომუნიკაციას კონკრეტული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) ფარგლებში, რომლისთვისაც ყოველთვის დამახასიათებელია გამოხატვისა და ქცევის/კომუნიკაციის ცალკეული ფორმებისა და სტილის (არსებობის ფორმები. ways of being) გამოყენება ანუ ჟანრობრივი ნორმები (შეზღუდვები). ადამიანები თვითგამოხატვისთვის იყენებენ სხვადასხვა სტილს. სტილის ცნება ეხება ენისა და არავერბალური კომუნიკაციის როლს ცალკეული სოციალური თუ ინდივიდუალური იდენტობების ფორმირების პროცესში. ნებისმიერი ადამიანის სტილი, ამ შემთხვევაში, გულისხმობს გამოხატვის არავერბალური ფორმებისა და ენის, როგორც

თვითდენტიფიკაციის საშუალების, მისეულ გამოყენებას. პიროვნების განმეორებითი ქცევა – ვერბალური თუ არავერბალური – ქმნის მის სტილს. ადამიანები კომუნიკაციის სტილს ცვლიან ცალკეული ინტერაქციის – კონტექსტის, სოციალური გარემოს, ჟანრის – შესაბამისად.

სოციალურ დონეზე, ჟანრი არის ქცევის/კომუნიკაციის კონკრეტული ფორმა, რომლის საშუალებითაც ინტერაქციის მონაწილეთა შორის ყალიბდება გარკვეული ტიპის სოციალური ურთიერთობები. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ურთიერთობაზე მუშაობა მიმდინარეობს ჟანრის ფარგლებში.

დისკურსი ყოველთვის სიტუაციურადაა განპირობებული და ყოველთვის რეგულირდება ჟანრით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსაუბრე მიმართავს სახისთვის საფრთხის შემცველ ენობრივ ქცევას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი არღვევს ცალკეული დისკურსის ფარგლებში დაწესებულ კომუნიკაციურ ნორმებს და არ ითვალისწინებს კონკრეტული ჟანრის საზღვრებში, ინტერაქციის კონტექსტში არსებულ მოლოდინებს მოცემულ კულტურულ გარემოში.

ესა თუ ის ქცევა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც (არა)თავაზიანი ცალკეული შემთხვევების შესწავლის, კომუნიკაციის კონტექსტის საფუძველზე, თუმცა, შეფასების გაკეთებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოცემული დისკურსის ანუ სოციალური ინტერაქციის ფარგლებში არსებული მოლოდინები (არა)სათანადო ქცევასთან დაკავშირებით. მკვლევრის მიზანია, დაასაბუთოს, რომ ცალკეული (არა)თავაზიანი ქცევის მისეული ინტერპრეტაცია ემთხვევა მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებს, მათ აღქმას და არის ღირებული (არა)თავაზიანობის შერჩეული თეორიული მოდელის ფარგლებში.

თავი II

იდენტობის ფენომენის თეორიული მიმოხილვა

2.1. იდენტობის ფენომენის სოციალურ-კონსტრუქტივისტული ხედვა

„[ჩემი] პიროვნება, რომელიც ასე უნიკალურად ინდივიდუალურია გარეგნულად,

არის [...] მეტწილად სოციალურად შექმნილი [...] ენის საშუალებით“

(„[My] very self, so uniquely individual in appearance,

is [. . .] largely a social construction [...] constructed upon language“, Smuts⁵ 1927 [1926], 254).

წარმოდგენილ კვლევაში იდენტობის ცნება განხილულია იდენტობის პოსტმოდერნულ, სოციალურ-კონსტრუქტივისტულ თეორიაზე დაყრდნობით (Anton and Peterson, 2003; Joseph, 2004; Bucholtz and Hall, 2005; De Fina et al., 2006), რომელიც, თავისი არსით, არის ანტიესენციალისტური, რაც გულისხმობს, რომ, აღნიშნული ხედვა ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ, პიროვნების იდენტობა არის მუდმივი, უცვლელი მოცემულობა.

ჯოზეფის (2004) თანახმად, შენი იდენტობა არის ის, თუ ვინ ხარ შენ. მისი განმარტებით, არსებობს პიროვნების იდენტობის ორი ძირითადი ასპექტი: 1. სახელი, რომელსაც დეიქტური ფუნქცია აქვს და მისი მიზანია, განასხვავოს ესა თუ ის ადამიანი

⁵ სამხრეთ აფრიკელი გენერალი და პრემიერ-მინისტრი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ერთა ლიგის (1919), ხოლო შემდგომ მისი მემკვიდრე – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (1946) – ჩამოყალიბებაში.

სხვებისგან და 2. უფრო ღრმა, არამატერიალური მხარე, რომელსაც სემანტიკური დატვირთვა აქვს და გამოხატავს, თუ ვინ არის ესა თუ ის ადამიანი სინამდვილეში (Joseph, 2004).

სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიდგომის თანახმად, იდენტობა, მისი ღრმა, სემანტიკური გაგებით, არის არა მოცემულობა, რომელიც ადამიანს თანდაყოლილად გააჩნია, არამედ მისი ფორმირება მუდმივი პროცესია (De Fina et al., 2006). იდენტობა არის სოციალურად აგებული, ანუ კონკრეტული ინტერაქციის მონაწილე პირთა ერთობლივი ჩართულობის შედეგად ფორმირებული, ცალკეული დისკურსის ფარგლებში შესრულებული ვერბალური თუ არავერბალური ქცევის შედეგი. შეუძლებელია ცალკეული ინდივიდის მიერ საკუთარი თუ სხვათა იდენტობების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება. იდენტობათა აგება ცალკეული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) მონაწილეთა შორის შეთანხმების, მოლაპარაკების (negotiation) და კონტექსტუალიზაციის პროცესების შედეგად ხდება. ამიტომაც, სოციალური ურთიერთობები იდენტობათა ერთობლივი აგების პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს (Chouliaraki and Fairclough, 1999). იდენტობების გამოხატვა, აგება, შენარჩუნება, მათზე შეთანხმება, მოლაპარაკება ხდება კონკრეტულ, ლოკალურ გარემოში – მოცემული ინტერაქციის კონტექსტში (Butler, 1990; Bucholtz and Hall, 2005). სწორედ ცალკეული ინტერაქციების შესწავლის გზით არის შესაძლებელი იდენტობის ფენომენის სიღმისეული კვლევა. სოციალურ-კონსტრუქტივისტული ხედვის ფარგლებში იდენტობა, ასევე, განხილულია, როგორც ცალკეული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) მიმდინარეობისას შესრულებული ქცევა, ანუ მოცემული პიროვნების ვერბალური თუ არავერბალური გამოხატულება (პრაქსისი) კონკრეტული სოციალური და ისტორიული კონტექსტის ფარგლებში (იხ. Butler 1990).

დღესდღეობით, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მრავალი დისციპლინა – სოციოლინგვისტიკა, სოციალური ფსიქოლოგია, სოციალური და ლინგვისტური ანთროპოლოგია, დისკურსის ანალიზი – განიხილავს ენას და ენობრივ

პროცესებს, როგორც იდენტობათა აგების, მათზე შეთანხმების, მოლაპარაკების (negotiation) და შესრულებისთვის (იდენტობათა გამოხატვისთვის) ფუნდამენტურ საშუალებას. ენის გამოყენებით ადამიანი წარმოაჩენს საკუთარ თავს და, ასევე, წარმოდგენა ექმნება სხვა ადამიანებზე, იმის მიხედვით, თუ რას და როგორ ამბობენ ისინი და თუ როგორ აღიქმება ეს ინფორმაცია მის ცნობიერებაში.

ბუხოლცი და ჰოლი (2005) გვთავაზობენ იდენტობის ინტერდისციპლინარულ, სოციო-კულტურულ, ლინგვისტურ ხედვას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს როგორც ენობრივ დეტალებზე, ისე კულტურისა და საზოგადოების გავლენაზე იდენტობის ფორმირების პროცესში. ისინი იდენტობას განიხილავენ როგორც, უმთავრესად, ენობრივ, ადამიანთა შორის ურთიერთობებზე დამყარებულ (relational), სოციო-კულტურულ ფენომენს, რომლის აგებაც ხდება ინტერაქციისას, კონკრეტული, ლოკალური დისკურსის კონტექსტის ფარგლებში და არა, როგორც უცვლელ მოცემულობას, რომელიც, უმთავრესად, ინდივიდის ფსიქიკის ნაწილია. მათი განმარტებით, მეცნიერები, რომლებიც იდენტობის ფენომენის ამ უკანასკნელ ხედვას ემხრობიან (რომლის თანახმადაც, იდენტობა, უმთავრესად, ინდივიდის ფსიქიკის ნაწილია), შესაძლოა, არ ითვალისწინებენ სოციალურ გარემოს, ფონს, რომლის საფუძველზეც ხდება იდენტობის აგება, შენარჩუნება და შეცვლა. ავტორთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდის მიერ საკუთარი „მე“-ს აღქმა იდენტობის, უდავოდ, მნიშვნელოვანი ნაწილია, ერთადერთი გზა, რომ საკუთარი პიროვნების ჩვენეული აღქმა წარმოვაჩინოთ სოციალურ ცხოვრებაში, არის დისკურსში (სოციალურ ინტერაქციაში) მონაწილეობის მიღება. ავტორები, ასევე, განმარტავენ, რომ „იდენტობა არის არა რესურსი ენობრივი და სხვა სემიოტიკური გამოყენებისთვის, არამედ მათი შედეგი და ამიტომაც, იგი არის უფრო სოციალური და კულტურული, ვიდრე, უმთავრესად, შინაგანი – ფსიქოლოგიური ფენომენი.“ (“Identity is the product rather than the source of linguistic and other semiotic practices and therefore is a social and cultural rather than primarily internal psychological phenomenon”, Bucholtz and Hall 2005, 585).

ბუხოლცი და ჰოლი (2005), თავიანთ მრავალდარგობრივ მიდგომაზე დაყრდნობით, განიხილავენ იდენტობას, როგორც არა უბრალოდ პიროვნების თვითშეფასების ფსიქოლოგიურ მექანიზმს, რომელიც გამოიხატება ადამიანთა სოციალურ ქცევაში, არამედ, როგორც ფენომენს, რომლის აგება ხდება სოციალური ქცევის, განსაკუთრებით კი, ენის საშუალებით. მათივე განმარტებით, იდენტობის ფორმირება ხდება არა ინდივიდუალური ძალისხმევით, არამედ ამ პროცესში დისკურსის მონაწილე სუბიექტთა (პირთა) ერთობლივი ჩართულობის შედეგად. ბუხოლცისა და ჰოლის განმარტებით, “იდენტობა არის საკუთარი თავის და სხვათა სოციალური პოზიციონირება (განთავსება).” (“Identity is the social positioning of self and other”, Bucholtz and Hall 2005, 586).

ჯოზეფის (2004) თანახმად, სხვა ადამიანთა იდენტობების ჩვენეული ვერსიის აგებისას, ვაკეთებთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი შეზღუდული რაოდენობის ინფორმაციის ანალიზს, ანუ ვაკვირდებით კონკრეტული პიროვნების ქცევას (ვერბალურ თუ არავერბალურ გამოხატულებას, პრაქსისს) და ვაგებთ მთლიან პიროვნებას – პიროვნების ჩვენეულ პორტრეტს. ამ პროცესში ვეყრდნობით საკუთარ ცოდნას, რომლის ნაწილიც, შესაძლოა, გენეტიკური ინფორმაციის სახით გადმოგვეცა, თუმცა მისი დიდი ნაწილი დაგროვებულია ცხოვრების მანძილზე ადამიანებთან კონტაქტისას, მათთან კომუნიკაციისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე, „ჰიპოთეზების“, ანუ ვარაუდების ჩამოყალიბებით, თუ როგორები არიან ისინი და შემდეგ ამ ვარაუდების „შემოწმებით“ მათთან ურთიერთობაში. ყველა ადამიანს აქვს ამგვარად დაგროვებული ემპირიული ცოდნა, რომელსაც იყენებს ყველა სოციალური ურთიერთობისას. ეს ცოდნა ისეთივე უნიკალურია, როგორც ჩვენი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება და როდესაც აღნიშნულ ინფორმაციას ვიყენებთ სხვა პიროვნების იდენტობის ჩვენეული ვერსიის ასაგებად, ჩვენ, ასევე, ვაგებთ საკუთარ იდენტობასაც (“... we are constructing something that involves who *we* are at least as much, and often much more, than who *they* are”, Joseph 2004, 3).

ჯოზეფი (2004) გამოყოფს პიროვნების იდენტობის სამ ქვეტიპს: რეალური ადამიანების და გამოგონილი გმირების; საკუთარი თავის და სხვათა; ინდივიდებისა და ჯგუფების (ინდივიდუალური და ჯგუფური იდენტობები). იგი განმარტავს, რომ ჯგუფური იდენტობები უფრო აბსტრაქტული ბუნებისაა, ვიდრე ინდივიდუალური იდენტობები. მაგალითად, „ამერიკელობა“ (ჯგუფური იდენტობა) არ არსებობს დამოუკიდებლად, ამერიკელების (ცალკეული ინდივიდების, ინდივიდუალური იდენტობების) გარეშე. თუმცა, სწორედ ამგვარი აბსტრაქციების კომბინაციებისგან შედგება ჩვენი საკუთარი ინდივიდუალური იდენტობები. ადამიანის „ღრმა“ პიროვნული იდენტობა, ნაწილობრივ, შედგება სხვადასხვა ჯგუფური იდენტობისგან, რომელთა წევრიც არის ეს ადამიანი. ნებისმიერი ცალკეული ინდივიდი, შეიძლება, განასახიერებდეს ჯგუფურ იდენტობას. მაგალითად, ინდივიდი, რომელიც განასახიერებს თანამედროვე ქალთა ჯგუფურ იდენტობას, უნიკალური, ინდივიდუალური ფორმით აერთიანებს მოცემულ სოციალურ ჯგუფში დამკვიდრებულ რიგ მახასიათებლებს (Joseph, 2004).

ჯოზეფის (2004) თანახმად, არსებობს ორი გარემოება, როდესაც თითოეულ ჩვენგანს მრავალი სხვადასხვა იდენტობა აქვს. პირველი უკავშირდება ადამიანთა როლებს სხვებთან – ოჯახის წევრთან, კოლეგასთან, უფროსთან, მეგობართან და ასე შემდეგ – ურთიერთობაში. ამ კუთხით, ჩვენი იდენტობები იცვლება იმის მიხედვით, თუ ვისთან ერთად ვართ, ანუ ვინ არიან ცალკეული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) მონაწილეები. შესაბამისად, ასევე, ის, თუ როგორ ვსაუბრობთ, ნაწილობრივ, განპირობებულია იმით, თუ ვის ვსაუბრობთ. მეორე გარემოება უკავშირდება სხვათა შეცნობას. შეუძლებელია ადამიანმა ზუსტად გაიგოს, თუ როგორია სხვა პიროვნება შინაგანად. მას მხოლოდ იმის გაკეთება შეუძლია, რომ ამ ადამიანზე და სხვებზე დაკვირვებით, ააგოს მოცემული პიროვნების მისეული ვერსია, პიროვნების აღქმის საკუთარ უნიკალურ მოდელზე დაყრდნობით. ყველა ადამიანი იმავეს აკეთებს. აქედან გამომდინარე, ცალკეულ პიროვნებას აქვს იმდენივე იდენტობა (იდენტობის იმდენივე „ვერსია“), რამდენი ადამიანის მენტალურ სივრცეშიც იგი არსებობს (Joseph, 2004). სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე პიროვნებას სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულად, თავისებურად აღიქვამს. შესაბამისად, არსებობს მოცემული პიროვნების იმდენი „ვერსია“, რამდენ ადამიანთანაც მას ცხოვრების მანძილზე ჰქონია ურთიერთობა.

ენტონი და პიტერსონი (2003) იდენტობის აგებას განიხილავენ სუბიექტის პოზიციასთან კავშირში. მათი განმარტებით, სუბიექტის ანუ მოცემული პიროვნების პოზიცია არის მისი ინდივიდუალური ხედვა, სამყაროს მისეული ინტერპრეტაცია, აღქმა, რომელიც მას უყალიბდება მისი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. სუბიექტის პოზიციის ცნება გულისხმობს, რომ ადამიანის მსოფლმხედველობა კავშირშია იმასთან, თუ საიდან მოდის იგი. სუბიექტის პოზიცია ეხება ადგილს, სადაც პიროვნება „დგას“ და საიდანაც ხედავს სამყაროს. სხვადასხვა ადგილიდან (პოზიციიდან) ადამიანებმა შესაძლოა, განსხვავებულად დაინახონ სამყაროს ერთი და იგივე ნაწილი. სუბიექტის პოზიციის ცნების გამოყენება ნიშნავს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვაგვარი ხედვების არსებობის შესაძლებლობის დაშვებას (Anton and Peterson, 2003). ავტორთა განმარტებით, ზოგადად, დისკუსიისას პიროვნება გამოხატავს თავის ხედვას, რომლის გასამყარებლადაც მან შესაძლოა, არგუმენტად მოიყვანოს მის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის განმაპირობებელი პირადი, ემპირიული გამოცდილება (ე.წ. ეგზისტენციალური ხედვა) ან სოციალური სტატუსი, ანუ გამოხატოს ხედვა, რომელიც იმ სოციალური კატეგორიის ფარგლებშია დამკვიდრებული, რომელსაც მოცემული სუბიექტი (პიროვნება) მიეკუთვნება (ე.წ. სტრუქტურული ხედვა). როგორც ვხედავთ, პიროვნების ინდივიდუალური ხედვის, თვალსაზრისის განმაპირობებელ ფაქტორებს/ცოდნას ავტორები ორი ძირითადი ანალიტიკური კატეგორიის სახით მიჯნავენ (ესაა ეგზისტენციალური ხედვა – ემპირიული ცოდნით განპირობებული და სტრუქტურული ხედვა – სოციალური სტატუსით განპირობებული), რომლებიც პრაქტიკაში შესაძლოა, გადაიკვეთოს. ენტონისა და პიტერსონის (2003) განმარტებით, დისკუსიისას, დარწმუნების ფუნქციით, სუბიექტს (პიროვნებას) შეუძლია გამოხატოს თავისი როგორც ეგზისტენციალური, ისე სტრუქტურული ხედვა მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ იკვეთება მსგავსებები აღნიშნულ სუბიექტსა (პიროვნებასა) და სხვა სუბიექტებს (პიროვნებებს) შორის რომელიმე ზემოხსენებული კატეგორიის ფარგლებში. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა: სტრუქტურული ხედვის შემთხვევაში, სუბიექტთა შორის მსგავსებებს ადგილი აქვს კულტურულად თუ ინსტიტუციონალურად დადგენილი სოციალური კატეგორიების ფარგლებში (მაგალითად, ასაკი, სქესი, პროფესია, პოლიტიკური მრწამსი, და ა.შ.). მსგავსებად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული კატეგორიების წევრობა ან წევრთა საერთო მახასიათებლები. სტრუქტურული ხედვა აერთიანებს ადამიანებს, რომლებსაც მსგავსი სოციალური როლები თუ სტატუსი აქვთ (მაგალითად, დედები, ბოსები, და ა.შ.). დისკუსიის დროს, ამა თუ იმ სოციალური კატეგორიის წარმომადგენელი პირები მიიჩნევიან განსაკუთრებით კომპეტენტურად ან არაკომპეტენტურად იმისთვის, რომ იყვნენ ინფორმირებულნი და ისაუბრონ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, სტრუქტურული ხედვა, შესაძლოა, განსხვავდებოდეს დროისა (ეპოქისა) და კულტურათა მიხედვით. ანუ განმარტება იმისა, თუ რა ნიშნებით ხასიათდება ესა თუ ის სოციალური კატეგორია და მისი წევრები, შეიძლება, განსხვავდებოდეს სოციალური გარემოსა და ისტორიული მომენტის მიხედვით. ამის განსაზღვრა, ასევე, დამოკიდებულია მსმენელებზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვისაც აქვს ძალაუფლება, დაადგინოს, როდის და სად ვინ რად „ითვლება“ (Anton and Peterson, 2003).

სტრუქტურულ ხედვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ სოციალურ კატეგორიას, რომელსაც მიეკუთვნება ესა თუ ის სუბიექტი (პიროვნება), აქვს ორმაგი ბუნება – იგი ერთდროულად ზღუდავს და შესაძლებლობას აძლევს მის ჩარჩოში მოქცეულ პირს, ჩამოუყალიბდეს კონკრეტული ხედვები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სტრუქტურული ხედვა კავშირშია ამა თუ იმ სოციალური კატეგორიის წევრობასთან და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება სოციალურ ურთიერთობებს მოცემული სოციალური კატეგორიის წევრ პირთა შორის (Anton and Peterson, 2003).

ეგზისტენციალური ხედვის შემთხვევაში კი პირიქით, მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობები სუბიექტთა (პიროვნებებს) შორის და არა ამა თუ იმ

სოციალური კატეგორიის წევრობა. ეს გულისხმობს, რომ ეგზისტენციალური ხედვის შემთხვევაში, ადამიანთა შორის მსგავსებები იკვეთება პირად კონტაქტებში და ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებაში. მაგალითად: მეგობარი, მეზობელი, კლასელი – ამ ადამიანებს, სოციალური ურთიერთობების კუთხით მათი მსგავსი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მსგავსი ეგზისტენციალური ხედვა გააჩნდეთ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სუბიექტები (ადამიანები), რომლებსაც საერთო ეგზისტენციალური ხედვა აქვთ, არ არის აუცილებელი, ერთსა და იმავე სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ (Anton and Peterson, 2003).

ენტონი და პიტერსონი (2003) განმარტავენ, რომ დისკუსიისას დარწმუნების, არგუმენტაციის მექანიზმის ფუნქციით, სუბიექტმა (პიროვნებამ) შესაძლოა, გამოხატოს ორივე სახის ხედვა – როგორც ეგზისტენციალური, ისე სტრუქტურული – რათა დაარწმუნოს დისკუსიის სხვა მონაწილეები, რომ მას აქვს დავის მორალური უფლება თუ საფუძველი, ან მოახდინოს სხვათა არგუმენტების დელეგიტიმაცია, ანუ ამტკიცოს, რომ მათ არ აქვთ დავის მორალური უფლება თუ საფუძველი. არსებობს რა სამყაროს მრავალი განსხვავებული ხედვა და სხვადასხვა დონისა თუ ტიპის ძალაუფლება, ადამიანები აღნიშნული სახის ხედვებს (ესაა ეგზისტენციალური ხედვა – ემპირიული ცოდნით განპირობებული და სტრუქტურული ხედვა – სოციალური სტატუსით განპირობებული), სტრატეგიულად, სხვადასხვა ფუნქციით იყენებენ. ზოგადად, დისკუსიისას სუბიექტი თავის ხედვას, პოზიციას ორი სხვადასხვა მიზნით გამოხატავს – თავისი ხედვის შემეცნებითი უპირატესობის ან შემეცნებითი ღირებულების წარმოსაჩენად. როდესაც სუბიექტი (პიროვნება) ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი უპირატესობა, იგი აღიარებს განსხვავებული ხედვების არსებობის შესაძლებლობას მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხაზი გაუსვას საკუთარი ხედვის უპირატესობას თუ სისწორეს, ხოლო როდესაც პიროვნება ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი ღირებულება, იგი აღიარებს განსხვავებული ხედვების არსებობის შესაძლებლობას და ამტკიცებს, რომ მისი ხედვა, სულ მცირე, ისევე ღირებულია, როგორც სხვათა განსხვავებული ხედვები (Anton and Peterson, 2003).

ენტონისა და პიტერსონის (2003) თანახმად, სუბიექტის (პიროვნების) მიერ დისკუსიისას პირველი სტრატეგიის გამოყენება – როდესაც პიროვნება ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი უპირატესობა – გულისხმობს შემდეგს: მოცემული სუბიექტი (პიროვნება) ამტკიცებს, რომ მისი კონკრეტული პოზიცია (ხედვა, თვალსაზრისი) არის ადგილი, საიდანაც ამა თუ იმ საკითხის დანახვა უფრო კარგად თუ სწორადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ცალკეულ სიტუაციებში, პიროვნების მიერ მოყვანილ არგუმენტსა თუ გამოთქმულ მოსაზრებას შესაძლოა, მიენიჭოს უპირატესობა მისი კონკრეტული სტრუქტურული თუ ეგზისტენციალური ხედვის, პოზიციის გამო. ხოლო მეორე სტრატეგია – როდესაც სუბიექტი (პიროვნება) ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი ღირებულება – ეყრდნობა მიდგომას, რომლის თანახმადაც, სამყაროს ნებისმიერი ხედვა არის ღირებული მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა იგი სხვათა თვალსაზრისს. პიროვნებას, რომელიც აცხადებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი ღირებულება, სურს, რომ მისი ხედვა ჩაითვალოს ღირებულად და ამტკიცებს, რომ სამყაროს მისეულ ინტერპრეტაციას აქვს არსებობის უფლება და უნდა იქნას აღიარებული, როგორც ასეთი. ამის მისაღწევად მან, შესაძლოა, გაამყაროს საკუთარი ხედვა არგუმენტებით და/ან უარი განაცხადოს სხვათა ხედვების უპირატესობის აღიარებაზე (Anton and Peterson, 2003).

ენტონისა და პიტერსონის (2003) თანახმად, სოციალურ დონეზე დისკუსია შეიძლება მივიჩნიოთ შეუთავსებლად, როდესაც ერთი სუბიექტი (პიროვნება) ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი ღირებულება და იყენებს შესაბამის საშუალებებს (მაგალითად, არგუმენტად მოჰყავს თავისი ემპირიული ცოდნა ან სოციალური სტატუსი), ხოლო მეორე ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი უპირატესობა და იყენებს სათანადო საშუალებებს (მაგალითად, არგუმენტად მოჰყავს თავისი სტრუქტურული თუ ეგზისტენციალური ხედვა). ასევე, როდესაც დისკუსიის ორი მხარე სხვადასხვა პერსპექტივიდან (პოზიციიდან) ამტკიცებს, რომ მათ განსხვავებულ ხედვებს აქვს შემეცნებითი უპირატესობა, ამან შესაძლოა, გამოიწვიოს თითოეული სუბიექტის (პიროვნების) მხრიდან მეტი ხაზგასმა ცალკეული ხედვის საფუძველსა და მის

უპირატესობაზე (თითოეული ამტკიცებს, რომ მისი პოზიცია, ხედვა ექსკლუზიურად და უნიკალურად „სწორია“), კამათი გამოიყვანოს ტრადიციული, რაციონალური დისკუსიის ფარგლებიდან, გაზარდოს სტერეოტიპული ცოდნის გამოყენების შანსი და გააძწვავოს პოლემიკა. ხოლო როდესაც დისკუსიის ორივე მხარე ამტკიცებს, რომ მათ განსხვავებულ ხედვებს აქვს შემეცნებითი ღირებულება, ამან შესაძლოა, გამოიწვიოს დამატებითი კამათი, დისკუსიის ჩიხში შესვლა, დროებითი ან საბოლოო მოლაპარაკება. როდესაც საკუთარი ხედვის შემეცნებითი ღირებულების მტკიცებისას სუბიექტი (პიროვნება), ასევე, აღიარებს განსხვავებულ ხედვათა ღირებულებას თუ სისწორეს, ამ ტიპის კამათი შესაძლოა, დასრულდეს შეთანხმებით ან დათმობაზე წასვლით (Anton and Peterson, 2003).

ენტონი და პიტერსონი (2003) განიხილავენ ორი სახის შემთხვევას: 1. როდესაც სუბიექტი (პიროვნება) საკუთარი ხედვის შემეცნებითი ღირებულების თუ შემეცნებითი უპირატესობის წარმოსაჩენად თავად, ხაზგასმით საუბრობს თავისი თვალსაზრისის განმაპირობებელ ფაქტორებზე, არგუმენტად მოჰყავს თავისი ემპირიული ცოდნა ან სოციალური სტატუსი (ე.წ. სუბიექტის თვითდამკვირდების პოზიცია, self-asserted subject position) და 2. როდესაც დისკუსიის სხვა მონაწილე ამტკიცებს, რომ მოცემული სუბიექტის (სხვა პიროვნების) ხედვა მისი ამა თუ იმ ემპირიული ცოდნითა თუ სოციალური სტატუსითაა განპირობებული (ე.წ. სხვათა მიერ მიწერილი, მიკუთვნებული პოზიცია, other-asserted subject position). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხშირია სტერეოტიპული ცოდნის საფუძველზე სხვა სუბიექტის (პიროვნების) ხედვის შესახებ დასკვნის გაკეთების შემთხვევები იმასთან დაკავშირებით, რამდენად ღირებულია მისი ესა თუ ის თვალსაზრისი. სხვათა ხედვების ღირებულების არაღიარებისა თუ ცილისწამების გზით ადამიანები ცდილობენ, თავიანთ ხედვას შესძინონ შემეცნებითი ღირებულება ან შემეცნებითი უპირატესობა. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა, დადგეს ორი განსხვავებული შედეგი: 1. როდესაც სუბიექტი (პიროვნება) ამტკიცებს, რომ თავისი ხედვა ღირებული და მართებულია და რომ სხვა პიროვნების ხედვა მისი ემპირიული ცოდნითა თუ სოციალური სტატუსითაა განპირობებული და ისიც, ასევე, ღირებულია, მან შესაძლოა, ამგვარად, საკუთარ ხედვას შესძინოს შემეცნებითი ღირებულება და 2.

როდესაც სუბიექტი (პიროვნება) ამტკიცებს, რომ სხვა პიროვნების ხედვა პირდაპირ კავშირშია მის ემპირიულ ცოდნასა თუ სოციალურ სტატუსთან და ამის გამო არ არის ღირებული თუ სწორი. ამ გზით, მან შესაძლოა, თავის ხედვას შესძინოს შემეცნებითი უპირატესობა (Anton and Peterson, 2003).

ბუხოლცი და ჰოლი (Bucholtz and Hall, 2005), ასევე, იყენებენ პოზიციის ცნებას სოციალური ინტერაქციის კონტექსტში იდენტობის ფენომენის კვლევისთვის მათ მიერ შემუშავებული მოდელის ფარგლებში. ისინი ეწინააღმდეგებიან იდენტობის ხედვას (რომელიც გვხვდება, მაგალითად, ვარიაციონისტულ სოციოლინგვისტიკაში (Labov, 1966) და ენის სოციოლოგიაში (Fishman, 1971)), რომლის თანახმადაც, ესა თუ ის სოციალური ქცევა ასოცირდება სოციალური იდენტობის ფართო (მაკრო) კატეგორიებთან, როგორცაა: რასა, ეროვნება, ასაკი, სქესი, სოციალური კლასი, პროფესიული თუ სტრუქტურული როლები და ასე შემდეგ. ავტორთა განმარტებით, ამგვარი მიდგომები ღირებულია ფართომასშტაბიანი სოციოლინგვისტური ტენდენციების აღსაწერად, მაგრამ ისინი, ხშირად, ნაკლებად ეფექტურია იდენტობის უფრო ნიუანსური და მოქნილი ტიპების გამოსაკვლევად, რომელთა აგებაც ხდება ლოკალურ კონტექსტებში. იმის გათვალისწინებით, რომ იდენტობის ფორმირება ხდება ყოველწუთიერად, ინტერაქციის ფარგლებში, ავტორები გვთავაზობენ, რომ იდენტობის შესწავლისას ყურადღება გავამახვილოთ იდენტობის მიკრო, ნიუანსურ დეტალებზე, კერძოდ, მოცემული პიროვნების კონკრეტულ პოზიციაზე ცალკეული ინტერაქციის ფარგლებში, ანუ დროებით როლებზე, რომლებსაც ინტერაქციის მონაწილეები ასრულებენ ცალკეული დისკურსის ფარგლებში. ამგვარი პოზიციები ანუ როლებია, მაგალითად: შემფასებელი, ხუმარა, ყურადღებიანი მსმენელი, რჩევის მიმცემი, ინფორმაციის მიმღები და სხვა. დისკურსის მსვლელობისას დაკავებული ამ დროებითი პოზიციებისგან, როლებისგან შედგება პიროვნების პოზიცია (დამოკიდებულება, ხედვა, stance) ფართო გაგებით. ამ უკანასკნელს ავტორები განმარტავენ, როგორც შეფასებითი, ემოციური და შემეცნებითი დამოკიდებულების გამოვლინებას. იგი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს ენობრივ ფორმებსა და სოციალურ კატეგორიებს შორის და

ამგვარად, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იდენტობის აგების პროცესში. ავტორთა განმარტებით, სწორედ ასეთი დროებითი პოზიციები ქმნის ლოკალურ იდენტობებს, ანუ იდენტობის ლოკალურ კატეგორიებს, ტიპებს, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანდებიან იდენტობის უფრო ხანგრძლივ, მყარ სტრუქტურაში (Bucholtz and Hall 2005, 2008). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეულ ადამიანს მრავალი სხვადასხვა ლოკალური იდენტობა აქვს ცალკეული ინტერაქციების კონტექსტებში, რომელთა ერთობლიობა ქმნის მოცემული პიროვნების უფრო ზოგად სურათს – მის იდენტობას, არა ლოკალური, არამედ, უფრო ფართო გაგებით.

ბუხოლცისა და ჰოლის (2005, 2008) თანახმად, ერთის მხრივ, პოზიციები, რომლებიც სოციალურ შემსრულებლებს (ადამიანებს) უჭირავთ ცალკეული ინტერაქციის ფარგლებში, ხოლო შემდგომ, დისკურსის განვითარების პარალელურად ცვლიან ამ პოზიციებს, წარმოქმნის იდეოლოგიურ ასოციაციებს იდენტობის, როგორც ფართომასშტაბიანი, ისე ლოკალური ტიპების შესახებ. კერძოდ, ამ ვიწრო – ლოკალურმა – ტიპებმა, შესაძლოა, მიგვანიშნოს უფრო ფართო სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტებზე, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს იდენტობაზე მუშაობა. მეორეს მხრივ, ამ იდეოლოგიურმა ასოციაციებმა შესაძლოა, წარმოქმნას იდეოლოგიური მოლოდინები თანამოსაუბრეთა შორის და ამგვარად, გავლენა მოახდინოს ენობრივ გამოხატულებაზე (პრაქსისზე) და განსაზღვროს, ვინ რას და როგორ აკეთებს ინტერაქციას, თუმცა არა დეტერმინისტული სტილით – ანუ ყოველთვის არსებობს არჩევანის გაკეთების და ცვლილების შესაძლებლობა (Bucholtz and Hall, 2005, 2008).

ინტერაქციის მონაწილეთა მიერ გაკეთებული ენობრივი არჩევანი მიგვანიშნებს მათ ცალკეულ როლსა თუ პოზიციაზე მოცემული კომუნიკაციის ფარგლებში. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია სტილის ცნება. ეს ტერმინი, ტრადიციულად, ეხება მოსაუბრის მიერ გამოყენებული ენის ვარიაციას, მაგრამ უფრო თანამედროვე მიდგომების თანახმად, სტილი არის ენობრივი ფორმების ნაკრები (რეპერტუარი), რომელიც ასოცირდება

პიროვნებებთან თუ იდენტობებთან. მაშინ როდესაც, პოზიციით (დამოკიდებულებით, stance) დაინტერესებული მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ სამეტყველო აქტებზე, როგორცაა, მაგალითად, შეფასებითი გამონათქვამები, სოციოლინგვისტები, რომლებიც სტილის შესწავლით არიან დაინტერესებულნი, აკვირდებიან ენობრივ სტრუქტურებს დისკურსის მიღმა, როგორცაა: გრამატიკა, ფონოლოგია, ლექსიკა. ამგვარ მახასიათებელთა განმეორებით, მრავალჯერ გამოყენება უკავშირდება სტილს და შესაბამისად, განსაზღვრავს პიროვნების იდენტობას (იხ. Bourdieu, 1977, [1972] 1978). ბატლერის (1990) თანახმად, იმისთვის, რომ ნებისმიერი იდენტობა იყოს აღიარებული (ცნობადი, recognizable), საჭიროა ცალკეული პიროვნების მიერ ქცევის/კომუნიკაციის კონკრეტული სტილის განმეორებით, მრავალჯერ გამოყენება. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ცალკეული ენობრივი გამოხატულებები შეიცავდეს ახალ ელემენტებს, რაც უზრუნველყოფს ცვლილების შესაძლებლობას (Butler, 1990).

ბუხოლცი და ჰოლი (2005) იდენტობის ფენომენს შემდეგნაირად განმარტავენ: „იდენტობები აერთიანებს: (ა) ფართო დემოგრაფიულ კატეგორიებს; (ბ) ლოკალურ, ეთნოგრაფიულად და კულტურულად განსხვავებულ ხედვებს (დამოკიდებულებებს); (გ) დროებით, კონტექსტით განპირობებულ პოზიციებს და მონაწილეთა როლებს“ (“Identities encompass (a) macro-level demographic categories; (b) local, ethnographically specific cultural positions; and (c) temporary and interactionally specific stances and participant roles”, Bucholtz and Hall 2005, 592).

იდენტობის „ნაწილობრივობის პრინციპის“ ფარგლებში ავტორები განმარტავენ: „იდენტობის ნებისმიერი მოცემული სტრუქტურა შეიძლება იყოს, ნაწილობრივ, მიზანმიმართული და წინასწარ განზრახული; ნაწილობრივ, ჩვევითი ხასიათის და, ამგვარად, არა ბოლომდე გაცნობიერებული; ნაწილობრივ, ცალკეული ინტერაქციის ფარგლებში (კონტექსტში) შეთანხმების, მოლაპარაკებისა (negotiation) და დავის შედეგი; ნაწილობრივ, სხვათა აღქმისა და გამოხატვის შედეგი და, ნაწილობრივ, ფართო იდეოლოგიური პროცესებისა და მატერიალური სტრუქტურების გავლენის შედეგი.

ამიტომაც, იგი მუდმივად იცვლება ინტერაქციის მიმდინარეობისას – კონტექსტის შესაბამისად.“ (“Any given construction of identity may be in part deliberate and intentional, in part habitual and hence often less than fully conscious, in part an outcome of interactional negotiation and contestation, in part an outcome of others’ perceptions and representations, and in part an effect of larger ideological processes and material structures that may become relevant to interaction. It is therefore constantly shifting both as interaction unfolds and across discourse contexts”, Bucholtz and Hall 2005, 606).

იდენტობის კიდევ ერთი განმარტების თანახმად: „რადგან სოციალურადაა აგებული, (ა) იდენტობა არის არა მოცემულობა, არამედ მისი ფორმირება მუდმივი პროცესია; (ბ) მისი აგება ხდება კონკრეტული ინტერაქციის ფარგლებში; (გ) ცალკეული იდენტობები არის არა უცვლელი, ერთგვაროვანი სტრუქტურები, არამედ მათი ფორმირების პროცესში ხდება ურთიერთდაკავშირებული იდენტობების აგება; (დ) იდენტობის ფორმირება ხდება არა ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად, არამედ შეთანხმების, მოლაპარაკების (negotiation) და კონტექსტუალიზაციის პროცესების შედეგად და (ე) მის ფორმირებაზე მუშაობისთვის აუცილებელია დისკურსში მონაწილეობის მიღება“ (“As socially constructed, identity is seen as a) a process, rather than a given or product; b) located in concrete, specific interactional occasions; c) yielding constellations of identities, rather than individual, monolithic constructs; d) resulting from processes of negotiation and contextualization, rather than from the individual, and e) entailing discursive work”, De Fina et al. 2006, 2). რადგან იდენტობა არის მუდმივი ფორმირების პროცესში, იგი ყოველთვის ცვლილებისა და განახლების მდგომარეობაშია.

იდენტობის, სახის, პოზიციის (დამოკიდებულების, ხედვის, stance) თუ (არა)თავაზიანობის ფორმირების პროცესში მოსაუბრის განზრახვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ჯოზეფი (2004) განმარტავს, რომ ემპირიულ მონაცემთა შესწავლისას მკვლევარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მოსაუბრის განზრახვის დადგენაზე, რაც არ ექვემდებარება ამგვარ კვლევას, არამედ მოსაუბრის ქცევის აღქმაზე, შეფასებაზე

მსმენელთა მხრიდან, რადგან არსებობს მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მსმენელთა მიერ გაკეთებული შეფასებების ინტერპრეტაცია და მკვლევრის მიერ გაკეთებული შეფასების შემოწმება (“If identity, face, stance or politeness are to be investigated empirically, it must be in terms not of the speaker’s intentions, which are impervious to observation, but of hearers’ interpretations, which are open to observation, questioning, cross-checking, and other methodological reassurances”, Joseph 2013, 38–39).

მეორე თავის დასკვნა

იდენტობის ცნებაში მოიაზრება პიროვნების სახელი, რომელიც განასხვავებს მას სხვა ადამიანებისგან და, ასევე, თუ ვინ არის მოცემული პიროვნება სინამდვილეში. ამ უკანასკნელი, უფრო სიღრმისეული გაგებით, იდენტობა არის არა ერთი უცვლელი მოცემულობა, რომელიც ადამიანს თანდაყოლილად გააჩნია, არამედ მისი ფორმირება არის მუდმივი პროცესი.

იდენტობა სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენია. შეუძლებელია ცალკეული ინდივიდის მიერ საკუთარი თუ სხვათა იდენტობების დამოუკიდებლად აგება. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდის მიერ საკუთარი „მე“-ს აღქმა იდენტობის, უდავოდ, მნიშვნელოვანი ნაწილია, ერთადერთი გზა, რომ საკუთარი პიროვნების ჩვენეული აღქმა წარმოვაჩინოთ სოციალურ ცხოვრებაში, არის დისკურსში (სოციალურ ინტერაქციაში) მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, იდენტობის აგება ხდება სოციალური ქცევის, განსაკუთრებით კი, ენის საშუალებით. ენის გამოყენებით ადამიანი წარმოაჩენს საკუთარ თავს და, ასევე, წარმოდგენა ექმნება სხვა ადამიანებზე – იმის მიხედვით, თუ რას და

როგორ ამბობენ ისინი და თუ როგორ აღიქმება ეს ინფორმაცია მის ცნობიერებაში. ასევე, ის, თუ როგორ ვსაუბრობთ, ნაწილობრივ, განპირობებულია იმით, თუ ვის ვსაუბრებით.

იდენტობათა აგება – იდენტობათა გამოხატვა, დადასტურება, თავდასხმა (სახეზე შეტევა), წინააღმდეგობის გაწევა, შენარჩუნება – ცალკეული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) მონაწილეთა შორის შეთანხმების, მოლაპარაკების (negotiation) და კონტექსტუალიზაციის პროცესების შედეგად ხდება. ამიტომაც, სოციალური ურთიერთობები იდენტობათა ერთობლივი აგების პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. იდენტობის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის სოციუმი (საზოგადოება) და კულტურა, რომლის წარმომადგენელიც არის მოცემული პიროვნება. ამიტომაც, იდენტობა, სოციალური და კულტურული ფენომენია.

იდენტობა შეგვიძლია, ასევე, განვიხილოთ, როგორც პიროვნების თვითშეფასების, სხვათა შეფასების და, ზოგადად, მისი მსოფლმხედველობის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც გამოიხატება ადამიანთა სოციალურ ქცევაში (მოცემული პიროვნების ვერბალურ თუ არავერბალურ გამოხატულებაში – პრაქსისში) ცალკეული დისკურსის მიმდინარეობისას, კონკრეტული სოციალური და ისტორიული კონტექსტის ფარგლებში.

რაც შეეხება სხვათა შეცნობას, შეუძლებელია, ადამიანმა ზუსტად გაიგოს, თუ როგორია სხვა პიროვნება შინაგანად. მას მხოლოდ იმის გაკეთება შეუძლია, რომ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით, ამ ადამიანზე და სხვებზე დაკვირვებით, ააგოს მოცემული პიროვნების მისეული ვერსია, პიროვნების აღქმის საკუთარ უნიკალურ მოდელზე დაყრდნობით, ანუ დააკვირდეს კონკრეტული პიროვნების ქცევას (ვერბალურ თუ არავერბალურ გამოხატულებას, პრაქსისს) და ააგოს მთლიანი პიროვნება – პიროვნების მისეული პორტრეტი და იგი ამ პროცესში აგებს, მათ შორის, საკუთარ იდენტობასაც. უფრო კონკრეტულად, სხვა პიროვნების იდენტობის სუბიექტური ვერსიის აგებისას, ანუ სხვათა შეცნობისას ადამიანი ეყრდნობა საკუთარ ცოდნას, რომლის ნაწილიც შესაძლოა, გენეტიკური ინფორმაციის სახით გადაეცა, თუმცა მისი დიდი ნაწილი დაგროვებულია ცხოვრების მანძილზე ადამიანებთან კონტაქტისას,

მათთან კომუნიკაციისას (სოციალიზაციის პროცესში) მიღებული გამოცდილების საფუძველზე, „ჰიპოთეზების“, ანუ ვარაუდების ჩამოყალიბებით თუ როგორები არიან ისინი და შემდეგ ამ ჰიპოთეზების „შემოწმებით“ მათთან ურთიერთობაში. ყველა ადამიანს აქვს ამგვარად დაგროვებული ემპირიული ცოდნა, რომელსაც იყენებს ყველა სოციალური ურთიერთობისას. ეს ცოდნა ისეთივე უნიკალურია, როგორც ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილება და როდესაც იგი აღნიშნულ ინფორმაციას იყენებს სხვა პიროვნების იდენტობის მისეული ვერსიის ასაგებად, ის, ასევე, აგებს საკუთარ იდენტობასაც.

იდენტობა, შეგვიძლია, ასევე, განვიხილოთ მოცემული პიროვნების პოზიციასთან კავშირში. სუბიექტის (პიროვნების) პოზიციის ცნება გულისხმობს ადგილს, სადაც იგი „დგას“ და საიდანაც ხედავს, აღიქვამს სამყაროს (ცალკეულ საკითხს). ანუ პიროვნების პოზიცია მის ინდივიდუალურ ხედვას, სამყაროს მისეულ ინტერპრეტაციას, აღქმას უკავშირდება, რომელიც მას უყალიბდება მისი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. სხვადასხვა პოზიციიდან ადამიანებმა, შესაძლოა, განსხვავებულად დაინახონ სამყაროს ერთი და იგივე ნაწილი.

ზოგადად, დისკუსიისას პიროვნება თავის პოზიციას, თვალსაზრისს ორი სხვადასხვა მიზნით გამოხატავს: საკუთარი ხედვის შემეცნებითი უპირატესობის ან შემეცნებითი ღირებულების მოსაპოვებლად თუ წარმოსაჩენად. 1. როდესაც პიროვნება ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი უპირატესობა, იგი ა) აღიარებს განსხვავებული ხედვების არსებობის შესაძლებლობას მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხაზი გაუსვას საკუთარი ხედვის უპირატესობას თუ სისწორეს ან ბ) იმავე მიზნით, არ აღიარებს სხვათა განსხვავებული ხედვების ღირებულებას, რაც პირდაპირ კავშირშია არათავაზიანობის ფენომენთან. 2. როდესაც პიროვნება ამტკიცებს, რომ მის ხედვას აქვს შემეცნებითი ღირებულება, იგი აღიარებს განსხვავებული ხედვების არსებობის შესაძლებლობას და ამტკიცებს, რომ მისი ხედვა, სულ მცირე, ისევე ღირებულია, როგორც სხვათა განსხვავებული ხედვები.

პიროვნების პოზიცია შეგვიძლია, ასევე, როლთან გავაიგივოთ და განვმარტოთ, როგორც კონკრეტული კომუნიკაციის კონტექსტში მოცემული პიროვნების შეფასებითი, ემოციური და შემეცნებითი დამოკიდებულების გამოვლინება (მაგალითად: ხუმარა, კრიტიკული, ენამწარე, ყურადღებიანი მსმენელი და ა.შ.). სწორედ ამგვარი დროებითი პოზიციები ქმნის პიროვნების ლოკალურ იდენტობებს – იდენტობის ლოკალურ ტიპებს, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანდებიან იდენტობის უფრო ხანგრძლივ, მყარ სტრუქტურაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეულ ადამიანს მრავალი სხვადასხვა ლოკალური იდენტობა აქვს ცალკეული ინტერაქციების კონტექსტებში, რომელთა ერთობლიობა ქმნის მოცემული პიროვნების უფრო ზოგად სურათს – მის იდენტობას, არა ლოკალური, არამედ, უფრო ფართო გაგებით. ამგვარად, სწორედ ცალკეული ინტერაქციების და მათი ურთიერთდაკავშირებული ჯგუფების (ნაკრების) შესწავლის გზით არის შესაძლებელი იდენტობის ფენომენის სიღმისეული კვლევა.

და ბოლოს, იდენტობის ნებისმიერი მოცემული სტრუქტურა ნაწილობრივობის პრინციპითაა აგებული. იგი შეიძლება იყოს, ნაწილობრივ, მიზანმიმართული და წინასწარ განზრახული; ნაწილობრივ, ჩვევითი ხასიათის და ამგვარად, არა ბოლომდე გაცნობიერებული; ნაწილობრივ, ინტერაქციის ფარგლებში (კონტექსტში) შეთანხმების, მოლაპარაკებისა (negotiation) და დავის შედეგი; ნაწილობრივ, სხვათა აღქმისა და გამოხატვის შედეგი და, ნაწილობრივ, ფართო იდეოლოგიური პროცესებისა და მატერიალური სტრუქტურების გავლენის შედეგი. ამიტომაც, იგი მუდმივად იცვლება ინტერაქციის მიმდინარეობისას – კონტექსტის შესაბამისად.

თავი III

არათავაზიანობისა და იდენტობის ფენომენის კვლევები მედია დისკურსში

ლინგვისტურ კვლევებში მრავალ სხვადასხვა ტერმინს იყენებენ ერთი საერთო ფენომენის გამოსახატად. კერძოდ, ეს ფენომენია – გმირების ვერბალური (ზეპირი) ინტერაქცია სერიებში, სერიალებსა და ფილმებში. აღნიშნულ ფენომენს მეცნიერები შემდეგი ტერმინებით გამოხატავენ: “მხატვრული სატელევიზიო ენა” – “the language of fictional television” (Bednarek, 2010), “სატელევიზიო დიალოგი” – “television dialogue” (Quaglio, 2009), “სატელევიზიო დრამატული დიალოგი” – “television dramatic dialogue” (Richardson 2010a, 2010b), “დრამატული დისკურსი” – “dramatic discourse” (Bousfield and McIntyre 2011), “მეტყველება სატელევიზიო სერიებში” – “TV-series-speak” (Alvarez-Pereyre, 2011), “ფილმის ენა” – “the language of films” (Piazza, Bednarek and Rossi, 2011), “ფილმის დიალოგი” – “film dialogue” (Katz, 1998; Kozloff, 2000; Rossi, 2011; Toolan, 2011), “მეტყველება ფილმებში” – “filmspeak” (Alvarez-Pereyre, 2011), “სინემატიკური დისკურსი” – “cinematic discourse” (Androustopoulos, 2012; Piazza, 2006), ან “ტელესინემატიკური დისკურსი” – “telecinematic discourse” (Piazza, Bednarek and Rossi 2011). ეს უკანასკნელი აერთიანებს მხოლოდ ტელევიზიისა და კინოს საკომუნიკაციო ფორმებს. თუმცა, ამგვარი გამოყოფა უსარგებლოა, როგორც ემპირიული, ისე თეორიული თვალსაზრისით, რადგან თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი მედია არტეფაქტი ხელმისაწვდომია ინტერნეტში (Androustopoulos, 2012). ასევე, დაინელის (2017) თანახმად, ტელესინემატიკური დისკურსი მოიცავს არამხატვრულ სატელევიზიო ჟანრებსაც როგორცაა, მაგალითად, ქუიზ-შოუები, ახალი ამბების გამოშვება, დოკუმენტური ფილმები, რომლებიც, შესაძლოა, ნაწილობრივ, წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით მიმდინარეობდეს, თუმცა მიუხედავად ამისა, არამხატვრულ დისკურსადაა მიჩნეული (Dyner, 2017).

წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია ქოლგა ტერმინი – მედია დისკურსი. იგი ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს სხვადასხვა ფენომენის შესწავლისთვის.

(არა)თავაზიანობის ფენომენის თანამედროვე კვლევები, უმეტესად, სწორედ მედია დისკურსის მასალაზეა ჩატარებული, რადგან აღნიშნული გარემო მონაცემთა საკმაოდ მდიდარ ბაზას გვთავაზობს ანალიზისთვის. სწორედ მედია დისკურსის კვლევის შედეგად შეძლეს მეცნიერებმა არათავაზიანობასთან დაკავშირებული ძირითადი დეფინიციების ჩამოყალიბება და მისი მუშაობის დეტალური მექანიზმების განსაზღვრა. კულპეპერის პირველი კვლევა (Culpeper, 1996), რომელსაც შემდგომ მზარდი ინტერესი მოჰყვა არათავაზიანობის ფენომენის მიმართ, სწორედ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის – “Soldier Girls” – მასალაზე დაყრდნობითაა ჩატარებული. ასევე, კულპეპერი, ბოუსფილდი და ვიჩმანი (Culpeper, Bousfield and Wichmann, 2003) თავიანთ ნაშრომში არათავაზიანობის ფენომენის კვლევისთვის BBC-ის დოკუმენტურ შოუს – „The Clampers“ – იყენებენ. ბოუსფილდი (Bousfield, 2007, 2008a, 2008b) არათავაზიანობის ფენომენის საკვლევ ბაზას დოკუმენტურ სერიალებში (docusoaps) („The Clampers“, „Parking Wars“, „Soldiers to Be“, „Redcaps“, „Motorway Life“, „Raw Blues“, „Boiling Point“) პოულობს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევებში განხილული ინტერაქციები მასმედიის – ტელევიზიის საშუალებითაა წარმოდგენილი და, რიგ შემთხვევებში, არ არის სპონტანური (სცენარითაა გაწერილი), ავტორები აღნიშნულ მაგალითებს განიხილავენ, როგორც რეალური ცხოვრებიდან მოპოვებულ მასალას.

3.1. არამხატვრული მედია დისკურსი

არამხატვრული მედია დისკურსი, გავრცელებული ხედვის თანახმად, არის სპონტანური და ასახავს რეალობას. თუმცა, ეს ყოველთვის სიმართლეს არ შეესაბამება. დაინელის (2017) თანახმად, სატელევიზიო შოუები, ქუიზ და ტალანტ-შოუები შეიცავს არასპონტანურ, სცენარით გაწერილ ელემენტებს, მაყურებლის გართობისა თუ დაინტერესების მიზნით წინასწარ მომზადებულ ტექსტებს, რომლებსაც მოსაუბრე იყენებს შესაბამისი მომენტის დადგომისთანავე. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება არ ცვლის ფაქტს, რომ მოსაუბრე აკეთებს კონკრეტულ ენობრივ არჩევანს – იყენებს ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებს, გამონათქვამებს, ფორმულირებას (Dyner, 2017). იგივე შეიძლება ითქვას რეალთი შოუების ჟანრზე, რომელიც, ასევე, ნაწილობრივ, სცენარს ეფუძნება. მასში გადმოცემულია წინასწარ დადგმული სიატუაციები, თუმცა, წარმოდგენილი ინტერაქციები ძალიან ახლოსაა რეალურ, ყოველდღიურობაში გამოყენებულ ენასთან და წარმოადგენს ბუნებრივ, არამხატვრულ, თუმცა, მასმედიის ფორმით გავრცელებულ მონაცემთა ბაზას (Sinkeviciute, 2014, 2017).

რაც შეეხება დოკუმენტურ სერიალებს, იმავე დოკუმენტურ დრამებს (docusoaps, docudramas), დაინელის (2017) თანახმად, ისინი შუალედურ კატეგორიას წარმოადგენენ მხატვრულ და არამხატვრულ პროგრამებს შორის. მათი მიზანია, დაარწმუნონ მაყურებელი, რომ ის უყურებს რეალურ, სპონტანურ სიტუაციებს და მათში მონაწილე ადამიანები არიან რეალური ინდივიდები და არა მსახიობები ან მოხალისეები წინასწარ დადგმული სცენარითა და ტექსტით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დოკუმენტური სერიალის შემთხვევაში ეს ნამდვილად სიმართლეს შეესაბამება, არსებობს ისეთებიც (მაგალითად, „The Academy“), სადაც სცენები დადგმულია მსახიობებისა და მოხალისეთა მონაწილეობით. დამდგმელი ჯგუფი მონაწილეებს ზოგად მონახაზს აწვდის იმის შესახებ, თუ რა მესიჯი უნდა გადმოსცენ მათ და დაახლოებით როგორ. თუმცა, საბოლოოდ, კონკრეტული ენის, გამონათქვამების გამოყენება და ინტერაქციები თავად

მოსაუბრეთა შესრულებასა და დამაჯერებლობაზეა დამოკიდებული. დისკურსის ანალიზის კუთხით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ დოკუმენტურ დრამებში წარმოდგენილი დისკურსი არც სპონტანურია და არც არამხატვრული მიუხედავად იმისა, რა შთაბეჭდილება რჩება მაყურებელს (Dynel, 2017).

წარმოგიდგენთ (არა)თავაზიანობის ფენომენის არსებული კვლევების ჩამონათვალს არამხატვრული სატელევიზიო ჟანრების ფარგლებში:

1. პოლიტიკური სატელევიზიო პროგრამები, დისკუსიები, ინტერვიუები და თოქ-შოუები – Clayman and Heritage, 2002; Dynel, 2011a; Garcés-Conejos Blitvich, 2009; García-Pastor, 2002, 2008; Hernández-Flores, 2008; Kerbrat-Orecchioni, 2013; Kienpointner, 2008; Lorenzo-Dus, 2007, 2009b; Piirainen-Marsh, 2005; Tracy, 2008; Koroshinadze, N., 2019; Rusieshvili, M. and Dolidze, R., 2015;
2. ქუიზ და ტალანტ-შოუები – Culpeper, 2005; Culpeper and Holmes, 2013; Garcés-Conejos Blitvich, Bou-Franch and Lorenzo-Dus, 2010, Garcés-Conejos Blitvich, Bou-Franch and Lorenzo-Dus, 2013; Lorenzo-Dus, 2009a; Lorenzo-Dus, Bou-Franch and Garcés-Conejos Blitvich, 2013;
3. რეალითი გეიმ შოუები – Blas Arroyo, 2013; Gordon, 2013; Sinkeviciute, 2014, 2015, 2017;
4. დოკუმენტური ფილმები და სერიალები (docusoaps) – Bousfield, 2007, 2008a, 2008b; Culpeper, 1996; Culpeper, Bousfield and Wichmann, 2003; Limberg, 2008.

აღსანიშნავია, ასევე, (არა)თავაზიანობისა და იდენტობის თემაზე არსებული კვლევები სოციალური ქსელის, ინტერნეტ/ონლაინ კომუნიკაციის, იმავე, კომპიუტერული დისკურსის ფარგლებში – Bedijs, K., Held, G. and Maass, C. (Eds.), 2014; Bou-Franch, P., Lorenzo-Dus, N. and Garcés-Conejos Blitvich, P., 2012; Caro Castaño, L., 2012; DeAndrea, DC, Shaw, AS and Levine, TR, 2010; Díaz Pérez, JC, 2014; Dynel, M., 2012a; Herring, S., 2001; Rusieshvili-Cartledge, M. and Dolidze, R., 2020.

3.2. მხატვრული მედია დისკურსი

წარმოდგენილ ქვეთავში საუბარია მხატვრულ, კერძოდ, ფილმის დისკურსზე. მხატვრულ ფილმებსა და სერიალებში ინტერაქციის მონაწილეები არიან გამოგონილი პერსონაჟები, გმირები და მათ შორის მიმდინარეობს, ასევე, გამოგონილი, სცენარით გაწერილი და არაავთენტური (არანამდვილი) ინტერაქციები (Chovanec, 2011; Bednarek, 2010; Spitz, 2005). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მხატვრული ფილმის დისკურსი არის არაფაქტობრივი, არაემპირიული (anti-empirical) და ხელოვნური (Kozloff, 2000). ამის საპირისპიროდ, მკვლევრები, რომლებიც მხატვრული ფილმის დისკურსის მასალაზე მრავალ სხვადასხვა ლინგვისტურ ფენომენს შეისწავლიან, ამტკიცებენ, რომ ფილმის დისკურსი რეალური, ყოველდღიური დისკურსის ტიპურ მაგალითებს გვთავაზობს, ასახავს ენის რეალურ გამოყენებას (Alvarez-Pereyre, 2011; Bednarek, 2010, 2011; Berliner, 1999; Dynel, 2011b, 2015; Emmison, 1993; Forchini, 2012; McHoul, 1987; Murphy, 1977; Piazza, 2006; Rose, 2001; Richardson, 2010a; Rudanko, 2006; Spitz, 2005; Tannen and Lakoff, 1994). მკვლევართა აღნიშნული ნაწილი მიიჩნევს, რომ მხატვრული დისკურსი, ჩვეულებრივ, რეალური სიტუაციის ილუზიას გვიქმნის, წარმოგვიდგენს იმას, რასაც კონკრეტული კულტურის წარმომადგენლები მოცემულ მომენტში დამაჯერებლად, ავთენტურად (ნამდვილად) მიიჩნევენ (Spitz, 2005; Stokoe, 2008; Herman, 1995; Kozloff, 2000) (“a complex code of what a culture at a given time agrees to accept as plausible, everyday, authentic”, Kozloff 2000, 47). მას რეალური, ცხოვრებისეული დისკურსის ნიმუში უდევს საფუძვლად (Piazza, 2006). სცენარის ავტორები ცდილობენ გადმოსცენ ის, რასაც რეალურ გარემოში გააკეთებდნენ რეალური ადამიანები (Rey, 2001). სწორედ ამიტომ, მხატვრულ ფილმებში წარმოდგენილ ინტერაქციებს ხშირად იყენებენ (არა)თავაზიანობის ფენომენის შესწავლისას, როგორც რეალური, ცხოვრებისეული დისკურსის, ენის ამსახველს. დაინელის (2017) განმარტებით, ის, თუ რამდენად ასახავს გამოგონილი რეალობას,

დამოკიდებულია დროსა და კონკრეტულ კონტექსტზე, ასევე, ფილმის ჟანრზე (Dyrel, 2017).

აღსანიშნავია, რომ ძალიან მწირია აკადემიური, თეორიაზე დაფუძნებული კვლევები მხატვრული მედია დისკურსის მასალაზე. მეცნიერები (არა)თავაზიანობის ფენომენს ფილმის დისკურსში შეისწავლიან ინტერაქციის პრაგმატიკის კუთხით, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა მაყურებელთა აღქმას (ე.წ. ექსტრადიეგეტური კომუნიკაცია), კერძოდ, როგორ აღიქვამს მაყურებელი სცენარისტისა და გადამღები ჯგუფის მიერ მოწოდებულ მესიჯს. ამგვარ კვლევებში, კულპეპერის (Culpeper, 2005, 2011) მსგავსად (რომელიც არათავაზიანობის ფენომენს იკვლევს სატელევიზიო პროგრამის – „The Weakest Link“ – მასალაზე), არათავაზიანობა განხილულია, როგორც იუმორის, მაყურებლის სიამოვნების წყარო (Dyrel, 2013). კერძოდ, საუბარია იუმორზე, რომელიც ადამიანის („მსხვერპლის“) დამცირებას, კრიტიკას, შეურაცხყოფას, დაცინვას გულისხმობს.

ასევე, არსებობს ფილმის დისკურსში არათავაზიანობის ფენომენის კვლევები სტილისტური პრაგმატიკის კუთხით, სადაც (არა)თავაზიანობა განხილულია, როგორც ენობრივი საშუალება პერსონაჟის ტიპაჟის შესაქმნელად, სიუჟეტის განვითარებისთვის და გმირებს შორის კომუნიკაციისთვის (ე.წ. დიეგეტური კომუნიკაცია) (Bednarek, 2012; Bousfield and McIntyre, 2011; Culpeper, 1998, 2001; Mandala, 2011; Chapman and Clark, 2014). ამგვარ შრომებში მკვლევრები (არა)თავაზიანობის ფენომენს განიხილავენ, როგორც ფიქციურს, ანუ გამოგონილს და კვლევის შედეგებს არ განავრცობენ რეალურ ცხოვრებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოგონილი, მხატვრული მასალის შესწავლა მკვლევარს აძლევს საშუალებას, გამოავლინოს კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებული იდეოლოგია, რომელსაც მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში (ფილმში) განამტკიცებენ, დასცინიან ან ეჭვქვეშ აყენებენ მის ღირებულებას. შერჩეული მხატვრული ფილმებისა და სერიالების დისკურსის ანალიზისთვის (არა)თავაზიანობის სხვადასხვა თეორიის გამოყენება მკვლევართა მიერ მიგვანიშნებს, რომ ისინი ადასტურებენ აღნიშნული თეორიების ღირებულებას, შესაბამისობას მხატვრული ფილმის დისკურსის

შესწავლისთვის (Dyner, 2017). შესაბამისად, ქმნიან მტკიცებულებას მხატვრული ფილმის დისკურსისა და რეალური, ცხოვრებისეული დისკურსის მსგავსების შესახებ (გამოგონილის სინამდვილესთან მსგავსება) (Jobert, 2013; Kantara, 2010; Piazza, 2011; Pillière, 2013; Richardson, 2010a).

და ბოლოს, მხატვრული ფილმის დისკურსიდან აღებულ მაგალითებს მკვლევრები თავიანთი ხედვის, პოსტულატების საილუსტრაციოდ იყენებენ (Dyner, 2012b, 2016; Haugh, 2015; Kádár, 2013; Kádár and Haugh, 2013). ამგვარად, მათთვის, მხატვრული ფილმის დისკურსი საილუსტრაციო მონაცემთა ბაზაა. მეცნიერები, რომლებიც მხატვრულ დისკურსს განიხილავენ, როგორც რეალურს, ამით, თავისთავად, იზიარებენ პოზიციას, რომ მხატვრულ ფილმებში წარმოდგენილი სიტუაციები რეალურის მსგავსია, ასახავს რეალობას, ენის რეალურ გამოყენებას (Dyner, 2017).

მესამე თავის დასკვნა

(არა)თავაზიანობის ფენომენის თანამედროვე კვლევები, უმეტესად, მედია დისკურსის მასალაზე დაფუძნებული, რადგან იგი ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს კვლევისთვის და, ასევე, გვთავაზობს მონაცემთა საკმაოდ მდიდარ ბაზას. დღესდღეობით, აკადემიურ სივრცეში არამხატვრული მედია დისკურსის მასალაზე დაფუძნებული მრავალი კვლევაა გამოქვეყნებული. მათთვის საკვლევ ბაზას წარმოადგენს პოლიტიკური სატელევიზიო პროგრამები, დისკუსიები, ინტერვიუები და თოქ-შოუები, სატელევიზიო შოუები, ქუიზ და ტალანტ-შოუები, რეალითი შოუები, დოკუმენტური სერიალები, იგივე დოკუმენტური დრამები. თუმცა, მწირია აკადემიური, თეორიაზე დაფუძნებული კვლევები მხატვრული მედია დისკურსის, კერძოდ, მხატვრული ფილმის დისკურსის მასალაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა აზრი იყოფა. ნაწილი თვლის, რომ მხატვრული, კერძოდ, ფილმის დისკურსი არაფაქტობრივი, არაემპირიული და ხელოვნურია, თუმცა, მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მხატვრული ფილმის დისკურსი, შეგვიძლია, გამოვიყენოთ სხვადასხვა ლინგვისტური თეორიის გასამყარებლად. ასევე, აღნიშნული დისკურსის შესასწავლად შეგვიძლია, გამოვიყენოთ თეორიები, რომლებიც რეალურ, ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ კომუნიკაციას უკავშირდება. მკვლევრები, რომლებიც მხატვრული ფილმის დისკურსის მასალაზე მრავალ სხვადასხვა ლინგვისტურ ფენომენს შეისწავლიან, ამტკიცებენ, რომ მხატვრული ფილმის დისკურსი რეალური, ყოველდღიური დისკურსის ტიპურ მაგალითებს გვთავაზობს, ასახავს ენის რეალურ გამოყენებას. მხატვრულ ფილმებსა და სერიალებში წარმოდგენილ ინტერაქციებს რეალური, ცხოვრებისეული დისკურსის ნიმუში უდევს საფუძვლად.

მხატვრულ ფილმებში წარმოდგენილ ინტერაქციებს იყენებენ, მათ შორის, (არა)თავაზიანობის ფენომენის შესწავლისას, როგორც რეალური, ცხოვრებისეული დისკურსის, ენის ამსახველს.

აღსანიშნავია, რომ ის, თუ რამდენად ასახავს გამოგონილი რეალობას, დამოკიდებულია კულტურაზე, დროსა და კონკრეტულ კონტექსტზე, ასევე, ფილმის ჟანრზე.

თავი IV

ემპირიულ მონაცემთა ანალიზი

წინამდებარე თავის ფარგლებში მოცემულია კვლევისთვის შერჩეული ემპირიული მონაცემების, კერძოდ, ოცდამეერთე საუკუნის ქართული და ამერიკული მხატვრული სატელევიზიო სერიალებიდან – „ჩემი ცოლის დაქალები“ და „Modern Family“ („თანამედროვე ოჯახი“) – მოპოვებული, ოჯახის წევრთა შორის ინტერაქციის ცალკეული მაგალითები და მათი დეტალური ანალიზი. შესწავლილი 26 სეზონის („ჩემი ცოლის დაქალები“ – 15 სეზონი – 747 სერია, „Modern Family“ – 11 სეზონი – 249 სერია) ფარგლებში კვლევისთვის შერჩეული კონკრეტული გმირების მიერ არათავაზიანი ქცევის შესრულების გამოვლენილი მრავალი შემთხვევიდან დისერტაციაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ოჯახის წევრთა შორის ინტერაქციის 14 მაგალითი („ჩემი ცოლის დაქალები“ – 7 მაგალითი, „Modern Family“ – 7 მაგალითი). კვლევისთვის შერჩეულია მხოლოდ ის ინტერაქციები, რომელთა ფარგლებშიც გამოვლინდა არათავაზიანობა, კერძოდ, ცალკეული პიროვნების მიერ არათავაზიანი ქცევის განმეორებით შესრულების, ანუ არათავაზიანი იდენტობის შემთხვევები. წარმოდგენილია აღნიშნული ზეპირი ინტერაქციების ჩანაწერი ტრანსკრიპტის სახით.⁶ მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი, შერეული მოდელი, რომელიც აერთიანებს დაღმავალ (ზევიდან ქვევით, top-down), თეორიაზე დამყარებულ, პროგნოზული ხასიათის ხედვას, რომლის საფუძველზეც, მკვლევარს შეუძლია ცალკეული ენობრივი გამოხატულება (პრაქსისი) შეაფასოს, როგორც (არა)თავაზიანი და აღმავალ (ქვევიდან ზევით, bottom-up), დისკურსულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, (არა)თავაზიანობის ფორმირება, ანუ (არა)თავაზიანი ქცევის შესრულება და ინტერპრეტაცია ხდება ინტერაქციისას და, შესაბამისად, მკვლევარს აქვს საშუალება,

⁶ დისერტაციის ბოლოს იხ. დანართი – პირობითი აღნიშვნები.

გამოავლინოს პრაქტიკაში არსებული (არა)თავაზიანობის შემთხვევები ცალკეულ ინტერაქციებზე დაკვირვების გზით, მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა მიერ გაკეთებულ შეფასებებზე, მათ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) განმარტებით, როდესაც მკვლევარი აფასებს ამა თუ იმ ქცევას, როგორც (არა)თავაზიანს, მან უნდა გამოიყენოს ორივე მიდგომა, როგორც თეორიული, ისე დისკურსული, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული ქცევის მისეული შეფასება ემთხვევა კომუნიკაციაში მონაწილეთა დამოკიდებულებებსა და შეფასებებს.

ემპირიულ მონაცემთა ანალიზი ეფუძნება ნაშრომის თეორიულ ბაზას, კერძოდ: 1. იდენტობის ფენომენის სოციალურ-კონსტრუქტივისტულ ხედვას (“*Who said what: Subject positions, rhetorical strategies and good faith*”, Anton and Peterson, 2003; “*Language and identity: National, ethnic, religious*”, Joseph, 2004; “*Identity and interaction: a socio-cultural linguistic approach*”, Bucholtz and Hall, 2005; “*Discourse and identity*”, De Fina et al., 2006), რომლის თანახმად, პიროვნების იდენტობა არ არის ერთი, თანდაყოლილი, უცვლელი მოცემულობა და იგი მრავალი სხვადასხვა ლოკალური – კონკრეტული კონტექსტით განპირობებული – იდენტობის კომბინაციას წარმოადგენს. მისი ფორმირება, შენარჩუნება, შეცვლა ხდება მუდმივად, ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე და ამ პროცესში ჩართულია როგორც თავად მოცემული პიროვნება, ასევე, ის ადამიანები, რომლებთანაც მას ცხოვრების მანძილზე აქვს ურთიერთობა; 2. გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივ, იმავე დისკურსულ, პოსტმოდერნულ მოდელს (“*A genre approach to the study of im-politeness*”, Garcés-Conejos Blitvich, 2010a), რომლის თანახმადაც, დისკურსი ყოველთვის სიტუაციურადაა განპირობებული და ყოველთვის რეგულირდება ჟანრით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსაუბრე მიმართავს სახისთვის საფრთხის შემცველ ენობრივ ქცევას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი არღვევს ცალკეული დისკურსის ფარგლებში დაწესებულ კომუნიკაციურ ნორმებს და არ ითვალისწინებს კონკრეტული ჟანრის საზღვრებში, ინტერაქციის კონტექსტში არსებულ მოლოდინებს მოცემულ კულტურულ გარემოში; და

3. ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის თეორიას (*“Politeness. Some universals in language usage”*, Brown and Levinson, 1978, 1987). წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ამ უკანასკნელ ავტორთა მიერ შემუშავებული მოდელის ჩვენეული მოდიფიკაცია, კერძოდ, აღნიშნული ავტორები შეისწავლიან *სახისთვის შექმნილ საფრთხეს* და მის პოტენციურ სიმძიმეს სამეტყველო აქტების პერსპექტივიდან და, ამგვარად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სფეროს განვითარებაში. რაც შეეხება მათი მოდელის ჩვენეულ მოდიფიკაციას, მის მიზანს წარმოადგენს *არათავაზიანი ქცევის* (და არა სამეტყველო აქტის) უფრო ფართო ჭრილში – კომუნიკაციის კონტექსტში – შესწავლა.

წარმოდგენილი ნაშრომი **შეისწავლის** არათავაზიანობის ენობრივ და სოციალურ გამოვლინებებს და მის როლს პიროვნების იდენტობის ფორმირების პროცესში ქართული და ამერიკული ოჯახის დისკურსის, როგორც ჟანრის, მაგალითზე. ოჯახის წევრთა შორის ყოველდღიური ინტერაქციების შესწავლა კი მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემო, რომელიც ინტიმურობით ხასიათდება, სადაც მიმდინარეობს პიროვნების იდენტობის ფორმირებაზე მუშაობა და ხდება ადამიანის სოციალიზაცია. ოჯახის დისკურსის – ოჯახის წევრთა შორის ყოველდღიური ინტერაქციების – ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ ცალკეული პიროვნების მიერ არათავაზიანი ქცევის განმეორებით შესრულების შემთხვევები და, შესაბამისად, მეტად სიღრმისეულად და არგუმენტირებულად ვისაუბროთ არათავაზიანობისა და იდენტობის ურთიერთკავშირზე.

მხატვრული სატელევიზიო სერიალები ხელსაყრელ ბაზას გვთავაზობს ოჯახის დისკურსის შესწავლისთვის. მათში წარმოდგენილი ინტერაქციები მოცემულ ნაშრომში განხილულია, როგორც რეალური შემთხვევები, რადგან აღნიშნულ სატელევიზიო სერიალებში ასახული სიტუაციები რეალურის შთაბეჭდილებას ტოვებს, ცხოვრებისეულ მაგალითებს ეფუძნება. ამის საპირისპიროდ, თუ ოჯახის დისკურსის შესწავლას რეალურ გარემოში შევეცდებით, უნდა დავაკვირდეთ ცალკეული, კვლევისთვის შერჩეული ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგალითად,

ჩავიწერთ კამერის საშუალებით და აუცილებლად უნდა დავიცვათ ეთიკის კოდექსი, რომლის თანახმადაც, უნდა მოხდეს მოცემული ოჯახის წევრთა ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. ეს კი, დიდი ალბათობით, გამოიწვევს მათი მხრიდან ქცევის შეცვლას. აქედან გამომდინარე, მსგავსი კვლევის შედეგები არ ასახავს უტყუარ რეალობას და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება ღირებულად.

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომში ოჯახის დისკურსი განხილულია, როგორც ჟანრი. როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, ოჯახის არსებობის ძირითად საფუძველს და, შესაბამისად, ოჯახის დისკურსის უმთავრეს მიზანს ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, თანადგომის, პატივისცემის, მზრუნველობის გამოხატვა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ გარემოდ, სადაც არათავაზიანობა, სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა გარკვეულ დონეზე მოსალოდნელია უფრო მაღალი მიზნების მისაღწევად (როგორცაა, მაგალითად, შვილების სოციალიზაცია) (იხ. Culpeper, 2008), გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) თანახმად, არსებობს საზღვრები, რომლებიც მიგვანიშნებს, თუ როგორი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული საზღვრების უგულვებელყოფად თუ დარღვევად და, შესაბამისად, შეფასდეს, როგორც არათავაზიანი ქცევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საზღვრები ყოველთვის მკაფიოდ არ არის გამოხატული. როგორც გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩი, ბოუ-ფრანჩი და ლორენცო-დუსი (2013) განმარტავენ, ცალკეული ჟანრის საზღვრების ფორმირება ხდება ცალკეულ სიტუაციებში (კონტექსტში) ინტერაქციის მონაწილეთა ერთობლივი ჩართულობისა და შეთანხმების, მოლაპარაკების (negotiation) შედეგად სტილის დონეზე (“those limits are not absolute, but often fuzzy, and always situated, co-constructed and negotiated at the level of style”, Garcés-Conejos Blitvich 2010a, 62). სტილის ცნება კი ეხება ენისა და არავერბალური კომუნიკაციის როლს ცალკეული სოციალური თუ ინდივიდუალური იდენტობების ფორმირების პროცესში. ნებისმიერი ადამიანის ქცევის/კომუნიკაციის სტილი, ამ შემთხვევაში, გულისხმობს გამოხატვის არავერბალური ფორმებისა და ენის, როგორც თვითიდენტიფიკაციის საშუალების მისეულ გამოყენებას. პიროვნების განმეორებითი ქცევა – ვერბალური თუ არავერბალური – ქმნის მის სტილს.

ადამიანები ქცევის/კომუნიკაციის სტილს ცვლიან ცალკეული ინტერაქციის – კონტექსტის, სოციალური გარემოს, ჟანრის – შესაბამისად (Fairclough, 2003).

მონაცემთა დეტალური შესწავლისა და ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნაშრომის შემდეგ ძირითად საკვლევ საკითხებს:

1. რა კავშირი იკვეთება არათავაზიანობასა და იდენტობას შორის;
2. რა ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს იყენებს მოსაუბრე არათავაზიანი ქცევის შესრულებისას;
3. მიმართავს თუ არა მოსაუბრე არათავაზიან ქცევას, გამოკვეთილად, ოჯახის რომელიმე ცალკეულ წევრთან ინტერაქციისას და, კონტექსტიდან გამომდინარე, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი;
4. რა შესაძლო მიზეზი და შედეგი აქვს მოსაუბრის მიერ არათავაზიანი ქცევის შესრულებას ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას;
5. ემთხვევა თუ არა ინტერაქციის მონაწილეთა მიერ კონკრეტული არათავაზიანი ქცევის აღქმა, შეფასება აღნიშნული ფენომენის მეცნიერულ დეფინიციას, კერძოდ, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) განმარტებას – (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი, იმავე დისკურსული, პოსტმოდერნული მოდელის ფარგლებში;
6. რა მსგავსებები და განსხვავებები ვლინდება ზემოთ ჩამოთვლილ საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით კვლევაში წარმოდგენილ ორ სხვადასხვა კულტურულ გარემოში – ქართულ და ამერიკულ ოჯახში;
7. ადასტურებს თუ არა წინამდებარე კვლევის შედეგები დისერტაციაში წარმოდგენილ ხედვას სოციალური სიახლოვის/ინტიმურობის და ძალაუფლების შესახებ (ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მოდელის ჩვენეული მოდიფიკაცია).

სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიდგომის თანახმად (Anton and Peterson, 2003; Joseph, 2004; Bucholtz and Hall, 2005; De Fina et al., 2006), იდენტობა, მისი ღრმა, სემანტიკური გაგებით, არის არა მოცემულობა, რომელიც ადამიანს თანდაყოლილად გააჩნია, არამედ მისი ფორმირება მუდმივი პროცესია (De Fina et al., 2006). იდენტობა არის სოციალურად აგებული, ანუ ინტერაქციის მონაწილე პირთა ერთობლივი ჩართულობის შედეგად ფორმირებული, ცალკეული დისკურსის ფარგლებში შესრულებული ვერბალური თუ არავერბალური ქცევის შედეგი. შეუძლებელია ცალკეული ინდივიდის მიერ საკუთარი თუ სხვათა იდენტობების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება. იდენტობათა აგება ცალკეული დისკურსის (სოციალური ინტერაქციის) მონაწილეთა შორის შეთანხმების, მოლაპარაკების (negotiation) და კონტექსტუალიზაციის პროცესების შედეგად ხდება. ამიტომაც, სოციალური ურთიერთობები იდენტობათა ერთობლივი აგების პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს (Chouliaraki and Fairclough, 1999). იდენტობების გამოხატვა, აგება, შენარჩუნება, მათზე შეთანხმება, მოლაპარაკება (negotiation) ხდება კონკრეტულ, ლოკალურ გარემოში – მოცემული ინტერაქციის კონტექსტში (Butler, 1990; Bucholtz and Hall, 2005). სწორედ ცალკეული ინტერაქციების შესწავლის გზით არის შესაძლებელი იდენტობის ფენომენის სიღმისეული კვლევა. იდენტობა, ასევე, განხილულია, როგორც ცალკეული დისკურსის მიმდინარეობისას შესრულებული ქცევა, ანუ მოცემული პიროვნების ვერბალური თუ არავერბალური გამოხატულება (პრაქსისი) კონკრეტული სოციალური და ისტორიული კონტექსტის ფარგლებში (იხ. Butler 1990).

იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ, ემთხვევა თუ არა ცალკეული ინტერაქციის მონაწილეთა მიერ კონკრეტული არათავაზიანი ქცევის აღქმა, შეფასება აღნიშნული ფენომენის მეცნიერულ დეფინიციას, კერძოდ, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) განმარტებას – (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი, იმავე დისკურსული,

პოსტმოდერნული მოდელის ფარგლებში, წარმოგიდგენთ (არა)თავაზიანობის ფენომენის აღნიშნულ განმარტებებს:

ჟანრებში, რომლებშიც სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არ არის ნორმა, ანუ ამგვარი ქცევა არ არის მისაღები თუ მოსალოდნელი, გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩი (2010a) არათავაზიანობას შემდეგნაირად განმარტავს: „1. ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებისა თუ ინტონაციური მოდელების გამოყენება, რომლებიც არ არის ასოცირებული ცალკეულ (წინარე) ჟანრთან (არ არის მისთვის დამახასიათებელი) და/ან არის 2. (წინარე) ჟანრობრივი თუ კომუნიკაციური ნორმების უგულვებელყოფა, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არათავაზიანია ქცევა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც სახისთვის საფრთხის შემცველი.“ („(i) the use of lexico-grammatical strategies or realizations of prosodic features not typically associated, i.e. not recurrent, with a specific (pre)genre which and/or (ii) a disregard for the established, (per)genre-sanctioned, norms and interactional parameters regulating the rights and obligations associated therein with a given individual/social identity which can thus be interpreted as face threatening.“) Garcés-Conejos Blitvich 2010a, 63).

ჟანრებში, რომლებშიც სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არის ნორმა, ანუ არის მისაღები და მოსალოდნელი, ცალკეული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი, როდესაც: 1. შეუსაბამობაა ინტერაქციის სოციალურ, ჟანრობრივ ნორმებსა და მონაწილეთა პირად ემპირიულ გამოცდილებასა თუ მოლოდინებს შორის; 2. სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არღვევს ჟანრის ფარგლებში დაწესებულ საზღვრებს, რომლებიც არეგულირებს, თუ რა სახის ქცევა არის მისაღები მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის.“ ((i) when there is a mismatch between the social, generic, norms of the interaction and the participants' background and expectations, i.e. experiential norms; (ii) when the face-threatening behaviour goes beyond the genre-established limits of what is acceptable as the normal course of events“, Garcés-Conejos Blitvich 2010a, 63).

და ბოლოს, წარმოგიდგენთ თავაზიანობის თეორიის ფარგლებში ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მიერ შემუშავებული მოდელის ჩვენეულ მოდიფიკაციას, რაც წინამდებარე ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს** განსაზღვრავს:

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თანახმად, როცა ადამიანი საფრთხეს უქმნის საკუთარ თუ სხვის (თანამოსაუბრის, მსმენელის/ადრესატის) სახეს, იგი ასრულებს სახისთვის საფრთხის შემცველ აქტს (face-threatening act – FTA). ავტორები განმარტავენ, რომ მათ მიერ გამოყენებული ტერმინი „აქტი“ გულისხმობს თუ რა მიზანს ემსახურება, რა ფუნქციას ასრულებს ცალკეული გამონათქვამი თუ არავერბალური ქცევა (verbal or nonverbal communication). ამგვარად, მათი თეორიის ფარგლებში აღნიშნული ტერმინი სამეტყველო აქტის სინონიმური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ავტორები სახისთვის საფრთხის შემცველ აქტებს განასხვავებენ იმისდა მიხედვით, თუ ვისი სახისთვის წარმოადგენენ ისინი საფრთხეს. მაგალითად, ბოდიშის მოხდა და აღიარება (apologies and confessions), უმთავრესად, საფრთხეს უქმნის მოსაუბრის სახეს, რჩევის მიცემა და ბრძანება (advice and orders) – მსმენელის/ადრესატის სახეს, ხოლო თხოვნა/მოთხოვნა და შეთავაზება (requests and offers) საფრთხის შემცველია როგორც მოსაუბრის, ისე ადრესატის სახისთვის.

თავაზიანობის თეორიის ფარგლებში ბრაუნი და ლევინსონი (1987) გამოყოფენ სამ ძირითად ფაქტორს, რომლებიც განაპირობებს, როგორც მოსაუბრის, ისე მსმენელის/ადრესატის სახისთვის რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს მოსაუბრის მიერ შესრულებული ცალკეული სამეტყველო აქტი. ეს ფაქტორებია: თანამოსაუბრეებს შორის არსებული სოციალური დისტანცია; შეფარდებითი ძალაუფლება მოსაუბრესა და ადრესატს შორის და ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი.

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) განმარტებით, სოციალური დისტანციის მნიშვნელობა განსხვავდებულაა სხვადასხვა კულტურაში, თუმცა, უმეტესად, იგი გულისხმობს, თუ რამდენად ახლო ურთიერთობაა, რამდენად ხშირია კომუნიკაცია

თანამოსაუბრეებს შორის – ერთმანეთისთვის ნაცნობები არიან თუ უცნობები; ძალაუფლება, ავტორთა განმარტებით, უკავშირდება პიროვნების სოციალურ თუ ეკონომიკურ სტატუსს (პატივისცემის დონე, deference), ასევე, კონტროლს სხვათა მოქმედებაზე. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ძალაუფლება შეიძლება იყოს სიტუაციურად განპირობებული, მაგალითად, იარაღიან პიროვნებას ენიჭება შეფარდებითი ძალაუფლება უიარაღოსთან მიმართებით. ხოლო იმპოზიცია არის ცვლადი (სიდიდე), რომლის მნიშვნელობაც, ასევე, განსხვავდება კულტურათა შორის და სიტუაციის მიხედვით და რომელიც ეხება სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის შინაარსს (intrinsic face-threatening content of the FTA) – რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება (amount of “pain” given to H’s face).

ავტორები აღნიშნულ ხედვას შემდეგი ფორმულის სახით წარმოგვიდგენენ:

$$W_x = D(S, H) + P(H, S) + R_x$$

(Brown and Levinson 1987, 76)

W აღნიშნავს სახისთვის საფრთხის შემცველი აქტის სიმძიმეს, ანუ სახის შელახვის პოტენციურ ხარისხს (Weightiness of a face-threatening act), D – თანამოსაუბრეთა შორის არსებულ სოციალურ დისტანციას (Social Distance), S – მოსაუბრეს (Speaker), H – მსმენელს/ადრესატს (Hearer/Addressee), P – ძალაუფლებას (Power difference), ხოლო R (Ranking of imposition) – ე.წ. იმპოზიციის ანუ აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის ხარისხს – რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება. შესაბამისად, რაც უფრო დიდია მოსაუბრესა და მსმენელს/ადრესატს შორის არსებული სოციალური დისტანცია D (S, H) და ადრესატის შეფარდებითი ძალაუფლება მოსაუბრესთან მიმართებით P (H, S), ასევე, ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი, ანუ რაც უფრო მეტად მძიმე თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება, მით უფრო დიდი საფრთხე ექმნება როგორც მოსაუბრის, ისე

მსმენელის/ადრესატის სახეს, იმისდა მიხედვით თუ, უმთავრესად, ვისი სახისთვისაა საფრთხის შემცველი მოსაუბრის მიერ შესრულებული კონკრეტული სამეტყველო აქტი (Brown and Levinson, 1987).

მეცნიერები ძალაუფლების მრავალ განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობენ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ძალაუფლება, ბრაუნისა და ლევისონის (1987) მიერ შემოთავაზებულ განმარტებასთან ერთად, შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი გავრცელებული გაგებით: პიროვნებას აქვს ძალაუფლება სხვა პიროვნებასთან მიმართებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სტრატეგიულად აკონტროლებს მოცემული პიროვნების მოქმედებას, ზღუდავს მისი მოქმედების არეალს (strategically constrains person's action-environment) (Wartenberg, 1990). ვარტენბერგი (1990) განასხვავებს ძალაუფლების ქონას (possession of power; capacity which an agent has) და ძალაუფლების გამოყენებას (actual exercise of power), კერძოდ, პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება (შესაძლებლობა, capacity) სხვა პიროვნებასთან მიმართებით, თუმცა არ იყენებდეს, არ ავლენდეს მას. ლოქერისა და ბოუსფილდის (2008), თანახმად, ძალაუფლება პირდაპირ კავშირშია არათავაზიანობასთან, რადგან მოსაუბრე, რომელიც არათავაზიან ქცევას ასრულებს, თავს ესხმის და საფრთხეს უქმნის ადრესატის სახეს, ამ გზით გავლენას ახდენს მასზე, კერძოდ, მოცემულ პიროვნებას უზღუდავს საპასუხო მოქმედების არეალს და ამგვარად მასთან მიმართებით საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს, იყენებს ძალაუფლებას (exercise of power). ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, არის ცვალებადი, შეთანხმების, მოლაპარაკებისა და დავის შედეგი (dynamic, fluid, negotiable) და არა უცვლელი (static) მოცემულობა (იხ. Locher and Bousfield, 2008). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, პიროვნება (მოსაუბრე) არათავაზიანი ქცევის საშუალებით ცდილობდეს მოიპოვოს ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით. გარდა ამისა, ვთვლით, რომ ახლო სოციალური, ინტიმური ურთიერთობების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფაქტორია ადრესატის ემოციური დამოკიდებულება (განწყობა) მოსაუბრის მიმართ, კერძოდ, რაც უფრო პატივსაცემი და, ემოციურ დონეზე, მნიშვნელოვანია მოსაუბრე ადრესატისთვის, მით უფრო დიდია მოსაუბრის

შეფარდებითი ძალაუფლება, რადგან ადრესატს მით უფრო მეტად ეზღუდება აღნიშნული მოსაუბრის არათავაზიან ქცევაზე საპასუხო მოქმედების არეალი. მნიშვნელოვანია, რამდენად მოახერხებს იგი საპასუხო მოქმედების მოცემულ შეზღუდულ არეალში საკუთარი ძალაუფლების წარმოჩენას და თავისი იდენტობის დაცვას.

როგორც უკვე აღინიშნა, არათავაზიანობის ფენომენის შესწავლისთვის წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის პოსტმოდერნულ, ჟანრობრივ მოდელს, რომელიც აერთიანებს თეორიულ და დისკურსულ მიდგომას. ეს უკანასკნელი კი სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპების უარყოფასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს დისკურსზე, როგორც საკვლევ საგანზე და ამტკიცებს, რომ არა გამონათქვამები, არამედ მოსაუბრეები არიან (არა)თავაზიანი (Watts, 2008). აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დისერტაციის ფარგლებში ყურადღებას ვამახვილებთ არათავაზიან ქცევაზე (ვერბალური თუ არავერბალური ქცევა. impolite verbal or nonverbal behavior) ცალკეული სოციალური ინტერაქციების (დისკურსის, კომუნიკაციის) კონტექსტში და არა კონკრეტულ სამეტყველო აქტებზე, რომლებსაც მოსაუბრე იყენებს არათავაზიანი ქცევის შესრულებისას. ასევე, არათავაზიანობას განვიხილავთ, როგორც, უმთავრესად, სტრატეგიულ ქცევას, რომელიც საფრთხის შემცველია არა მოსაუბრის, არამედ მსმენელის/ადრესატის სახისთვის. კერძოდ, არათავაზიანი ქცევის საშუალებით მოსაუბრე საფრთხეს არ უქმნის საკუთარ სახეს, პირიქით, იყალიბებს, განამტკიცებს საკუთარ სასურველ იდენტობას, ამ გზით ცდილობს წარმოაჩინოს ან მოიპოვოს შეფარდებითი ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსაუბრე საკუთარი არათავაზიანი იდენტობის ფორმირების პროცესში არ აღიარებს, თავს ესხმის ადრესატის სასურველ იდენტობას, ეჭვქვეშ აყენებს მისი ხედვების, მოთხოვნებისა და გრძნობების ღირებულებას და ამგვარად, საფრთხეს უქმნის ადრესატის სახეს, მის იდენტობას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არათავაზიანი ქცევის სიმძიმიდან თუ სიხშირიდან გამომდინარე, მოსაუბრემ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას

საკუთარ ძალაუფლებას ადრესატთან მიმართებით – ამ უკანასკნელი ტერმინის ჩვენეული ინტერპრეტაციით, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლება პატივისცემასა და ემოციურ დამოკიდებულებას (განწყობას) უკავშირდება.

არათავაზიანობა გვხვდება ყველგან, მათ შორის, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, საჭიროა, გავითვალისწინოთ სოციალური სიახლოვის, ინტიმურობის ფაქტორი. ზოგადად, რაც უფრო ახლო ურთიერთობაა ცალკეულ პიროვნებებს შორის, ჯანსაღ გარემოში, მით უფრო მეტად მნიშვნელოვანია მათთვის თითოეულის მხრიდან ერთმანეთის იდენტობის აღიარება, პატივისცემისა და მზრუნველობის გამოხატვა. შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ არათავაზიანობის გამოვლენამ შეიძლება, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თითოეულის სახეს/იდენტობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო ახლო, ინტიმური ურთიერთობაა მოსაუბრესა და მსმენელს/ადრესატს შორის, და მეტია მოსაუბრის შეფარდებითი ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით, ასევე, ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი, ანუ რაც უფრო მეტად მძიმე თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება, მოსაუბრე, არათავაზიანი ქცევის საშუალებით, მით უფრო დიდ საფრთხეს უქმნის ადრესატის სახეს, ანუ ხელს უშალის მას სასურველი იდენტობის ფორმირებაში.

წინამდებარე ნაშრომის **სიახლეს** განსაზღვრავს ხედვა სოციალური დისტანციის (სიახლოვის, ინტიმურობის), ასევე, ძალაუფლების შესახებ, რომელიც არის ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მოდელის ჩვენეული მოდიფიკაცია. აღნიშნული ხედვა შეგვიძლია, გამოვსახოთ ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მიერ შემუშავებულ ფორმულაში შემდეგი ცვლილების შეტანის გზით – სოციალური დისტანციის ნაწილში მინუს ნიშნის დამატებით (-D) და ძალაუფლების ნაწილში მოსაუბრისა და ადრესატის ადგილების გადანაცვლებით (P (S, H)):

$$W_x = -D(S, H) + P(S, H) + R_x$$

W აღნიშნავს არათავაზიანი, სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევის (და არა სამეტყველო აქტის) სიმძიმეს, ადრესატის სახისთვის/იდენტობისთვის მიყენებული ზიანის პოტენციურ ხარისხს (Weightiness of impolite behavior), D – თანამოსაუბრეთა შორის არსებულ სოციალურ დისტანციას (Social Distance), S – მოსაუბრეს (Speaker), H – მსმენელს/ადრესატს (Hearer/Addressee), P – ძალაუფლებას (Power difference), R – ე.წ. იმპოზიციის, ანუ აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის ხარისხს (Ranking of imposition). აღნიშნული ცვლადი ეხება არათავაზიანი ქცევის შინაარსს და გამოხატავს თუ რამდენად მძიმე, მტკივნეული თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება. და ბოლოს, მინუს ნიშნით (-D) სოციალური დისტანციის უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება. შესაბამისად, რაც უფრო მცირეა მოსაუბრესა და მსმენელს/ადრესატს შორის არსებული სოციალური დისტანცია – -D (S, H), ანუ მეტია სოციალური სიახლოვე, და მოსაუბრის შეფარდებითი ძალაუფლება ადრესატთან მიმართებით – P (S, H), ასევე, ე.წ. იმპოზიციის – აზრისა თუ მოთხოვნის თავს მოხვევის – ხარისხი, ანუ რაც უფრო მეტად მძიმე თუ უსიამოვნოა ადრესატისთვის მის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თუ თავსმოხვეული მოსაზრება, მით უფრო დიდია მოსაუბრის მიერ შესრულებული კონკრეტული არათავაზიანი ქცევის სიმძიმე და, შესაბამისად, ადრესატის სახისთვის, იდენტობისთვის მიყენებული ზიანის პოტენციური ხარისხი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კვლევის თემატიკა, კერძოდ, არათავაზიანობისა და იდენტობის ფენომენის თავისებურებების შესწავლა ოჯახის დისკურსის ჟანრში, ქმნის ბრაუნისა და ლევინსონის (1987) ფორმულაში ამგვარი ცვლილების შეტანის საფუძველს.

4.1. ქართული საკვლევი ბაზის ანალიზი

„ჩემი ცოლის დაქალები“ არის სატირულ-იუმორისტული ჟანრის ქართული სატელევიზიო სერიალი. ეს პოპულარული კულტურა⁷ შექმნილია „ფორმულა კრეატივი“-ს მიერ. სცენარის ავტორი – ქეთი დევდარიანი, რეჟისორები – გიორგი ლიფონავა და თენგიზ მეგრელიძე. აღნიშნული სერიალი პირველად 2011 წელს გავიდა ქართულ სატელევიზიო არხზე – „რუსთავი 2“. სერიალი მაღალი რეიტინგით სარგებლობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მასში აღწერილია მეგობრების ჯგუფი და მათი ყოველდღიური ცხოვრება. სერიებში წარმოდგენილია საინტერესო ცხოვრებისეული საკითხები. „ჩემი ცოლის დაქალები“ ასახავს რეალურ, თანამედროვე სოციალურ პრობლემებს და საქართველოში არსებულ სხვა აქტუალურ საკითხებს, რომლებიც საინტერესოა ყველა თაობის მაყურებლისთვის. ადამიანები აქტიურად განიხილავენ სერიალში წამოჭრილ სხვადასხვა საკითხს სოციალურ ქსელში, სხვადასხვა ვებგვერდებზე, როგორცაა, მაგალითად, Forum.ge, On.ge, Facebook და სხვა. ასევე, არაერთი სტატია მიეძღვნა აღნიშნულ სერიალს შემდეგ ვებგვერდებზე – Ambebi.ge, Kvirispalitra.ge, Intermedia.ge.

მოცემული კვლევა ეფუძნება „ჩემი ცოლის დაქალებში“ წარმოდგენილი ერთ-ერთი ოჯახის მაგალითს, კერძოდ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს – ქეთის და ზაზას – შორის ყოველდღიური ინტერაქციების დეტალურ ანალიზს. რათქმუნდა, ცალკეული ინდივიდების მსგავსად, ოჯახებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კვლევისთვის შერჩეული ოჯახი შეგვიძლია, განვიხილოთ, როგორც ერთი რიგითი ოჯახი. ქეთის და ზაზას წყვილის შერჩევა მათ შორის ყოველდღიური ინტერაქციების დეტალური ანალიზისთვის განაპირობა იმან, რომ აღნიშნული ოჯახის გარემოში არათავაზიანობის გამოკვეთილად მრავალი შემთხვევა გამოვლინდა. ქვემოთ განხილული ყველა მაგალითი ასახავს ქეთის და ზაზას შორის ინტერაქციას (კომუნიკაციას). კვლევის მიზანს კი წარმოადგენს ინდივიდუალური ინტერაქციების დეტალური ანალიზი, რათა

⁷ პოპულარული პროდუქტი, რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს (Fiske, 2010; Milestone, 2012).

გამოვავლინოთ არათავაზიანობის ცალკეული შემთხვევები და ვერბალური თუ არავერბალური საშუალებები, რომლებსაც მოსაუბრე იყენებს არათავაზიანი იდენტობის ფორმირებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არათავაზიანობის როლის დადგენას იდენტობათა აგების პროცესში ოჯახის გარემოში (ოჯახის დისკურსის ჟანრში).

განვიხილოთ ცალკეული მაგალითები.⁸

(1) მაგალითი⁹

მონაწილეები: ქმარი – ზაზა (ზ. ≈27 წლის), ცოლი – ქეთი (ქ. ≈25 წლის), მათი მეზობელი და მეგობარი – ნინა (ნ. ≈25 წლის), ნინას შვილი – ტასო (≈5 წლის), ნინას ბავშვების ძიძა – თაზო (თ. ≈25 წლის). წარმოდგენილ სცენაში ქეთი (ქ.), ნინა (ნ.), ნინას შვილი – ტასო და ძიძა – თაზო (თ.) ნინასთან, მისაღებ ოთახში არიან, ცხელ შოკოლადს სვამენ და ლაპარაკობენ. უცებ კარზე ბრახუნია.

- | | | | |
|----------------|----|----|--|
| ზ. აკაკუნებს | ზ. | 1 | – <i>ვაიმე, (?) გაიღვიძა ბავშვებმა. (2.0)</i> |
| ხმაურიანად. | ზ. | 2 | <i>რანაირად აკაკუნებს ეხლა, ვინ არი?!</i> |
| ზ. ირგვლივ | თ. | 3 | – <i>გამარჯობა, (.) მობრძანდით.</i> |
| იყურება | ზ. | 4 | – <i>რას მიზიხარ, გოგო, აქ? (.)</i> |
| გაბრაზებული. | ზ. | 5 | <i>მოვედი, სახლში არა ხარ, (.)</i> |
| ზ. იყენებს | ზ. | 6 | <i>ბავშვი ჯღავის (.) და მამაჩემს ტვინს უტყენავს. (.)</i> |
| ჟესტიკულაციას. | ზ. | 7 | <i>რას აკეთებ შენ აქ?</i> |
| ქ. შოკოლადს | ქ. | 8 | – <i>რა იყო?! (.) ორი წუთით შემოვედი ცხელ შოკოლადზე.</i> |
| სვამს. | ზ. | 9 | – <i>ადექი და წამოდი!</i> |
| | ქ. | 10 | – <i>მიდი და გამოვალ.</i> |
| ზ. ქ.-ს | ზ. | 11 | – <i>მიდი და გამოვალ კიარა, (.) ადექი, გოგო! (.)</i> |

⁸ დისერტაციის ბოლოს იხ. დანართი – პირობითი აღნიშვნები.

⁹ მოცემული მაგალითი გამოყენებულია სტატიაში. იხ. Khukhunaishvili, 2019b.

- მკლავზე ზ. 12 *შენ ვერახარ კარგად! (.)*
- ჰკიდებს ხელს ზ. 13 *წადი რა! (?)*
- და მიჰყავს. ქ. 14 – *კარგი, (.) მერე შემოვალ. (?)*
[...]
- ზ.-ს ქ. შეჰყავს ქ. 22 – *ვაიმე! (.) ხელი გამიშვი!*
- სამინებელში, ზ. 23 – *შენ, გოგო, ცოტა აზრზე მოდი, (.) გაიგე?! (?)*
- ხელს ჰკრავს ქ. 24 – *რა იყო?*
- მას, ქ. სკამს ზ. 25 – *რამდენჯერ გითხარი, რო*
- ეჯახება, ხელს ზ. 26 *მაგ როჯასთან ერთად ყავის სმას და ტრიპაჩობას*
- იკიდებს ზ. 27 *თავი დაანებე მეთქი?!*
- მკლავზე – ქ. 28 – *ვაიმე, თაზო რა შუაშია? (.)*
- სტკივა. ქ. 29 *ნინასთან ვიყავი შესული. (.)*
- ქ. 30 *პირველად მნახე ნინასთან რო შევდივარ? (?)*
- ზ. თითს ზ. 31 – *არ მევალება მაგ ტიპთან ერთად რო ზიხარ*
- უქნევს ზ. 32 *და რაღაცეებს ბაზრობ! (.)*
- ქ.-ს. ზ. 33 *გასაგებია?! (?) შოკოლადი გაგიკეთათ ბიჭმა? (?)*
- ქ. 34 – *შენ ნორმალური ხარ? (?) (ტირილნარევი ხმით)*
- ქ. 35 *ძიძაა. (.) მე ნინასთან ვიყავი შესული.*
- ზ. 36 – *ხოდა, აღარ შეხვალ!*
- ქ. 37 – *ვაიმე, (.) რატო აღარ შევალ?*
- ზ. 38 – *ვაიმე და ბებიაშენისა!*
- ქ. 39 – *რატო აღარ შევალ? (.) ა? (?) რეებს იგონებ?!*
- ზ. თითს ზ. 40 – *სანამ ეგ ტიპი აქ არი, (.) შენ ნინასთან აღარ შეხვალ!*
- უქნევს ქ. 41 – *რახან თაზომ თაროები გააკეთა,*
- ქ.-ს. ქ. 42 *მაგიტომ ნინასთან აღარ უნდა ვიმეგობრო? (?)*

ქ. ტირის.	ზ. 43	– <u>ხე!</u> (.) <u>ადარ უნდა იმეგობრო!</u> (ღრიალებს)
ზ. მუშტს	ქ. 44	– <u>რა გაყვირებს, რა ?!</u> (?) (ტირის) <u>[ვერ გავიგე.</u>
ურტყამს	ზ. 45	– <u>[ხოდა, თუ ვერ გაიგე, (.)</u>
გარდერობს	ზ. 46	<u>სხვანაირად გაგაგებინებ!</u> (.)
და ამტვრევს.	ზ. 47	<u>დედა შევეცი!</u> (.)
ქ. ტირის.	ზ. 48	<u>შენი ბიჭი დაქალებილა მაკლია ეხლა აქ!</u> (2.0)
ზ. თითს	ზ. 49	<u>არ გაითვალისწინებ და</u>
უქნევს ქ.-ს.	ზ. 50	<u>მოგიტყნავთ პატრონებს!</u> (.) <u>სუყველას!</u> (ღრიალებს)

ზაზა (ზ.) კარს გაიჯახუნებს და ტოვებს ოთახს, ქეთი (ქ.) ტირილს აგრძელებს.

სეზონი 5, სერია 34 (20:35)

მოცემულ სცენაში ზაზა კარზე ბრახუნით შემოდის. როცა თაზო მას კარს უღებს და ესალმება, ზაზა მისალმების გარეშე, პირდაპირ იწყებს ქეთისთან ჩხუბს, მის კრიტიკას: „რას მიზიხარ, გოგო, აქ?! (.) მოვედი, სახლში არა ხარ, (.) ბავშვი ჯღავის (.) და მამაჩემს ტვინს უტყნავს. (.) რას აკეთებ შენ აქ?“ (ხაზი 4-7). ამგვარად, ზაზა გამოხატავს აგრესიას, უპატივცემულობას ქეთის მიმართ. იგი თავიდანვე ხმას უწევს, მიმართავს სათქმელის არათავაზიან ფორმულირებას, იყენებს სკაბრეზულ ფრაზას – ტვინს უტყნავს. საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – მიზიხარ, ჯღავის, ტვინს უტყნავს. ამგვარად, ზაზა საკუთარ იდენტობას წარმოაჩენს, იქმნის, როგორც უხეში, ავტორიტეტული, ძალაუფლების მქონე ქმარი, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ცოლის მიმართ უხეში, უპატივცემულო დამოკიდებულება გამოავლინოს, მათ შორის, სხვათა თანდასწრებით. ქეთი მას მშვიდად პასუხობს: „რა იყე?! (.) ორი წუთით შემოვედი ცხელ მოკლადზე.“ (ხაზი 8). ზაზას მოთხოვნაზე – „ადექი და წამოდი!“ (ხაზი 9) – ქეთის პასუხი – „მიდი და გამოვალ.“ (ხაზი 10) – ზაზასთვის გამაღიზიანებელია. იგი ისევ ხმას უწევს: „მიდი და გამოვალ კიარა, (.) ადექი, გოგო! (.) შენ ვერახარ კარგად! (.) წადი რა! (?)“ (ხაზი 11-13). საყურადღებოა, რომ ზაზა იყენებს ბრძანებით კილოს ქეთისთვის

ინსტრუქციის მისაცემად და მიმართვის ფორმას – „გოგო“, ასევე, ქეთის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებას გამოხატავს ვერბალურად – „შენ ვერახარ კარგად“, და არავერბალურად – მკლავზე უხეშად ჰკიდებს ხელს და ძალით გაჰყავს ოთახიდან. მოცემულ შემთხვევაში ზაზა იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a) – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს. საინტერესოა, რომ ქეთი წინააღმდეგობას არ უწევს ზაზას სასურველ იდენტობას, როგორც ავტორიტეტული, დიქტატორი, მზრძანებელი, ძალაუფლების მქონე, უხეში ქმარი. იგი დაბნეული ჩანს და ცდილობს უხერხულობა განმუხტოს: „კარგი, (.) მერე შემოვალ. (?)“ (ხაზი 14) – ემშვიდობება მეზობლებს.

შემდეგ სცენაში ზაზას ქეთი ძალით შეჰყავს საძინებელში (მას ქეთი მკლავით უჭირავს). ქეთი ბოლოსდაბოლოს აპროტესტებს მასზე ფიზიკური ძალის გამოყენებას: „ვაიმე! (.) ხელი გამიშვი!“ (ხაზი 22) – მიმართავს იგი ზაზას. ზაზა მას ხელს ჰკრავს და ქეთი სკამს ეჯახება, იგი მკლავზე იკიდებს ხელს, ამკარაა რომ სტკივა. წარმოდგენილ სცენაში ვხედავთ, რომ ზაზა ფიზიკურ ძალას იყენებს ცოლთან მიმართებით – მის დასამცირებლად და შეურაცხყოფის მისაყენებლად, ასევე, ქეთისთან მიმართებით საკუთარი ძალაუფლების წარმოსაჩენად თუ მოსაპოვებლად. ზაზა კვლავ გაცეცხლებული უყვირის ქეთის: „შენ, გოგო, ცოტა აზრზე მოდი, (.) გაიგე?! (?)“ (ხაზი 23). ქეთისთვის გაუგებარია ზაზას ამგვარი ქცევის მიზეზი – „რა იყო?“ (ხაზი 24) – ეკითხება იგი ზაზას. ზაზა კი კვლავ ყვირილით პასუხობს: „რამდენჯერ გითხარი, რო მაგ როჯასთან ერთად ყავის სმას და ტრიპაჩობას თავი დაანებე მეთქი?!“ (ხაზი 25-27). ქეთი სიტუაციის გარკვევას ცდილობს და ისიც ხმას უწევს: „ვაიმე, თაზო რა შუაშია? (.) ნინასთან ვიყავი შესული. (.) პირველად მნახე ნინასთან რო შევდივარ? (?)“ (ხაზი 28-30). ზაზა ყვირილით იმეორებს თავისი გაბრაზების მიზეზს და მოთხოვნას ქეთის მიმართ: „არ მევასება მაგ ტიპთან ერთად რო ზიხარ და რაღაცეებს ბაზრობ, (.) გასაგებია?! (?)“ (ხაზი 31-32). ამკარაა, რომ ზაზას არ მოსწონს ნინას ბავშვების ძიძა – თაზო. იგი სარკასტულად ლაპარაკობს მასზე – „შოკოლადი გაგიკეთათ ბიჭმა? (?)“ (ხაზი

32). სიტყვაში – *შოკოლადი* – ზაზა შერბილებულად გამოთქვამს ბგერა *ლ-ს* და ამგვარად გამოხატავს თავის დამცინავ, სარკასტულ დამოკიდებულებას. თაზოს მიმართ ზაზას ამგვარი განწყობის მიზეზი ისაა, რომ თაზო, მისი აზრით, გეია, ეს კი ზაზასთვის კატეგორიულად მიუღებელია. ქეთის პასუხიდან ვხედავთ, რომ მოცემული კომუნიკაციის კონტექსტში მისთვის ზაზას ქცევა, მისი რეაქცია არ არის ნორმალური, წინააღმდეგობაშია ქეთის პირად, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მის მოლოდინებთან: „*შენ ნორმალური ხარ?! (?)* (ტირილნარევი ხმით) *ძიძა. (.) მე ნინასთან ვიყავი შესული.*“ (ხაზი 34-35). საყურადღებოა, რომ ქეთი ხმას უწევს, ასევე, გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვას – *ნორმალური* („*შენ ნორმალური ხარ?*“). საპასუხოდ, ზაზა იყენებს ბრძანებით კილოს და ისევ ღრიალით პასუხობს ქეთის: „*ხოდა, აღარ შეხვალ!*“ (ხაზი 36). ზაზას აღნიშნულ ქცევაზე ქეთის რეაქციიდან ჩანს, რომ ზაზას ბრძანება, მოთხოვნა მისთვის გაუგებარია: „*ვაიმე, (.) რატო აღარ შევალ?*“ (ხაზი 37). ქეთის კითხვაზე ზაზას პასუხი კი კვლავ მისი შეურაცხყოფაა. იგი ყვირილით, გამოხატული მახვილით იყენებს სკაბრეზულ ფრაზას – „*ვაიმე და ბებიაშენისა!*“ (ხაზი 38). ქეთიც საპასუხოდ ხმას უწევს და კვლავ განცვიფრებული სახით იმეორებს შეკითხვას: „*რატო აღარ შევალ? (.) ა? (?) რეებს იგონებ?*“ (ხაზი 39). ზაზა კომუნიკაციის იმავე სტილის გამოყენებით უმეორებს ქეთის თავის ბრძანებას, მოთხოვნას: „*სანამ ეგ ტიპი აქ არი, (.) შენ ნინასთან აღარ შეხვალ!*“ (ხაზი 40). იგი კვლავ იყენებს ბრძანებით კილოს. ქეთი კი ისევ ცდილობს ახსნას ზაზას მოთხოვნის, მისი გაღიზიანების მიზეზი. იგი, ასევე, ხმას უწევს: „*რახან თაზომ თაროები გააკეთა, მაგიტომ ნინასთან აღარ უნდა ვიმეგობრო?* (?)“ (ხაზი 41-42). ზაზა ღრიალით ახდენს თავისი ძალის/ძალაუფლების დემონსტრირებას: „*ხო! (.) აღარ უნდა იმეგობრო!*“ (ღრიალებს) (ხაზი 43). ზაზა ამ შემთხვევაშიც იყენებს ბრძანებით კილოს. ქეთი ემოციას ვეღარ იკავებს და ტირილს იწყებს: „*რა გაყვირებს, რა ?!* (?) (ტირის) *[ვერ გავიგე.*“ (ხაზი 44). ზაზა მას სიტყვას აწყვეტინებს და ისევ ყვირილით აგრძელებს თავისი ძალაუფლების წარმოჩენას (ან ძალაუფლების მოპოვებას ქეთისთან მიმართებით): „*[ხოდა, თუ ვერ ვაიგე, (.) სხვანაირად გაგაგებინებ!* (.)“ (ხაზი 45-46).

ზაზა მუშტს ურტყამს გარდერობს და ამტვრევს მის კარს. აშკარაა, რომ იგი ფიზიკური ძალის დემონსტრირებას ახდენს და მისი მუქარაც: „თუ ვერ გაიგე, (.) სხვანაირად გაგაგებინებ!“ – ცხადია, რომ ფიზიკური ძალის გამოყენებას გულისხმობს. ზაზა გაცეცხლებული აგრძელებს მუქარას, იყენებს უხემ, შეურაცხმყოფელ, სკაბრეზულ სიტყვებსა და ფრაზებს, ხმას უწევს: „დედა შევეცი! (.) შენი ბიჭი დაქალებილა მაკლია ეხლა აქ! (2.0) არ გაითვალისწინებ და მოგიტყნავთ პატრონებს! (.) სუყველას! (ღრიალებს)“ (ხაზი 47-50). ზაზა, ასევე, იყენებს აგრესიულ სხეულის ენას – ჟესტიკულაცია, სახის გამომეტყველება, მუქარის ნიშნად თითს უქნევს ქეთის, რომელიც ტირის. და ბოლოს, ზაზა კარს გაიჯახუნებს და ტოვებს ოთახს, ქეთი კი აგრძელებს ტირილს.

მოყვანილ მაგალითში ვხედავთ, რომ ზაზა იქმნის, აგებს თავის ლოკალურ იდენტობას, როგორც ძალაუფლების მქონე, დიქტატორი ქმარი, რომელსაც აქვს უფლება, თავის ცოლს უკარნახოს, უბრძანოს, თუ როგორ მოიქცეს, ვისთან იმეგობროს და ასე შემდეგ. ზაზას აზრით, ქეთის ყველა მოქმედება მის კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. მაშინაც კი, როცა ზაზას გაღიზიანებისა და მისი მკაცრი მოთხოვნების მიზეზი ქეთისთვის გაუგებარია, ზაზა არაფრის ახსნას არ ცდილობს მისთვის. საპასუხოდ იგი ხმას უწევს, იყენებს ბრძანებით კილოს, შეურაცხმყოფელ, უხემ, სკაბრეზულ სიტყვებსა და ფრაზებს, აგრესიულ, მუქარის გამომხატველ სხეულის ენას – ჟესტიკულაცია, სახის გამომეტყველება. ზაზა, ასევე, აშკარად მიანიშნებს ქეთის, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, იგი ფიზიკური ძალის გამოყენებით გააგებინებს მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ცხადია, რომ ზაზა არ ითვალისწინებს, უფლებბელყოფს ქეთის ემოციებს, ხედვებს; მეტიც, ცდილობს შიში გაუჩინოს მას ქმრის მიმართ; არ აღიარებს მას დამოუკიდებელ, მოაზროვნე, თავისუფალ პიროვნებად. ზაზას ამგვარი ქცევა ქეთისთვის, ცხადია, უარყოფითი პირადი შედეგის მომტანია, საზიანოა, საფრთხის შემცველია მისი სახისთვის/იდენტობისთვის, რომელსაც იგი სათანადოდ ვერ იცავს ქმრის თავდასხმისგან. ზაზას ქცევაზე მისი რეაქცია – ვერბალური წინააღმდეგობა,

ხმამაღალი საუბარი, ტირილი – გამოხატავს თუ რამდენად შეუსაბამოა ზაზას ქცევა ქეთის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მის მოლოდინებთან.

ქეთისთან კომუნიკაციისას ზაზა იყენებს ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს და ინტონაციურ მოდელს, რომელიც არ არის ასოცირებული ოჯახის დისკურსის ჟანრთან (იხ. Garcés-Conejos Blitvich, 2010a). კერძოდ, არათავაზიანი ქცევის შესრულებისას ზაზა განმეორებით იყენებს შემდეგ ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს – შეურაცხმყოფელ, სკაბრეზულ სიტყვებსა და ფრაზებს, კრიტიკას, მუქარას, ბრძანებით კილოს, აგრესიულ სხეულის ენას – ჟესტიკულაცია, სახის გამომეტყველება, ახდენს ფიზიკური ძალის დემონსტრირებას, ხმას უწევს, იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a) – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს. ამგვარად, ზაზა თავისი ქცევით უგულბელყოფს ოჯახის დისკურსის ჟანრის ფარგლებში არსებულ კომუნიკაციურ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს, თუ რა სახის ქცევა არის მისაღები მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის (იხ. Garcés-Conejos Blitvich, 2010a). იგი არ აღიარებს, თავს ესხმის, საფრთხეს უქმნის ქეთის სახეს, მის იდენტობას, ცდილობს მოიპოვოს შეფარდებითი ძალაუფლება მასთან მიმართებით. ქეთი კი ვერ ახერხებს დაიცვას საკუთარი იდენტობა. იგი სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს ზაზას მცდელობას – არათავაზიანი ქცევის საშუალებით მოახდინოს საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება ან ამ გზით მოიპოვოს ძალაუფლება ქეთისთან მიმართებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და, ასევე, რადგან ნორმალურ გარემოში, ოჯახის არსებობის ძირითად საფუძველს და, შესაბამისად, ოჯახის დისკურსის უმთავრეს მიზანს ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, თანადგომის, პატივისცემის გამოხატვა წარმოადგენს, ზაზას ქცევა, ამკარად, უგულბელყოფს აღნიშნულ ღირებულებებს, რასაც მის ქცევაზე ადრესატის – ქეთის – საპასუხო რეაქცია – ვერბალური წინააღმდეგობა, ხმამაღალი საუბარი, ტირილი – ადასტურებს. აქედან გამომდინარე, მოცემული კომუნიკაციის ფარგლებში, ზაზას ქცევა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი.

(2) მაგალითი

მონაწილეები: ქეთი (ქ.) და ზაზა (ზ.) – ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.

ქეთის დაქალებმა გადაწყვიტეს, დიდი სახლი იქირაონ და ბავშვებთან ერთად დაისვენონ, ქმრების გარეშე, მაგრამ ზაზა ქეთის მათთან ერთად წასვლის უფლებას არ ამღევს.

წარმოდგენილ სცენაში ზაზა და ქეთი არიან საძინებელში – ზაზა გაღიზიანებული სახით, ქეთი ტირის.

- | | | | |
|---------------|----|----|--|
| ზ. ქ.-ს სახის | 1 | ზ. | – ეს ყველა მიდის და მეც მინდა <u>რა არი</u> , (.) |
| გამომეტყვე- | 2 | ზ. | <u>პატარა ბავშვი ხარ?</u> (?) |
| ლების | 3 | ქ. | – <u>ნერვები მეშლება</u> , |
| იმიტაციას | 4 | ქ. | <u>მთელი ცხოვრება შენ ჭკუაზე რო უნდა ვიარო</u> , [რაა! (?) |
| აკეთებს. | 5 | ზ. | – [<u>ჩემ ჭკუაზე უნდა იარო</u> , <u>გოგო</u> , (.) |
| | 6 | ზ. | <u>აბა შენ ჭკუაზე რო იარო</u> , |
| | 7 | ზ. | <u>მოიტეხავ კისერს</u> <u>ორ კვირაში</u> . |
| | 8 | ქ. | – <u>გეგონოს</u> [შენ! |
| | 9 | ზ. | – [<u>გეგონოს</u> <u>კი არა</u> , <u>გეყოფა ეხაა!</u> (.) ეე! (2.0) |
| | 10 | ზ. | <u>რას ტირიხარ აქ პატარა ბავშვივით?</u> (.) |
| | 11 | ზ. | <u>ზღვაზე უნდა წაგიყვანო</u> <u>და</u> |
| | 12 | ზ. | <u>მერე კიდე სადღაც</u> (.) <u>და მთელი ამბები</u> , რა. (?) |
| | 13 | ქ. | – <u>არ მჭირდება</u> , <u>რაა!</u> (?) |
| ზ. იყენებს | 14 | ზ. | – <u>არ გჭირდება</u> <u>და გააჯვი!</u> (.) |
| აგრესიულ | 15 | ზ. | <u>მომინდომა აქ გულაობა!</u> (.) ეე! (.) |
| ჟესტიკულა- | 16 | ზ. | <u>მოკვდა</u> <u>ბაზარი</u> , <u>ვსო!</u> (.) |
| ციას. | 17 | ზ. | <u>არ წახვალ არსად!</u> |

ზ. ოთახიდან გადის, ქ. ტირის.

მოცემულ მაგალითში ზაზა ქეთისთან კომუნიკაციას მისი დაცინვით იწყებს – იმეორებს მის სიტყვებს: “*ეს ყველა მიდის და მეც მიინდა რა არღ, (.) პატარა ბავშვი ხარ? (?)*” (ხაზი 1-2) და აკეთებს ქეთის სახის გამომეტყველების (ტირილის) იმიტაციას, შერბილებულად გამოთქვამს ბგერა *ღ-ს* (*ყველა მიდის*) და ამგვარად გამოხატავს თავის დამცინავ, სარკასტულ დამოკიდებულებას ქეთის მიმართ. ზაზა ხაზს უსვამს, რომ ემოციის ტირილით გამოხატვა ბავშვური საქციელია, გამოკვეთილი მახვილით წარმოთქვამს სიტყვას – *ბავშვი*. ამგვარად, იგი ექვექვემ აყენებს ქეთის პოზიციისა და ემოციების ღირებულებას. მისი დამოკიდებულებიდან – ვერბალური და არავერბალური ქცევიდან – ჩანს, რომ ქეთის აზრი, პოზიცია, სურვილები, მოთხოვნები, ემოციები მისთვის უმნიშვნელო, ბავშვური, არასერიოზულია და არ იმსახურებს სერიოზულ განხილვას. ქეთი თავის უკმაყოფილებას და წუხილს გამოხატავს: „*ნერვები მეშლება, მთელი ცხოვრება შენ ჭკუაზე რო უნდა ვიარო, [რას! (?)*“ (ხაზი 3-4) – გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვას – *შენ ჭკუაზე*. ზაზა კი ამაში გასაკვირს თუ უცნაურს ვერაფერს ხედავს. იგი ქეთის სიტყვას აწყვეტინებს – „*[ხეშ ჭკუაზე უნდა იარო, გოგო, (.) აბა შენ ჭკუაზე რო იარო, მოიტეხავ კისერს ორ კვირაში.*“ (ხაზი 5-7). ამგვარად, ზაზა საკუთარი ხედვების შემეცნებით უპირატესობას ამტკიცებს (იხ. Anton and Peterson, 2003) და ამას ქეთის იდენტობის, მისი ხედვებისა და პოზიციის ღირებულების ექვექვემ დაყენების ხარჯზე აკეთებს. უფრო მეტიც, იგი თავის ხედვას ქეთის იდენტობის შესახებ აყალიბებს, როგორც ფაქტს და აცხადებს, რომ ქეთის საკუთარი შეხედულებების შესაბამისად მოქმედების შემთხვევაში გარდაუვალი „კისრის მოტეხვა“ ელის, ამიტომ, მან ზაზას ხედვებისა და მითითებების შესაბამისად უნდა იმოქმედოს და იცხოვროს (ე.წ. სხვათა მიერ მიწერილი, მიკუთვნებული პოზიცია, other-asserted subject position. იხ. Anton and Peterson, 2003). ზაზას აღნიშნულ ქცევაზე ქეთის პასუხი გულუბრყვილოდ ჟღერს. იგი თავისი იდენტობის დაცვას ცდილობს, თუმცა ეს მცდელობა, ამკარად, გაუბედავია: „*გეგონოს [შენ!]*“ (ხაზი 8). ქეთის ეს პასუხი ზაზას გაღიზიანებას იწვევს. იგი ქეთის სიტყვას აწყვეტინებს, არ აძლევს თავის დაცვის და წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას:

„გეგონოს კიარა, გეყოფა ეხაა! (.) ეე!“ (ხაზი 9). საყურადღებოა, რომ ზაზა გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვებს – გეგონოს და გეყოფა, ხმას უწევს, ასევე, იყენებს ბრძანებით კილოს. შემდეგ იგი კვლავ ქეთის ტირილზე და მის ბავშვურ სისულელეზე ამახვილებს ყურადღებას: „რას ტირიხარ აქ პატარა ბავშვივით?!“ (ხაზი 10). ამას მოჰყვება ზაზას მცდელობა ქეთის აჩვენოს, თუ როგორ ზრუნავს მასზე: „ზღვაზე უნდა წაგიყვანო და მერე კიდე სადაც და მთელი ამბები, რა. (?)“ (ხაზი 11-12). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვაზე – წაგიყვანო, სადაც, ასევე, ვლინდება ზაზას დამოკიდებულება, რომ ქეთი დამოუკიდებლად, თავისი სურვილით ვერსად წავა, იგი ზაზამ უნდა წაიყვანოს, ასევე, ზაზასთვის სასურველ ადგილას. ქეთის პასუხს: „არ მჭირდება, რაა! (?)“ (ხაზი 13) ზაზა წყობიდან გამოჰყავს: „არ გჭირდება და გააჯვი! (.) მომინდომა აქ გულაობა! (.) ეე!“ (ხაზი 14-15). იგი ხმამაღლა, ფაქტიურად, ღრიალით პასუხობს ქეთის. გამოხატული მახვილით იყენებს შეურაცხმყოფელ ლექსიკას – გააჯვი. ამგვარად იგი გამოხატავს, თუ რამდენად უმნიშვნელოა მისთვის ქეთი და როგორი უპატივცემულო დამოკიდებულება აქვს მისი იდენტობის, ხედვებისა და ემოციების მიმართ. ზაზა, ასევე, ხმამაღლა, ღრიალით გამოხატავს თავის შეფასებას, ხედვას, რომ ქეთის სურვილი, დაისვენოს დაქალებთან ერთად, არის ე.წ. გულაობა. საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – მომინდომა, გულაობა – სადაც კიდევ ერთხელ ვლინდება, რომ ზაზას ხედვით, ქეთიმ თავისი ყველა ნაბიჯი და გადაწყვეტილება მასთან უნდა შეათანხმოს, ნებართვა უნდა აიღოს მისგან, თუმცა საბოლოო სიტყვა ყოველთვის ზაზას ეკუთვნის. ქეთის სურვილი, დაისვენოს დაქალებთან ერთად, ზაზასთვის მეტისმეტად თავხედურ მოთხოვნას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ზაზა ქეთის მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს. და ბოლოს, ზაზა დამატებითი მსჯელობისა და დიალოგის საჭიროებას ვერ ხედავს და თავის გადაწყვეტილებას, ბრძანებას აჟღერებს: „მოკვდა ბაზარი, ვსო! (.) არ წახვალ არსად!“ (ხაზი 16-17) და ტოვებს ოთახს, ქეთი კი აგრძელებს ტირილს. ამ შემთხვევაშიც ვხედავთ, რომ ზაზა კვლავ ხმას უწევს და იყენებს ბრძანებით კილოს. მნიშვნელოვანია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – ვსო, არ წახვალ არსად. ეს ზაზას გადაწყვეტილებაა, რასაც ქეთი ვერ

შეწინააღმდეგება, რადგან არ აქვს მოქმედების თავისუფლება, აზრისა და ემოციის თავისუფლად გამოხატვის საშუალება. იგი ვერ ახერხებს დაიცვას საკუთარი იდენტობა, თავის ხედვებს შესძინოს შემეცნებითი ღირებულება, სათანადოდ ვერ წარმოაჩენს, რომ მის ხედვებსა და სურვილებს აქვს არსებობის უფლება, ღირებულია და უნდა იქნას აღიარებული, როგორც ასეთი (იხ. Anton and Peterson, 2003). ქეთი ვერ ახერხებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს ზაზას მცდელობას – არათავაზიანი ქცევის საშუალებით მოახდინოს საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება ან ამ გზით მოიპოვოს ძალაუფლება ქეთისთან მიმართებით. ზაზა კი საკუთარ იდენტობას, როგორც უხეში, დიქტატორი ქმარი, განიმტკიცებს არათავაზიანობის გამოხატვის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. კერძოდ, იგი იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a) – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს, ამტკიცებს საკუთარი ხედვების შემეცნებით უპირატესობას (იხ. Anton and Peterson, 2003). ზაზა, ასევე, იყენებს ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებსა და ინტონაციურ მოდელს, რომელიც არ არის ასოცირებული ოჯახის დისკურსის ჟანრთან (იხ. Garcés-Conejos Blitvich, 2010a), როგორცაა – ხმამაღალი საუბარი, შეურაცხმყოფელი ლექსიკა, დაცინვა, იმიტაცია (მიბადვა), სარკაზმი, ბრძანებითი კილო. ზაზა თავისი არათავაზიანი იდენტობის ფორმირებას ქეთის იდენტობის არაღიარების, მისი უფლებების შელახვის და თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე ახდენს; ცდილობს გააკონტროლოს ქეთის ყველა მოქმედება და წარმატებით ახერხებს ამას. ზაზას განხილულ ქცევაზე ქეთის საპასუხო რეაქციების საფუძველზე, კერძოდ, მის ვერბალურ და არავერბალურ გამოხატულებაზე დაკვირვებით, ესაა – ტირილი, ვერბალური წინააღმდეგობა – შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზაზას ქცევა მოცემული კომუნიკაციის კონტექსტში შეუსაბამობაშია ქეთის მოლოდინებთან, მის პირად ცხოვრებისუელ გამოცდილებასთან და უარყოფითი შედეგის მომტანია, საფრთხის შემცველია მისი სახისთვის/იდენტობისთვის. ასევე, ზაზას ქცევა შეუსაბამობაშია ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ და კომუნიკაციურ ნორმებთან, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და

მოვალეობებს და განსაზღვრავს, თუ რა სახის ქცევა არის მისაღები მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის (იხ. Garcés-Conejos Blitvich, 2010a). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და, ასევე, რადგან ნორმალურ გარემოში, ოჯახის არსებობის ძირითად საფუძველს და, შესაბამისად, ოჯახის დისკურსის უმთავრეს მიზანს ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, თანადგომის, პატივისცემის გამოხატვა წარმოადგენს, ზაზას ქცევა, ამკარად, უგულვებელყოფს აღნიშნულ ღირებულებებს, რასაც ადრესატის, ქეთის, საპასუხო რეაქცია – ტირილი, ვერბალური წინააღმდეგობა – ადასტურებს. აქედან გამომდინარე, მოცემული კომუნიკაციის კონტექსტში, ზაზას ქცევა შეგვიძლია, შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი.

(3) მაგალითი

მონაწილეები: ზაზა (ზ. ≈27 წლის), ქეთი (ქ. ≈25 წლის), ქეთის დაქალები – ნინა (ნ. ≈25 წლის), თინა (თ. ≈25 წლის), კატო (კ. ≈25 წლის), ნატო (ნა. ≈25 წლის), ანკა (≈25 წლის).

წარმოდგენილ სცენაში ზაზა საძინებელშია, წამოწოლილია და ტელევიზორს უყურებს, როცა ქეთი შემოდის...

- | | | | |
|--------------|----|----|--|
| ქ. | 1 | ქ. | - ზაზაა... (?) (2.0) |
| აღელვებული, | 2 | ზ. | - რა? (.) |
| გახარებულია. | 3 | ქ. | - ზაზ, გოგოები აუზზე მიდიან |
| | 4 | ქ. | და მეც წავალ, ხო? (?) |
| | 5 | ზ. | - სად აუზზე, (.) რა აუზზე? |
| | 6 | ქ. | - რა და, ბავშვები აქ არ არიან, (.) |
| | 7 | ქ. | საგურამოში ვერ ავედით წელს, (.) |
| | 8 | ქ. | წავალთ, <u>გავერთობით</u> , (.) <u>ზაგარს მივიღებთ</u> , (.) |
| | 9 | ქ. | <u>კლექტილებს დავლევთ და დავისვენებთ</u> . (2.0) |
| | 10 | ზ. | - (სარკასტულად) ვაიმე, რამ დაგლააათ? (?) |

- ქ.-ს სახეზე 11 ქ. – *კაი, რა გჭირს ეხლა? (.) (უხერხულად)*
- ლიმილი 12 ზ. – *იმიტო რო რაღაცა სისულელეს იტყვი ხოლმე, რა. (.)*
- ქრება. 13 ზ. *მომიგონეს აქ ბიჭებთან ტრაკის საქნევი. (.)*
- 14 ზ. *და ვითომ დასვენება გინდათ? (?)*
- 15 ქ. – *კარგი, რა ტრაკის საქნევი?! (.) (გაკვირვებული)*
- 16 ქ. *საიდან მოიტანე?*
- ზ. იყენებს 17 ზ. – *აბა, გოგო, შეკრებილები არ ხართ ისედაც*
- ჟესტიკულაციას. 18 ზ. *და კარგის ტრაკს არ გვიტყნავთ? (?)*
- 19 ზ. *რათ უნდა მაგას აუზი?*
- 20 ქ. – *(აღელვებული) კარგი რა, (.) ყველა მიდის და მეც წავალ.*
- 21 ქ. *არავის არ დაველაპარაკებით [კაცს.*
- ზ. იყენებს 22 ზ. – *[ბიჭო, ათასჯერ გითხარი,*
- ჟესტიკულაციას, 23 ზ. *ნუ იცი ეს ყველა მიდის. (.)*
- გაბრაზებული 24 ზ. *ყველამ ცემა აგერ ქმარი (.)*
- სახით. 25 ზ. *და დავაი, მიდი, ცემე!*
- 26 ქ. – *ვაიმე, მე შენ [გცემ? (?)*
- 27 ზ. – *[ეგლა მაკლია, გოგო! (2.0)*
- ზ. იყენებს 28 ზ. *მსუქანი ხარ თან. (.)*
- ჟესტიკულაციას. 29 ზ. *რა აუზი, (.) რა გინდა?*
- ქ. ტირილს იწყებს, უცებ დგება და გადის ოთახიდან
ნაწყენი, გაბრაზებული.
- 30 ზ. *იტირე რამდენიც გინდა, რა!*
- ქ.-ს დაქალებმა ...
- გამოუარეს. **14:10**
- ქ. კარს აღებს. 31 ნ. – *რა გჭირს, (.) იტირე? (?)*
- 32 კ. – *აუ, ეხლა არ თქვა, რო არ მოდიხარ!*
- 33 ქ. – *არა, (.) არ მოვდივარ. (.) (ტირის)*

- 34 თ. – და რო ჩაალაგო და წამოხვიდე, რას იზამს?
- ქ. კარის 35 ქ. – არა, ვერ წამოვალ. (.)
- დახურვას 36 ქ. გოცნით, (.) [ნახვამდის. (ილიმის ნაძალადევად)]
- დააპირებს. 37 ზ. – [ოოხ, თხ, თხ! (სარკასტულად)]
- ზ. კარს 38 ზ. მოვიდა არასამთავრობო ორგანიზაცია
- ფართოდ ალებს. 39 ზ. ქართველი დაქალები.
- ნ. ილიმის 40 ნ. – აუ, ზაზა, (.) გოგოები მივდივართ აუზზე
- უხერხულად. 41 ნ. და გამოუშვი ქეთი, რა, გთხოვ!
- 42 ზ. – ამის ნათქვამზე თუ არ ვუშვებ, (.)
- გოგოებს 43 ზ. თქვენ ნათქვამზე რატო გამოვუშვებ? (.)
- ელიმებათ 44 ზ. თუ ცოლის დაქალების ჭკუაზე ვიარო? (სარკასტულად)
- ირონიულად. 45 თ. – და რატო უნდა იაროს
- 46 თ. ზრდასრულმა ადამიანმა შენ ჭკუაზე? (.) (გალიზიანებული)
- 47 თ. თუ უნდა რატო არ უნდა წამოვიდეს, (.)
- 48 თ. და თუ არ უნდა, რატო არ უნდა დარჩეს, (.)
- 49 თ. მე ვერ ვხვდები!
- 50 ზ. – თინას ვენაცვალე, (.) (სარკასტულად)
- 51 ზ. ათასჯერ გითხარი, რო შენი საქმე არ არი ეგ.
- ქ. კარის 52 თ. – იქნებ, რო მოკლა, ისიც არ არი ჩემი საქმე.
- დახურვას 53 ქ. – გეხვეწებით, წადით ხო?! (?) (შეწუხებული სახით)
- დააპირებს. 54 ზ. – ჩემი ცოლია და მე გადავწყვიტავ,
- ზ. ქ-ს 55 ზ. მოვკლავ, თუ რას ვიზამ. (.)
- მკლავზე 56 ზ. და დავაი ეხლა აქედან!
- ჰკიდებს ხელს 57 კ. – რა ჭირს ამას? (.)
- და გვერდზე 58 თ. – ემინია.
- სწევს. 59 ზ. – ბატონო?! (?) უკაცრავად?! (?) მემინია? (?)
- გოგოები – 60 თ. – კი.

გაოგნებული	61	ზ.	- <u>რისი?</u>
სახეებით.	62	თ.	- <u>ქალების.</u>
	63	ზ.	- <u>მტყუნის?</u> (?) (გალიზიანებული)
	64	ნ.	- <u>მორჩი, თინა, (.)</u> <u>კარგი, რაა!</u> (?)
ქ. ზ.-ს უკან	65	თ.	- <u>ქეთი, (.)</u> <u>შენ სრული უფლება გაქ,</u>
დგას, ტირის.	66	თ.	<u>ისე მოიქცე, როგორც გინდა.</u>
	67	ზ.	- <u>აი, ბებიათქვენისამ, სრული უფლება!</u>
	68	კ.	- <u>აუ, კაი, წავედით, რააა!</u> (?)
	69	ნა.	- <u>ჯობია გავეცალოთ.</u>
	70	თ.	- <u>რას უნდა გავეცალოთ, (.)</u> <u>აშკარა ძალადობას?</u> (?)
	71	ზ.	- <u>რა იყო, თინა, (.)</u>
	72	ზ.	<u>ხო არ მოგინდა ჩემთვის</u>
	73	ზ.	<u>ლავიჩის ძვლის ჩამტვრევა ქუსლით?</u> (სარკასტულად)
	74	თ.	- <u>ზაზა, (.)</u> <u>საკმარისი სიტყვები მაქვს ლექსიკონში</u>
	75	თ.	<u>იმისთვის, რო ფეხსაცმელი არ გავიხადო</u>
	76	თ.	<u>და კაცებს არ ვურტყა.</u>
ზ. კარს	77	ზ.	- <u>ხოდა, დავაი ახლა აქედან!</u> (.)
უხეშად	78	ზ.	<u>არ მოდის ქეთი, (.)</u> <u>წადით!</u>
ხურავს.			გოგოები მიდიან.

სეზონი 9, სერია 46 (7:25, 14:10)

მოცემული ინტერაქცია იწყება ქეთის „თხოვნით“ – მას აუზზე უნდა წასვლა გოგოებთან ერთად და გახარებული, აღელვებული ჩანს ამის გამო: „წავალოთ, გავერთობით, (.) ზაგარს მივიღებთ, (.) კოქტეილებს დავლევთ და დავისვენებთ“ (ხაზი 8-9). ზაზას პასუხი კი სარკასტულია: „ვაიმე, რამ დაგლააათ? (?)“ (ხაზი 10). ქეთის სახიდან ღიმილი ქრება: „კაი, რა გჭირს ეხლა? (უხერხულად)“ (ხაზი 11). ზაზა თავისთვის ჩვეული სტილით განუმარტავს ქეთის: „იმიტო, რო, რაღაცა სისულელეს იტყვი ხოლმე, რა. (.)“

მომიგონებს აქ ბიჭებთან ტრაკის საქნევი (.) და ვითომ დასვენება გინდათ? (?)“ (ხაზი 12-14). აქ ჩანს, რომ ზაზა ქეთის სულელი ადამიანის იმიჯს უქმნის, მიაწერს. საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვაზე – *სისულელე* („*სისულელეს იტყვი ხოლმე*“). ასევე, იკვეთება ზაზას ეჭვიანი ხასიათი. იგი ქეთის ტყუილში ადანაშაულებს, გამოხატული მახვილით სიტყვებზე – *მომიგონებს, ტრაკის საქნევი*. ქეთი აღნიშნული ბრალდებით გაკვირვებული ჩანს: „*კარგი, რა ტრაკის საქნევი? (.) საიდან მოიტანე?*“ (ხაზი 15-16). ზაზა ხმას უწევს, რათა ქეთისთვის უფრო გასაგები გახდეს მისი პოზიცია: „*აბა, გოგო, შეკრებილები არ ხართ ისედაც და კარგის ტრაკს არ გვიტყნავთ? (?) რათ უნდა მაგას აუზი?*“ (ხაზი 17-19). ამ შემთხვევაში ზაზა იყენებს სკაბრეზულ ფრაზას გამოხატული მახვილით – „*კარგის ტრაკს არ გვიტყნავთ?*“. ქეთის მღელვარება ეტყობა, რადგან მის თხოვნაზე ზაზას პასუხი, მისი გადაწყვეტილება ცხადი ხდება ზაზას რეაქციიდან, მისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე (ზაზას ვერბალური და არავერბალური ქცევა), კერძოდ, იგი იყენებს სარკაზმს, სკაბრეზულ ფრაზას, ხმას უწევს. ქეთი მაინც ცდილობს, როგორმე მოიპოვოს ზაზას ნებართვა – „*(აღელვებული) კარგი, რა (.) ყველა მიდის და მეც წავალ. (.) არავის არ დაველაპარაკებით [კაცს.*“ (ხაზი 20-21). იგი ზაზას ამშვიდებს, რომ *არავის, კაცს* არ დაელაპარაკებიან. ზაზას გაღიზიანება მხოლოდ მძაფრდება. იგი ქეთის სიტყვას აწყვეტინებს: „*[ბიჭო, ათასჯერ გითხარი, ნუ იცი ეს ყველა მიდის. (.) ყველამ ცემა აგერ ქმარი (.) და დავაი, მიდი, ცემე!*“ (ხაზი 22-25). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვაზე – *ათასჯერ გითხარი*, სადაც ჩანს, რომ ზაზას არაერთხელ მიუცია მითითება ქეთისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ან არ უნდა თქვას მან, როგორ უნდა მოიქცეს. ქეთის აღელვებული, ხმამაღალი პასუხი – „*ვაიმე, მე შენ [გცემ? (?)*“ (ხაზი 26) – ზაზას კიდევ უფრო აღიზიანებს, რადგან, როგორც ჩანს, მან ვერაფერი გააგებინა ქეთის. იგი ქეთის ღრიალით პასუხობს: „*[ველა მაკლია, გოგო!*“ (ხაზი 27). გამოხატული მახვილით წარმოთქვამს თითოეულ სიტყვას და, ასევე, იყენებს მიმართვის უხეშ ფორმას – *გოგო*. მოცემული ინტერაქციის ფარგლებში ზაზას სახის აგრესიული გამომეტყველება აქვს და, ასევე, აქტიურად იყენებს შესტიკულაციას. ბოლოს ზაზა ეფექტურ გამოსავალს პოულობს, რომ ქეთის აუზზე წასვლა და საუბრის გაგრძელების სურვილი დააკარგინოს

– „მსუქანი ხარ თან. (.) რა აუზი. (.) რა გინდა?“ (ხაზი 28-29). მოცემულ შემთხვევაში ზაზა იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a) – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის (ქეთის) სახეს, ასევე, თავის სუბიექტურ მოსაზრებას აყალიბებს, როგორც ფაქტს. ქეთი მომენტალურად ტირილს იწყებს, უცებ დგება და გადის ოთახიდან – ნაწყენი, გაბრაზებული. ზაზა კი საკმაოდ დამშვიდებული ჩანს: „ეტირე რამდენიც გინდა, რა.“ (ხაზი 30). აქ ვლინდება, რომ ქეთის ემოცია, მისი გრძნობები ზაზასთვის უმნიშვნელოა. მეტიც, სწორედ მათი საშუალებით ახდენს იგი ქეთის მანიპულაციას.

შემდეგ სცენაში ქეთის დაქალები გამოუვლიან აუზზე წასასვლელად, ქეთი კი ტირილით პასუხობს: „არა, (.) არ მოვდივარ (ტირის). „ (ხაზი 33). ერთ-ერთი დაქალის – თინას (თ.) შეკითხვაზე თუ შეთავაზებაზე: „და რო ჩაალაგო და წამოხვიდე, რას იზამს?“ (ხაზი 34) ქეთი სწრაფად პასუხობს: არა, ვერ წამოვალ. (.) გკოცნით, (.) [ნახვამდის (ილიმის ნაძალადევად).“ (ხაზი 35-36) და კარის დახურვას დააპირებს, როცა ზაზა გამოჩნდება, კარს ფართოდ აღებს და სარკასტულად მიმართავს ცოლის დაქალებს: [ოიხ, იხ, იხ! (სარკასტულად) მოვიდა არასამთავრობო ორგანიზაცია ქართველი დაქალები.“ (ხაზი 37-39). ქეთის დაქალი – ნინა (ნ.) ცდილობს, სიტუაცია განმუხტოს და ზაზას უხერხული ღიმილით, თხოვნით მიმართავს: აუ, ზაზა (.) გოგოები მივდივართ აუზზე და გამოუშვი ქეთი, რა, გთხოვ.“ (ხაზი 40-41). ზაზა მყარად დგას თავის გადაწყვეტილებაზე: „ამის ნათქვამზე თუ არ ვუშვებ, (.) თქვენ ნათქვამზე რატო გამოვუშვებ? (.) თუ ცოლის დაქალების ჭკუაზე ვიარო?“ (ხაზი 42-44). მნიშვნელოვანია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – ამის ნათქვამზე, რატო გამოვუშვებ, ცოლის დაქალების ჭკუაზე ვიარო?. თინა (თ.) ზაზას სასურველ ლოკალურ იდენტობას (როგორც უხეში, სარკასტული, ძალაუფლების მქონე, მბრძანებელი, დიქტატორი ქმარი, რომლისგანაც ცოლმა, ფაქტიურად, ყველა მოქმედებაზე ნებართვა უნდა ითხოვოს) არ ადასტურებს, მისთვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს: „და რატო უნდა იაროს ზრდასრულმა ადამიანმა შენ ჭკუაზე? (.) (გალიზიანებული) თუ უნდა რატო არ უნდა წამოვიდეს, (.) და თუ არ უნდა, რატო არ უნდა დარჩეს, (.) მე ვერ ვხვდები!“ (ხაზი 45-49). ზაზა კვლავ სათქმელის

არათავაზიან ფორმულირებას მიმართავს, იყენებს სარკაზმს: „თინას ვენაცვალე, (.) (სარკასტულად) ათასჯერ გითხარი, რო შენი საქმე არ არი ეგ.“ (ხაზი 50-51). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – ათასჯერ გითხარი, შენი საქმე არ არი ეგ, სადაც ჩანს, რომ თინას წარსულშიც არაერთხელ უცდია ქეთის დაცვა ზაზას მბრძანებლური, დიქტატორული დამოკიდებულებისგან, თუმცა, როგორც ჩანს, უშედეგოდ. თინა მაინც არ ნებდება და ზაზასთვის წინააღმდეგობის გაწევას აგრძელებს: „იქნებ, რო მოკლა, ისიც არ არი ჩემი საქმე.“ (ხაზი 52). მთელი ამ დროის განმავლობაში ქეთი ზაზას ზურგსუკან დგას და ტირის. თინას თავგამოდებულ მცდელობაზე, რომ დაიცვას იგი, ქეთის დამაბულობა ეტყობა. იგი თხოვნით მიმართავს დაქალებს: „გეხვეწებით წადით, ხო? (?) (შეწუხებული სახით)“ (ხაზი 53) და კარის დახურვას დააპირებს, თუმცა ზაზა მას მკლავზე ჰკიდებს ხელს უხეშად და გვერდით სწევს, რათა თინა პასუხის გარეშე არ დატოვოს: „ჩემი ცოლია და მე გადავწყვიტავ მოვკლავ. თუ რას ვიზამ (.) და დავაი ეხლა აქედან!“ (ხაზი 54-46). მოცემულ შემთხვევაში ვლინდება ზაზას დამოკიდებულება ცოლის მიმართ, რომელსაც იგი თავის საკუთრებად მიიჩნევს და თვლის, რომ აქვს სრული უფლება და საჭირო ძალაუფლება საიმისოდ, რომ, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ, ისე მოექცეს აღნიშნულ „საკუთრებას“. მნიშვნელოვანია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – ჩემი ცოლია, მე გადავწყვიტავ მოვკლავ. თუ რას ვიზამ, დავაი ეხლა აქედან (შეურაცხმყოფელი, უხეში ლექსიკა). მთელი ამ დროის მანძილზე გოგოები გაოგნებული სახით უყურებენ სცენას მათ თვალწინ, ქეთი კი არაფრის გაპროტესტებას, არანაირი წინააღმდეგობის გაწევას არ ცდილობს, პირიქით, ამკარაა, რომ უნდა, რაც შეიძლება მალე დასრულდეს დიალოგი ზაზასა და გოგოებს შორის. ამგვარად, იგი მხოლოდ ზაზას სასურველი ლოკალური პოზიციის, იდენტობის განმტკიცებას უწყობს ხელს და მას საშუალებას აძლევს ამგვარი არათავაზიანი, ძალადობრივი ქცევა განახორციელოს მის მიმართ. ზაზასთვის კი, ცხადია, ქეთის ემოცია, მისი ტირილი ჩვეულებრივი რამაა, უმნიშვნელოა. მას ეს ფაქტი არ აღელვებს, არ ითვალისწინებს ქეთის გრძნობებს. დამშვიდობებისას თინა ხმამაღლა გასძახებს ქეთის, შეახსენებს თავის უფლებებს: „ქეთი, (.) შენ სრული უფლება გაქ, ისე მოიქცე როგორც

გინდა.“ (ხაზი 65-66). ზაზა კი კვლავ თავისი პოზიციის, იდენტობის განმტკიცებას ცდილობს: „აი, ბებიათქვენისამ, სრული უფლება.“ (ხაზი 65). იგი გამოხატული მახვილით იყენებს უხეშ, არათავაზიან ლექსიკას – ბებიათქვენისამ. და ბოლოს, როცა გოგოები გადაწყვეტენ, გაეცალონ ამ აშკარა ძალადობას, ზაზა მათთან საუბარს შეურაცხმყოფელი, უხეში, არათავაზიანი მიმართვით ასრულებს: „ბოდა, დავაი ახლა აქედან ! (.) არ მოდის ქეთი. (.) წადით!“ (ხაზი 77-78). ზაზა კარს უხეშად ხურავს, გოგოები კი მიდიან.

მოყვანილ მაგალითში ცხადად ჩანს ზაზას მბრძანებლური, დიქტატორული დამოკიდებულება ცოლის მიმართ. ქეთიც, ზაზას ნებართვის გარეშე, დამოუკიდებლად ვერ მოქმედებს. ზაზა მხოლოდ სკუთარი არაჯანსაღი ეჭვიანობის საფუძველზე არ აძლევს მას უფლებას აუზზე წავიდეს დაქალებთან ერთად. საკუთარი არათავაზიანი იდენტობის შესაქმნელად თუ განსამტკიცებლად, ძალაუფლების, შემეცნებითი უპირატესობის სადემონსტრაციოდ თუ მოსაპოვებლად, ზაზა საუბრისას იყენებს ისეთ ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს და ინტონაციურ მოდელს, როგორცაა: ხმამაღალი საუბარი, შეურაცხმყოფელი, უხეში, სკაბრეზული ლექსიკა, კრიტიკა (აკრიტიკებს ქეთის გარეგნობას, მისი ემოციებით მანიპულირებს, უნდა, თავი ცუდად აგრძნობინოს, თვითშეფასება დაუქვეითოს), დაბრალება, დადანაშაულება (ეჭვქვეშ აყენებს ქეთის ნათქვამის სინამდვილეს), სარკაზმი, ბრძანებითი კილო, აგრესიული სხეულის ენა – ჟესტიკულაცია, სახის აგრესიული გამომეტყველება. ზაზა ქეთისთვის ნეგატიური იმიჯის (სახის/იდენტობის) შექმნას ცდილობს, უგულვებელყოფს, მეტიც, თავს ესხმის მის პოზიციასა და პიროვნებას/იდენტობას, არ განიხილავს მას თავისუფალ ადამიანად, ასევე, არ ითვალისწინებს მის ემოციებს, პირიქით, საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად, იგი სწორედ ქეთის ემოციებით მანიპულირებს. ქეთის საპასუხო რეაქცია კი არის წყენა, გაბრაზება, ხმამაღალი საუბარი, ტირილი, თუმცა იგი ვერ ახერხებს დაიცვას საკუთარი იდენტობა, თავის ხედვებს შესძინოს შემეცნებითი ღირებულება, სათანადოდ ვერ წარმოაჩენს, რომ მის ხედვებსა და სურვილებს აქვს არსებობის უფლება, ღირებულება და უნდა იქნას აღიარებული, როგორც ასეთი (იხ. Anton and Peterson, 2003). ქეთი სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს ზაზას მცდელობას –

არათავაზიანი ქცევის საშუალებით მოახდინოს საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება ან ამ გზით მოიპოვოს ძალაუფლება ქეთისთან მიმართებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზაზას ქცევა (ვერბალური თუ არავერბალური) არათავაზიანობის ნათელი მაგალითია, რადგან არის ჟანრობრივი (კერძოდ, ოჯახის დისკურსის ჟანრის) თუ კომუნიკაციური ნორმების უგულებელყოფა, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი განხილული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც ქეთის სახისთვის საფრთხის შემცველი.

(4) მაგალითი¹⁰

მონაწილეები: ქეთი (ქ.) და ზაზა (ზ.) – ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.

წარმოდგენილი სცენა მიმდინარეობს სამზარეულოში – ზაზა ჭამს, ქეთი კერძებს აწყობს მაგიდაზე.

- | | | | |
|---------------|----|----|---|
| | 1 | ქ. | – ნინო კეშელაძემ დამირეკა. |
| | 2 | ზ. | – რაო, (.) როგორ ვარო? |
| ქ. მაგიდასთან | 3 | ქ. | – იცინოდა. (.) |
| ჯდება. | 4 | ქ. | (ღიმილით) ზაზას სახლში საჭმელს |
| | 5 | ქ. | აღარ უმზადებო? (?) |
| | 6 | ზ. | – რა პონტშიო? |
| ზ. ქ.-ს | 7 | ქ. | – რესტორანში დავინახე, |
| უყურებს | 8 | ქ. | საჭმელები გაჰქონდა და მანქანაში დებდაო. (.) |
| უკმაყოფილოდ. | 9 | ქ. | გამიკვირდაო და, რა ვიცი, მერე ვიფიქრე |
| | 10 | ქ. | აღბათ, ქეთი სახლში საჭმელს აღარ ამზადებს |

¹⁰ მოცემული მაგალითი გამოყენებულია სტატიაში. იხ. Khukhunaishvili, 2022.

- 11 ქ. და რესტორნიდან მიაქვთო.
- ქ. ზ.-ს 12 ზ. – რა იყო? (.) ჭორიკანა შენმა ბიძაშვილმა
- უყურებს 13 ზ. პირველად დამინახა რესტორანში? (?)
- ექვით. 14 ქ. – ხოდა, პირველად რო არ დაგინახა და
- 15 ქ. იქ რო არ იჯექი და არ ქეიფობდი
- 16 ქ. და ამ საჭმელებს სადღაც მიათრევდი, (.)
- 17 ქ. აი, ეს დაინახა რა. (?)
- 18 ქ. სამჯერ დავუძახე და ვერ გავაგონე, (.)
- 19 ქ. ან არ შემომჩნიაო.
- ზ. აგრძელებს 20 ზ. – ვაბშე არ დამინახავს და არაფერი არ გამოვიდა. (.)
- ჭამას. 21 ზ. რა არ შეიმჩნიაო, რეებს ბოდავს? (2.0)
- ქ. ზაზას 22 ზ. და, ვაბშე, რა არი მაგაში მოსაყოლი? (2.0)
- უყურებს 23 ზ. რას მიყურებ?
- გაკვირვებული. 24 ქ. – რად გინდოდა საჭმელი?
- 25 ზ. – საჭმელი რად უნდათ ხოლმე, ქეთი?
- 26 ქ. – რა ვიცი, იქ ვერ შეჭამდი? (?)
- 27 ზ. – მანქანა გამოფუჭდა და მივდიოდი სახელოსნოში (.)
- 28 ზ. და ბიჭებსაც წავუღე. (2.0)
- 29 ზ. რა არი ამაში ისეთი?
- ქ. ღრმად 30 ქ. – (უკმაყოფილოდ) კაი, არაფერი.
- ამოისუნთქავს. 31 ზ. – და შენ რა გგონია, რო რა?
- 32 ქ. – რო რა და ვიღაც ქალთან ახვედი, (.)
- 33 ქ. აიტანე ეს საჭმელი (.) და
- ზ. ჩანგალს 34 ქ. მოიწყვეთ იქ რომანტიული ვახშამი სახლში.
- აგდებს 35 ზ. – აი, მეზიზღება ეს კატოს ბაზრები რაა! (?)
- გაბრაზებული. 36 ქ. – აა, (.) კატოს ბაზრები, (.) თინას აზრები... (.)

- 37 ქ. *შენ რა გგონია, რო*
- 38 ქ. *მე საკუთარი აზრი არ გამაჩნია, ხო?! (?)*
- 39 ზ. – *ხოდა, მით უმეტეს, თუ*
- 40 ზ. *შენ თვითონ მოიფიქრე აი ეგ სირობა!*
- 41 ქ. – *რა გაყვირებს?! (.) რა იყო, ვიკითხე, (.)*
- 42 ქ. *არ შეიძლება?! (?)*
- 43 ქ. *ნინო კეშელაძემ რომ დამირეკა, ეგ გამიკვირდა.*
- 44 ზ. – *ხოდა, კიდევ რო დაგირეკავს ნინო კეშელაძე, (.)*
- 45 ზ. *უთხარი, იდი ნა ხუი-თქო, (.)*
- 46 ზ. *ჩემმა ქმარმა შემოგითვალაო.*

ზ. დგება და გადის. ქ. ოთახში რჩება, ჩაფიქრებული.

სეზონი 12, სერია 10 (22:58)

წარმოდგენილ მაგალითში ვხედავთ, რომ ქეთი ეჭვიანობს ზაზაზე იმის გამო, რაც თავისმა ბიძაშვილმა უთხრა (ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობის მანძილზე ზაზას არაერთხელ მიუცია ქეთისთვის ეჭვიანობის საფუძველი), რაზეც ზაზა აგრესიას გამოხატავს ქეთის ბიძაშვილის მიმართ და მას ჭორიკანას უწოდებს – გამოკვეთილი მახვილით წარმოთქვამს აღნიშნულ სიტყვას: „*რა იყო? (.) ჭორიკანა შენმა ბიძაშვილმა პირველად დამინახა რესტორანში? (?)*“ (ხაზი 12-13). ამას მოჰყვება აგრესია ქეთის მხრიდან, კერძოდ, იგი მიმართავს სათქმელის არათავაზიან ფორმულირებას: „*ხოდა, პირველად რო არ დაგინახა და იქ რო არ იჯექი და არ ქეიფობდი და ამ საჭმელებს სადღაც მიათრევდი, (.) აი, ეს დაინახა რა. (?) სამჯერ დავეუმახე და ვერ გავაგონე, ან არ შემომჩნიაო.*“ (ხაზი 14-19). აღსანიშნავია გამოხატული მახვილი სიტყვაზე – *მიათრევდი*. ზაზა კვლავ უხეშად გამოხატავს სათქმელს: „*ვაბზე არ დამინახავს და არაფერი არ გამიგია. (.) რა არ შეიმჩნიაო, რეებს ბოდავს?*“ (ხაზი 20-21). ქეთის სახის გამომეტყველებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ იგი უნდობლობითაა განწყობილი ზაზას მიმართ, მაგრამ ამჯობინებს,

კამათს თავი აარიდოს. კერძოდ, ზაზას კითხვაზე – „და ვაბშე რა არი მაგამი მოსაყოლი?“ (ხაზი 22) – იგი პასუხობს: „კაი, არაფერი.“ (ხაზი 30). თუმცა, როცა ზაზა ეკითხება – „და შენ რა გგონია, რო რა?“ (ხაზი 31) – ქეთი თავს ვერ იკავებს და, გაღიზიანებული, ხმამაღლა ეუბნება თავის ვერსიას: „რო რა და ვიღაც ქალთან ახვედი, (.) აიტანე ეს საჭმელი (.) და მოიწყვეთ იქ რომანტიული ვახშამი სახლში.“ (ხაზი 32-34). ზაზა საპასუხოდ ისევ აგრესიას ავლენს, ჩანგალს ხმაურიანად აგდებს და ყვირილით პასუხობს: „აი, მეზიზღება ეს კატოს ბაზრები რაა! (?)“ (ხაზი 35). აღსანიშნავია გამოკვეთილი მახვილი „კატო“-ზე (კატოს ბაზრები). ამით ზაზა ხაზს უსვამს, რომ ქეთის საკუთარი აზრი არ გააჩნია და თავისი ბიძაშვილის თუ მეგობრების აზრებს ახმოვანებს. ქეთი ცდილობს საკუთარი პოზიცია დაიცვას და კვლავ ჩხუბით, ხმამაღლა პასუხობს: „აა, (.) კატოს ბაზრები, (.) თინას აზრები... (.) შენ რა გგონია, რო მე საკუთარი აზრი არ გამაჩნია, ხო?! (?)“ (ხაზი 36-38). ამ შემთხვევაში ზაზა მეტად შეურაცხყოფს და ამცირებს ქეთის აზრს, იყენებს აგრესიულ, სკაბრეზულ ლექსიკას ქეთის ნააზრევთან დაკავშირებით და ხმას უწევს: „ხოდა, მით უმეტეს, თუ შენ თვითონ მოიფიქრე აი ეგ სირობა!“ (ხაზი 39-40) (აქცენტი სიტყვაზე – სირობა). ქეთი ისევ ცდილობს სიტუაციის განმუხტვას, თუმცა მისი ხმა კვლავ მაღალია: „რა გაყვირებს?! (.) რა იყო, ვიკითხე, (.) არ შეიძლება?! (?) ნინო კეშელაძემ რომ დამირეკა, ეგ გამიკვირდა.“ (ხაზი 41-43). ზაზა აგრესიითა და ყვირილით ამთავრებს საუბარს, კვლავ იყენებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს ქეთის ბიძაშვილის მისამართით: „ხოდა, კიდევ რო დაგირეკავს ნინო კეშელაძე, (.) უთხარი, იდი ნახუი-თქო, (.) ჩემმა ქმარმა შემოგიტვალაო.“ (ხაზი 44-46). აღსანიშნავია გამოხატული მახვილი სკაბრეზულ ფრაზაზე – იდი ნახუი-თქო. ზაზა ოთახიდან გადის, ქეთი კი რჩება – შეწუხებული და ჩაფიქრებული.

განხილულ მაგალითში ვხედავთ, რომ ქეთი გულწრფელად და ემოციურად, ხმამაღლა გამოხატავს თავის აზრს, კერძოდ, მას ეჭვი აქვს, რომ ზაზა ღალატობს, რაზეც საპასუხოდ მხოლოდ აგრესიას, შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და თავდასხმას იღებს თავისი იდენტობის მიმართ. კერძოდ, ზაზა ქეთის გრძნობებს და ემოციებს არ

ითვალისწინებს, ყვირილით პასუხობს, იყენებს უხეშ, სკაბრეზულ სიტყვებსა და ფრაზებს, აგრესიულ სხეულის ენას (სახის გამომეტყველება, ქესტიკულაცია), ასევე, ექვექვეშ აყენებს ქეთის აზრების ღირებულებასა და ნამდვილობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი არა ქეთის, არამედ მისი ჭორიკანა ბიძაშვილის და მეგობარი კატოს მოსაზრებებია. ზაზა, ამგვარად, ცდილობს თავი დაიძვრინოს შექმნილი სიტუაციიდან. აღნიშნული ქცევა კი, ცხადია, საფრთხის შემცველია ადრესატის, ქეთის, იდენტობისთვის. თავიდან, ქეთი საკუთარი იდენტობის დაცვას თამამად, ხმის აწევით ცდილობს: „*შენ რა გგონია, რომ მე საკუთარი აზრი არ გამაჩნია, ხო?! (?)*“ (ხაზი 37-38), თუმცა შემდეგ, ზაზას საპასუხო აგრესიის ფონზე, დამაბულობის განმუხტვას ამჯობინებს. ზაზა საუბარს მაინც სკაბრეზული ფრაზით ასრულებს: „*ხოდა, კიდევ რო დაგირეკავს ნინო კეშელაძე, (.) უთხარი, იდი ნახუი-თქო, (.) ჩემმა ქმარმა შემოგითვალაო.*“ (ხაზი 44-46) და ოთახიდან გადის, ქეთი კი რჩება – შეწუხებული და ჩაფიქრებული. ამგვარად, მისი თავდაცვის მცდელობა უშედეგოა. ზაზა მას უჭკუო, სულელი ადამიანის იმიჯს უქმნის, რომელსაც საკუთარი დასკვნის გაკეთება არ შეუძლია და მხოლოდ სხვების – ამ შემთხვევაში ბიძაშვილის და დაქალის – აზრებს ახმოვანებს (სხვათა მიერ მიწერილი/მიკუთვნებული პოზიცია – “other-asserted subject position”). იხ. Anton and Peterson, 2003).

მოყვანილ მაგალითში ზაზა არათავაზიანობის გამოხატვის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, უხეში ქმრის იმიჯის შექმნის გზით, ახერხებს შექმნილი სიტუაციიდან თავის დაძვრენას. იგი საუბრისას აქტიურად იყენებს არათავაზიანობის გამოხატვის ისეთ ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს, როგორცაა: უხეში, შეურაცხმყოფელი, სკაბრეზული სიტყვები და ფრაზები, აგრესიული სხეულის ენა (სახის გამომეტყველება, ქესტიკულაცია), ხმამაღალი საუბარი, სხვისი, ამ შემთხვევაში, ქეთის იდენტობის არაღიარება, მასზე თავდასხმა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზაზა არათავაზიანი ქცევის საშუალებით ცდილობს ქეთისთან მიმართებით შეფარდებითი ძალაუფლების მოპოვებასა და დემონსტრირებას, უხეში ქმრის იდენტობის შექმნასა და შენარჩუნებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ პროცესში იგი საფრთხეს უქმნის ქეთის

სახეს, ანუ იდენტობას, არ ითვალისწინებს მის მოსაზრებებსა და ემოციებს, პირიქით, შეურაცხყოფს და ამცირებს მას.

(5) მაგალითი¹¹

მონაწილეები: ცოლ-ქმარი – ქეთი (ქ. ≈25 წლის) და ზაზა (ზ. ≈27 წლის).

წარმოდგენილ სცენაში წყვილი არის საძინებელში – ზაზა წევს, ტელეფონში ვიდეოს უყურებს, ქეთი ზის, სარკეში იყურება. ზაზა ადგომას დააპირებს...

- ქ. 1 – რას აკეთებ?
- ზ. 2 – მოწვევ და დავწვები.
- ქ. 3 – (აღელვებული) რას მოწვევ? (.)
- ქ. 4 ექიმმა რა გითხრა, არ გახსოვს? (?)
- ქ. 5 დაწევი, რა!
- ზ. 6 – კაი, გოგო, რაც მე ბავშვობაში თავი მაქ ნარტყამი, (.)
- ზ. 7 მაიცა რა!
- ქ. 8 – დღეს და ხვალ რო იწვე, რა მოგივა? (.)
- ქ. 9 და დაწევი, გთხოვ, (.) მიდი! (2.0)
- ზ. წვება და ქ. 10 ნინამ დამირეკა, (2.0)
- ტელეფონში ქ. 11 დათო და ბიჭები წავიდნენ
- ვიდეოს ქ. 12 იმ გოგოს დასაცავადო.
- უყურებს. ზ. 13 – ჰოო, ვიცი.
- ქ. 14 – მერე იმ გოგოს ბიჭების დაცვა კი არ უნდა, (.)
- ზ. ქ.-ს ქ. 15 შენ რო იცავდე, ის უნდა.
- უყურებს ზ. 16 – დაიწყე ისევ, ხო?! (?) (2.0)
- წარბაწეული. ზ. 17 შენ რა გგონია, რო

¹¹ მოცემული მაგალითი გამოყენებულია სტატიაში. იხ. Khukhunaishvili, 2022.

- ზ. 18 ის გოგო იგონებს, რო ვილაცა მანიაკი გადაეკიდა? (?)
- ქ. 19 – არაფერსაც არ იგონებს. (.)
- ქ. 20 უბრალოდ, უნდა, რო შენ იცავდე.
- ზ. 21 – (სარკასტულად) ოოო! (.)
- ქ. 22 ეს კატო კირვალიძის ანალიზი იქნება!
- გაბრაზებული ქ. 23 – რა სულ სხვის ანალიზებს მიმაწერ? (.)
- ხურავს ქ. 24 არ შეიძლება, მეც მქონდეს საკუთარი აზრი? (?)
- სარკეს. ზ. 25 – ნუ, ფაქტია, რო შენ ეჭვიანი არ იყავი (.)
- ზ. 26 და ახლა ეჭვიანობ ვილაც საწყალ გოგოზე,
- ზ. 27 რომელსაც მანქანით დავეჯახე. (.)
- ზ. 28 და დიახაც, ვალში ვიქნები მთელი ცხოვრება,
- ზ. 29 ეს დედამოტყნული. (.)
- ზ. 30 ძნელი გასაგებია? (?)
- ქ. 31 – რას ჰქვია, ვალში იქნები, გამაგებინე. (.)
- ქ. 32 რო გითხრას,
- ქ. 33 ჩემთან გადმოდი საცხოვრებლადო,
- ქ. 34 რა უნდა მითხრა,
- ქ. 35 რო ვალში ვარ და უნდა წავიდეთ? (?)
- ზ. 36 – სიგარეტის მოწევა არ შეიძლება და
- ზ. 37 ტვინის ტყვანა შეიძლება, ხო?! (?)
- ქ. 38 – ნუ ღრიალებ რა ამ შუალამეს!
- ზ. 39 – ხოდა, ნუ მაღრიალებ რაა! (?) ე!
- ქ. 40 – (გაუბედავად) ხოდა, მეც დავეხმარები
- ქ. 41 ვინმე კაცს გაჭირვებაში.
- ზ. 42 – შენ ჰკვიანად იყავი, გოგო!
- დააგდებს და ქ. 43 – დაწევი, სად მიდიხარ? (.)

- ადგომას ქ. 44 დაწევი, რა, (?)
- დააპირებს. ქ. 45 დაწევი, არ შეიძლება ადგომა! (2.0)
- ქ. წვება. ქ. 46 (უკმაყოფილოდ) სსსს!
- ზ. წვება. ზ. 47 – აუ, იმენა აზრზე არა ხარ ცხოვრების. (.)
- ზ. 48 არც იცო, ვისზე უნდა იეჭვიანო, რაა! (?)
- ზ. ქ. 49 – (გალიზიანებული) ძალიან კარგად ვარ აზრზე, რაა! (?)
- გადატრიალდა ზ. 50 – იდი ნა ხუდი რა! (?)
- და ფეხბურთს ქ. 51 – (გაკვირვებული, ნაწყენი, ზიზღნარევი მზერით) სს!
- უყურებს
- ტელეფონში.

სეზონი 12, სერია 67 (04:19)

სიცხადისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ინტერაქციამდე გარკვეული პერიოდით ადრე ზაზა მანქანით დაეჯახა უცნობ გოგოს, რომელსაც აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, ქეთისგან ფარულად, დაუმეგობრდა. როცა გოგომ მას დახმარება სთხოვა მანიაკის თავიდან მოსაშორებლად, ზაზა დასთანხმდა. შედეგად, მანიაკმა ზაზას თავში აგური ჩაართყა, რის გამოც, ექიმის რეკომენდაციით, რამდენიმე დღე უნდა იწვეს.

მოცემულ მაგალითში ჩანს, რომ ქეთი ზრუნავს ზაზას ჯანმრთელობაზე. კერძოდ, სთხოვს, რომ ექიმის რჩევა გაითვალისწინოს და იწვეს. თუმცა აშკარაა, რომ ეჭვიანობს არსებული სიტუაციის გამო: „იმ გოგოს ბიჭების დაცვა კი არ უნდა, (.) შენ რო იცავდე, ის უნდა.“ (ხაზი 14-15), ხოლო ზაზას პასუხში იკვეთება არასერიოზული დამოკიდებულება, უპატივცემულობა, რომ მისთვის მოსაბეზრებელია ქეთის ეჭვიანობა და არ ითვალისწინებს მის გრძნობებს: „დაიწყე ისევ, ხო?! (?)“ (ხაზი 16). როცა ქეთი კვლავ იმეორებს – „არაფერსაც არ იგონებს. (.) უბრალოდ, უნდა, რო შენ იცავდე.“ (ხაზი 19-20) – ზაზა სარკასტულად პასუხობს: „ოოო! (.) ეს კატო კირვალიძის ანალიზი იქნება!“ (ხაზი 21-22). ამით იგი თავს ესხმის ქეთის იდენტობას, დამცინავად, სარკასტული ტონით და სახის გამომეტყველებით საუბრობს და ქეთის მსჯელობისა და ანალიზის უნარს ეჭვქვეშ

აყენებს. საყურადღებოა, რომ ქეთის ეჭვიანობის მიზეზს ზაზა საკუთარ ქცევაში ან მოცემულ სიტუაციაში კი არა, ქეთის მეგობრის, კატო კირვალიძის, ანალიზში წარმოაჩენს, რასაც, მისივე თქმით, ქეთი იჯერებს და იმეორებს, რადგან საკუთარი დასკვნის გაკეთების უნარი არ გააჩნია. ზაზას აღნიშნულ პასუხს, შედეგად, ქეთის გაღიზიანება მოჰყვება. იგი ხმას უწევს და თავისი იდენტობის დაცვას ცდილობს: „რას უნდა სხვის ანალიზებს მიმაწერ? (.) არ შეიძლება, მეც მქონდეს საკუთარი აზრი? (?)“ (ხაზი 23-24). აღსანიშნავია გამოკვეთილი აქცენტი სიტყვაზე – მეც. ზაზა მშვიდად პასუხობს: „ნუ, ფაქტია, რომ შენ ეჭვიანი არ იყავი (.) და ახლა ეჭვიანობ ვიღაც საწყალ გოგოზე, რომელსაც მანქანით დავეჯახე.“ (ხაზი 25-27). შემდეგ ზაზას ემოცია სძლევს და ხმას უწევს, იყენებს აგრესიულ, სკაბრეზულ ლექსიკას: „და დიახაც, ვალში ვიქნები მთელი ცხოვრება, ეს დედამოტყნული. (.) ძნელი გასაგებია? (?)“ (ხაზი 28-30). აღსანიშნავია აქცენტი სიტყვებზე – ვალში, მთელი ცხოვრება, დედამოტყნული. ქეთისთვის კი ეს, ამკარად, ძნელი გასაგებია. ისიც ყვირნტილით პასუხობს: „რას ჰქვია, ვალში იქნები, გამაგებინე. (.) რო გითხრას, ჩემთან გადმოდის საცხოვრებლადო, რა უნდა მითხრა, რომ ვალში ვარ და უნდა წავიდეთ? (?)“ (ხაზი 31-35). ზაზა კვლავ ხმამაღლა, არასერიოზულად, თითქმის ხუმრობით პასუხობს: „სიგარეტის მოწევა არ შეიძლება და ტვინის ტყვანა შეიძლება, ხო?! (?)“ (ხაზი 36-37). მნიშვნელოვანია აქცენტი არათავაზიან, შეურაცხმყოფელ ფორმულირებაზე – ტვინის ტყვანა, რასაც იგი ქეთის ეჭვიანობასთან და მოცემულ საუბართან დაკავშირებით იყენებს. ინტერაქციის ბოლოს ზაზა კვლავ ეჭვქვეშ აყენებს ქეთის აზრების ვალიდურობას და სერიოზულობას: „აუ, იმენა აზრზე არა ხარ ცხოვრების. (.) არც დეც, ვისზე უნდა იეჭვიანო, რაა! (?)“ (ხაზი 47-48). საყურადღებოა აქცენტი ფრაზაზე – აზრზე არა ხარ – რაც, ცხადია, რომ ქეთის ვერ ამშვიდებს. იგი გაღიზიანებული პასუხობს: „ძალიან კარგად ვარ აზრზე, რაა! (?)“ (ხაზი 49). პასუხად კი კვლავ უპატივცემულო, შეურაცხმყოფელ, სკაბრეზულ ფრაზას იღებს – „იდი ნა ხუდი, რა! (?)“ (ხაზი 50). ამის პარალელურად ზაზა გადატრიალდება და ტელეფონში ფეხბურთის ყურებას იწყებს. აღნიშნული ქცევით ზაზა ცხადად გამოხატავს,

თუ რამდენად უმნიშვნელო და უინტერესოა მისთვის ქეთისთან საუბარი და მისი გრძნობები თუ ემოციები. ქეთის სახის გამომეტყველებაში კი გაკვირვება, წყენა, ზიზღი იგრძნობა.

წარმოდგენილ მაგალითში ჩანს, რომ ზაზა არ ითვალისწინებს ქეთის გრძნობებსა და ემოციებს, მის ექვიანობას აგრესიით პასუხობს, ხმას უწევს, იყენებს უხემ, შეურაცხმყოფელ, სკაბრეზულ სიტყვებსა და ფრაზებს. იგი, ასევე, არ აღიარებს ქეთის, როგორც მოაზროვნე ადამიანის იდენტობას და ცდილობს, მას სულელი ადამიანის იმიჯი შეუქმნას, ეჭვქვეშ აყენებს მისი აზრების ღირებულებასა და ნამდვილობას. ზაზა თავდაცვისთვის კონტრთავდასხმის მეთოდს მიმართავს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ზაზას არაერთხელ მიუცია ქეთისთვის ექვიანობის საფუძველი, ხოლო წარმოდგენილ მაგალითში, როცა, მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, ქეთი, აშკარად, ექვიანობს, ზაზა მას მისი დაქალის, კატოს, აზრების დაჯერებასა და კოპირებაში, უსაფუძვლო ექვიანობაში ადანაშაულებს და, შესაბამისად, ირიბად აყალიბებს თავის სათქმელს, რომ ქეთის საკუთარი აზრი არ გააჩნია და მისი პოზიციები, ძირითადად, სხვათა, ამ შემთხვევაში დაქალების აზრების გახმოვანებას წარმოადგენს. მეტიც, ზაზა ცდილობს, ქეთი დააჯეროს, რომ იგი ცხოვრების „აზრზე არაა“, რომ მისი ექვიანობა სრულიად უსაფუძვლოა და სერიოზულ განხილვას არ იმსახურებს. ამგვარად, ზაზას მიზანია, ქეთიმ საკუთარი ხედვებისა ღირებულება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, ბრმად ენდოს და დაუჯეროს ზაზას პოზიციას. ეს ყოველივე კი საფრთხის შემცველია ქეთის იდენტობისთვის, უფრო კონკრეტულად, ხელს უშლის მას, სასურველი იდენტობის ფორმირებაში. მეუღლის აღნიშნულ მცდელობაზე ქეთის უარყოფითი რეაქცია აქვს, იგი ზაზას მიერ მიწერილი სულელი ადამიანის იდენტობას უარყოფს, ხმას უწევს და საპასუხო აგრესიას ავლენს მის მიმართ. საბოლოოდ, ყოველგვარი განხილვის თავიდან ასარიდებლად, ზაზა მარტივ გამოსავალს პოულობს და საუბარს უხეში, შეურაცხმყოფელი, სკაბრეზული ფრაზის გამოყენებით ასრულებს – „იდი ნა ხუდი, რა! (?)“ (ხაზი 50), გადატრიალდება და ფეხბურთის ყურებას იწყებს. ამგვარი ქცევით იგი კიდევ ერთხელ, ცხადად გამოხატავს, თუ რამდენად უმნიშვნელოა მისთვის ქეთი, მისი აზრები,

გრძნობები, ემოციები. შედეგად, ქეთის სახის გამომეტყველებაში გაკვირვება, წყენა, ზიზღი ვლინდება.

არათავაზიანობის ფენომენის მეცნიერულ, თეორიულ განმარტებაზე დაყრდნობით და, ასევე, ქეთის ინტერპრეტაციის, მისი რეაქციების საფუძველზე, მოყვანილ მაგალითში ზაზას ქცევა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი, რადგან იგი იყენებს ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებსა და ინტონაციურ მოდელს (ხმას უწევს, იყენებს უხემ, შეურაცხყოფელ, სკაბრეზულ სიტყვებსა და ფრაზებს), რომლებიც არ არის ასოცირებული ოჯახის დისკურსის ჟანრთან და უგულებელყოფაა ჟანრობრივი ნორმებისა, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზაზას ქცევა შეიძლება, შეფასდეს, როგორც ქეთის სახისთვის საფრთხის შემცველი. ასევე, შეუსაბამობაა ინტერაქციის სოციალურ, ჟანრობრივ ნორმებსა და მონაწილეთა პირად ემპირიულ გამოცდილებასა თუ მოლოდინებს შორის; სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არღვევს ჟანრის ფარგლებში დაწესებულ საზღვრებს, რომლებიც არეგულირებს, თუ რა სახის ქცევა არის მისაღები მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის (იხ. Garcés-Conejos Blitvich, 2010a).

(6) მაგალითი¹²

მონაწილეები: ოჯახის წევრები – ქმარი – ზაზა (ზ. ≈27 წლის), ცოლი – ქეთი (ქ. ≈25 წლის), მათი მცირეწლოვანი შვილი – ნიაკო (ნ. ≈5 წლის), ზაზას დედა – ნაირა (ნა. ≈60 წლის) და მამა – როლანდი (რ. ≈65 წლის). აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი ცხოვრობს ერთად.

წარმოდგენილ სცენაში როლანდი (რ.), ნაირა (ნა.), ზაზა (ზ.) და ნიაკო (ნ.) არიან მისაღებ ოთახში, ქეთი (ქ.) კი – საძინებელში, მეგობარ მამაკაცს ელაპარაკება

¹² მოცემული მაგალითი გამოყენებულია სტატიაში. იხ. Khukhunaishvili, 2019b.

საიდუმლოდ. ზაზა ფეხბურთს უყურებს ტელევიზორში, ნიაკო მაგიდასთან ზის ნაირასთან და როლანდთან ერთად. (ხაზი 51-მდე – 17:08-18:38) ნაირა და როლანდი ჩხუბობენ. ნაირა არის მასწავლებელი სკოლაში. მას საკონტროლოს რვეულები აქვს სახლში მოტანილი გასასწორებლად და აღმოაჩინა, რომ ერთერთი რვეული ცხიმინია. იგი როლანდს ადანაშაულებს, რომ მან ხაჭაპური დადო რვეულზე, რასაც როლანდი უარყოფს. ქეთი ჩხუბის ხმაზე გამოდის.

[...]

- ქ. 51 – ნიაკო, შენ ხო არ დადე, დე?
- ნ. 52 – კი, მე დავდე.
- რ. თავში რ. 53 – (ამოიოხრებს) მერე, რატლ არ ამბობ, შვილო? (.)
- შემოირტყამს რ. 54 დავხოცეთ ერთმანეთი.
- ხელს. ნ. 55 – ჩემთვის არავის არ უთქვია.
- ზ. 56 – შენ, კიდე, სად ხარ, ერთი, (.) რას აკეთებ, რა?! (?)
- ზ. ქ.-ს ზ. 57 დახოცეს ამათმა ერთმანეთი
- უყურებს ზ. 58 ამ ქონიანი რვეულების გამო
- გაბრაზებული ზ. 59 და სადა ხარ, რა?! (?)
- სახით. ქ. 60 – ოთახში ვიყავი. (2.0)
- ზ. 61 – და მერე მიხედუ ამ ბავშვს, რაა. (?)
- ზ. 62 შენი ბრალია, ეს რო აქ ეპოტინება რაღაცეებს.
- ქ. 63 – (სარკასტულად) ბოდიში, არ მესმოდა.
- ზ. იყენებს ზ. 64 – არ გესმოდა, აბა,
- ჟესტიკულაციას. ზ. 65 რას აკეთებდი, ერთი, მაინტერესებს, (.)
- ზ. 66 მთელი დღეა შენთან ერთად არი ეს ბავშვი და...
- ნა. 67 – კარგით ეხლა, რა! (.)
- ნა. 68 ნუ დახოცავთ ეხლა ერთმანეთს თქვენც.
- ქ. 69 – მთხოვა ხაჭაპური მიყიდეთ, (.) მეც ვუყიდე. (.)

- ქ. 70 რა მოხდა მერე?
- ქ. ზ.-ს ზ. 71 – ხოდა, ჯერ ერთი, ნუ ყიდულობ ყველაფერს
უყურებს ზ. 72 რასაც გთხოვს. (2.0)
- გაკვირვებული ზ. 73 დედა ხარ თუ მამა ხარ, შეჩემა?! (2.0)
- სახით. ქ. 74 – (აღელვებული) ვერ გავიგე, რა, (?)
- ქ. 75 გადაწეროს იმ ბავშვმა თავიდან, (.) რა მოხდა?! (2.0)
- ნა. 76 – დედაა! (2.0) ეს სკოლაა, შვილო, (.)
- ნა. 77 ნინიას ბაღი კი არ არის. (.)
- ნა. 78 და ცუდი ნიშანი მიიღო.
- ქ. ზ.-ს ზ. 79 – ჟუ, რა დებილი ხარ, რაა! (?)
- უყურებს ზ. 80 (იციანის) აი, ხანდახან ისეთ სისულელეს იტყვი
- გაკვირვებული, ზ. 81 პროსტა, რო (2.0)
- ნაწყენი სახით. ზ. 82 [რალა ხანდახან, (.) სულ.
- ქ. ოთახიდან რ. 83 – [ხედავ, ნიაკო, (?)
- გადის რ. 84 შენმა ლოჯში ხაჭაპურის ბურჯგვანამ რა გამოიწვია? (?)
- გაბრაზებული ნ. 85 – ვერე შენც ჯამ ლოჯიში.

სეზონი 14, სერია 13 (19:30)

წარმოდგენილ მაგალითში ცხადად ჩანს ზაზას მოთხოვნები, მისი ხედვა თავისი ცოლის მოვალეობების შესახებ, კერძოდ, იგი მუდამ ყურადღებით უნდა იყოს და ზაზასთვის გაუგებარია, სხვას რას შეიძლება აკეთებდეს ქეთი. ზაზა გაბრაზებული სახით, დამაბული ხმით და აგრესიული ჟესტიკულაციით მიმართავს ქეთის: „შენ, კიდე, სად ხარ ერთი, (.) რას აკეთებ რა?! (?) დახოცეს ამათმა ერთმანეთი ამ ქონიანი რვეულების გამო და სადა ხარ, რა?! (?) (ხაზი 56-59). მოცემულ მაგალითში ზაზა იყენებს მისთვის ჩვეულ სტრატეგიას – დადანაშაულებას, დაბრალებას. ზაზა ქეთის ადანაშაულებს, რომ იგი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ნიაკოს: „და მერე მიხედე ამ ბავშვს, რაა! (.) შენი ბრალია ეს რო აქ ეპოტინება რალაცეებს“ (ხაზი 61-62). საყურადღებოა ზაზას მიერ

გამოყენებული ფრაზა: „შენი ბრალია“ – გამოხატული მახვილით ნაცვალსახელზე – შენი. ქეთი ქმრის ამ შენიშვნის გამო გაღიზიანებული ჩანს და სარკასტული ტონით იხდის ბოდიშს: „ბოდიში, არ მესმოდა“ (ხაზი 63), რაზეც ზაზა კვლავ დადანაშაულებით პასუხობს: „არ გესმოდა, აბა, რას აკეთებდი, ერთი, მაინტერესებს. (.) მთელი დღეა შენთან ერთად არი ეს ბავშვი, და...“ (ხაზი 64-66). ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ვლინდება ზაზას ხედვა, რომ მაშინაც კი, როცა ბავში ქეთისთან ერთადაა, იგი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს მას. საყურადღებოა, ნაირას კომენტარი, რომელიც კონფლიქტის განმუხტვას ცდილობს: „კარგით ეხლა, რა! (?) ნუ დახოცავთ ეხლა ერთმანეთს თქვენც.“ (ხაზი 67-68). ქეთი ცდილობს შეეწინააღმდეგოს ქმრის კრიტიკულ, მბრძანებლურ დამოკიდებულებას, პოზიციას, ლოკალურ იდენტობას და აღელვებული, ხმის აწევით პასუხობს: „მთხოვა ხაჭაპური მიყიდეთ, (.) მეც ვუყიდე. (.) რა მოხდა მერე?“ (ხაზი 69-70). საპასუხოდ, ზაზა ბრძანებითი კილოს გამოყენებით აძლევს ქეთის ინსტრუქციას, მითითებას, შეახსენებს მას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს დედა: „ხოდა, ჯერ ერთი, ნუ ყიდულობ ყველაფერს რასაც გთხოვს. (2.0) დედა ხარ თუ მამა ხარ, შეჩემა?!“ (ხაზი 71-73). აღსანიშნავია, რომ ზაზა იყენებს სკაზრებს, როგორც მიმართებით ფორმას – შეჩემა – რაშიც ქეთის მიმართ პატივისცემის ნაკლებობა ვლინდება. ამგვარად, ზაზა ცდილობს წარმოაჩინოს, რომ მას აქვს ავტორიტეტი და ძალაუფლება, ასევე, შემეცნებითი უპირატესობა საიმისოდ, რომ თავის ცოლს მისცეს მითითებები სათანადო ქცევასთან დაკავშირებით. მას დადგენილი აქვს გარკვეული წესები და ცდილობს, ქეთის შეუზღუდოს მოქმედების თავისუფლება. კერძოდ, ზაზას ხედვით, ბავშვის თხოვნების შესრულება და მისთვის ყველაფრის ყიდვა მამის მოვალეობაა, დედა კი ასე არ უნდა იქცეოდეს. ქეთი კვლავ აღელვებული და დაბნეულია: „ჯერ გავიგე, რა! (?) გადაწეროს იმ ბავშვმა თავიდან, (.) რა მოხდა?!“ (ხაზი 74-75). ქეთის ეს პასუხი ნაირას აღელვებას იწვევს: „დედაა! (2.0) ეს სკოლაა, შვილო, (.) ნინიას ბავშვი კი არ არის. (.) და ცუდი ნიშანი მიიღო.“ (ხაზი 76-78), ხოლო ზაზას საპასუხო რეაქცია ქეთის დაცინვა და შეურაცხყოფაა: „(სარკასტული ღიმილით) ფუ, რა დებილი ხარ, რაა! (.) (იცინის) აი, ხანდახან ისეთ სისულელეს იტყვი პროსტა, რო (2.0) [რაღა ხანდახან, (.) სულ.“ (ხაზი 79-82). მოცემულ

შემთხვევაში ზაზა იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a) – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს. საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – „ფუ“ და „დებილი“. აღნიშნული ქცევით (ვერბალური – „ფუ“, „დებილი“, და არავერბალური – დაცინვა, სარკაზმი) ზაზა თავს ესხმის ქეთის სახეს, მის იდენტობას, კერძოდ, ცდილობს ქეთი სულელ ადამიანად წარმოაჩინოს, რომელიც ყოველთვის სისულელეს ამბობს – „[რაღა ხანდახან, (.) სულ.“ აღსანიშნავია გამოხატული მახვილი შემდეგ სიტყვებზე – ხანდახან, სულ. ზაზა საკუთარ ხედვას ქეთის იდენტობის შესახებ აყალიბებს, როგორც ფაქტს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ზაზას შეფასებაზე ოთახში მყოფთაგან არავის აქვს საპასუხო კომენტარი, არავინ ცდილობს მასთან შეწინააღმდეგებას. ქეთი კი ზაზას უყურებს გაკვირვებული, ნაწყენი სახით, ხოლო შემდეგ ოთახიდან გადის გაბრაზებული, უკომენტაროდ.

განხილულ მაგალითში ზაზა ცდილობს თავისი ლოკალური იდენტობის აგებას, როგორც ავტორიტეტული, კრიტიკული ქმარი, რომელსაც აქვს სათანადო ძალაუფლება, ეჭვქვეშ დააყენოს თავისი ცოლის ხედვების ღირებულება, უგულბელებს მისი გრძნობები თუ მოთხოვნები. იგი თავს ესხმის ქეთის იდენტობას და მას სულელ, უყურადღებო ადამიანად წარმოაჩენს (ე.წ. სხვათა მიერ მიწერილი, მიკუთვნებული პოზიცია, იდენტობა other-asserted subject position. იხ. Anton and Peterson, 2003), ასევე, ცდილობს მისი ქცევა ჩარჩოში მოაქციოს და შეუზღუდოს მოქმედების თავისუფლება. აღნიშნულ მიზანს ზაზა ცალკეული ვერბალური (ლექსიკური ერთეულები, სკაბრეზი) და არავერბალური (დაცინვა, ირონია, ხმამაღალი საუბარი, სახის გამომეტყველება, შესტიკულაცია) საშუალებების გამოყენებით აღწევს. ქეთი ხმის აწევით ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს ზაზას სასურველ ლოკალურ იდენტობას, თუმცა უშედეგოდ. აღსანიშნავია, რომ მის ამ მცდელობას მხარს არავინ უჭერს. კერძოდ, ზაზას მშობლები, რომლებიც წარმოდგენილი ინტერაქციის მონაწილეები არიან, არანაირ წინააღმდეგობას არ უწევენ მას. ზაზას არათავაზიან ქცევას შედეგად ქეთის წყენა, გაღიზიანება, გაბრაზება მოჰყვება, რაც მის ქცევაში (ვერბალური წინააღმდეგობა, ხმის აწევა) გამოიხატება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზაზას განხილული ქცევა შეგვიძლია,

შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი. იგი საკუთარი შემეცნებითი უპირატესობის მტკიცების და ძალაუფლების დემონსტრირების გზით (ან ძალაუფლების მოპოვების მცდელობა), არათავაზიანობის გამოხატვის შესაბამისი საშუალებების გამოყენებით (ხმამალალი საუბარი, შეურაცხმყოფელი, სკაბრეზული ლექსიკა, ბრძანებითი კილო, კრიტიკა, დადანაშაულება, დაცინვა, ჟესტიკულაცია, სახის გამომეტყველება, სხვისთვის (ამ შემთხვევაში ცოლისთვის) ნეგატიური იმიჯის შექმნის მცდელობა, მისი პოზიციისა და პიროვნების უგულბელობა, ემოციების არ გათვალისწინება, სახეზე/იდენტობაზე თავდასხმა), არღვევს ოჯახის დისკურსის ჟანრის საზღვრებს, რომლებიც მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის საჭირო მისაღებ ქცევას უკავშირდება (იხ. Garcés-Conejos Blitvich, 2010a), რასაც ქეთის საპასუხო რეაქცია (წყენა, გაღიზიანება, გაბრაზება, ვერბალური წინააღმდეგობა, ხმის აწევა) ადასტურებს. ასევე, ზაზას აღნიშნული ქცევა საფრთხის შემცველია ქეთის სახისთვის, რადგან იგი საკუთარ იდენტობას ქეთის იდენტობის არაღიარების, მისი მოთხოვნებისა და გრძნობების უგულბელობის, თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე აგებს. ქეთი კი ვერ ახერხებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს ზაზას მცდელობას – არათავაზიანი ქცევის საშუალებით მოახდინოს საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება ან ამ გზით მოიპოვოს ძალაუფლება ცოლთან მიმართებით.

(7) მაგალითი

მონაწილეები: ცოლი – ქეთი (ქ. ≈25 წლის), ქმარი – ზაზა (ზ. ≈27 წლის) და მათი შვილი – ნიაკო (ნ. ≈5 წლის). მათ შორის მოცემულ ინტერაქციას ადგილი აქვს ზაზას და ქეთის დაშორების შემდეგ, როცა ისინი უკვე ყოფილი ცოლ-ქმარი არიან. ნიაკო დედასთან ერთად ცხოვრობს. წარმოდგენილ სცენაში ზაზამ ნიაკოს ორი დღით წასაყვანად შემოიარა, ხოლო ქეთი შვილისთვის ტანსაცმელს ალაგებს, რომ თან გაატანოს.

[...]

- ზ. 7 – შენ სადმე იყავი გასული? (?) (2.0)
- ზ. 8 არა, საგარეოები რო გაცვია, მაგ პონტში გეკითხები.
- ქ. ზ.-ს ქ. 9 – კი, (.) გოგლებს შევხვდი. (2.0)
- უყურებს ზ. 10 – და ბაქართან რა გინდოდა?
- გაკვირვებული. ქ. 11 – შენ ვინ გითხრა?
- ქ. ღრმად ზ. 12 – ვინც საჭიროა, იმან. (.) რა გინდოდა?
- ამოისუნთქავს. ქ. 13 – სამსახური მჭირდება და მაგიტო მივედი.
- ზ. 14 – შენ თავმოყვარეობა ვაბზე დაკარგე? (?) საერთოდ? (?)
- ქ. ნ.-ს გახედავს ქ. 15 – თავმოყვარეობა რა შუაშია? (.)
- ქ. 16 სამსახური ვთხოვე, ფული კი არა.
- ზ. 17 – ხოდა, აი, ვინ არი ბაქარი შენთვის, სამსახურს რო თხოვ?
- ზ. 18 ვინ არი, (.) მაინტერესებს.
- ქ. 19 – უუფფ... (.) ვერსად ვერ ვიშოვე სამსახური, (2.0)
- ქ. 20 მე კიდე მჭირდება. (2.0)
- ქ. 21 მაგას ბევრი ფირმა აქვს.
- ქ. ზ.-ს უყურებს ზ. 22 – გშია? (?) გწყურია თუ
- შეწუხებული ზ. 23 რატო მჭრი თავს ყველგან? (.)
- სახით. ზ. 24 რაც გადამიარე თავზე, არ გეყო? (?)
- ქ. 25 – ვერ გავიგე, (.) ჩემი სამსახურის თხოვნით
- ქ. 26 შენ რატო გჭრი თავს? (აღელვებული ხმით)
- ზ. 27 – რას ვერ ხვდები, გოგო?! (.)
- ზ. 28 რამდენჯერ უნდა დამაჯვან-მეთქი თავზე?!
- ბ. 29 – ნუ ყვირიხართ, ნუ, ნუ!
- ზ. 30 – ბოდიში, მა. (.)
- ბ. ზის ზ. 31 იმაზე ეხლა, რო გშია და სამსახური გინდა. (.)

- გაბრაზებული. ზ. 32 სამსახური კი არ გინდა, (.)
- ზ. 33 შენ გინდა პაუზდკები და გულაობა და
- ზ. 34 რომანები და, (.) ისა რაქვია, აუ, სამსახურს ვერ ვშოულობ
- ზ. 35 თუ რაღაც ყლეობებს იძახი. (.)
- ზ. 36 წამო, რა.
- ქ. თითქოს ზ. 37 – არ წამოვალ მე შენთან!
- ტირილს ზ. 38 – კაი, გეხვეწები, წამოდი ეხლა.
- იწყებს. ზ. 39 – დედას ბოდიში უთხარი.
- ზ. 40 – (ყალბად) ბოდიში, ქეთი.
- ზ. ჯიბიდან ზ. 41 წამო.
- ფულს ზ. 42 – ორშაბათს მოვალ.
- იღებს, დებს ქ. 43 – კარგი, დე.
- კომოდზე. ზ. 44 – აჰა, (.) თუ ფული გჭირდება. (.)
- ქ. უყურებს ზ. 45 წამო, (2.0) მიდი, მიდი.
- ფულს ქ. 46 – (გასვლისას ფულს სახეში აყრის ზ.-ს) არ მჭირდება
- აღელვებული. ქ. 47 შენი ფული!
- ზ. 48 – აღარ შემიძლია! აღარ შემიძლია! (.) დავიღალე!
(ტირის)

სეზონი 15, სერია 11 (15:51)

წარმოდგენილ მაგალითში ზაზა თავის ყოფილ ცოლს აკრიტიკებს იმის გამო, რომ იგი სამსახურის სათხოვნელად მივიდა მათ საერთო ნაცნობთან – ბიზნესმენ ბაქარ ორჯონიკიძესთან. ზაზას კითხვას – „და ბაქართან რა გინდოდა?“ (ხაზი 10) – ქეთის განმარტება მოჰყვება: „სამსახური მჭირდება და მაგიტო მივედი.“ (ხაზი 13). ზაზა გაღიზიანებას ქეთის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფით გამოხატავს: „შენ თავმოყვარეობა ვაბშე დაკარგე? (?) საერთოდ? (?)“ (ხაზი 14). აღსანიშნავია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – ვაბშე, საერთოდ. ამგვარად ზაზა ხაზს უსვამს, რომ

უთავმოყვარეობის პრობლემა ქეთის აქამდეც ჰქონია. ქეთი გაკვირვებული ჩანს ზაზას რეაქციით: „თავმოყვარეობა რა შუაშია? (.) სამსახური ვთხოვე, ფული კი არა.“ (ხაზი 15-16). ზაზა კვლავ ნერვულად განაგრძობს ქეთის დადანაშაულებას: „ხოდა, აი, ვინ არი ბაქრა შენთვის, სამსახურს რო თხოვ? (.) ვინ არი, (.) მაინტერესებს.“ (ხაზი 17-18); გშია? (?) გწყურია? (?) თუ რატო მჭრი თავს ყველგან? (.) რაც გადამიარე თავზე, არ გეყო? (?)“ (ხაზი 22-24). ზაზა გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვებს – გშია? გწყურია? მოცემული კომენტარებიდან კარგად ჩანს ზაზას დამოკიდებულება საკითხის მიმართ. როგორც თავად აღნიშნავს, სამსახურის სათხოვნელად ქეთის მისვლა მათ საერთო ნაცნობთან ზაზასთვის თავის მოჭრაა და, ასევე, ქცევა, რომელიც ქეთისგან მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ მას შია ან სწყურია. ასევე, იგი შეახსენებს ქეთის წარსულში ჩადენილ საქციელს, კერძოდ, ქეთიმ საიდუმლო ურთიერთობა გააბა სხვა მამაკაცთან, ზაზას უღალატა. ისინი სწორედ ამის გამო დაშორდნენ. ქეთი გაკვირვებული, ნაწყენი, შეურაცხყოფილი ჩანს: „ვერ გავიგე, (.) ჩემი სამსახურის თხოვნით შენ რატო გჭრი თავს?“ (ხაზი 25-26). აღსანიშნავია, რომ იგი ხმას უწევს და გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვებს – ჩემი, შენ, რითაც ქეთი ხაზს უსვამს, რომ ის და ზაზა სხვადასხვა ინდივიდები არიან, ასევე, აღარ არიან ცოლ-ქმარი და რომ მას აქვს უფლება საკუთარი განსჯით იმოქმედოს, იცხოვროს. ამგვარი ქცევით ქეთი ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს ზაზას მტკიცებას საკუთარი ხედვების შემეცნებითი უპირატესობის შესახებ. ზაზა უფრო და უფრო მეტად ბრაზდება და კვლავ ყვირილით პასუხობს ქეთის: „რას ვერ ხვდები, გოგო?! (.) რამდენჯერ უნდა დამაჯვა-მეთქი თავზე?!“ (ხაზი 27-28). ზაზას ეს კომენტარი კვლავ ქეთის დალატს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი საუბარი, კამათი მათი შვილის – ნიაკოს თანდასწრებით ხდება, რომელიც დედას და მამას შორის ამგვარი დაპირისპირებით შეწუხებული და ანერვიულებულია და ცდილობს შეაწყვეტინოს კონფლიქტი: „ნუ ყვირიხართ, ნუ, ნუ!“ (ხაზი 29). საყურადღებოა, რომ იგი ხმას უწევს, იყენებს ბრძანებით კილოს და გამოხატულ მახვილს აკეთებს უარყოფით ნაწილაკზე – ნუ (3ჯერ იმეორებს). ზაზა ხმას დაუწევს და მშვიდად უხდის ბოდიშს

ნიაკოს: „ბოდიში, მა.“ (ხაზი 30), თუმცა მაშინვე, პაუზის გარეშე, კვლავ ხმამაღლა აგრძელებს ქეთის დადანაშაულებას და შეურაცხყოფას: „იმახე ეხლა, რო გშია და სამსახური გინდა. (.) სამსახური კი არ გინდა, (.) შენ გინდა პაუზდკები და გულაობა და რომანები და, (.) ისა რაქვია, აუ, სამსახურს ვერ ვშოულობ თუ რაღაც ყლეობებს იმახი.“ (ხაზი 31-35). საყურადღებოა, რომ ზაზა თავის მოსაზრებას აყალიბებს, როგორც ფაქტს. იგი გამოხატული მახვილით წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს – სამსახური, პაუზდკები, გულაობა, რომანები. ზაზა, ასევე, დასცინის ქეთის, მის იმიტაციას აკეთებს: „აუ, სამსახურს ვერ ვშოულობ.“ და ბოლოს, კვლავ ხაზგასმით (გამოხატული მახვილით) იყენებს შეურაცხმყოფელ, სკაბრეზულ ლექსიკას – „თუ რაღაც ყლეობებს იმახი.“ ამგვარად, ზაზა ავლენს უპატივცემულობას ქეთის მიმართ. იგი არ აღიარებს მისი პოზიციის, ხედვების ღირებულებასა და ნამდვილობას, ეჭვქვეშ აყენებს მისი განსჯის უნარს, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქეთის მიერ გამოთქმული სურვილი სამსახურის ქონის შესახებ ტყუილია, რომ მას მხოლოდ გართობა აინტერესებს. ამის შემდეგ, როცა ზაზა ნიაკოს მიმართავს: „წამო რა.“ (ხაზი 36), ნიაკო მას უარს ეუბნება: „არ წამოვალ მე შენთან!“ (ხაზი 37). საყურადღებოა გამოხატული მახვილი უარყოფით საწილაკზე – არ, და სიტყვაზე – შენთან. როცა ზაზა კვლავ სთხოვს ნიაკოს: „კაი, გეხვეწები, წამოდი ეხლა!“ (ხაზი 38), ნიაკო მისგან ქეთისთვის ბოდიშის მოხდას ითხოვს: „დედას ბოდიში უთხარი!“ (ხაზი 39). ზაზა ამ თხოვნას მოჩვენებითად ასრულებს და ქეთის მიმართავს ისე, რომ მისკენ არც კი იყურება – „(ყალბად) ბოდიში, ქეთი.“ (ხაზი 40). როცა ქეთი ნიაკოს აცმევს და წასასვლელად ამზადებს, ზაზა ჯიბიდან ფულს იღებს და იქვე, კომოდზე დებს: „აჰა, (.) თუ ფული გჭირდება.“ (ხაზი 44), რაც ქეთის ძლიერ გაღიზიანებას იწვევს, იგი ფულს იღებს და სახეში აყრის ზაზას: „არ მჭირდება შენი ფული!“ (ხაზი 46-47). საყურადღებოა, რომ იგი ხმას უწევს და გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვებს – არ, შენი. ნიაკო ემოციას ვეღარ მალავს: „აღარ შემიდლია! აღარ შემიდლია! (.) დავიღალე! (ტირის)“ (ხაზი 48).

განხილულ მაგალითში ზაზა ცდილობს, ააგოს საკუთარი ლოკალური იდენტობა, წარმოაჩინოს საკუთარი თავი, როგორც ავტორიტეტული, კრიტიკული ყოფილი ქმარი, რომელსაც აქვს ძალაუფლება, მიუთითოს ყოფილ ცოლს, როგორ მოიქცეს, ექვემდებარება დააყენოს მისი პოზიციის, ხედვების ღირებულება და ნამდვილობა. ამისთვის იგი თავს ესხმის ქეთის იდენტობას, ასრულებს მისი სახისთვის საფრთხის შემცველ ქცევას, კერძოდ, იგი ქეთის სულელი, მატყუარა ადამიანის იმიჯს უქმნის, მიაწერს (ე.წ. სხვათა მიერ მიწერილი, მიკუთვნებული პოზიცია/იდენტობა. other-asserted subject position. იხ. Anton and Peterson, 2003) და ამტკიცებს, რომ მის ხედვებს აქვს შემეცნებითი უპირატესობა, რის გამოც, ქეთიმ მისი მითითებებისა და წესების მიხედვით უნდა იმოქმედოს თუ იცხოვროს. ზაზა ამგვარად წარმოაჩენს საკუთარ ძალაუფლებას ან ცდილობს ამ გზით მოიპოვოს შეფარდებითი ძალაუფლება ქეთისთან მიმართებით (კონტროლი მის მოქმედებაზე). ქეთი ხმის აწევით ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს ზაზას აღნიშნულ მცდელობას, თუმცა უშედეგოდ. ზაზას არათავაზიანი ქცევა ქეთის წყენას, გაბრაზებას, გაღიზიანებას, აგრესიას იწვევს, რაც მისი სახის გამომეტყველებაში, ხმის აწევასა და ვერბალურ წინააღმდეგობაში გამოიხატება.

წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ზაზა თავისი ქცევით, კერძოდ, არათავაზიანობის გამოხატვის ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა – ხმამაღალი საუბარი, კრიტიკა, დადანაშაულება, დაბრალება, შეურაცხყოფა, სკაბრეზული ლექსიკის გამოყენება, ქეთის სახეზე, იდენტობაზე თავდასხმა, საკუთარი ხედვების შემეცნებითი უპირატესობის მტკიცება – არღვევს ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ თუ კომუნიკაციურ ნორმებს, რომლებიც მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის საჭირო მისაღებ ქცევას უკავშირდება. ასევე, ზაზას განხილული ქცევა შეუსაბამობაშია ქეთის მოლოდინებთან, მის პირად, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და წარმოდგენს საფრთხეს მისი იდენტობისთვის, რადგან ზაზა მას უზღუდავს მოქმედების თავისუფლებას, არ აღიარებს მას თავისუფალ, დამოუკიდებელ პიროვნებად, ვისაც შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ იცხოვროს თუ იმოქმედოს. ქეთის რეაქციიდან გამომდინარე

(წყენა, გაბრაზება, გაღიზიანება, საპასუხო აგრესია – რაც მისი სახის გამომეტყველებაში, ხმის აწევასა და ვერბალურ წინააღმდეგობაში ვლინდება), ცხადია, რომ იგი ზაზას აღნიშნულ ქცევას აღიქვამს, როგორც არათავაზიანს. ეს კი შეესაბამება გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010, 2013) განმარტებას, რომლის თანახმად, ცალკეული ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი, როდესაც არ ხდება პიროვნების სასურველი იდენტობის, პოზიციის დადასტურება თანამოსაუბრის მიერ; როდესაც შეუსაბამობაა ინტერაქციის სოციალურ, ჟანრობრივ ნორმებსა და თანამოსაუბრეთა მოლოდინებსა და პირად, ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის; როდესაც სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არღვევს ჟანრობრივ თუ კომუნიკაციურ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს თუ რა სახის ქცევაა საჭირო, მისაღები თუ მოსალოდნელი მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის.

4.2. ინგლისურენოვანი (ამერიკული) საკვლევი ბაზის ანალიზი

“Modern Family” („თანამედროვე ოჯახი“) არის კომედიური ჟანრის ამერიკული ფსევდოდოკუმენტური¹³ სატელევიზიო სერიალი, რომლის შემქმნელები არიან კრისტოფერ ლოიდი (Christopher Lloyd) და სტივენ ლევიტანი (Steven Levitan). მათ სერიალის იდეა საკუთარი „თანამედროვე ოჯახების“ ისტორიებზე დააფუძნეს. როგორც სერიალის სახელიდან ჩანს, მასში წარმოდგენილი დიდი ოჯახი განასახიერებს თანამედროვე ამერიკულ ოჯახს. ეპიზოდებში იუმორისტულადაა ასახული სიტუაციები, რომლებიც მრავალ ოჯახში შეიძლება შეგვხვდეს რეალურ ცხოვრებაში. შოუში წარმოდგენილია პრიჩეტ-დანფი-ტაკერის (Pritchett-Dunphy-Tucker) კლანის ყოველდღიურ ცხოვრება, რომლებიც ლოს-ანჯელესის გარეუბანში ცხოვრობენ და ურთიერთდაკავშირებულნი არიან ოჯახის უხუცესი წევრის – ჯეი პრიჩეტის (Jay Pritchett), მისი ქალიშვილის – კლერის (Claire Pritchett-Dunphy) და ვაჟის – მიჩელის (Mitchell Pritchett) მეშვეობით. წარმოგიდგინთ ოჯახის ყველა წევრს: პრიჩეტების ოჯახი (“step-“ family) – ჯეი პრიჩეტი (Jay Pritchett), მისი კოლუმბიელი ცოლი – გლორია დელგადო-პრიჩეტი (Gloria Delgado -Pritchett), გლორიას ვაჟი წინა ქორწინებიდან – მანუელ/„მანი“ დელგადო (Manny Delgado); დანფების ნუკლეალური ოჯახი – ჯეის ქალიშვილი – კლერ პრიჩეტ დანფი (Claire Pritchett-Dunphy), მისი ქმარი – ფილ დანფი (Phil Dunphy) და მათი შვილები – ჰეილი (Haley), ალექსი (Alex) და ლუკ (Luke) დანფები; ტაკერების ერთსქესიანი ოჯახი – ჯეის ვაჟი – მიჩელ პრიჩეტი (Mitchell Pritchett), მისი პარტნიორი – კამერონ ტაკერი (Cameron Tucker) და მათი შვილად აყვანილი ქალიშვილი – ლილი ტაკერ-პრიჩეტი (Lilly Tucker-Pritchett). Abc.com-ზე წარმოდგენილი აღწერის მიხედვით, სერიალში ასახული სამი ურთიერთდაკავშირებული ოჯახიდან თითოეული თავისთავად უნიკალურია და ერთად ისინი მაყურებელს წარმოუდგენენ თანამედროვე

¹³ თითოეული ეპიზოდის თხრობის განუყოფელი ნაწილია პერსონაჟები, რომლებიც კამერაში საუბრობენ, თითქოს პირდაპირ მიმართავენ აუდიტორიას.

ოჯახის ზოგჯერ თბილ, ზოგჯერ კი რთულ, თუმცა ყოველთვის გულწრფელ, რეალურ და ხშირად ძალიან სასაცილო სახეს (About “Modern Family” – abc.com).

„Modern Family” („თანამედროვე ოჯახი“) პირველად 2009 წლის 23 სექტემბერს გავიდა ABC – ზე (ამერიკული სატელევიზიო კომპანია) და მყისიერი ჰიტი (პოპულარული კულტურა) გახდა. 2010-2011 წლებში ეს იყო ყველაზე მაღალრეიტინგული სცენარის გადაცემა 18-49 წლის ასაკის დემოგრაფიულ ჯგუფში და მესამე ყველაზე რეიტინგული სიტკომი “The Big Bang Theory” (“დიდი აფეთქების თეორია”) და “Two and a Half Men” (“ორნახევარი კაცი”) – ს შემდეგ (Gorman, 2011). შოუ ნომინირებული იყო სხვადასხვა კატეგორიაში და მოიპოვა მრავალი ჯილდო, მათ შორის, ემის ჯილდო (Primetime Emmy Awards) და ოქროს გლობუსი (Golden Globe Award) საუკეთესო სატელევიზიო სერიალის ნომინაციაში – მიუზიკლი ან კომედია (“It was a big night for big names at Golden Globes”, 2012- today.com).

მოცემულ კვლევაში განხილული მაგალითები ასახავს ინტერაქციებს ოჯახის უზუცეს წევრს – ჯეი პრიჩეტსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის. კვლევის მიზანს წარმოადგენს ინდივიდუალური ინტერაქციების დეტალური ანალიზი, რათა გამოვავლინოთ არათავაზიანობის ცალკეული შემთხვევები და ვერბალური და არავერბალური საშუალებები, რომლებსაც მოსაუბრე იყენებს არათავაზიანი იდენტობის ფორმირებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არათავაზიანობის როლის დადგენას იდენტობათა აგების პროცესში ოჯახის გარემოში (ოჯახის დისკურსის ჟანრში).

განვიხილოთ ცალკეული მაგალითები.¹⁴

¹⁴ დისერტაციის ბოლოს იხ. დანართი – პირობითი აღნიშვნები.

(8) მაგალითი¹⁵

მონაწილეები: გეი წყვილი – ქემერონი, „ქემი“ (Cameron, “Cam” ≈38 წლის) [C.] და მიჩელი, „მიჩი“ (Mitchell, “Mitch” ≈38 წლის) [M.]; მიჩის და – კლერი (Claire ≈42) [Cl.], კლერის ქმარი – ფილი (Phil ≈42), კლერის და ფილის შვილები – ჰეილი (Haley ≈15 წლის), ალექსი (Alex ≈11 წლის), ლუკი (Luke ≈8 წლის); მიჩის და კლერის მამა – ჯეი (Jay ≈60 წლის) [J.], ჯეის ცოლი – გლორია (Gloria ≈42 წლის) და გლორიას შვილი – მენი (Manny ≈8 წლის) [Ma].

ხუთი წელი ერთად ყოფნის შემდეგ, ქემმა [C] და მიჩმა [M] იშვილეს პატარა გოგონა ვიეტნამიდან. ქვემოთ წარმოდგენილი ჩანაწერი აღწერს სცენას, რომელშიც წყვილმა მიჩის ოჯახის წევრები მიიწვია სტუმრად, რათა გაეზიარებინათ მათთვის ეს მნიშვნელოვანი ამბავი.

[...]

- J. 28 – *SO HOW WAS YOUR TRIP?*
აბა, როგორ ჩაიარა მოგზაურობამ?
- M. 29 – *It was good, (.) it was good actually, (.)*
კარგად, (.) მართლაც კარგი იყო, (.)
- M. 30 *but (.) about that*
თუმცა (.) მაგასთან დაკავშირებით
- M. 31 *I (.) I have something that I need to tell you guys. (2.0)*
მე (.) მე რაღაც მაქვს სათქმელი თქვენთვის. (2.0)
- M. 32 *We didn't just go to Vietnam for pleasure. (.)*
ვიეტნამში მხოლოდ სიამოვნებისთვის
არ წავსულვართ. (.)

¹⁵ მოცემული მაგალითი გამოყენებულია სტატიაში. იხ. Khukhunaishvili, 2019a.

- M. – გახარებული. M. 33 *We (2.0) KINDA HAVE SOME BIG NEWS.*
ჩვენ (2.0) რაღაც მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს.
- J. 34 – *Oh, God! (.) if Cam comes out here with boobs, (.)*
ო, ღმერთო! (.) თუ ახლა ქემი ძუძუებით გამოვა, (.)
- J. 35 *I'm leaving!*
მე მივდივარ!
- CL. – დარცხვენილი. Cl. 36 – *Dad! (?)*
მამა!
- [...]
- M. 41 – *Anyway, (2.0) so, about a year ago (.)*
მოკლედ, (2.0) დაახლოებით ერთი წელია, (.)
- M. 42 *Cam and I sort have feeling this longing, (.)*
რაც მე და ქემს ეს სურვილი გაგვიჩნდა (.)
- M. 43 *you know, for something more, like, (2.0)*
რაღაც უფრო მეტის, მაგალითად (2.0)
- M. 44 *maybe a baby?! (?)*
მაგალითად, ბავშვის ყოლის.
- J. 45 – *Whoa! (.) That's a bad idea!*
უაუ! (.) ეგ ცუდი აზრია!
- M. 46 – *What do you mean, (?) bad idea?*
რას გულისხმობ, (.) ცუდი აზრია?
- M. 47 – *Well, (.) kids need a mother. (.) I mean, (.)*
ნუ, (.) ბავშვს დედა ჭირდება. (.) ვგულისხმობ, რომ (.)
- J. 48 *if you two guys are bored,*
ბიჭებო, თუ მოიწყინეთ,
- J. ილიმის 49 *get a DOG. (2.0)*
ძაღლი იყიდეთ. (2.0)
- სარკასტულად.

- M. 50 – *OK, (.) we're not bored, (.) dad!*
კარგი, (.) არ მოგვიწყენია, (.) მამა!
 [...]
- M. იცინის
 სარკასტულად. Cl. 53 – *I think, what dad is trying to say is that, (.)*
ჩემი აზრით, მამა იმის თქმას ცდილობს, რომ (.)
- Cl. 54 *Mitchell, you're a little uptight, (.)*
მიჩელ, შენ ცოტა დაძაბული ხარ, (.)
- Cl. 55 *kids bring chaos (.)*
ბავშვებს ქაოსი მოაქვთ (.)
- Cl. 56 *and you don't handle it well.*
და შენ კარგად ვერ უმკლავდები.
- M. 57 – *Hmm! (2.0) That's not what dad's saying, (.)*
ჰმმ! (2.0) ეგ არ არის, რასაც მამა ამბობს, (.)
- M. 58 *that's what you're saying (.)*
მაგას შენ ამბობ (.)
- M. 59 *and it's insulting in a whole different way.*
და ეგ სულ სხვანაირადაა შეურაცხმყოფელი.
 [...]

დრამატული მუსიკა ირთვება ხმამაღლა, C. შემოდის ხელში ბავშვით.

- ოჯახი –
 გაოცებული
 სახეებით. M. 77 – *We adopted a baby! (.) Her name is Lilly.*
ბავშვი ავიყვანეთ! (.) მისი სახელია ლილი.
- C. 78 – *Exciting?! (?)*
ამაღელვებელია?! (?)
 [...]
- J. – J. 90 – *EXCUSE me, (.) Okay, (.) I know that I said*

- განცვიფრე-
ბული.
- J. 91 *I thought this was a bad idea, (.)*
ცუდი აზრია-მეთქი, (.)
- J. 92 *but (2.0) what do I know?! (.)*
მაგრამ (2.0) მე რა ვიცი?! (.)
- J. 93 *I mean, it's not like I wrote the book on fatherhood. (.)*
ვგულისხმობ, (.) მამობის შესახებ
წიგნი არ მაქვს დაწერილი. (.)
- J. 94 *I'm trying whole my life to get it right, (.)*
მთელი ცხოვრებაა ვცდილობ სწორად გავიგო, (.)
- J. 95 *I'm still screwing up. (2.0)*
მაგრამ მაინც ვუშვებ შეცდომებს. (2.0)
- J. 96 *Right, Manny?! (?)*
ასე არაა, მენი?!
- Ma. 97 *- I wrote a song about it in the car. (2.0)*
მაგაზე სიმღერა დავწერე მანქანაში. (2.0)
- J. 98 *- Of course, you did. (2.0)*
ჰო, რათქმაუნდა. (2.0)
- M. ბედნიერი
ჩანს. J. 99 *Anyway, (.) I'm happy for you.*
მოკლედ, (.) მიხარია თქვენი ამბავი.
- [...]
- M. 113 *- Do you want to meet grandpa? (?)*
გინდა ბაბუ გაიცნო? (?)
- J. 114 *- What?! (.) Are you kidding?! (?)*
რა?! (?) ხუმრობ?! (?)
- J. 115 *She's one of us now. (.)*
ის ახლა ერთერთი ჩვენგანია. (.)

J. 116 *Let me see the little pot sticker (chuckling).*

მაჩვენეთ ეს პატარა (იციხის).

ყველა J. 117 *Ha, ha, ha! (.) Heey, (.) you are a cutie, (.) aren't you?! (?)*

ბედნიერია. *ჰა, ჰა, ჰა! (.) ჰეეი, (.) რა საყვარელი ხარ!*

სეზონი 1, პილოტი¹⁶ (18:03)

წარმოდგენილ მაგალითში ვხედავთ, რომ როცა მიჩი შესავალს აკეთებს იმის შესახებ, რომ მას და ქემს რაღაც დიდი სიახლე აქვთ: “*ვიეტნამში მხოლოდ სიამოვნებისთვის არ წავსულვართ. (.) ჩვენ (2.0) რაღაც მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს*” (ხაზი 32-33), ჯეი მას წინადადების დამთავრებასაც არ აცდის, მაშინვე უკმაყოფილების გამომხატველ კომენტარს აკეთებს: “*ო, დმერთო!*” (ხაზი 34). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვაზე – *დმერთო*, რაც მის უარყოფით მოლოდინებს უსვამს ხაზს, რომელიც ქემს უკავშირდება: „*თუ ახლა ქემი ძუძუებით გამოვა, (.) მე მივდივარ!*“ (ხაზი 34-35). ამგვარად, ჯეი ახმოვანებს თავის სტერეოტიპულ შეხედულებას ქემის შესახებ. იგი თვლის, რომ რადგან ქემი გეია, მას აუცილებლად ექნება სურვილი, ქალს დაემსგავსოს (ე.წ. სხვათა მიერ მიწერილი, მიკუთვნებული პოზიცია/იდენტობა – იხ. Anton and Peterson, 2003). ჯეის აღნიშნული კომენტარი კლერს უხერხულობას უქმნის, იგი დარცხვენილი ჩანს და ცდილობს, ჯეი შეაჩეროს: *:მამა!*“ (ხაზი 36). კლერის რეაქცია მიგვანიშნებს, რომ ჯეის მიერ თავისი აზრის (სტერეოტიპული შეხედულების, მოლოდინების) მსგავსი პირდაპირი ფორმულირება მისაღები არ არის, გადახვევაა მოცემული ჟანრის ფარგლებში არსებული ნორმებიდან. მიჩი აგრძელებს თავის სათქმელს: „*მოკლედ, (2.0) დაახლოებით ერთი წელია, (.) რაც მე და ქემს ეს სურვილი გაგვიჩნდა (.) რაღაც უფრო მეტის, მაგალითად, (2.0) მაგალითად, ბავშვის ყოლის.*“ (ხაზი 41-44). ჯეი ამ შემთხვევაშიც მიჩის მიერ გამოთქმულ აზრს, მის სურვილს მკაცრად უარყოფით შეფასებას უკეთებს, ისე რომ მისთვის აზრი არ უკითხავთ: „*უაუ! (.) ეგ ცუდი აზრია!*“ (ხაზი 45). აღსანიშნავია გამოხატული მახვილი შორისდებულზე – *უაუ!* და

¹⁶ სატელევიზიო მრავალსერიიანი ფილმის სერიის საცდელი ჩვენება.

სიტყვებზე – ცუდი აზრია. თავის პოზიციას ჯეი არგუმენტით განამტკიცებს და თან სარკასტულ რჩევასაც აძლევს წყვილს: „ნუ, (.) ბავშვს დედა ჭირდება. (.) ვგულისხმობ, რომ, (.) ბიჭებო, თუ მოიწყინეთ, ძაღლი იყიდეთ.“ (ხაზი 47-49). საყურადღებოა, რომ იგი ხმას უწევს და გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვებს – ძაღლი, მოიწყინეთ. ამგვარად, ჯეი მიჩნევა, რომ მათი მიდგომა არასერიოზულია და მოწყენილობის გამო ბავშვი არ უნდა იშვილონ. მოცემულ შემთხვევაში ჯეი თავის მოსაზრებას აყალიბებს, როგორც ფაქტს. იგი საკუთარი ხედვის შემეცნებით უპირატესობას ამტკიცებს, წარმოაჩენს, რომ მან უკეთ იცის რა არის მიჩისა და ქემისთვის სწორი ქცევა თუ გადაწყვეტილება. ჯეის კომენტარებიდან, ასევე, ცხადია, რომ იგი საკუთარ იდენტობას იყალიბებს, როგორც სასტიკად, მოურიდებლად პირდაპირი, გულწრფელი ადამიანი (ამ შემთხვევაში – მამა). ამის პარალელურად, იგი ეჭვქვეშ აყენებს მიჩის და ქემის სასურველ იდენტობას, არ აღიარებს მათ პასუხისმგებლიან წყვილად, რომელსაც ბავშვის აღზრდა შეუძლია. კლერი კვლავ სიტუაციის განმუხტვას ცდილობს: „ჩემი აზრით, მამა იმის თქმას ცდილობს, რომ, (.) მიჩელო, შენ ცოტა დამაბული ხარ, (.) ბავშვებს ქალსი მოაქვთ (.) და შენ კარგად ვერ უმკლავდები.“ (ხაზი 53-56). ამ ყველაფერს კი შედეგად მიჩის წყენა მოჰყვება, რაც მის კომენტარში (პასუხში) ვლინდება: „ჰმმ! (2.0) ეგ არ არის, რასაც მამა ამბობს, (.) მაგას შენ ამბობ (.) და ეგ სულ სხვანაირადაა შეურაცხმყოფელი.“ (ხაზი 57-59). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვაზე – შეურაცხმყოფელი. ამგვარად, მიჩი ჯეის და კლერის მიერ გაკეთებულ კომენტარებს იმის შესახებ, რომ მას და ქემს ბავშვის აღზრდა არ შეუძლიათ, აფასებს, როგორც შეურაცხმყოფელს.

საბოლოოდ, როცა დიდი საიდუმლო გამჟღავნდება და ქემი ლილის შემოიყვანს ოჯახის წევრებთან შესახვედრად, ყველა განცვიფრებული და გახარებულია. ჯეი დაბნეული ჩანს. იგი მიჩს და ქემს ბოდიშს უხდის: „მაპატიეთ, (.) კარგი, (.) ვიცი, ვთქვი, ცუდი აზრია-მეთქი, (.) მაგრამ (2.0) მე რა ვიცი?! (.) ვგულისხმობ, (.) მამობის შესახებ წიგნი არ მაქვს დაწერილი. (.) მთელი ცხოვრებაა ვცდილობ სწორად გავიგო, (.) მაგრამ მაინც ვუშვებ შეცდომებს.“ (ხაზი 90-95). აღსანიშნავია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – მე

რა ვიცი“ (ხაზი 92), „მაინც ვუშვებ შეცდომებს“ (ხაზი 95). ამგვარად, ჯეი ადასტურებს მიჩის და ქემის სასურველ იდენტობას, აღიარებს მათ პასუხისმგებლიან წყვილად, რომელსაც ბავშვის აღზრდა შეუძლია, რასაც შედეგად უთანხმოების მშვიდობიანი გადაწყვეტა მოჰყვება. შედეგად, ყველა ბედნიერია.

მოყვანილ მაგალითში ვხედავთ, რომ ჯეი ამტკიცებს საკუთარი ხედვების შემეცნებით უპირატესობას, საკუთარ სუბიექტურ მოსაზრებას აყალიბებს, როგორც ფაქტს. იგი არ აღიარებს თანამოსაუბრეთა (მოცემულ შემთხვევაში – მიჩის და ქემის) სასურველ იდენტობას, საფრთხეს უქმნის მათ სახეს, ეჭვქვეშ აყენებს მათი ხედვებისა და სურვილების ღირებულებას, არ ითვალისწინებს მათ გრძნობებსა და მოთხოვნებს. ამგვარად, ჯეი წარმოაჩენს საკუთარ ძალაუფლებას, იქმნის, იყალიბებს თუ განამტკიცებს საკუთარ იდენტობას, როგორც ავტორიტეტული მამა, ოჯახის უფროსი, ვისაც აქვს უფლება პირდაპირ და მოურიდებლად გააკრიტიკოს ოჯახის წევრები, მიუთითოს მათ თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა არის მათთვის სწორი ქცევა თუ გადაწყვეტილება ისე, რომ მისთვის აზრი არ უკითხავთ. ჯეი იყენებს სარკაზმს, ბრძანებით კილოს, ხმას უწევს. მისი აღნიშნული ქცევა თანამოსაუბრეთა დაბნეულობას, უხერხულობას, ასევე ადრესატის წყენას იწვევს, რაც მათი მხრიდან ვერბალურ წინააღმდეგობაში ვლინდება. ასევე, ქემი მის ქცევას პირდაპირ და დაუფარავად აფასებს, როგორც „შეურაცხმყოფელს“ (ხაზი 59). აქედან გამომდინარე, ჯეის განხილული ქცევა შეგვიძლია, შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ბოლოს იგი ბოდიშს უხდის მიჩსა და ქემს თავისი კრიტიკისა და აზრის თავს მოხვევის გამო. შედეგად, წარმოდგენილი სცენის ბოლოს ყველა ბედნიერია.

ველოსიპედებით სეირნობენ.

J. იცინის J. 11 – *(horn honks) (laughing) Heheheey! (2.0)*
სარკასტუ- *(მანქანის სიგნალის ხმა) ჰეჰეჰეეი! (2.0)*

ლად. J. 12 *Nice bike, Sally! (?)*
კარგი ველოსიპედია, სალი!(.)

L. – გაბრაზებული სახით.

P. – ნაწყენი სახით.

Cl. 13 – *Dad! (?)*
მამა! (.)

J. – მკაცრი J. 14 – *Come on! (.) He looks like little Bo Peep on that thing.*
სახით. *კარგი რა! (.) პატარა ბო პიპს¹⁸ გავს მაგ რაღაცით.*

Cl., P. შეწუხე- P. 15 – *Actually, (.) not for long. (.)*
ბული, *იცი რა, (.) ასე დიდი ხანი არ გაგრძელდება. (.)*

ჩაფიქრებული P. 16 *He's getting a new bike this afternoon. (2.0)*
სახეებით. *დღეს საღამოს ახალი ველოსიპედი ეყოლება. (2.0)*

L. 17 – *I am? (?)*
მართლა? (?)

P. 18 – *Mm-hmm.*

L. აა-ჰაა.

ბედნიერი Cl. 19 – *He is? (?)*
სახით. *ნამდვილად? (?)*

J.- ს სახის გამომეტყველება –

“ბატონი ყველაფრის მცოდნე”.

¹⁸ მწყემსი ქალის ბო-პიპის ისტორია – ინგლისური საბავშვო ლექსი (nursery rhyme).

მოცემულ მაგალითში ფილი შეწუხებული ჩანს: „ჩემი ბიჭი თავისი დის ძველი ველოსიპედით დადის.“ (ხაზი 1-2). მისი აზრით, ეს შეიძლება ლუკის დაცინვის მიზეზი გახდეს: „ვწერვილობ, არ დასცინონ ხმაურიანმა უტაქტო მჩაგვრელებმა.“ (ხაზი 9-10). შემდეგ სცენაში, როდესაც კლერი, ფილი და ლუკი ველოსიპედებით სეირნობენ, ჯეი მანქანით გამოივლის და ლუკის ველოსიპედის დანახვით გახალისებული, სწორედ ხმაურიანი უტაქტო მჩაგვრელის როლში გვევლინება. ჯეი მიმართავს დაცინვასა და სარკაზმს, ასევე, იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a) – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს. იგი თავის შვილიშვილს გოგოს სახელს ეძახის: „კარგი ველოსიპედიო, სალი!“ (ხაზი 12), გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სახელს – სალი და, ამგვარად, ეჭვქვეშ აყენებს მისი, როგორც ბიჭის იდენტობას, რაც საკმაოდ სენსიტიური საკითხია (სხვათა მიერ მიწერილი, მიკუთვნებული პოზიცია/იდენტობა. იხ. Anton and Peterson, 2003). ლუკის სახის გამომეტყველებიდან ჩანს, რომ იგი გაბრაზებული და ნაწყენია ჯეის (ბაბუას) აღნიშნული კომენტარის გამო. ასევე, კლერის რეაქცია, რომელიც ცდილობს, შეაჩეროს ჯეი: „მამა!“ (ხაზი 13) – გამოხატული მახვილით აღნიშნულ სიტყვაზე, მიგვანიშნებს, რომ ამგვარი ქცევა არ არის მისაღები მოცემული ჟანრის (ოჯახის დისკურსის) ფარგლებში და შეიძლება, ჩაითვალოს ჟანრობრივი ნორმებიდან გადახვევად. ჯეი კი ოდნავ გაბრაზებული, მკაცრი სახითა და ტონით ცდილობს, უარყოს, რომ მისი ქცევა არასათანადოა: „კარგი რა! (.) პატარა ბლ პიპს გავს მაგ რაღაცით.“ (ხაზი 14). ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ იგი არათავაზიანობის გამოხატვის იმავე საშუალებას – დაცინვას, სარკაზმს იყენებს და გამოკვეთილი მახვილით (ბლ პიპს გავს) კვლავ გოგოს – პატარა მწყემს ქალს ადარებს ლუკს. ამგვარად, იგი კიდევ ერთხელ ესხმის თავს ლუკის სახეს, მის იდენტობას. ვხედავთ, რომ კლერს და ფილს შეწუხებული, ჩაფიქრებული სახეები აქვთ.

წარმოდგენილ სიტუაციაში ჯეი აგებს, განიმტკიცებს საკუთარ იდენტობას. იგი ცდილობს, მოურიდებლად პირდაპირი, გულწრფელი, ხუმარა, ენამახვილი და

მზრუნველი ბაბუას/მამის სახე, იმიჯი შეიქმნას, რომელსაც სურს, რომ თავის შვილიშვილს შესაფერისი – ბიჭის ველოსიპედი ჰყავდეს და გამოიყურებოდეს, როგორც ბიჭი. ასევე, ჯეი წარმოაჩენს, რომ მას აქვს შესაბამისი ავტორიტეტი და ძალაუფლება საიმისოდ, რომ მიუთითოს ოჯახის წევრებს თუ რა არის მათთვის სათანადო, სწორი ქცევა თუ გადაწყვეტილება, ავლენს „მე უკეთ ვიცი“ მიდგომას, ანუ ამტკიცებს საკუთარი ხედვების შემეცნებით უპირატესობას, ასევე, საკუთარ მოსაზრებას აყალიბებს, როგორც ფაქტს. ჯეი დაცინვასა და სარკაზმს მიმართავს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი, პარალელურად, ლუკის სახეს არაერთხელ ესხმის თავს. ფილი ცდილობს, დაიცვას ლუკის (შვილის) სახე, მისი იდენტობა და სპონტანურ გადაწყვეტილებას იღებს, რომ მას ახალი ველოსიპედი უყიდოს: „იცი რა, (.) ასე დიდი ხანი არ გაგრძელდება. (.) დღეს სადამოს ახალი ველოსიპედი ეყოლება.“ (ხაზი 15-16). მამის ამ მოულოდნელი გადაწყვეტილებით ლუკი გაკვირვებული და ბედნიერი ჩანს, ხოლო ჯეის სახის გამომეტყველება და ჟესტიკულაცია მიგვანიშნებს, რომ იგი კმაყოფილია საკუთარი თავით და მიღებული შედეგით.

განხილულ მაგალითში ვხედავთ, რომ ჯეი თავს ესხმის როგორც ლუკის (შვილიშვილის), ისე კლერისა და ფილის (ლუკის მშობლები) სახეს, კერძოდ, იგი ლუკს დასცინის ველოსიპედის გამო, მას გოგოს სახელს ეძახის, რის გამოც ლუკი, კლერი და ფილი ნაწყენი, შეწუხებული ჩანან. ჯეი, ასევე, ეჭვქვეშ აყენებს კლერისა და ფილის ხედვების ღირებულებას, მიუთითებს, რომ მათი გადაწყვეტილება მცდარია და რომ ჯეიმ უკეთ იცის, რა არის მათთვის სწორი თუ უკეთესი ქცევა. ჯეი არ ითვალისწინებს თანამოსაუბრეთა გრძნობებსა და მოთხოვნებს, იყენებს დაცინვასა და სარკაზმს. იგი, ამგვარად, საკუთარ იდენტობას იყალიბებს, იქმნის გულწრფელი, მოურიდებლად პირდაპირი, ხუმარა, ენამახვილი, ასევე, მზრუნველი ადამიანის (მამას/ბაბუას) იმიჯს, (სახეს, იდენტობას). თანამოსაუბრეთა რეაქციიდან გამომდინარე (წყენა, შეწუხება, ვერბალური წინააღმდეგობა) ცხადია, რომ ჯეის ამგვარი ქცევა შეუსაბამობაშია მოცემული ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ თუ კომუნიკაციურ ნორმებთან, საფრთხის შემცველია თანამოსაუბრეთა სახისთვის და შეიძლება შეფასდეს, როგორც არათავაზიანი.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჯეის არათავაზიანი ქცევის შედეგი – სპონტანური გადაწყვეტილება ველოსიპედის ყიდვასთან დაკავშირებით – ახარებს როგორც ლუკს, ასევე, ფილს.

(10) მაგალითი

მონაწილეები: ქმარი – ჯეი (Jay ≈60 წლის) [J.], და ცოლი – გლორია (Gloria ≈42 წლის) [G.].

- | | |
|--|--|
| G. და J.
კამერაში
ლაპარაკობენ.
G. –
გახარებული
სახით. | G. 1 – <i>Manny's <u>father is taking him for a couple of days</u></i>
<i>მენი <u>მამას რამდენიმე დღით</u></i>
G. 2 <i>to <u>Disneyland.</u> (.)</i>
<i><u>დისნეილენდში მიყავს.</u> (.)</i>
G. 3 <i>So, we're going to go (2.0) to the <u>wine country.</u> (.)</i>
<i>ასე რომ, ჩვენ <u>ღვინის ქვეყანაში ვაპირებთ წასვლას.</u> (.)</i> |
| J. კმაყოფილი
ჩანს. | J. 4 – <i>We're going to <u>drink some WINE,</u> (.)</i>
<i><u>ღვინოს დავლევთ.</u> (.)</i>
J. 5 <i><u>eat some good food...</u> (.)</i>
<i><u>კარგ საჭმელს შევჭამთ...</u> (.)</i>
J. 6 <i>You know, (.)</i>
<i>იცი, (.)</i>
J. 7 <i>we would <u>do something like this a lot more often,</u> (.)</i>
<i>ასეთ <u>რამეს ბევრად ხშირად გავაკეთებდით,</u> (.)</i>
J. 8 <i>If it <u>wasn't for,</u> (.) you know, (.) <u>Manny.</u></i>
<i>რომ არა, (.) ხომ ხვდები, (.) <u>მენი.</u></i> |
| G. აღარ
იღიმის. | G. 9 – <i>He's good. (.) He <u>keep us grounded.</u></i>
<i>ის კარგია. (.) ის <u>მიწაზე დგომაში გვუხმარება.</u></i> |

G. ნაწყენი J. 10 – Yeah, (2.0) Like fog at an airport.

სახით. ჰოლ, (2.0) როგორც ნისლი აეროპორტში.

G. – დაბნეული, ნაწყენი, უხერხული ღიმილით.

Season 1, Episode 2 (03:50)

წარმოდგენილ მაგალითში ჯეი და გლორია გახარებულები, აღელვებულები ჩანან, რადგან ღვინის ქვეყანაში მოგზაურობისთვის ემზადებიან, ხოლო მენი (გლორიას შვილი პირველი ქორწინებიდან) მამას დისნეილენდში მიჰყავს რამდენიმე დღით. ჯეის კომენტარზე – “იცი, (.) ასეთ რამეს ბევრად ხშირად გავაკეთებდით. (.) რომ არა, (.) ხომ ხვდები, (.) მენი.” (ხაზი 6-8) – ვხედავთ, რომ გლორიას სახიდან ღიმილი ქრება, თუმცა იგი ცდილობს, სერიოზულად არ აღიქვას ჯეის ნათქვამი: ის კარგია. (.) ის მიწაზე დგომაში გვეხმარება.“ (ხაზი 9). ხოლო ჯეი საპასუხოდ იუმორს, მხატვრულ შედარებას იყენებს. იგი მენის ადარებს ნისლს, რომელიც თვითმფრინავს აფრენის საშუალებას არ აძლევს: „ჰოლ, (2.0) როგორც ნისლი აეროპორტში.“ (ხაზი 10). აღნიშნულ ხუმრობაზე გლორიას, ამკარად, დაბნეული, ნაწყენი სახე აქვს, თუმცა უკომენტაროდ ტოვებს ჯეის.

მოცემულ სიტუაციაში ჯეი საკუთარ იდენტობას წარმოაჩენს, იქმნის, როგორც ხუმარა, გულწრფელი, მოურიდეblად პირდაპირი ადამიანი (ქმარი), ვისაც აქვს უფლება, იხუმროს ისე, რომ არ გაითვალისწინოს სხვების (ამ შემთხვევაში – ცოლის) გრძნობები და ემოციები. ჯეის ხუმრობას შედეგად გლორიას წყენა მოჰყვება. მისი სახის გამომეტყველებიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ჯეის ამგვარი ქცევა მის მოლოდინებთან შეუსაბამობაშია. იგი დაბნეული ჩანს და ჯეის აღნიშნულ ქცევაზე, მის კომენტარზე საპასუხოდ მხოლოდ ნაწყენი სახე აქვს, რადგან ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. იგი წინააღმდეგობას ვერ უწევს ჯეის სასურველ იდენტობას. ამგვარად, ჯეი არღვევს ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ თუ კომუნიკაციურ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს თუ რა სახის ქცევაა მისაღები, მოსალოდნელი მოვლენათა ნორმალური

განვითარებისთვის და მისი ქცევა, ადრესატის რეაქციიდან გამომდინარე, შეიძლება, შეფასდეს, როგორც არათავაზიანი.

(11) მაგალითი

მონაწილეები: ჯეი (Jey ≈60 წლის) [J.], ჯეის შვილი – მიჩელი, მიჩი (Mitchel, Mitch ≈38 წლის) [M.], მიჩის პარტნიორი – ქემერონი, ქემი (Cameron, Cam ≈38 წლის) [C.], ჯეის მეგობრები [F.] – შორტი (Shorty) [S.] და სხვები [F.].

წარმოდგენილ სცენაში ჯეი ქუჩაში დგას თავის მეგობრებთან ერთად – ლაპარაკობენ და იცინიან, როცა ქემი გამოჩნდება, თაიგულით ხელში. ქემი, ჯეის დანახვით გახარებული, მისკენ გაეშურება.

- | | | | |
|-------------|----|---|---|
| | C. | 1 | - <i>Heey, (.) look <u>who it is!</u></i> |
| J. | | | <i>ჰეეი, (.) ნახეთ, აქ ვინ არის!</i> |
| უხერხული | J. | 2 | - <i>Hey! (.) there <u>he is!</u></i> |
| გამომეტყვე- | | | <i>ჰეი! (.) აი ისიც!</i> |
| ლებით. | C. | 3 | - <i>What a <u>coinkydink!</u>¹⁹ (.)</i> |
| | | | <i>რა დამთხვევაა! (.)</i> |
| | C. | 4 | <i>I was just getting some <u>flowers</u> for <u>Gloria</u></i> |
| | | | <i>გლორიასთვის ყვავილებს ვყიდულობდი (.)</i> |
| | C. | 5 | <i>for babysitting <u>Lily</u>.</i> |
| | | | <i>ლილის დატოვებისთვის.</i> |
| | J. | 6 | - <i>You want me to <u>take</u> them to her? (?)</i> |
| | | | <i>გინდა, მე წავეულო? (?)</i> |
| | C. | 7 | - <i>I would, (.) but</i> |

¹⁹ A coincidence- დამთხვევა (იუმორისტული, არაფორმალური გამოთქმა).

			კარგი იქნებოდა, (.) მაგრამ
J.	C.	8	<i>I have the most <u>hilarious</u> card</i>
ნამალადევი			ყველაზე <u>სასაცილო</u> ბარათი მაქვს
ღიმილით.	C.	9	<i>for her at home. (.)</i>
			მისთვის სახლში – (.)
	C.	10	<i>It's (.) It's a <u>hunky</u></i>
			<u>ძლიერი</u> და <u>სექსუალური</u>
	C.	11	<i><u>Antonio Banderas</u> type</i>
			ანტონიო ბანდერასის ტიპაჟია
C.-ს ყველა	C.	12	<i>in silk <u>boxers</u> (.)</i>
სერიოზული			აბრეშუმის ტრუსებში (.)
სახით	C.	13	<i>and on the inside, it says: (.)</i>
უყურებს.			და შიგნიდან აწერია: (.)
J.-ს	C.	14	<i><u>“Thank you for last noche.” (2.0)</u></i>
მხოლოდ			<u>“მადლობა გუშინდელი ღამისთვის. (2.0)</u>
ერთი	C.	15	<i><u>but I can't find my pantalones.” (laughing) (2.0)</u></i>
მეგობარი			მაგრამ ჩემს <u>შარვალს ვერ ვპოულობ.</u> ” (იცინის) (2.0)
იღიმის.	C.	16	<i>I'm not doing it justice, (.) really.</i>
J. ძალიან			ცუდად მოვყევი, (.) მართლა.
შეწუხებული	C.	17	<i><u>Hi. (.) I'm Cameron.</u></i>
ჩანს.			<u>გამარჯობა. (.) მე ქემერონი ვარ.</u>
C.	J.	18	<i>– <u>Oh, (.) Geez! (.) I'm sorry.</u></i>
გაოცებული,			<u>ო, (.) ღმერთო! (.) ბოდიში.</u>
ნაწყენი	J.	19	<i><u>Guys, (.) this is Cameron.</u> (.)</i>
სახით.			<u>ბიჭებო, (.) ეს ქემერონია. (.)</u>
J. ძირს	J.	20	<i>He's a (2.0) friend of my <u>son's.</u> (.)</i>
იყურება, C.-ს			ის არის (2.0) ჩემი <u>შვილის</u> მეგობარი. (.)

- არ უყურებს. J. 21 *This is, uh, (.) Scotty, (.) Dale, (.) Hugo and Shorty.*
ეს არის, ამ, (.) სკოტი, (.) დეილი, (.) ჰუგო და შორტი. (.)
- F. – C. 22 – *It’s nice to meet you, guys. (.)*
სერიოზული *სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. (.)*
- სახეებით. C. 23 *You, guys, look like a scene*
თქვენ, ბიჭებო, სცენას მაგონებთ
- C. უხერხული C. 24 *out of Jersey Boys (chuckles).*
ლიმილით. *ჯერსის ბიჭებიდან²⁰ (იცინის).*
- შემდეგი** მიჩმა [M.] მანქანით გაუარა ქემს [C.].
სცენა: [...] მიჩი [M.], ლილი და ქემი [C.] მანქანაში სხედან.
03:22
- C. იცინის C. 44 – *Oh, (.) guess what! (.)*
უხერხულად *ოუ, (.) იცო რა?! (.)*
- C. 45 *I ran into your dad and some of his friends.*
მამაშენს და მის მეგობრებს შევხვდი შემთხვევით.
- M. 46 – *Oh, really?! (?)*
მართლა?! (?)
- C. 47 – *Yeah (.) and get this – (.)*
კი (.) და აი, რა – (.)
- C. C. 48 *he, uh, (.) he referred to me, as*
სარკასტული *მან, ამ, (.) მან მომიხსენია, როგორც*
- მიმიკით. C. 49 *„a friend of my son“.*
„ჩემი შვილის მეგობარი“.
- M. გაკვირვე- M. 50 – *Seriously? (?)*

²⁰ 2014 წლის ამერიკული მუსიკალური დრამა. რეჟისორი და პროდიუსერი- კლინტ ისტვუდი. ფილმი მოგვითხრობს მუსიკალური ჯგუფის- The Four Seasons- ისტორიას.

- ბული სახით. *სერიოზულად? (?)*
- C. 51 – *Yeah.*
კი.
- M. ნაწყენი, M. 52 – *That's a little disrespectful to you.*
გაბრაზებული- *ეგ ცოტა უპატივცემულობაა შენ მიმართ.*
ლი ჩანს. C. 53 – *I wasn't offended by it.*
მე არ მწყენია.
- M. 54 – *Well, (.) (exhales) I am.*
(ამოიხუნთქავს) მე მწყენია.
- M. 55 *I mean, (.) would he refer to Phil*
იმის თქმა მინდა, რომ, (.) ფილს მოიხსენიებდა,
- M. 56 *as a friend of Claire's? (?) No.*
როგორც კლერის მეგობარს? (?) არა.
- C. 57 – *I've heard him*
გამიგონია, რომ
- C. 58 *call Phil a lot worse. (.)*
ბევრად უარესადაც მოუხსენიებია ფილი. (.)
- C. 59 *Just (.) let it pass. (.)*
უბრალოდ, (.) გაატარე. (.)
- C. 60 *I should have never said anything.*
არაფერი არ უნდა მეთქვა.
- C. M. 61 – *No, Cam, (.) no, (.) I'm not letting it pass. (.)*
შეწუხებული *არა, კემ, (.) არა, (.) არ გავატარებ. (.)*
- სახით. M. 62 *He needs to know that's not ok. (.)*
უნდა იცოდეს, რომ ეს არ არის მისაღები (.)
- M. 63 *and if he doesn't like it, (.)*
და თუ არ მოეწონება, (.)

M. 64 he knows where he can go.

იცის, სადაც შეუძლია წავიდეს.

მიჩი [M.] გაბრაზებული გადადის მანქანიდან.

[...]

შემდეგი

მიჩი [M.] და ქემი [C.] კამერაში ლაპარაკობენ.

სცენა:

M. 69 – I came out of the closet

ჩემი ორიენტაცია გავამხილე.

M. 70 in my mid 20s. (.)

როცა 20 წელს გადავაბიჯე. (.)

M. 71 I had to actually come out to my dad. (.)

რეალურად, მამაჩემთან ამის გამხელა მომიხდა. (.)

M. 72 three times. (.)

სამჯერ. (.)

M. 73 before he finally acknowledged it. (.)

სანამ საბოლოოდ აღიარებდა ამას. (.)

M. 74 I'm not sure. (.)

ზუსტად არ ვიცი, (.)

M. M. 75 maybe he was hoping he heard it wrong. (.)

გაბრაზებული
შეიძლება, იმედი ჰქონდა, რომ არასწორად გაიგონა. (.)

ბული M. 76 like I had said: (2.0)

სახით და მაგალითად, რომ ვთქვი: (2.0)

სარკასტული M. 77 “Dad, (.) I’m grey.” (2.0)

ტონით. “მამა, (.) მე ნაცრისფერი ვარ.” (2.0)

C. 78 – And my parents. (.)

			<i>და ჩემი მშობლები. (.)</i>
M.	C.	79	<i>they always just <u>knew</u>. (.)</i>
სარკასტული			<i>მათ, უბრალოდ, ყოველთვის <u>იცოდნენ</u>. (.)</i>
სახით.	C.	80	<i>My <u>mother</u> says (.)</i>
			<i>დედაჩემი ამბობს, რომ (.)</i>
	C.	81	<i><u>labor</u> with me took <u>36 hours</u>. (.)</i>
			<i>ჩემს გაჩენას 36 საათი დასჭირდა, (.)</i>
	C.	82	<i>because I came out of the womb <u>like this</u>–</i>
			<i>რადგან საშვილოსნოდან <u>ასე</u> გამოვედი–</i>
C. ხელებს	C.	83	<i>„HELLOO!“ (laughing)</i>
შლის.			<i>„გამარჯობაა!“ (იცინის)</i>
შემდეგი			მიჩი [M.] მიდის სალაპარაკოდ ჯეისთან, რომელიც
სცენა:			ისევ იქ დგას თავის მეგობრებთან ერთად და
			ლაპარაკობს.
	M.	84	<i>– <u>Hey, dad!</u></i>
			<i>გამარჯობა, მამა!</i>
	J.	85	<i>– MITCHEL!</i>
			<i>მიჩელ!</i>
	J.	86	<i>Hey, you, guys, know my son <u>Mitch</u>.</i>
			<i>ბიჭებო, თქვენ იცნობთ ჩემს შვილს <u>მიჩს</u>.</i>
ყველა	F.	87	<i>– Hey, Mitch!</i>
ესალმება			<i>გამარჯობა, მიჩ!</i>
M-ს.	S.	88	<i>– <u>Hey</u>. (.) <u>hey, hey!</u> (.) <u>That’s a great coat</u>. (.)</i>
S. ხელით			<i><u>ჰეი</u>, (.) <u>ჰეი, ჰეი!</u> (.) <u>მაგარი ქურთუკია</u>. (.)</i>
ეხება M.-ის	S.	89	<i><u>Where’d you get that?</u></i>
ქურთუკს.			<i><u>სად იყიდე?</u></i>

- M. 90 – *Um, (.) You know, I don't know. (.) It's a gift.*
ამ, (.) იცი, არ ვიცი. (.) ნაჩუქარია.
- M. ილიმის
სარკასტუ-
ლად, თან
კამერისკენ
იყურება.
- S. 91 – *Really?! (?) What is it, suede? (?) Microsuede? (?)*
მართლა?! (?) რა არის, ზამში? (?) მიკრო ზამში? (?)
- M. 92 – *Um...*
ამ...
- S. 93 – *Some kind of lambskin? (?)*
ცხვრის ტყავი? (?)
- M. 94 *It's very soft, you know. (?)*
იცი, ძალიან ნაზია.
- M. 95 – *Thank you! (.)*
მადლობა! (.)
- M. 96 *Uh, (.) can I (?) talk to you for a second? (?)*
ამ, (.) შეიძლება, (?) ერთი წამით დაგელაპარაკო? (?)
- M. J.-ს
მიმართავს.
- J. 97 – *Yeah, (.) yeah, yeah, yeah.*
კი, (.) კი, კი, კი.
- M. S.-ს
მიმართავს.
- M. 98 – *Thanks.*
მადლობა.
- M. 99 *Good seeing you. (2.0)*
სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა. (2.0)
- J. 100 – *Be right back. (2.0)*
ახლავე დავბრუნდები. (2.0)
- J. 101 *What's the matter?*
რა ხდება?
- M. 102 – *Um, (.) “a friend of my son”?! (?)*
ამ, (.) ჩემი შვილის მეგობარი?! (?)
- M. გაბრაზე-
ბული სახით.
- J. 103 – *That's how you introduce Cam? (?)*

- ასე აცნობ ხალხს ქემს? (?)
- J.- ს სახეზე დაუჯერებლობა ეტყობა. M. 104 – That’s why you came here? (?)
ამიტომ მოხვედი აქ? (?)
- M. 105 Dad, (.) it’s just more than a little insulting. (.)
მამა, (.) ეს, უბრალოდ, ცოტა შეურაცხყოფაზე მეტია. (.)
- M. 106 Cam and I have been together for five years. (.)
ქემი და მე ერთად ვართ ხუთი წელია. (.)
- M. 107 We... (.) we have a daughter.
ჩვენ... (.) ჩვენ შვილი გვყავს.
- J. შეწუხებუ-
ლი სახით. J. 108 – Look at these guys. (.)
შეხედე ამ ბიჭებს. (.)
- J. 109 They look like they came out of the 1800s. (.)
1800-ანებიდან გადმოსულეებს გვანან. (.)
- J. 110 You see Hugo over there? (?)
ჰუგოს ხომ ხედავ? (?)
- J. 111 After lunch he ordered a Sanka.
ლანჩის შემდეგ სანკა²¹ შეუკვეთა.
- M. 112 – No, (.)
არა, (.)
- M. 113 they aren’t the ones that are uncomfortable with this, (.)
ეს მათ კი არ ეუხერხულებათ ეს, (.)
- M. 114 you are. (.)
შენ გეუხერხულება. (.)
- J. გაკვირვებუ-
ლი სახით. M. 115 You’ve never been completely accepting of me. (.)
ბოლომდე არასდროს მიღებდი (.)
- M. 116 And now that I have a family, (.)

²¹ უკოფეინო ხსნადი ყავის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ბრენდი.

- და ახლა, როცა ოჯახი მყავს (.)
- M. 117 *it's getting a little old.*
 ეგ ცოტა მოძველდა.
- J. 118 – *These guys don't understand the gay thing. (.)*
 ამ ბიჭებს გეი თემა არ ესმით. (.)
- J. 119 *Why create an awkward situation, (.)*
 რა საჭიროა უხერხული სიტუაციის შექმნა, (.)
- J. 120 *that's all I'm saying.*
 მხოლოდ ამას ვამბობ.
- M. 121 – *That's weird, (.) because your friend Shorty there (.)*
 უცნაურია, (.) რადგან შენი მეგობარი შორტი (.)
- J. S.-ს
 გახედავს. M. 122 *gay as they come.*
 უეჭველი გეია.
- J. 123 – *You got to be kidding me! (laughing)*
 ნამდვილად მეხუმრები! (იცინის)
- M. 124 – *Mm-mmm, (.) no. (.)*
 მმ-მმმ, (.) არა. (.)
- M. 125 *My gaydar is never wrong (.)*
 ჩემი გეიდარო²² არასდროს ცდება (.)
- M. 126 *and it is pinging, like we're at a bathroom.*
 და ის ნიშანს მაძლევს, თითქოს აბანოში ვართ.
- J. 127 – *What are you talking about, gay?!! (.)*
 რაზე ლაპარაკობ, რა გეი?! (.)
- J. 128 *The guy used to be married.*
 ეგ ტიპი დაქორწინებული იყო.

²² გეი ადამიანების უნარი (ინსტინქტი) – ამოცნონ ერთმანეთი ძალიან მცირე ნიშნების საშუალებით.

- M. 129 – *Ok, that makes... (.) So did Elton John, (.)*
ასევე იყო ელტონ ჯონიც. (.)
- M. 130 *Merv Griffin, Cole Porter...*
მერვ გრიფინი. (.) კოლ პორტერი...
- J. 131 – *You know what?! (?) Listen, (.)*
იცი რა?! (.) მისმინე. (.)
- J. 132 *you couldn't be more wrong about this.*
ძალიან ცდები.
- M. 133 – *No, dad, (.) you could not be more wrong (.)*
არა, მამა, (.) შენ ცდები ძალიან (.)
- M. 133 *about a lot of things. (.)*
ბევრ რამესთან დაკავშირებით. (.)
- M. J.-ს მეგობრებს მიმართავს. მეგობრებიც ეშვდილობებიან M.-ს.
- M. 134 *Good seeing you, guys. (waving)*
გამიხარდა თქვენი ნახვა, ბიჭებო. (ხელს უქნევს)
- F. 135 – *You take care, man.*
თავს მიხედე.
- S. 136 – *That's a great coat!*
მაგარი ქურთუკია!
- C. J.-ს ანიშნებს.
- M. 137 – *Ping!*
პინგ! (ნიშნისმოგებით) {გეიდარის ნიშანი}
- ჯეი [J.] გაკვირვებული, ეჭვის თვალთ გახედავს შორთის [S.].

Season 1, episode 13 (01:28, 03:22)

მოყვანილ მაგალითში, როცა ქეში შემთხვევით შეხვდება ქუჩაში ჯეის მეგობრებთან ერთად, იგი გახარებული გაემართება მისკენ მისასალმებლად, ხოლო ჯეი ქემთან შეხვედრით დაბნეული ჩანს, მის სახეზე უხერხულობა შეინიშნება: „ჰეი, (.) აი ისიც!“ (ხაზი

2). როცა ქემი თავად გაეცნობა ჯეის მეგობრებს, ჯეი ბოდიშს იხდის, რომ მისი წარდგენა დაავიწყდა: „ო, (.) ღმერთო! (.) ბოდიში. (.) ბიჭებო, (.) ეს ქემერონია. (.) ის არის (2.0) ჩემი შვილის მეგობარი.“ (ხაზი 18-20). ამ შემთხვევაში, ჯეი თავის მეგობრებთან არ აღიარებს ქემის იდენტობას და უგულბელყოფს, მნიშვნელობას არ ანიჭებს მის გრძნობებსა და მოთხოვნებს. რეალურად, ქემი ჯეის ოჯახის წევრი, მისი შვილის (მიჩის) პარტნიორია (გეი წყვილი). ამგვარი წარდგენის გამო ქემს გაკვირვება, წყენა ეტყობა, თუმცა, უკომენტაროდ ტოვებს ჯეის ქცევას და კვლავ ცდილობს, თავაზიანი იყოს: „სასიამოვნოა თქვენი გაცნობა!“ (ხაზი 22), ხოლო ჯეი ქემს თვალს არიდებს, ძირს იყურება. ცხადია, რომ იგი აანალიზებს მის მიერ ქემის მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულების უარყოფით შედეგს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც არ ცვლის თავის ქცევას.

შემდეგ სცენაში, როდესაც ქემს მისი პარტნიორი, მიჩი და შვილი – ლილი (≈2 წლის) გამოუვლიან მანქანით, ქემი მიჩს მომხდარის შესახებ უყვება: „ოუ, (.) იცო რა?! (.) მამაშენს და მის მეგობრებს შევხვდი შემთხვევით (.)“ (ხაზი 44-45) და აი, რა – (.) მან, ამ, (.) მან მომიხსენია, როგორც „ჩემი შვილის მეგობარი.“ (სარკასტული მიმიკით)“ (ხაზი 47-49). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – შვილის მეგობარი. მიჩი მომხდარით გაკვირვებული ჩანს: „სერიოზულად? (?)“ (ხაზი 50), ეგ ცოტა უპატივცემულობაა შენ მიმართ.“ (ხაზი 52). იგი გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვას – უპატივცემულობაა. ქემი ცდილობს, არ შეიმჩნიოს, რომ ნაწყენია: „მე არ მწყენია.“ (ხაზი 53), თუმცა უკვე მიჩიც ნაწყენი და გაბრაზებულია ჯეის აღნიშნული ქცევის გამო: „(ამოისუნთქავს) მე მწყენია. (.) იმის თქმა მინდა, რომ (.) ფილს მოიხსენიებდა, როგორც კლერის მეგობარს? (?) არა.“ (ხაზი 54-56). ქემი შეწუხებული ჩანს და სიტუაციის განმუხტვას ცდილობს: „გამიგონია, რომ ბევრად უარესადაც მოუხსენიებია ფილი. (.) უბრალოდ, (.) გაატარე. (.) არაფერი არ უნდა მეთქვა.“ (ხაზი 57-60), თუმცა უშედეგოდ – მიჩი ძალიან გაბრაზებული და ნაწყენი ჩანს ჯეის ქცევით: „არა, ქემ. (.) არა, (.) არ გავატარებ. (.) უნდა იცოდეს, რომ ეს არ არის მისაღები (.) და თუ არ მოეწონება, (.) იცის, სადაც შეუძლია წავიდეს.“ (ხაზი 61-64). მნიშვნელოვანია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – არ არის მისაღები. მიჩი გაბრაზებული გადადის მანქანიდან ჯეისთან

სალაპარაკოდ, რომელიც ისევ იმავე ადგილას დგას თავის მეგობრებთან ერთად და ლაპარაკობს. მიჩი მათ მიესალმება და ჯეის განმარტოებას სთხოვს: „ამ, (.) „ჩემი შვილის მეგობარი?! (?) ასე აცნობ ხალხს ქემს? (?)“ (ხაზი 102-103). ჯეი ცდილობს მომხდარი უმნიშვნელო საკითხად წარმოაჩინოს: „ამიტომ მოხვედი აქ? (?)“ (ხაზი 104), თუმცა მიჩი მას ამის საშუალებას არ აძლევს: „მამა, (.) ეს, უბრალოდ, ცოტა შეურაცხყოფაზე მეტია. (.) ქემი და მე ერთად ვართ ხუთი წელია. (.) ჩვენ... (.) ჩვენ შვილი გვყავს.“ (ხაზი 105-107). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – შეურაცხყოფაზე მეტია; ქემი და მე ერთად ვართ ხუთი წელია; შვილი გვყავს. ჯეი მას უხსნის, რომ მისი მეგობრები ძველმოდურები არიან: „შეხედე ამ ბიჭებს, (.) 1800-ანებიდან გადმოსულებს გვანან.“ (ხაზი 108-109), თუმცა მიჩი კვლავ თავის პოზიციას იცავს: „არა, (.) ეს მათ კი არ ეუხერხულებათ ეს, (.) შენ გეუხერხულება. (.) ბოლომდე არასდროს მიღებდი (.) და ახლა, როცა ოჯახი მყავს, (.) ეგ ცოტა მოძველდა.“ (ხაზი 112-117). მნიშვნელოვანია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – შენ გეუხერხულება; ბოლომდე არასდროს მიღებდი. ჯეი კვლავ თავის არგუმენტს იმეორებს: „ამ ბიჭებს გეი თემა არ ესმით. (.) რა საჭიროა უხერხული სიტუაციის შექმნა, (.) მხოლოდ ამას ვამბობ.“ (ხაზი 118-120). მიჩი კი ჯეის მეგობარ შორთიზე მიუთითებს, რომელიც, მისი ინტუიციის (გეიდარის) თანახმად, ასევე, გეია. ჯეი აღნიშნულით განცვიფრებული ჩანს: „იცი რა?! (.) მისმინე, (.) ძალიან ცდები.“ (ხაზი 131-132), თუმცა მიჩი დარწმუნებულია საკუთარ ინტუიციის: „არა, მამა, (.) შენ ცდები ძალიან (.) ბევრ რამესთან დაკავშირებით.“ (ხაზი 133-134). მოცემულ შემთხვევაში მიჩი კიდევ ერთხელ ხაზგასმით უცხადებს ჯეის, რომ მისი მსჯელობა და ქცევა არასათანადო, მცდარია, შეუსაბამობაშია მოცემული დისკურსის (ოჯახის დისკურსი) ჟანრობრივ ნორმებთან.

მიჩსა და ჯეის შორის წარმოდგენილი ინტერაქციიდან ჩანს, რომ მიჩი, როგორც საკუთარი, ასევე, ქემის იდენტობის დაცვას ცდილობს – როგორც არატრადიციული ორიენტაციის ინდივიდების და, ასევე, როგორც გეი წყვილის. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, ახსენებს ჯეის, რომ იგი ბოლომდე არასდროს აღიარებდა მის იდენტობას. ამგვარად, მიჩი პირდაპირ გამოხატავს, რომ ჯეის მსგავსი ქცევა არ არის მისაღები, მეტიც,

შეურაცხყოფელია მისთვის. შესაბამისად, ჯეის აღნიშნული ქცევა შეგვიძლია, შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი, რადგან იგი არღვევს ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ საზღვრებს მისაღებ, სათანადო ქცევასთან დაკავშირებით, რაც უარყოფითი პირადი შედეგის მომტანია სხვათა (თანამოსაუბრეთა, ადრესატის) – ამ შემთხვევაში, მიჩისა და ქემის სახისთვის, მათი იდენტობისთვის.

სცენაში, რომელშიც ქემი და მიჩი კამერაში ლაპარაკობენ, თითქოს პირდაპირ მიმართავენ აუდიტორიას, მიჩი იხსენებს: „ჩემი ორიენტაცია გავამხილე, როცა 20 წელს გადავაბიჯე. (.) რეალურად, მამაჩემთან ამის გამხელა მომიხდა (.) სამჯერ, (.) სანამ საბოლოოდ აღიარებდა ამას. (.) ზუსტად არ ვიცი, (.) შეიძლება, იმედი ჰქონდა, რომ არასწორად გაიგონა, (.) მაგალითად, რომ ვთქვი – (2.0) „მამა, (.) მე ნაცრისფერი ვარ.““ (ხაზი 69-77). მნიშვნელოვანია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – ორიენტაცია გავამხილე; სამჯერ; სანამ აღიარებდა. მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ მიჩისთვის აღნიშნული საკითხი საკმაოდ სენსიტიური, მტკივნეულია, რადგან ჯეი მის სასურველ იდენტობას არ აღიარებდა წარსულში და ამჟამადაც იმავეს აკეთებს. ამგვარად, ჯეი არღვევს ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ საზღვრებს, რომლებიც არეგულირებს, თუ რა სახის ქცევაა მისაღები მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის. როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ოჯახის არსებობის ძირითად საფუძველს და, შესაბამისად, ოჯახის დისკურსის უმთავრეს მიზანს ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, თანადგომის, პატივისცემის გამოხატვა წარმოადგენს, რასაც ჯეი უგულვებელყოფს. მის ქცევას შედეგად თანამოსაუბრეთა, ადრესატის წყენა, გაბრაზება, ვერბალური წინააღმდეგობა მოჰყვება. შესაბამისად, ჯეის განხილული ქცევა, შეიძლება, შეფასდეს, როგორც არათავაზიანი.

(12) მაგალითი

მონაწილეები: ჯეი (Jay ≈60 წლის) [J.] და მისი ქალიშვილის, კლერის ქმარი – ფილი (Phil ≈42 წლის) [P.].

[...]

- P. კამერაში
ლაპარაკობს.
- P. 7 – *So, Claire and Gloria are taking the kids
მოკლედ, კლერს და გლორიას*
- P. 8 *up the canyon (.)*
ბავშვები კანიონზე მიყავთ. (.)
- P. 9 *and Jay and I are throwing on the aprons (.)*
ჯეი და მე წინსაფრებს მოვირგებთ (.)
- P. 10 *and preparing a Mother's Day feast. (2.0)*
და დედის დღისთვის კერძს მოვამზადებთ. (2.0)
- P. 11 *It's (2.0) It's going to be fun.*
სახალისო იქნება.

შემდეგი

სცენა:

J. და P. – სამზარეულოში: J. – სერიოზული, საქმიანი სახით, P. – წინსაფრით, მუსიკას რთავს და ცეკვას და სიმღერას იწყებს, ცდილობს, სასაცილო იყოს.
J. მას მუსიკას უთიშავს...

P. მოწყენილი,

დაბნეული

სახით.

- J. 12 – *We're not doing that! (2.0)*
ამას არ გავაკეთებთ! (2.0)

შემდეგი

სცენა: 07:30

- J. 13 – *What the hell are those?*
ეგ რა ჯანდაბაა?

- P. 14 – *Onion goggles. (2.0)*
ხახვის სათვალე. (2.0)
- P. 15 *No more tears when I cook. (.)*
ცრემლები აღარ მომდის
საჭმლის მომზადებისას. (.)
- P. 16 *Welcome to the 21st century! (.)*
მოგესალმები 21ე საუკუნეში! (.)
- P. 17 *You should get a pair.*
შენც უნდა იყიდო.
- P. კერძს
 უყურებს J. 18 – *I was going to suggest the same thing.*
 ჩაფიქრებული მეც მაგას ვფიქრობდი (სარკასტულად).
- P. 19 – *Hey, Jay. (.)*
ჰეი, ჯეი. (.)
- P. 20 *You know what we should put in this?! (?)*
იცი ამაში რა უნდა დავამატოთ?! (?)
- P. 21 *We should add a... [*
 P. *მოუხდებოდა... [*
- გაკვირვებული, J. 22 – *[NO!(2.0)*
[არა!(2.0)
- შემინებული J. 23 *It's my mom's recipe. (.)*
ეს დედაჩემის რეცეპტია. (.)
- სახით თავს
 უქნევს J.-ს. J. 24 *Whatever it says on the page,*
რაც მანდ წერია,
- J. 25 *goes in the pot! (.)*
მხოლოდ იმ ინგრედიენტებს გამოვიყენებთ! (.)
- J. 26 *Nothing more, (.) nothing less.*
არაფერი მეტი, (.) არაფერი ნაკლები.

- J. 27 *Now, (.) how long do I stir*
რამდენი ხანი უნდა ვურიო
- J. 28 *the beef and sausages? (.)*
საქონლის ხორცს და სოსისს? (.)
- P. წვრილი J. 29 *Read it to me.*
ხმით იწყებს *წამიკითხე.*
კითხვას. P. 30 – *We should stir the beef and sausages*
საქონლის ხორცს და სოსისს უნდა ვურიოთ
- J. P. 31 *for five minutes.*
შეწუხებული *ხუთი წუთი.*
სახით. J. 32 – *And how much longer do I have to listen to*
და კიდევ რამდენი ხანი უნდა ვუსმინო
- J. 33 *the Julia Child impression?*
ჯულია ჩაილდის²³ პაროდის? (სარკასტულად)
- P. 34 – *For as long as it's still funny (chuckling).*
სანამ სასაცილოა (იციხის).
- J. ნაძალადევი, P. 35 – *I think, the timer's just gone off on that. (2.0)*
სარკასტული ღიმილით. *ჩემი აზრით, ტაიმერის სიგნალი უკვე ჩაირთო. (2.0)*
- P. 36 – *That's unnecessary.*
ეგ საჭირო არ იყო (უხერხულად).
- [...]

Season 2, Episode 21 (02:52, 07:30)

მოცემულ მაგალითში ჯეის და ფილს დედის დღესთან დაკავშირებით სადილის მომზადება აქვთ დაგეგმილი. ფილის განწყობა პოზიტიურია – კამერასთან საუბრის

²³ ამერიკელი გურმანი მზარეული, ავტორი, ტელეწამყვანი, რომელმაც ფრანგული სამზარეულო და კერძების მომზადების ტექნიკა გააცნო ამერიკის მასებს მისი მრავალრიცხოვანი რეცეპტების წიგნებისა და სატელევიზიო პროგრამების მეშვეობით (20-ე საუკუნე).

დროს იგი აღნიშნავს: „სახალისო იყნება.“ (ხაზი 11) – გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვას – სახალისო. სცენაში, სადაც ფილი და ჯეი კერძს ამზადებენ, ფილი, მისთვის ჩვეული მანერით, მხიარულების შემოტანას ცდილობს – იგი მუსიკას ჩართავს და ცეკვას და სიმღერას იწყებს, ცდილობს სასაცილო იყოს. ჯეი კი უფრო სერიოზულად უდგება კერძის მზადებას, მისი სახის გამომეტყველებაც სერიოზულია. იგი ფილს მუსიკას მომენტალურად უთიშავს: „ამას არ გავაკეთებ!“ (ხაზი 12). მნიშვნელოვანია, რომ ჯეი იყენებს ბრძანებით კილოს და გამოხატულ მახვილს სიტყვებზე – „არ გავაკეთებ!“. ფილი აღნიშნულის გამო დაბნეული და მოწყენილი ჩანს, თუმცა ეს უხერხულობა დიდხანს არ ეტყობა და კვლავ შემართებით ერთვება სადილის მზადების პროცესში.

როდესაც ფილი ჯეის „ხახვის სათვალის“ ყიდვას ურჩევს (რასაც თავად იყენებს და ხახვის დაჭრისას ცრემლები აღარ მოსდის), ჯეი სარკასტულად პასუხობს: „მეც მაგას ვფიქრობდი (სარკასტულად).“ (ხაზი 18). იგი გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვას – მაგას. შემდეგ, როცა ფილი ჯეისთვის იდეის შეთავაზებას დააპირებს: „ჰეი, ჯეი, (.) იცი ამაში რა უნდა დავამატო?! (?) მოუხდებოდა...“ (ხაზი 19-21), ჯეი მას წინადადების დასრულებას არ აცდის, მოთმინებას კარგავს, ხმას უწევს და ბრძანებითი კილოს გამოყენებით, გადაჭრით პასუხობს: „არა!“ (ხაზი 22) (ფილი – გაკვირვებული, შეშინებული სახით), თუმცა შემდეგ კვლავ ნორმალური ხმით განუმარტავს: „ეს დედაჩემის რეცეპტია. (.) რაც მანდ წერია, მხოლოდ იმ ინგრედიენტებს გამოვიყენებ! არაფერი მეტი, (.) არაფერი ნაკლები.“ (ხაზი 23-26). ფილი გაკვირვებული, შეშინებული სახით უქნევს თავს ჯეის თანხმობის ნიშნად. და ბოლოს, როცა ჯეი ფილს რეცეპტის წაკითხვას დაავალებს: „რამდენი ხანი უნდა ვურიო საქონლის ხორცს და სოსისს? (.) წამიკითხე.“ (ხაზი 27-29), ფილი წვრილი ხმით იწყებს ხმამაღლა კითხვას, კვლავ ცდილობს, მხიარული, სასაცილო იყოს. ჯეის სახეზე შეწუხება ეტყობა: „და კიდევ რამდენი ხანი უნდა ვუსმინო ჯულია ჩაილდის პაროდიას? (სარკასტულად)“ (ხაზი 32-33). აღსანიშნავია, გამოხატული მახვილი სიტყვაზე – ჩაილდი, რაც ამერიკელი მზარეული ქალის გვარია და, ასევე, ინგლისურ ენაში ნიშნავს ბავშვს. მოცემულ შემთხვევაში ჯეი

იყენებს სარკაზმს და ცდილობს, ხაზი გაუსვას, რომ ფილის ქცევა ბავშვურია. ფილის პასუხში წყენა ჯერჯერობით არ შეინიშნება: „სანამ სასაცილოა (იცინის).“ (ხაზი 34). იგი თვლის, რომ მისი პაროდია სასაცილოა, გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვას – სასაცილოა. ჯეის პასუხი კი, ტრადიციულად, სარკასტული, მოურიდებელი და პირდაპირია: „ჩემი აზრით, ტაიმერის სიგნალი უკვე ჩაირთო (ნამალადევი, სარკასტული დიმილით)“ (ხაზი 35). ამგვარად, ჯეი ფილს ამკარად მიანიშნებს, რომ მისი ხუმრობა ჯეისთვის სასაცილო არ არის და რომ ტაიმერის სიგნალი უკვე ჩაირთო, ასე რომ, დროა, ფილი გაჩუმდეს. აღნიშნული კომენტარის შემდეგ კი ფილს უხერხულობა ეტყობა: „ეგ საჭირო არ იყო (უხერხულად).“ (ხაზი 36). იგი გამოხატული მახვილით წარმოთქვამს სიტყვებს – საჭირო არ იყო.

განხილულ სიტუაციაში ჯეი ექვევემ აყენებს ფილის სასურველ იდენტობას, არ აღიარებს მას მხიარულ, ხუმარა, სასაცილო (დადებითი მნიშვნელობით) ადამიანად. ჯეი პირდაპირ და დაუფარავად გამოხატავს, რომ ფილის ხუმრობები და მხიარული გარემოს შექმნის მცდელობა მას არ ახალისებს, პირიქით, შემაწუხებელი, მოსაბეზრებელი, ბავშვური საქციელია მისთვის. ამგვარი ქცევით, ჯეი თავს ესხმის ფილის სახეს, მის ლოკალურ იდენტობას და, ასევე, იყალიბებს საკუთარ იდენტობას, როგორც ავტორიტეტული, ძალაუფლების მქონე, უხეში ადამიანი (ოჯახის წევრი), ვისაც შეუძლია, საკუთარი ხედვები, შეფასებები, განწყობა გამოხატოს პირდაპირ, მოურიდებლად და სარკასტულად – ადრესატის (ამ შემთხვევაში – ფილის) იდენტობის, მისი მოთხოვნების, გრძნობებისა და სურვილების მხედველობაში მიღების გარეშე. ჯეი იყენებს ბრძანებით კილოს თავისი ინსტრუქციების გასაჟღერებლად. მისი სიტყვა კი, წარმოდგენილ სიტუაციებში, საბოლოო გადაწყვეტილებას ნიშნავს, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ფილის ყველა მცდელობა, მხიარულება შემოიტანოს სადილის ერთობლივი კეთების პროცესში, წარუმატებელია. ჯეი მას სამივე შემთხვევაში აჩერებს ბრძანებითი კილოს გამოყენებით, თავისი მოურიდებლად პირდაპირი, სარკასტული კომენტარებით. მის ამგვარ ქცევას კი ფილის წყენა, უხერხულობა, დაბნეულობა მოჰყვება თან, თუმცა იგი ცდილობს, ჯეის ანგარიში გაუწიოს და წინააღმდეგობას არ უწევს მის

სასურველ იდენტობას. იგი მხოლოდ ერთი თავდაცვითი ხასიათის კომენტარით შემოიფარგლება, რომელშიც თავის სათქმელს გამოხატავს: „ეგ საჭირო არ იყო (უხერხულად)“ (ხაზი 36) – გამოკვეთილი მახვილით სიტყვებზე – საჭირო არ იყო. ამგვარად, ჯეი არღვევს ოჯახის დისკურსის ჟანრის საზღვრებს სათანადო, მისაღებ ქცევასთან დაკავშირებით, რასაც ფილის საპასუხო რეაქცია – დაბნეულობა, უხერხულობა, წყენა (რაც ვიზუალურად ვლინდება) ადასტურებს. შესაბამისად, ჯეის განხილული ქცევა შეგვიძლია, შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი.

(13) მაგალითი

მონაწილეები: მამა – ჯეი (Jay ≈63 წლის) [J.], მისი შვილები – კლერი (Claire ≈45 წლის) [Cl.] და მიჩი (Mitch ≈41 წლის) [M.] და მიჩის პარტნიორი – ქემი (Cam ≈41 წლის) [C.].

წარმოდგენილი ჩანაწერი აღწერს სცენას, რომელშიც ქემმა (C.) თავისი პარტნიორის – მიჩის (M.) მამა – ჯეი (J.) და და – კლერი (Cl.) თავისი და მიჩის სახლში სადილად მიიწვია და სპეციალურად მათთვის მოამზადა კერძი.

მოცემულ სცენაში ჯეი (J.), კლერი (Cl.) და მიჩი (M.) მაგიდასთან სხედან, ღვინოს წრუპავენ, როცა ქემი (C.) შემოდის თავისი განსაკუთრებული კერძით.

- | | |
|---|---|
| J. ღვინოს წრუპავს,
კერძს ათვალეირებს
უკმაყოფილოდ. | C. 1 – <i>It's a <u>French-Canadian delicacy</u> (.)</i>
– <i>ეს არის <u>ფრანგულ-კანადური დელიკატესი</u> (.)</i> |
| | C. 2 <i><u>called Poutine.</u></i>
<i><u>სახელად Poutine.</u></i> |
| | Cl. 3 – <i>Mm</i>
– <i>მმ</i> |
| J. – სერიოზული სახით. | J. 4 – <i>Well, it <u>looks like vomit</u>, (.)</i>
– <i>რავიცი, <u>ნარწყევს გავს</u>, (.)</i> |

- Cl. – შოკირებული. 5 *so, I'm not <pou>ting it in my mouth!*
 C. – ნაწყენი სახით. *ასე რომ, ამის პირში ჩადებას არ ვაპირებ!*
 C. – გაბრაზებული. C. 6 – *mm-hm*
 – აა-ჰა

Cl. – შოკირებული სახით (ვერ იჯერებს),
 გაფართოებული თვალებით;

C. – შეურაცხყოფილი და ნაწყენი ჩანს,
 კერძი სასწრაფოდ გააქვს ოთახიდან;

M. – ჩანგალს ხმაურიანად აგდება თეფშზე;

J. – გაკვირვებული სახით უყურებს M.-ს.

Season 4, Episode 1 (11:40)

მოცემულ მაგალითში, როდესაც ქეში კერძს შემოიტანს და ამაყად წარადგენს მას: „ეს არის ფრანგულ-კანადური დელიკატესი (.) სახელად Poutine“ (ხაზი 1-2), ჯეი კერძს მაშინვე პირდაპირ, მოურიდებლად, უარყოფით შეფასებას უკეთებს: „რავიცი, ნარწყევს გავს.“ (ხაზი 4). ამ შემთხვევაში ჯეი იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a) – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს. იგი თავის სუბიექტურ აზრს აყალიბებს, როგორც ფაქტს. საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვაზე – ნარწყევი (ნარწყევს გავს) – რაც კერძის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შესაძლო შეფასებაა. ჯეი, ასევე, იყენებს მახვილგონივრულ სიტყვათა თამაშს კერძის სახელთან (Poutine) დაკავშირებით, რომელსაც, განსაკუთრებული ხაზგასმისთვის, დამარცვლით და გამოხატული მახვილით წარმოთქვამს: „so, I'm not <pou>ting it in my mouth.“ „ასე რომ, ამის პირში ჩადებას არ ვაპირებ!“ (ხაზი 5). ამგვარი ქცევით ჯეი წარმოაჩენს, იქმნის საკუთარ იდენტობას, როგორც ადამიანი (ამ შემთხვევაში – ოჯახის წევრი), რომელსაც უფლება აქვს გააკრიტიკოს სხვები (ოჯახის წევრები) და გამოთქვას თავისი გულწრფელი მოსაზრებები უპატივცემულო, შეურაცხმყოფელი, სასტიკად უხეში და მოურიდებლად პირდაპირი ფორმულირებითა და მანერით. იგი არ

აღიარებს, თავს ესხმის ქემის სახეს, მის სასურველ იდენტობას. ასევე, ქემის მიერ მომზადებული კერძის უკიდურესად ცუდი შეფასებისას ჯეი არ ითვალისწინებს მის გრძნობებსა და ემოციებს. მნიშვნელოვანია პარალინგვისტური აქცენტი – ინტერაქციის მონაწილეთა სახის გამომეტყველება – რომელშიც შოკი, წყენა, იმედგაცრუება, ბრაზი ვლინდება: კლერი – შოკირებული სახით, გაფართოებული თვალებითაა წარმოდგენილი, ვერ იჯერებს ჯეის კომენტარს; ქემი შეურაცხყოფილი და ნაწყენი ჩანს, კერძი სასწრაფოდ გააქვს ოთახიდან; მიჩი ჩანგალს ხმაურიანად აგდებს თევზზე, მადადაკარგული; ჯეი კი გაკვირვებული სახით უყურებს მიჩს მისი ამ უკანასკნელი მოქმედების გამო. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ჯეი უფლებელყოფს ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ და კომუნიკაციურ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და მოვალეობებს და განსაზღვრავს, თუ რა სახის ქცევაა მისადები თუ მოსალოდნელი მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის. იგი იყენებს ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს, რომლებიც არ არის ასოცირებული ოჯახის დისკურსის ჟანრთან, როგორცაა – შეურაცხმყოფელი ლექსიკა, კრიტიკა. ჯეი, ასევე, იყენებს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას (on record impoliteness. იხ. Bousfield, 2008a), რაც გულისხმობს, რომ იგი პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს, თავის სუბიექტურ აზრს აყალიბებს, როგორც ფაქტს. იგი არ აღიარებს, თავს ესხმის და საფრთხეს უქმნის ქემის სახეს, მის სასურველ იდენტობას, არ ითვალისწინებს მის გრძნობებსა და ემოციებს. ჯეის აღნიშნული ქცევა შეუსაბამოა მოცემული ინტერაქციის მონაწილეთა პირად ემპირიულ გამოცდილებასა თუ მოლოდინებთან, რასაც ჯეის აღნიშნულ ქცევაზე მათი საპასუხო რეაქცია – შოკი, წყენა, იმედგაცრუება, ბრაზი – ადასტურებს. აქედან გამომდინარე, ჯეის მოცემული ქცევა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც არათავაზიანი.

(14) მაგალითი

მონაწილეები: ჯეი (Jay ≈63 წლის) [J.], მისი ქალიშვილის – კლერის ქმარი – ფილი (Phil ≈45 წლის) [P.], ფილისა და კლერის შვილი – ლუკი (Luke ≈11 წლის) და ჯეის ცოლის – გლორიას შვილი პირველი ქორწინებიდან – მენი (Manny ≈11 წლის) [M.].

წარმოდგენილ სცენაში ფილმა და ჯეიმ წაიყვანეს შვილები – ლუკი და მენი მათი კლასელის დაბადების დღის წვეულებაზე სპორტის თემატიკით – “მხოლოდ ბიჭები, მხოლოდ სპორტი მთელი დღე”. სანამ ბავშვები ერთობიან, ფილი და ჯეი დანარჩენ მშობლებთან (მამებთან, dads) [D.] ერთად სხედან, ლუდს სვამენ, საუბრობენ და იცინიან.

[...]

- D. 10 – *Jay. (.) you got any good apps? (?)*
ჯეი. (.) შენ გაქვს რამე კარგი აპლიკაცია? (?)
- J. 11 – *I don't know. (.) I got call waiting. (.)*
არ ვიცი. (.) ზარის მოლოდინი მაქვს. (.)
- ყველა იცინის. J. 12 *Is that an app? (?)*
ეს აპლიკაციაა? (?)
- J. 13 *You, guys, laugh a lot, huh? (?)*
თქვენ, ბიჭებო, ბევრს იცინით, ჰო? (?)
- P. 14 – *Jay's a little technologically challenged.*
ჯეი ტექნოლოგიებში ცოტა სუსტია.
- J. 15 – *From a guy who can't drive a stick.*
ამბობს ტიპი, ვისაც მექანიკის ტარება არ შეუძლია.
- სხვა მამები D. 16 – *What?!*
რაა?!
- გაკვირვებუ
ლი სახეებით. D. 17 *[You can't? (?)*
[არ იცი? (?)
- P. დაბნეული,

- უხერხულად. P. 18 – *[Well..*
[ნუ...
- J. 19 – *He called me to rescue him one time. (.)*
ერთხელ დამირეკა, რომ გადამერჩინა. (.)
- J. 20 *He got stuck on a hill. (.)*
აღმართზე გაიჭედა. (.)
- J. 21 *He was afraid to let go of the clutch.*
გადაბმულობიდან ფეხის ალება ეშინოდა.
- ყველა იცინის.
P. დაბნეული, P. 22 – *Well, I...*
უხერხული *ნუ, მე...*
- გამომეტყვე- J. 23 – *By the time I got there,*
ლებით. *როცა მე მივედი, ვხედავ, რომ*
- J. 24 *traffic's backed up half a mile, (.)*
მოდრობა გაჭედილია ნახევარ მილზე, (.)
- P. მოწყენილი J. 25 *everybody's yelling at him, (.)*
სახით. *ყველა მას უყვირის, (.)*
- J. 26 *he's in tears.*
მას თვალებზე ცრემლები აქვს.
- P. 27 – *Not tears. (.) Maybe sweat.*
ცრემლები არა. (.) შეიძლება, ოფლი.
- ყველა იცინის.
P. იცინის J. 28 – *Yeah, (.) sweating out of your eyes!*
ნაძალადევად. *ჰო, (.) ოფლი თვალებიდან!*
- [...]
- 13:30 J. 29 – *So, he's out in our yard (.)*
P. შუბლით *მოკლედ, ის ჩვენს ეზოშია (.)*
- ხელს J. 30 *and he's got a boombox. (.)*

ეყრდნობა,			და <u>ბუმბოქსი</u> ²⁴ აქვს. (.)
დაძაბულია.	J.	31	<i>What's the name of that <u>movie</u> with a <u>boombox</u>? (?)</i> <i>იმ ფილმს რა ქვია, ბუმბოქსით? (?)</i>
ერთერთი	D.	32	- <i>Oh, (.) „Say Anything“.</i>
მშობელი:			<i>აჰ... (.) „თქვი რამე“.</i>
	J.	33	- <i>With <u>John Mahoney</u>.</i> <i>ჯონ მაჰონი რომ თამაშობს.</i>
P. შეწუხებუ-	J.	34	<i>So, anyway, (.) he's <u>out there</u> (.)</i> <i>მოკლედ, (.) ის გარეთაა (.)</i>
ლი,დაღლილი			
სახით,	J.	35	<i>and he's <u>begging</u> Claire for <u>forgiveness</u>. (.)</i> <i>და კლერს ემუდარება, რომ აპატიოს. (.)</i>
კამერისკენ			
იყურება.	J.	36	<i><u>She's still mad</u> at him. (.)</i> <i>ის კი ჯერ კიდევ გაბრაზებულია მასზე (.)</i>
P. ძალიან	J.	37	<i>She won't have <u>any</u> of it. (.)</i> <i>და არ აინტერესებს არაფერი. (.)</i>
შეწუხებული			
ჩანს.	J.	38	<i>So, he <u>turns it up full blast</u> (.)</i> <i>ასე რომ, ის ბოლო ხმაზე უწევს მუსიკას (.)</i>
ყველა იცინის.	J.	39	<i>and it's <u>Olivia Newton-John!</u> (.)</i> <i>და ეს ოლივია ნიუტონ-ჯონია! (.)</i>
P. ძალიან			
უხერხულად,	J.	40	<i>And he <u>starts singing</u> –</i> <i>და იწყებს სიმღერას –</i>
კამერისკენ			
იყურება.	J.	41	<i><u>„Let's get Physical“</u>²⁵ ...</i>

²⁴ პორტატული მუსიკალური პლეერი, რომელიც აღჭურვილია ერთი ან ორი კასეტის წამკითხველით და AM/FM რადიოებით, ძირითადად, სახელურით.

²⁵ "Physical" (თავდაპირველი სახელწოდება- „Let's Get Physical“- ბრიტანელ-ავსტრალიელი მომღერლის ოლივია ნიუტონ-ჯონის მიერ ჩაწერილი სიმღერა (1981 წელს გამოშვებული ამავე სახელწოდების ალბომისთვის).

„მოდი, ფილურად გავარკვიოთ“...

- ყველა იცინის. P. 42 – *It was an inside joke.*
ეგ შიდა ხუმრობა იყო.
- D. 43 – *Oh, (.) not anymore.*
ოჰ, (.) უკვე აღარ.
- იცინიან. P. 44 – *Okay, (.) enough with the funny Phil stories.*
კარგი, (.) საკმარისია სასაცილო ფილის ისტორიები.
- P. კამერისკენ J. 45 – *But I haven't even gotten to the best part yet. (.)*
მაგრამ ჯერ საუკეთესო ნაწილამდე არ მივსულვარ. (.)
- იყურება, J. 46 *So, he's doing his little dance (.)*
მოკლედ, თავის პატარა ცეკვას ასრულებს (.)
- მოთმინება J. 47 *and I can't take any more. (.)*
და მე მეტის გაძლება აღარ შემიძლია, (.)
- ეწურება, J. 48 *so, I nail him with the sprinklers.*
ასე რომ, სარწყავი მივუშვი და ასე გავაჩერე.
- შუბლით ისევ J. 49 – *Yeah, (.) and you also shorted out my boombox. (.)*
ჰო (.) და ჩემი ბუმბოქსიც გადაწვი. (.)
- ხელს P. 50 *which you said you'd replace (.)*
რომელსაც თქვი, რომ აანაზღაურებდი. (.)
- ეყრდნობა. P. 51 *and you never did.*
მაგრამ არ შეასრულე.
- ყველა იცინის. J. 52 – *I never said that! (?)*
ეგ არასდროს მითქვამს!
- P. დამაბული, P. 53 – *Yes, you did! (.)*
კი, თქვი! (.)
- სერიოზული P. 54 *You still owe me one boombox. (.)*
ჯერ კიდევ გმართებს ჩემი ერთი ბუმბოქსი. (.)
- სახით. P. 50

- P. 55 12 D batteries and an Olivia Newton-John cassingle.
12 D ბატარეები და ოლივია ნიუტონ-ჯონის კასეტა.
- J. 56 – Huh! (.) Ok, (.) uh... (.)
ჰაჰ! (.) კარგი, (.) აჰ... (.)
- J. 57 Why don't we settle it in the ring?! (.)
მოდო, რინგზე გავარკვიოთ! (.)
- J. წამოდგება
აღელვებული. J. 58 We get in there (.) and if you beat me,
იქ ავალთ (.) და თუ შენ დამამარცხებ,
- J. 59 I'll buy you any boombox you want. (.)
ნებისმიერ ბუმბოქსს გიყიდი, რომელიც გინდა. (.)
- J. თითს
უქნევს P.-ს. J. 60 If I beat you, (.)
თუ მე გავიმარჯვებ, (.)
- J. 61 then you've got to do your little dance for everyone.
შენი პატარა ცეკვა უნდა შეასრულო ყველასთვის.
- D. ერთხმად. D. 62 – YEAH!
- P. წამოდგება
სერიოზული
სახით. P. 63 – I'm in! (2.0) Let's get Philsical!
თანახმა ვარ! (2.0) მოდი, ფილურად გავარკვიოთ!

P. და J. გადიან რინგზე უზარმაზარი ხელთათმანებით.
P. J.-ს დააგდებს და გამეტებით ურტყამს, დაამარცხებს.

შემდეგი სცენა:

- 16:48 P. 74 – Sorry about that. (.)
ვწუხვარ მომხდარის გამო. (.)
- P. მოწყენილი
სახით. P. 75 I went a little nuts there. (.)
ცოტა გავვიჟდი იქ. (.)

- J. ყინულებს P. 76 *I don't know what happened.*
 კისერზე არ ვიცი, რა მოხდა.
- იღებს. J. 77 – *I do. (.) I was ragging on you (.)*
 მე ვიცი. (.) დაგცინობდი (.)
- J. 78 *in front of your friends.*
 შენი მეგობრების თვალწინ.
- P. 79 – *Oh, yeah.*
 ოჰ, ჰო.
- J. 80 – *Sorry about that. (.)*
 ბოდიში ამის გამო. (.)
- J. 81 *I couldn't think of anything else to say.*
 სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რომ მეთქვა.
- P. 82 – *Why not?!*
 რატომ?!
- J. 83 – *I got 20-25 years on those guys. (.)*
 ამ ბიჭებზე 20-25 წლით უფროსი ვარ. (.)
- J. 84 *We got nothing in common. (.)*
 საერთო არაფერი გვაქვს. (.)
- J. 85 *It's only getting worse. (2.0)*
 ეს მხოლოდ უარესობისკენ მიდის. (2.0)
- J. 86 *I mean, (.) what's it going to be like*
 იმის თქმა მინდა, რომ როგორი იქნება
- J. 87 *with the new kid in 10 years?!*
 ახალ შვილთან 10 წელში?!
- P. იღმის, P. 88 – *Oh, my goodness! (.)*
 ო, ღმერთო! (.)
- J.-ს გვერდით ჯდება. P. 89 *You're insecure and vulnerable. (.)*

J. შეწუხებუ-
ლი სახით.

- შენ დაუცველი და მგრძობიარე ხარ. (.)
- P. 90 *This is the cutest thing*
ეს ყველაზე საყვარელი რამაა,
- P. 91 *I've ever seen!*
რაც ოდესმე მინახავს!
- J. 92 – *Shut up!*
მოკეტე!
- P. 93 – *Who's a shy bunny?!*
ვინ არის მორცხვი ბაჭია?!!
- J. 94 – *You want to go one more round (?)*
გინდა, კიდევ ერთი რაუნდი (.)
- J. 95 *without the gloves?! (?)*
ხელთათმანების გარეშე?! (?)
- P. 96 – *I'm just playing around, Jay. (.)*
უბრალოდ ვხუმრობ, ჯეი. (.)
- P. 97 *I don't care how old you are. (.)*
არ მადარდებს, რამდენი წლის ხარ. (.)
- P. 98 *I could sit and talk to you all day. (.)*
შემიძლია შენთან ერთად მთელი დღე ვიჯდე
და ვილაპარაკო. (.)
- P. 99 *Those guys really liked you too.*
იმ ბიჭებსაც მართლა მოეწონე.
- J. 100 – *I don't care about that. (.)*
ეგ არ მადარდებს. (.)
- J. 101 *Did they? (?) even Jerry? (?)*
მართლა? (?) ჯერისაც? (?)
- P. 102 – *Yes.*

კო.

- J. 103 – *Well, maybe you're right.* (.)
შეიძლება, მართალი ხარ. (.)
- J. 104 *I mean, Manny didn't want to come* (.)
აი, მენის არ უნდოდა წამოსვლა. (.)
- J. 105 *and look at him,* (.)
და შეხედე. (.)
- J. 106 *looks like he's having a great time.*
როგორც ჩანს, ძალიან კარგ დროს ატარებს.

სცენა:

მენი [M.] კლასელებს შორის დგას და ისტორიას ყვება ემოციურად. ყველა მას უსმენს.

- M. 107 – *So, then*
მოკლედ, შემდეგ
- M. 108 *Luke's dad grabs the Taser from me* (.)
ლუკის მამამ გამომგლიჯა ელექტროშოკი (.)

ბავშვები

- M. 109 *and he was like – “uhh, uhh” ...*

ივინიან.

და დაიწყო – “ზზზ, ზზზზ” ...

P. ბავშვების-

- P. 110 – *No!* (.) *No!* (.) *That's not how it happened!*

კენ მიდის.

არა! (.) *არა!* (.) *ეგრე არ იყო!*

J. ივინის.

სეზონი 4, ეპიზოდი 9 (09:35, 13:30, 16:48)

მოცემულ სცენაში ჯეი ახალგაზრდა მამების საზოგადოებაშია, რომლებიც ბევრს ხუმრობენ და ივინიან. როდესაც მშობლები მობილურ აპლიკაციებზე საუბრობენ, ერთ-ერთი მშობელი ჯეის ეკითხება: “*ჯეი, (.) შენ გაქვს რამე კარგი აპლიკაცია? (?)*” (ხაზი 10), ჯეი კი პასუხობს: “*არ ვიცი. (.) ზარის მოლოდინი მაქვს. (.) ეგ აპლიკაციაა? (?)*” (ყველა

იცინის) (ხაზი 11-12). ფილი, ყოველგვარი დაცინვის გარეშე, აღნიშნავს: *“ჯეი ტექნოლოგიებში ცოტა სუსტია.”* (ხაზი 14). ჯეი, რატომღაც, მის კომენტარს თავდასხმად აღიქვამს ან, უბრალოდ, სათავისოდ იყენებს იმისთვის, რომ ხუმრობა დაიწყოს: *„აშშ-ის ტიპი ვისაც მექანიკის ტარება არ შეუძლია.“* (ხაზი 15). ამ ინფორმაციით ყველა გაკვირვებული ჩანს: *„რაა?! (?) [არ იცი?! (?)“* (ხაზი 17-18), ფილს დაბნეული სახე აქვს, აშკარაა, რომ იგი უხერხულობას განიცდის. ჯეი განავრცობს აღნიშნულ საკითხს, რომელმაც, აშკარად, მშობლების ინტერესი და გაკვირვება გამოიწვია და, ასევე, გაახალისა ისინი: *„ერთხელ, დამირეკა, რომ გადამერჩინა. (.) აღმართზე გაიჭედა. (.) გადაბმულობიდან ფეხის აღება ეშინოდა. (.) როცა მე მივედი, ვხედავ, რომ მოძრაობა გაჭედილია ნახევარ მილზე, (.) ყველა მას უყვირის, (.) მას თვალეებზე ცრემლები აქვს.“* (ხაზი 19-26). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – *ეშინოდა, უყვირის, ცრემლები*. ფილი უკვე მოწყენილია ჯეის მიერ შექმნილი სიტუაციის გამო, იგი ნაძალადევად იცინის, დაძაბულია, შუბლით ხელს ეყრდნობა, ელოდება, როდის დასრულდება ეს ყველაფერი. როცა ჯეი ცრემლებს ახსენებს, ფილი ცდილობს, თავისი სახე, იდენტობა დაიცვას: *„ცრემლები არა, (.) შეიძლება, ოფლი.“* (ხაზი 27). ჯეი კი კვლავ მის დაცინვას განაგრძობს: *„ჰო, (.) ოფლი თვალეებიდან!“* (ხაზი 28). ყველა იცინის, ფილი კი ძალიან შეწუხებული ჩანს, თუმცა ისიც ნაძალადევად იცინის. ჯეის ახალი ისტორია ახსენდება ფილთან დაკავშირებით: *„მოკლედ, ის ჩვენს ეზოშია (.) და ბუმბოქსი აქვს...“* (ხაზი 29-30), *მოკლედ, (.) ის გარეთაა (.) და კლერს ემუდარება, რომ აპატიოს. (.) ის კი ჯერ კიდევ გაბრაზებულია მასზე (.) და არ აინტერესებს არაფერი. (.) ასე რომ, ის ბოლო ხმაზე უწევს მუსიკას (.) და ეს ოლივია ნიუტონ-ჯონია!“* (ხაზი 34-39). ამ შემთხვევაში ჯეი ფილს დასცინის მუსიკალურ გემოვნებასთან დაკავშირებით, რაზეც ყველა იცინის, ფილი კი თავს ძალიან უხერხულად გრძნობს, იგი შეწუხებული, დაღლილი სახით იყურება კამერისკენ. ჯეი ემოციურად განაგრძობს მოყოლას: *„და იწყებს სიმღერას – (.) „მოდი ფილურად გავარკვიოთ“ („Let’s get Philsical“)*“ (ხაზი 40-41), რაზეც კვლავ ყველა იცინის, ფილი კი ნაწყენია: *„ეგ შიდა ხუმრობა იყო.“* (ხაზი 42). საყურადღებოა გამოხატული მახვილი სიტყვებზე – *შიდა ხუმრობა*. ერთ-ერთი მშობელი სარკასტულად, სიცილით

პასუხობს: „ოჰ, (.) უკვე აღარ.“ (ხაზი 43). ფილი ცდილობს, თავი დაიცვას და დაასრულოს მისი დაცინვის ხარჯზე გამართული ეს მხიარულება: „კარგი, (.) საკმარისია სასაცილო ფილის ისტორიები.“ (ხაზი 44), მაგრამ ჯეი გაჩერებას არ აპირებს: „მაგრამ ჯერ საუკეთესო ნაწილამდე არ მივსულვარ.“ (ხაზი 45). ფილი კამერისკენ იყურება შეწუხებული, მოთმინება ეწურება, შუბლით ისევ ხელს ეყრდნობა. ჯეი დაწყებულ ისტორიას აგრძელებს: „მოკლედ, თავის პატარა ცეკვას ასრულებს (.) და მე მეტის გაძლება აღარ შემძლია. (.) ასე რომ, სარწყავი მივუშვი და ასე გავაჩერე.“ (ხაზი 46-48). ყველა იცინის, ფილი კი სერიოზულია: „ჰო (.) და ჩემი ბუმბოქსიც გადაწვი, (.) რომელსაც თქვი, რომ ანაზღაურებდი, (.) მაგრამ არ შეასრულე.“ (ხაზი 49-51). მნიშვნელოვანია გამოხატული მახვილი სიტყვებზე – არ შეასრულე. ამგვარად, ფილი ცდილობს, თავი დაიცვას და საპასუხო თავდასხმა განახორციელოს ჯეის სახეზე (იდენტობაზე). ჯეი გაკვირვებულია. იგი უარყოფს ფილის ნათქვამს: „ეგ არასდროს მითქვამს!“ (ხაზი 52), თუმცა ფილი უკან დახევას არ აპირებს: „კი, თქვი! (.) ჯერ კიდევ გმართებს ჩემი ერთი ბუმბოქსი, (.) 12 D ბატარეები და ოლივია ნიუტონ-ჯონის კასეტა.“ (ხაზი 53-55). ჯეი ძალიან გახალისებული ჩანს ყურადღების ცენტრში ყოფნით და ფილის დაცინვით. იგი შემდეგ შეთავაზებას აჟღერებს: „მოდი, რინგზე გავარკვიოთ! (.) იქ ავალთ (.) და თუ შენ დამამარცხებ, ნებისმიერ ბუმბოქსს გიყიდი, რომელიც გინდა. (.) (თითს უქნევს ფილს) თუ მე გავიმარჯვებ, (.) შენი პატარა ცეკვა უნდა შეასრულო ყველასთვის.“ (ხაზი 56-61). მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, რომ ჯეი კვლავ ფილის დაცინვას და დამცირებას ცდილობს. ფილი კი გაბრაზებული ჩანს ჯეის ქცევით მთელი ამ დროის განმავლობაში. ასე რომ, იგი შემართებით თანხმდება საკითხის რინგზე გადაწყვეტის იდეას: „თანახმა ვარ! (2.0) მოდი, ფილურად გავარკვიოთ!“ (ხაზი 63). ამის შემდეგ ფილი და ჯეი რინგზე გადიან უზარმაზარი ხელთანმანებით. ფილი მას მალევე დააგდებს, გამეტებით ურტყამს და საბოლოოდ, ამარცხებს მეტოქეს.

შემდეგ სცენაში ჯეი დაღლილი, ნაცემი ზის მარტო, ფილს მისთვის ყინულები მოაქვს. ჯეი ყინულებს კისერზე იდებს. ფილი მოწყენილი ჩანს და ბოდიშს უხდის ჯეის მომხდარის გამო: „ვწუხვარ მომხდარის გამო. (.) ცოტა გავვიჟიდი იქ. (.) არ ვიცი, რა მოხდა.“

(ხაზი 74-76). ჯეიმ კი იცის, რაც მოხდა: „მე ვიცი. (.) დაგცინოდი (.) შენი მეგობრების თვალწინ“ (ხაზი 77-78), ბოდიში ამის გამო. (.) სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რომ მეთქვა (.) (ხაზი 80-81). მოცემულ შემთხვევაში, ჯეი აღიარებს თავის შეუფერებელ ქცევას, ბოდიშს უხდის ფილს და განუმარტავს, თუ რატომ მოიქცა ასე: „ამ ბიჭებზე 20-25 წლით უფროსი ვარ. (.) საერთო არაფერი გვაქვს. (.) ეს მხოლოდ უარესობისკენ მიდის. (2.0) იმის თქმა მინდა, რომ როგორი იქნება ახალ შვილთან 10 წელში?!“ (ხაზი 83-87). აღსანიშნავია, რომ ჯეი და გლორია შვილს ელოდებიან, რაც ჯეისთვის სენსიტიური საკითხია. იგი, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით, თავის ასაკს (≈65 წლის) განიცდის. ფილი მაშინვე გაგებით ეკიდება ჯეის მდგომარეობას: „ო, ღმერთო! (.) შენ დაუცველი და მგრძნობიარე ხარ. (.) ეს ყველაზე საყვარელი რამაა, რაც ოდესმე მინახავს!“ (ხაზი 88-91). ჯეი ფილის კომენტარით შეწუხებული ჩანს, მას არ უყვარს ემოციური საუბრები: „მოკეტე!“ (ხაზი 92). ფილი ისევ აგრძელებს: „ვინ არის მორცხვი ბაჭია?!“ (ხაზი 93). ჯეის ამის გაძლება არ შეუძლია: „გინდა, კიდევ ერთი რაუნდი (.) ხელთათმანების გარეშე?! (?)“ (ხაზი 94-95). ფილი მას ამშვიდებს: „უბრალოდ, ვხუმრობ, ჯეი. (.) არ მადარდებს, რამდენი წლის ხარ. (.) შემოდღია შენთან ერთად მთელი დღე ვიჯდე და ვილაპარაკო. (.) იმ ბიჭებსაც მართლა მოეწონე.“ (ხაზი 96-99). ჯეი ცდილობს, არ შეიმჩნიოს, რომ ეს ადარდება: „ეგ არ მადარდება.“ (ხაზი 100), თუმცა შემდეგ მაინც აღიარებს: „მართლა? (?) ჯერისაც? (?)“ (ხაზი 101-102). ფილი მას ეთანხმება. სწორედ ამ დროს, ჯეი მენის დაინახავს, რომელიც კარგ დროს ატარებს დანარჩენ ბავშვებთან ერთად. იგი ფილს მიმართავს: „შეიძლება, მართალი ხარ. (.) აი, მენის არ უნდოდა წამოსვლა (.) და შეხედე. (.) როგორც ჩანს, ძალიან კარგ დროს ატარებს.“ (ხაზი 103-106). მენი კლასელებს შორის დგას და რაღაც ისტორიას ყვება ემოციურად. ყველა მას უსმენს: „მოკლედ, შემდეგ ლუკის მამამ გამომგლიჯა ელექტროშოკი (.) და დაიწყო – „ზზზ, ზზზზ“...“ (ხაზი 107-109). ბავშვები იცინიან. ფილი მაშინვე წამოდგება და ბავშვებისკენ გაემართება: „არა! (.) არა! (.) ეგრე არ იყო!“ (ხაზი 110). როგორც ჩანს, როგორც ჯეი, ასევე, მენიც სხვათა ყურადღების მიქცევისა და მათი გართობის მიზნით, სოციუმში თვითდამკვიდრებისთვის, ფილის სასაცილო ისტორიებს წარმატებით იყენებენ.

წარმოდგენილი მაგალითიდან ჩანს, რომ ჯეი სხვათა თანდასწრებით არაერთხელ ესხმის თავს ფილის სახეს, მის იდენტობას, არ ერიდება მის დამცირებას, უგულვებელყოფს ფილის მიერ გაკეთებულ კომენტარებს, რომელიც ჯეის შეჩერებას ცდილობს. იგი არ ითვალისწინებს, მნიშვნელობას არ ანიჭებს ფილის გრძნობებსა და მოთხოვნებს. როგორც საბოლოო აღიარებიდან ჩანს, ჯეი გააზრებულად და მიზანმიმართულად მოქმედებს, იცის, რომ მსგავსი ქცევით ფილს უხერხულობას უქმნის, თავს დარცხვენითად, დამცირებულად აგრძნობინებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ცვლის ქცევას. იგი საკუთარ სასურველ იმიჯს ფილის სახეზე, მის იდენტობაზე თავდასხმის ხარჯზე იქმნის. მისი სასურველი იდენტობა კი შემდეგია – მხიარული, ხუმარა ადამიანი, ვისაც აქვს სათანადო ავტორიტეტი და ძალაუფლება საიმისოდ, რომ საკუთარი ოჯახის წევრს დასცინოს სხვათა თანდასწრებით. ჯეი, ასევე, მაგალითს აძლევს მენის და ცხადია, რომ ფილის სასაცილო ისტორიების ხარჯზე თვითდამკვიდრების მცდელობა მათთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ფილის მიმართ შესრულებული მსგავსი ქცევით ჯეი არღვევს ოჯახის დისკურსის ჟანრობრივ საზღვრებს სათანადო, მისაღებ ქცევასთან დაკავშირებით, რაც ადრესატის (ფილის) უხერხულობას, დაბნეულობას, წყენას, გაღიზიანებას, გაბრაზებას იწვევს, რაც მისი მხრიდან ვერბალურ წინააღმდეგობაში, ასევე, ვიზუალურად – სახის გამომეტყველებაში – ვლინდება. აქედან გამომდინარე, ჯეის განხილული ქცევა შეიძლება, შეფასდეს, როგორც არათავაზიანი. თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ჯეის საბოლოო აღიარება და ფაქტი, რომ იგი მომხდარის გამო ბოდიშს უხდის ფილს. მისი მხრიდან აღნიშნული ქცევა სიტუაციას სრულად ცვლის, ფილი მას მომენტალურად პატიობს მის მიმართ შესრულებულ არათავაზიან ქცევას, ივიწყებს წყენას და მის მდგომარეობაში შესვლას, მის დამშვიდებას ცდილობს.

კვლევაში წარმოდგენილ ყველა მაგალითში (14 ინტერაქცია – „ჩემი ცოლის დაქალები“ – 7 მაგალითი, „Modern Family“ – 7 მაგალითი) გამოვლინდა არათავაზიანობის შემთხვევები (14 ინტერაქცია – არათავაზიანობის 14 შემთხვევა), რომელთა დადგენა მოხდა კონკრეტული ინტერაქციების მონაწილეთა აღქმაზე, მათ მიერ გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ინტერაქციის მონაწილეთა შეფასებები შეესაბამება (არა)თავაზიანობის ფენომენის კვლევის ჟანრობრივი მოდელის ფარგლებში გარსეს-კონეხოს ბლიტვიჩის (2010a) მიერ შემოთავაზებულ განმარტებებს, კერძოდ, არათავაზიანი ქცევის შესრულებისას მოსაუბრე საფრთხეს უქმნის ადრესატის სახეს; იყენებს ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებსა და ინტონაციურ მოდელს, რომლებიც არ არის ასოცირებული ოჯახის დისკურსის ჟანრთან და უგულებელყოფს ჟანრობრივ თუ კომუნიკაციურ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ ინდივიდუალურ თუ სოციალურ იდენტობასთან ასოცირებულ უფლებებსა და მოვალეობებს. ასევე, არათავაზიანობის პრაქტიკაში გამოვლენილ შემთხვევებში იკვეთება შეუსაბამობა ინტერაქციის სოციალურ, ჟანრობრივ ნორმებსა და მონაწილეთა პირად ემპირიულ გამოცდილებასა თუ მოლოდინებს შორის; სახისთვის საფრთხის შემცველი ქცევა არღვევს ჟანრის ფარგლებში დაწესებულ საზღვრებს, რომლებიც არეგულირებს, თუ რა სახის ქცევა არის მისაღები მოვლენათა ნორმალური განვითარებისთვის.

კვლევაში წარმოდგენილ ორ სხვადასხვა კულტურულ გარემოში – ქართულ და ამერიკულ ოჯახში – გამოიკვეთა არათავაზიანობის ორი რადიკალურად განსხვავებული ტიპი:

- ქართული ოჯახის მაგალითზე (ქეთის და ზაზას ოჯახი – „ჩემი ცოლის დაქალები“) არათავაზიანობა ძალადობრივ ხასიათს ატარებს. მოსაუბრე (ზაზა) განმეორებით მიმართავს არათავაზიან ქცევას ცოლთან (ქეთისთან) ურთიერთობისას და,

შესაბამისად, იყალიბებს საკუთარ არათავაზიან იდენტობას, როგორც ავტორიტეტული, დიქტატორი, მბრძანებელი, უხეში ქმარი, რათა შეძლოს ცოლის ყველა მოქმედების გაკონტროლება და სრული ძალაუფლების მოპოვება მასზე. იგი ამტკიცებს საკუთარი ხედვების შემეცნებით უპირატესობას, თავს ესხმის ქეთის იდენტობას, არ აღიარებს მას, ეჭვქვეშ აყენებს მისი აზრების, ხედვების ნამდვილობასა და ღირებულებას, ქეთის სულელი ადამიანის იდენტობას მიაწერს (სხვათა მიერ მიწერილი, მიკუთვნებული პოზიცია/იდენტობა), უგულბებელყოფს მის სურვილებს, მოთხოვნებს, გრძნობებსა და ემოციებს. ზაზა ქეთის იდენტობის შეცვლას, საკუთარ თავზე მორგებას ცდილობს, რასაც შედეგად ქეთის წყენა (ემოციური გამოხატულება – ტირილი), გაბრაზება, გაღიზიანება, ვერბალური წინააღმდეგობა მოჰყვება, თუმცა იგი სათანადოდ ვერ ახერხებს საკუთარი სახის/იდენტობის დაცვას და, ძირითადად, ზაზას მითითებებს, გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს ემორჩილება. აღსანიშნავია, რომ, საბოლოოდ, ქეთი მას სხვა მამაკაცთან ღალატობს.

ქეთისთან ურთიერთობისას ზაზა განმეორებით იყენებს არათავაზიანობის გამოხატვის შემდეგ ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს: უხეშ, აგრესიულ, შეურაცხმყოფელ, სკაბრეზულ სიტყვებსა და ფრაზებს, ბრძანებით კილოს, კრიტიკას, დადანაშაულებას, დაცინვას, სარკაზმს, აგრესიულ სხეულის ენას (სახის გამომეტყველება, ჟესტიკულაცია), მუქარას, ფიზიკური ძალის დემონსტრირებას, ხმას უწევს, ასევე, მიმართავს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს.

- ამერიკული ოჯახის მაგალითზე („თანამედროვე ოჯახი“, „Modern Family“) გამოვლენილი არათავაზიანობის შემთხვევები კი არაძალადობრივი, შედარებით მსუბუქი ხასიათისაა. მოსაუბრე (ჯეი) განმეორებით მიმართავს არათავაზიან

ქცევას ოჯახის, ფაქტიურად, ყველა წევრთან ურთიერთობისას და იყალიბებს საკუთარ იდენტობას, როგორც ავტორიტეტული, სასტიკად, მოურიდებლად პირდაპირი, გულწრფელი, ხუმარა, ენამახვილი და, ამასთანავე, მზრუნველი ადამიანი (ოჯახის წევრი), ვისაც აქვს უფლება (ძალაუფლება), იხუმროს, ასევე, განსაჯოს სხვები, დასცინოს მათ და, ზოგადად, გამოთქვას თავისი მოსაზრებები უპატივცემულო, შეურაცხმყოფელი, სასტიკად უხეში და მოურიდებლად პირდაპირი ფორმულირებით, ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის მისთვის დამახასიათებელი სტილით ისე, რომ არ გაითვალისწინოს სხვების, ამ შემთხვევაში – ოჯახის წევრების მოთხოვნები, გრძნობები და ემოციები. ჯეი არ აღიარებს, თავს ესხმის თანამოსაუბრეთა (ადრესატის, ოჯახის წევრების) იდენტობას, საფრთხეს უქმნის მათ სახეს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მისი ქცევა არ ატარებს ძალადობრივ ხასიათს. ჯეის არათავაზიან ქცევას თან მოჰყვება თანამოსაუბრეთა (ადრესატის) დაბნეულობა, წყენა, შოკი, იმედგაცრუება, უხერხულობა, გაბრაზება, გაღიზიანება, ვერბალური წინააღმდეგობა, თუმცა, ჯეი, რიგ შემთხვევებში, აანალიზებს საკუთარ საქციელს და ბოდიშს იხდის უხეში, არათავაზიანი ქცევის გამო. შედეგად, ოჯახში კვლავ ჰარმონიული ურთიერთობებია.

ჯეის მიერ კორპუსის ფარგლებში განმეორებით გამოყენებული არათავაზიანობის გამოხატვის ვერბალური და არავერბალური საშუალებები შემდეგია: კრიტიკა, დაცინვა, იუმორი, სარკაზმი, ბრძანებით კილო. იგი, ასევე, თავის სუბიექტურ აზრს აყალიბებს, როგორც ფაქტს, ამტკიცებს საკუთარი ხედვების შემეცნებით უპირატესობას, მიმართავს პირდაპირი მიმართვის ტაქტიკას – პირდაპირ და დაუფარავად ესხმის თავს ადრესატის სახეს.

ზოგადი დასკვნები

წარმოგიდგენთ ნაშრომის ძირითად საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ შედეგებს და ზოგად დასკვნებს:

